

ირაკლი გამათავა

ცხოვრება, როგორც
სინამდვილეშია



გამომცემლობა „ანთველსალ“
თბილისი 2014

წიგნი ეძღვნება ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს:

**ქეთევან ქოჩაშვილს, თამარ ზარანდიას, ირმა გელაშვილს,
მარიკა გოგოლაძეს, ქეთევან ქოქრაშვილს და
ვალერი ხრუსტალს.**

**რედაქტორი: მაყვალა გონაშვილი
ბელა ქებურია**

**გარეკანის დიზაინი: KARLITO STUDIA
მამუკა ჩუბინიძე (MeMo House)**

ფოტოგრაფი: ზვიად ლურნკაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთი ქარჩავა

**სპონსორი: საკრედიტო ორგანიზაცია შპს „ელიტ გრუპი“
(ს/ს 401959715)**

© ირაკლი შამათავა, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-288-7

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, მაგრამ ის თუ წაგერ-
თვა, დაკარგულ თაობას შეეხიზნები... ომს ნერევა მოყვება,
სიკვდილი, სისხლისღვრა, უსახლკარობა, ოდაბადედან მოწყვე-
ტა... ტკივილი კი ერთ ჩვეულებრივ დღეს ამოიხუცლებს და
ქვეყნის შემოქმედთან სიტყვის ჯადოსნური მანტიით შეგანივ-
თებს... მერე ხდები მხატვარი, მმღერალი, პოეტი, მწერალი,
დრამატურგი... ირაკლიმ მთელი აფხაზეთი წიგნად ამიკინძა და
ლოცვანის გვერდით დაბინავდა... მისი ყველა ნაფიქრი ჩემთვის
ყოველდღიური კანონია. დავითის ფსალმუნივით, სულ უნდა ვი-
კითხო და მივხვდები, რატოა ასე ტკბილი „ოდოია“... „აშო ჩე-
ლა“... „მაფშალია“...

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, მით უფრო მაშინ, ის თუ
არასდროს გქონია...

**სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზი,
ვ. ფშაველასა და ნ. ბარათაშვილის პრემიის ლაურეატი,
სასულიერი გიმნაზიის რექტორი პეტრე კვარაცხელია**

თაობის რჩეული

ის სრულიად ახალგაზრდაა...

მის ასაკში იშვიათად თუ ვინმე სერიოზულად შეჭიდებია პროზას.

პოეზიას? აკი ბრძანებდა გოგლა: „სიჭაბუკე და ლექსი ერთიაო“ ანდა „სად სიყრმე ყირა-ყირა ჰქრის, იქ სიბრძნემ ლექსი მოკლაო“.

ის კი ახალგაზრდაა და ბრძენიც...

თავისი ასაკისთვის შესაფერისი უმშვენიერესი ბავშვური ღიმილით, ნათელი ლურჯი თვალებით და...

თავისი ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზულობით, სიტყვასთან თავდაუზოგავი ჭიდილით, სიჯიუტით,

კითხულობ ირაკლი შამათავას მოთხრობებს, მინიატურებს (თქვენ ნარმოიდგინეთ, რომანსაც კი, 19 წლის ასაკში რომ დაუწერია) და გხიბლავს ახალგაზრდა კაცის ტკივილიანი ჩანაწერები, სევდა, (რომელიც მხოლოდ ხელოვნებაშია მშვენიერი და რომელიც ჭეშმარიტი მწერლობის თავწყაროა).

გაოცებს ის ულამაზესი ქართული, დღეს რომ თითქმის გამქრალა ჩვენი მეტყველებიდან და მხოლოდ წიგნებში (თითქოს წითელი წიგნი იყოს) შემორჩენილა, როგორც გაფრთხილება, მწერალო, შენ მაინც გადაარჩინე სიტყვა, თორემ გადაშენდა, გაიშვიათდა, უცხოური ელფერით დამახინჯდა, მოკვდა და მას მომავალი თაობები ველარ იპოვიანო.

ის კი მონდომებით, განძის მძებნელის სიჯიუტით ეძებს სიტყვას და ასე აჩუქურთმებს თავის ნანარმოებებს. არა, უფრო მართალი ვიქენები, თუ ვიტყვი, ტკივილებს, და სულ ერთია, ვისაც არ უნდა მიაწერონ ეს ტკივილი: ბიბლიურ ძმებს „კაენსა და აპელსა“ თუ იაპონელ ჩიზუკს, ბედდამწვარ კატოსა თუ დღემოკლე იასეს, გალოთებულ მამასა თუ უმწეო დედას, ყველა ტკივილი, ყველგან და ყველაფერში გაცხადებული, თავად ავტორის გულიდან იღებს სისხლს, ამ გულით იკვებება, თავად მწერლის სიზმარ-ცხადის განცდებია.

– რა ტკივილზე ბრძანებთო? – იკითხავს მკითხველი, რა აქვს ახალგაზრდას სადარდებელიო?

– ბავშვობადაკარგული თაობის სევდაო! თავად გიპასუ-სებთ წიგნი.

ირაკლი შამათავა ჩემი შვილების თაობაა. მის მოთხრობებს რომ ვკითხულობდი, უნებლიერ ასეთი რამ გამახსენდა:

გახსოვთ ოთხმოცდაათიანი წლები, ომი, შიმშილი, უმუშევრობა. ჩემს ქალიშვილს კონცერტი ჰქონდა, ანსამბლ „მერანში“ ცეკვავდა. შუა (ცეკვის დროს, სინათლე ჩაქრა (უსინათლობით ვის გააკვირვებთ) მშობლებს გული მოგვეწურა... არაფერი ჩანს, ირგვლივ სრული წყვდიადია, მაგრამ ფეხის ხმით ვხვდებით, ბავშვებმა ციკვა არ შეწყვიტეს.

ასე მოდიოდა ბავშვობადაკარგული თაობა, ვინ სიბნელუში ცეკვითა და სიმღერით, ვინ აფხაზეთში დარჩენილი სათამაშოებითა და სურათების ალბომით, ვინ უცხოეთში სამსახურის საძიებლად გადაკარგული დედის მონატრებით, ვინ ხელმოკლეობით დაჩიავებული, გალოთებული მამების სევდით, ვინ როგორ...

თავად ირაკლი შამათავა კი წერს: – პირად განცდებზე როდი მოგითხრობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგარი თავგადასავლებით, საპოვნელას, ნიშხანიშხასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლაო“.

რისთვის დაინერა ეს წიგნი? იმ უმთავრესი წინადადების-თვის, რომლითაც კრებული მთავრდება: „ვილოცოთ ერთმანეთისთვის! საკმარისია, მე პირადად დავკარგე ბავშვობა და ახლა სხვასაც ნუ დავაკარგვინებთ!“

ამას შვილი გვეუბნება, მშობლებს, ჩვენ, ვინც ვერ შევძლით ანგელოზებივით შვილების ფრთხებით დაფარვა. ჩვენ, ვინც სიტყვები ტყვიებად გამოვიყენეთ და ერთმანეთი არ დავინდეთ... ჩვენ, ვინც ცხოვრება დაუსრულებელ პოლიტიკურ, სისხლიან სპექტაკლად ვაქციეთ.

შეგვიძლია კი პასუხი გავცეთ კითხვას, მწერალი აფხაზი გოგოს დღიურებიდან რომ გვთავაზობს?

„ო! ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი! ოი, უფალო, ღმერთო, მამაო ჩვენო ზეციურო, პატრონო, მწყემსო ყოველთა მიწიერთა! რა შეგცოდა მოდგმამ კაცთამან ეგეთი, რომ გახადე ერთმანეთისა სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად?!“

რა ვუპასუხოთ მშობლებმა შვილებს? ნუგეშად ისევ სიტყვები უნდა მოვიშველიოთ...

გამიგონია, ყველაზე კარგი მუსიკალური ინსტრუმენტი იმ ხისგან კეთდება, რომელიც მიუვალ კლდეზე იზრდება, ყველაზე მეტი ქარ-წვიმა და მეხთატეხა გადაუტანია, ის გამოსცემს ყველაზე ღვთაებრივ ხმებსო.

იქნებ კარგ ოჯახიშვილობასთან ერთად ახალგაზრდა მწერალს არჩეული, გაუტანელი წლების მეხთატეხაც ეხმარება, ესოდენ მშვენიერ ხმებს რომ გამოსცემს მისი ჩანაწერები.

ბავშვობადაკარგული თაობა დღეს ქართული მწერლობის უნიჭიერესი, საიმედო თაობაა, ირაკლი შამათავა კი თაობის ერთ-ერთი რჩეული.

**მაყვალა გონაძეილი
პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის თავმჯდომარე, ი. ჭავჭავაძის, გ. ტაბიძისა და
ა. კალანდაძის პრემიების ლაურეატი**

ირაკლი შამათავას, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, გზა არჩეული და გასიგრძეგანებული აქვს.

მან იკის, ეს გოლგოთის გზაა – ტანჯვის გზა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერის შვილისათვის. ბედისწერაა ეგ მისი და ამ გზაზე შემდგარს, მე ისეთი ვინა ვარ, ჭკუა დავარიგო – არჩევანი დავუწუნო ან შევუქო!

ჩემთვის, როგორც მისი უფროსი კოლეგისთვის, სასიამოვნო და გასახარელი ის არის, რომ ავტორის ნიჭი, შინაგანი წვა და ძალისხმევა – შედეგის ტოლფარდია და თანხვედრი, ახალგამოკვირტული ნაყოფის მძაფრ სუნს ვგრძნობ... ისიც მაიმედებს, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მას მწერლის-თვის საჭირო ბიოგრაფია აქვს. ის, როგორც ზემოთ ითქვა, გოლგოთის გზას ნებაყოფლობით ადგას და ია-ვარდისა და სიყვარულის ნაცვლად, ჯერხანობით ეკლებს აგროვებს, ტკივილს ტკივილითვე იყუჩებს ნებსით თუ უნებლიერ, თან იობის მომინებით ითმენს...

ახალგაზრდაა და გაძლება აქვს.

საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ მწერლობა ბედისწერაა და არა ხელობა. თუმცა ეს ერთიც აუცილებელია. ხელობის კარგ ცოდნას ანუ ოსტატობას ითხოვს მწერლობა!

მწერლობა მახსოვრობაცაა!

მახსოვრობა, იცოცხლე, კარგი აქვს ირაკლის.

ის ხომ აფხაზეთიდანაა.

აფხაზეთის ომის დროს ირაკლი შამათავა ხუთი-ექვსი წლისა იყო, ალბათ და, ცხადია, მახვილს ვერ აიღებდა ხელში, ვერ დაიცავდა სამშობლოს, წინაპართა საფლავებს ვერ გადაეფარებოდა საკუთარი სხეულით, მაგრამ ის ტანჯვა-წამება,

დამცირება თუ უსასოობა, რაც მისი მამა-ბაბუების თაობამ ნახა და თითქმის შეეგუა, მასაც, როგორც მწერალსა და ამ ქვეყნის შვილს, ცეცხლის გორგალივით მოსდევს უკან... რა ქნას ირაკლიმ, არც ზღაპრულ რაშზე ზის და არც ჯადოსნური სავარცხლის მფლობელია – ზურგსუკან გადააგდოს... ერთი ახალგაზრდა ქართველი მწერალია და მუშტივით შეკრულ გულზე ახალ-ახალი ნანგბურები უჩნდება...

სამაგიეროდ, მან იცის, რა არის ჯოჯოხეთი... ამისთვის ქვესკნელში ჩასვლა არაა საჭირო, ზედაპირზეა... ჯოჯოხეთი აქვეა, ენგურსგალმა თუ გამოლმა... ესეც ვთქვათ, არც სამოთხეა მისთვის შორს – ცხრა მთის გადალმა... ამ წიგნის ერთ-ერთ მოთხოვნაში მამა ეუბნება შვილს, ამდაგვარად მოძღვრავს: “სამოთხე სხვა არაფერია, შვილო, თვინიერ სამშობლოს გარდა”-ო!

ირაკლი შამათავა წიგნიერი ყმაწვილია.

ის წიგნს, როგორც ერის სარკეს და ისტორიულ გამოცდილებას უფრო ეყრდნობა, ვიდრე მწერლურ წარმოსახვასა და ინტუიციას. ავტორი თითოეულ სიტყვას წონის, მის გენეზისს სწავლობს, ახსოვს, რომ “პირველთაგან იყო სიტყვა...”

ამიტომ მერმედება მისი ნანერი, მისი ხვალინდელი დღე.

ახალგაზრდა მწერალი ცდილობს, ის გადაიტანოს ქალალდზე, რაც ნახა, რაც იცის, განიცადა და ისწავლა... მისი ფრაზა ლაკონურია და დატვირთულია, ცოცხალი და როგორც მკვეთრი ფერი ფერწერულ ტილოზე, სიტყვა სუნთქავს...

ის მომავლის მწერალია.

მწერლობა ნიჭს ითხოვს. ასევე ითხოვს უკომპრომისობას, თავდადებას, ზნეობრიობას, პროფესიონალიზმს.

ეს მან იცის.

ვფიქრობ, დიდი მწერლობისთვის ემზადება.

დაველოდოთ.

ღმერთი იყოს მისი შემწე და მფარველი.

ზაურ კალანდია
პროზაიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, ლირსების ორდენის კავალერი

მადლობა უძლურია გადმოსცეს ის განცდა, რაც დამეუფლა, როცა წავიკითხე ნაწარმოები და მაშინვე მივხვდი, რისი პასუხიც იყო: უგემოვნობის, საზოგადოების ზნეობრივი დაცემის და ათასი სხვა რამის. ძნელია წერო მაშინ, როცა შენ გიძლვნიან და ხვდები საზოგადოებას როგორი იდეალები სჭირდება...

მიხარია, რომ არსებობენ შენებრ ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ უფრო მეტად ის მიხარია, რომ სიყვარულის უნარი არ დაუკარგავს კაცობრიობას, ადამიანს...

მეგონა, არაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ გამაკვირვა ირაკლის ზნექეთილობამ, მადლიერების გრძნობამ, კეთილშობილურმა უესტებმა, დიდბუნებოვნებამ და სწორმა დამოკიდებულებამ წარსულის, ანძყოსა და მომავლისადმი... ცალკე საუბრის თემაა მისი ენა, დარბასისლური და ღრმა აზროვნება. მისგან მოწოდებულ მთლიან მასალას ისე იღებ, როგორც საიმედოდ შენახულ საუნჯეს, რომელიც მხოლოდ მისთვის არის ხილული; მხოლოდ მას ეხსნება ასტრალის ის კარი, რომლისთვის ჩვენ ვერ მიგვიგნია ან სამუდამოდ დახშული გვეგონა.

პელა ქებურია

პოეტი, ზ. ვორგილაძის, უურნალ „ოლეს-ლიტერატურული კახეთის), გაზეთ „უქიმერიონის, „პოეზიის დღე-შოთაობის, ნ. ბარათაშვილის და ი. ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი

ირაკლი, გულწრფელად გეუბნები, ნაწარმოები „ცხოვრება, როგორც სინამდვილეშია“ არაჩვეულებრივი ნამრომია. დღეს საზოგადოებას ასეთი გმირები შემორჩა, ეს რეალობაა. ასეთი გმირები არიან სკოლებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მიხარია, რომ ეს თემა წამოსწოები. ზნეობას, რომელიც მიავინყდა თუ დაავინყდა საზოგადოებას, შენ ახსენებ. ის ვინც დასაფასებელია დღეს, ცუდად ფასდება. სულში და გულში ჩასახედი მოთხოვთაა, აუცილებლად წავუკითხავ ჩემს მოსწავლეებს, ისინი გიცნობენ. გმადლობთ იმისთვის, რომ შენ ხარ.

გულწრფელად გეტყვი, რომ ვისიამოვნე; შენი ავტორობა დამავინყდა და ჩავერთე, როგორც მკითხველი. ნათლიდედამ და ოსანამ, სახელებმა დასაწყისშივე მომცა ინტერესი კითხვის და დაახლოებით მივხვდი, რომ ქართული ფესვების დიდი ტკივილი იქნებოდა ჩადებული და როგორი ორიგინალობით გაქვს

ეს ყველაფერი ჩაგვირიტებული. არაჩვეულებრივია ფინალი. გილოცავ!..

დაიცა, რა გამახსენდა! მეზუთე კლასში სად იჯექი და კარგად მახსოვხარ ფეხზე მდგომი, პატარა ბიჭი. დღეს კი...

**დოდონიკა ბერძენი
ქ. ფოთის / საჯარო სკოლის ქართული ენისა
და ლიტერატურის მასწავლებელი**

მეამაყება, რომ შენი სახით, საქართველოს უკვე ჰყავს ლირსეული მსახური ქართული სიტყვისა. ძალიან მომენტა, მართლაც გენიალური მიძღვნაა...

**ნიკოლოზ ფუტკარაძე
პოეტი, პიფის პრემიის ლაურეატი, ფ. ხალვაძის, ზ.
გორგილაძის სახელმობის კონკურს “ზღვაურის” და
ფესტივალ “მომავლის ვარსკვლავის დიპლომანტი**

ის რეალობას თვალებში შეჰყურებს და მომავალ თაობა-საც უტოვებს იმის საშუალებას, ჩვენი ეპოქა იმგვარად განიცადოს, როგორც დღეს არის... - ყოველგვარი შეფუთვის გარეშე.

მისი წერის მანერაში, სამწერლობო კარიერაში, დიადი მიზანი, ჩამოყალიბებულობა და სირთულების მძლეთა-მძლეობა ჩანს. ვაფასებ არა როგორც მეგობარი, არამედ როგორც მკითხველთაგანი, რომელიც მის ნიჭიე და შრომისმოყვარეობაზე დღდ იმედს ამყარებს.

**ზურაბ ლოგუა
პოეტი**

კიდევ კარგი სახლში არავინ მყავს, გულამოსკვნილი ვიტირე. ეს რა იყო? ემოცია დაგახრჩობს... ბოლოს, რომ ჩახვალ ბურთი გეჩხირება ყელში და აღარ გადადის! უნდა იტირო. საუკეთესო არჩევანია „ანტონიო და დავითი“-ს აუქციონი, მაგრამ ამ ნანარმოებში ქარჩხაძე თითქოსდა შემეცოდა.

არ ვიტყვი მომენტა, უმაგრესია! გამოგაფხიზლებს ტირილით. უნდა დაბეჭდო. ეჭ, მართას მდგომარეობა რა უცხოა თანამედროვე საზოგადოებისთვის.

**ნინო გაბიანი
ლიტერატორი**

შტრიხები ირაკლი შამათავას პორტრეტისათვის...

მოვუსმინოთ ამ შესანიშნავ ჭაბუქას, რომელიც გვატყვე-
ვებს თავისი ღიმილით და უბრალოებით.... არა და ნაწერები
ისეთი ღრმაა, რომანში ადგილები ორჯერაც კი გადავიკითხე....

მახსენდება შუახევიდან წამოსულები, გზაში, როგორ
ვეცნობიდით მის ნაწერებს... კითხვა სხვაა, მაგრამ მოუსმინო
მწერალს და არ მოგბეზრდეს, [თუნდაც ეს რომანიდან ამონარი-
დი ნახევარ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდეს], ეს კიდევ სხვა
ნიჭია, რომელიც ირაკლის ყველაფერთან ერთად მომადლებუ-
ლი აქვს....

ნათელი მზერა, სიკეთით სავსე თვალები კი ყველაფერს
გეუბნებიან, რომ უსაზღვროდ უყვარს სამყარო და ადამიანები,
რომლებიც გარს ახვევია

*ინგა გოგიძერიძე
მწერალი, პუბლიციტი*

ვკითხულობდი და შენი ხმა მესმოდა, ბოლომდე სევდანა-
რევი ინტონაციით ჩავიკითხე... დღევანდელობის დაღი, სიდუხ-
ჭირე, ტკივილი.. თან ეს ყველაფერი ისე ამაღლებულადაა გად-
მოცემული....

*მაყვალა დავლაძე
ჭოტი*

ის ევროპაში მოგზაურობის დროს გავიცანი.

რომ ვკითხე, რას საქმიანობ-თქო, მოკრძალებულად გან-
მიცხადა: - თავის სარჩენად იურისტის „ხელობა“ შევისწავლე,
სულის საზრდოდ - ლიტერატურაო.

თითქოს მუდამ გზაშია, მუდმივი ძიების პროცესში.

ვინც წაიკითხავს „დემნა უფლისწულის აჯანყებას“ ადვი-
ლად მიხვდება: მწერლის მოგონილი პერსონაჟი - თავად მწერა-
ლია.

თამილა შარუხია

შესვენებაზე კოლეგები თაობათა ცვლისა და მათ შორის
ურთიერთგანსხვავებული შეხედულებების შესახებ ვსაუბრობ-
დით. თითქოს დაემთხვაო, ჩემს მეგობარს, ახალგაზრდა მწე-
რალ ირაკლი შამათავას მისი ბოლო ნოველა ჩემთვის გასაცნო-

ბად გადმოუგზავნია, რომელიც ზ/ხსენებული საუბრის დასრულების შემდეგ ჩავიკითხე. თითქოს, საუბრის თემისგან განსხვავებული მასში ვერაფერი ვნახე. რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. სამწუხაროა, რომ კითხვის – „რატომ ჰქვია ნაწარმოებს ტრაგედია უგმიროთ“-ო, პასუხი გახდა "იმიტომო!"... მადლობა ირაკლი, რომ განათლებისა და აღზრდის ნაკლოვანება არა ჩვენსავით საუბარში, არამედ ნაწარმოებში გადმოეცი, რაც საზოგადოების ფართო წრისათვისაა ხელმისაწვდომი.

შორენა გაბიჩვაძე სამართლის დოქტორი

„კაენი და სახარება“ დახვეწილი, სუფთა ნაწერია.

მიყვარს როცა ასე გახედებს ავტორი - პერსონაჟის ტვინსა და გრძნობებში. ფსიქოლოგიური სვლები და დინებები... ძალიან საინტერესო, მდიდარი და გაძლიერებული ამონარიდებით.

ვიტყოდი, ეს არის იგავი დაწერილი პირველ პირში.

სიმართლე ვთქვა, თავიდან, ცოტა არაბუნებრივად მეჩვენა შვილთა ამგვარი გამორჩევა მმობელთა მხრიდან, მაგრამ რაკილა ეს არის „იგავი“ ჩემთვის - ალარ მოვინდომე „დაწვრილმანება“, მივყევი და ჩავიკითხე ბოლომდე.

ავტორს ნაბიჯ-ნაბიჯ, ხვეულებით - მოსხლეტილ, ერთნინადადებიან დასკვნასთან მიჰყავხარ!

„და ვცანი: ვერაგობა ყოფილა პირველკაცობისთვის ძმის სიძლვილი...“

სათქმელი ბოლომდე და ამომწურავადაა ნათქვამი - საფიქრალს კი მაინც დიდს გიტოვებს...

ნათია პაპიძე პროზაიკოსი

მწერლის ცხოვრება, პერსონაჟების ტკივილიდან და სიხარულიდან იღებს სათავეს. მწერლობა ადამიანის სხეულში ჩასახლებული სულივითაა, რომელსაც დრო დაარქმევს: „ბოროტს“ ან „კეთილს“, „ნაყოფიერს“ ან „უნაყოფოს“.

„პატიოსნება სამკაულია, რომელიც ხელიდან არ უნდა გაძვრეს დედაკაცს“ - ეს ამონარიდია ირაკლის მოთხრობიდან და ამ ლაკონურ წინადადებაშია ჩატეული მისი, როგორც მწერ-

ლის და ადამიანის ცხოვრებისეული კრედო. თითოეული ნაწარ-მოები და ლიტერატურული პერსონაჟი მისწრაფვის სრულყო-ფილებისაკენ, (მარტივად თუ ვიტყვით, სრულყოფილად კეთი-ლი ან პირიქით).

ძალიან რთული თემატიკის მიუხედავად, სადად, მისაღე-ბად, ავტორისეული მხატვრული ხედვით გადმოსცემს ამა თუ იმ ისტორიებს.

ირაკლის ყველა პერსონაჟი საოცარი ლოიალურობით გამოირჩევა, რაც ავტორის შინაგან ხასიათზე მეტყველებს. პიროსიმაში - ის გვესაუბრება შვილზე, რომელმაც დედის სა-ხელი დაარქვა ბომბს, [თითქოსდა მისივე სახელის უკვდავსა-ყოფად], ხოლო „კაენი და სახარება“-ში - უსუსურ ადამიანზე, რომელიც პირველკაცობისკენ მიიღო და ივიწყებს ბიბ-ლიურ შეგონებებს. მწერლის სალიტერატურო სტილი ისეთი მრავლისმეტყველია, რომ წიგნის მოყვარულს უთუოდ მიიჩ-ვევს და ერთხელაც ჩაახედებს ზნეობისა თუ მორალის სარკე-ში.

ირაკლი თავის ბავშვურ სულს და ღრმა ხედვას სამყარო-სადმი თითქოს განსხეულებულად გადმოგცემს, რაც როგორც მკითხველს, ერთ ამოსუნთქვაში გაკითხებს ყველა ნაწარმოებს.

სამწერლო სტილი დიპლომატიურია, განონასწორებული, ხოლო სიგიურ ფანტაზიურობასთან შერწყმული.

მიუხედავად ირაკლის ასაკისა, მის მწერლურ იარაღს - სიტყვას, ჩემთვის როგორც ერთგული მკითხველისთვის, აქვს ლიტერატურული ფასი. ეპოქაში, სადაც დაბალი ხარისხის ლი-ტერატურული “ნაშრომები” არ უჩივიან მკითხველის ნაკლებო-ბას, ირაკლის შემოქმედება რამოდენიმე პედასტრალით მაღლა მგონია.

ძნელია დამსახურებული ადგილი დაიმკვიდრო თანამედ-როვეობაში, მით უფრო, როცა მიღიონბით მხატვრული გა-მოცემაა, მაგრამ ვფიქრობ, ირაკლი შამათავა დამსახურებუ-ლად უნდა იყავებდეს ინტელექტუალი და მოთხოვნადი ავტო-რის სახელს და თუ ეს ასე არ არის, ბოდიში, მაგრამ ჩვენი და-ბალი ლიტერატურული გემოვნების ბრალი მგონია.

ნიკოლოზ ქვრივიშვილი
პოეტი, ნ. ბარათაშვილის სახელობის ლიტერატურული
კონკურსების პრიზიორი და ვაჟა-ფშაველას
სახელობის კონკურსის გამარჯვებული,
ნომინაციით „საუკეთესო წიგნი“

ემოციების გადმოცემა სიტყვით ძნელია, მიმიკით ყველა-ფერი ჩანს (აქ რომ ყოფილიყავი ალბათ გიშს მიმამსგავსებდი). იმდენად შემისისხლხორცა, რომ ქერქში ვერ ვეტევი... ისე, რომ იცოდე კარგი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გამოვიდოდა, იმდენად თვალშისაცემი და გულშიჩამწვდომი ცხოვრების ერთი დღის კადრია.

**მირიან გორგილაძე
პოეტი, ზ. გორგილაძისა და ფრიდონ ხალვაშის
სახელობის კონკურს „ზღვაურის“ ვერცხლისა და ოქროს
დიპლომის მფლობელი**

ირაკლის ხელწერა ინდივიდუალურია, რითაც სხვებისგან გარჩევა არ უჭირს საზრიან მკითხველს.

ინტელექტი, მებრძოლი ხასიათი და სულისკვეთება - ეს პერსონაჟთა შეინაგანი მონოლოგებიდან იკითხება.

მსურს გავიხსენო ფაქტი, რომელიც რადიო-გადაცემისას, როგორც წამყვანს, გამიმჩილა:

ერთ-ერთ ნოველაზე [„კაენი და სახარება“] სასურველი სიტყვა ვერ იპოვა და თხრობის დასრულება ვერაფრით შესძლო. რამდენიმე თვე ლექსიკონში ეძებდა საჭირო სიტყვას და წერა თურმე მხოლოდ ამის შემდეგ განაახლა.

სწორედ, ამიტომაა მისი შემოქმედება მეტად დასაფასებელი.

წაწერს შვილივით ზრდის, ელოლიავება და მკითხველს სუფთად აწვდის. მისი შემოქმედების ხიბლი კიდევ ისაა, რომ მისი წაწარმოებიდან სიტყვები იდუმალი ძალით, მოკიაფე სხივებით მიისწრაფვის ადამიანის სულისა და გულისაკენ...

მკითხველს ხიბლავს და აოგნებს სათქმელის გადმოცემის მანერა და განსხვავებული გულწრფელობა, რომელიც აქამდე არსად შეხვედრია. ირაკლი, ყოველწუთს, საკუთარი და მსოფლიო ხმის ძიებაშია, ამიტომაა ის გამარჯვებული, მართალი საკუთარ წაწარმოებებთან.

მას არაერთ ლიტერატურულ კონკურსში მიუღია მონაწილეობა, საიდანაც გამარჯვებული ბრუნდება; თითქოს რომელი-ლაც ბრძოლის ველიდან ეს-ესაა დაბრუნდაო და უკვე ძალებს იკრებს ახალი მწვერვალის დასაპყრობად.

ამ ძნელბედობის უამს, სადაც მოყვარე მოყვარეს ვეღარ სცნობს, ის უცვლელად მეგობრული და ყურადღებიანი რჩება. გახსენებს თავს და გინვდის დახმარების ხელს.

მასთან ურთიერთობა, რამდენადაც სასიამოვნოა, იმდე-
ნადვე საინტერესოა. ყოველწლის შეგიძლია აღმოაჩინო რაღაც
ახალი, რომელიც შენთვის ჯერაც უცნობია...

წერის გარდა, თვითნასწავლი ხელოვანი, არაჩვეულებრი-
ვად უკრავს.

ყველაზე ძლიერ ის მიყვარს, რომ წარმატების ფორმულას
თვითონვე ჰქმნის.

მარიამ გელაშვილი უურნალისტი

წავიკითხე, გულწრფელად, ძალიან მომენტია “ნათლიდე-
და”... შენს სტილშია დაწერილი. ხელწერა ორიგინალურია. შენ
არ წერ ჩვეულებრივი მეტობელისთვის, თუმცა სად არიან ისი-
ნი? გამგები გაიგებს. გამგები, რომელსაც სხვა ერუდიცია და
განათლება უნდა ჰქონდეს, ასეთი კი ცოტაა. (არ ვთვლი, რომ მე
მათ რიცხვში ვარ) მაგრამ მართლა ძალიან დამაფიქრე, კიდევ
უნდა წავიკითხო.

მანანა გორგიშვილი მნერალთა შემოქმედებითი კავშირის პრეს-სამსახურის უფროსი

„ბავშვობადაკარგული თაობა“ უმაგრესი წიგნია... რომ წა-
ვიკითხე დიდხანს ვიჯერი ჩუმად, ისეთი შთამბეჭდავი იყო!

ვახტანგ ბერიძე რეჟისორი, მნერალი

ამონარიდი ლიტერატურული საიტიდან

ირაკლიუს, შენმა თაობამ ბავშვობა დაკარგა და ჩემმა
თაობამ მთელი ცხოვრება (ბედნიერი გამონაკლისების გარდა).
ჩვენ სახელმწიფო თავის განვითარების კიბეზე ისე გადაგვახ-
ტა, როგორც ჩამტვრეულ საფეხურებს. როცა ახალგაზრდები
ვიყავით, ლამაზები, ჭკვიანებიც და ჩვენს საქმეს ვაკეთებდით,
იძულებულები გავხდით არსებობისათვის გვებრძოლა და ეს
ბრძოლა თითქმის ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მიუხედა-

ვად იმისა, რომ აფხაზეთიდან არ წამოვსულვართ, ცხოვრების დაწყებაც მოგვიწია ნულიდან (არა ერთხელ) და ბევრი უსახლკაროდაც დარჩა, სხვა გამოსავალი რომ აღარ ჰქონდა შიმშილისაგან თავის დასახსნელად. ჩვენ თქვენზედაც უნდა გვეზრუნა და საკუთარ თავზეც და არაფერს სხვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ორმაგად გადავიტანეთ ყველაფერი ეგ, რაც თქვენ, ბავშვობადაკარგულებმა და რაც ყველაზე მთავარია, თქვენი თაობისგან განსხვავებით, ჩვენთვის არავის უთქვამს “ნუ გეშინიაო”...

უკან ნუ მიიხედავ, წინ იყურე და გარშემო. ის, რაც იყო დიდ გამოცდილებად მიიღე, როგორი უნდა იყო, ან როგორი არ უნდა იყო.

სიმშვიდე არც სამშობლოშია, არც ქალაქში და არც სახლში, სიმშვიდე სულში უნდა ჰქონდეს ადამიანს. ხომ გახსოვს, ქრისტე ნავში იწვა და ეძინა, როცა ქარი ამოვარდა, მონაფებს შეეშინდათ და გააღვიძეს, გვიშველეო. ქრისტემ უთხრა მათ: - “რამ შეგაშინათ მცირედ მორნმუნებო?!” შემდეგ კი ქარს უბრძანა და ქარი ჩადგა.

შეიძლება ეგ ომიც იმ ქარს ჰქონდა და ჩადგა უკვე...

ციცინო გრატიაშვილი (ტენდი) მნერალი, პუბლიცისტი

ფსიქოლოგის განმარტებითი ლექსიკონი ჩამივარდა ერთხელ ხელში და იქ ენერა გმირობის განმარტება, მაგალითად კი იოსებ უორდანია იყო მოყვანილი. ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც თვითმფრინავით მგზავრობის დროს კატასწროვის შედეგად ოკეანეში ჩავარდა, კუთვნილ სამაშველო რგოლს უთმობს ბრაზილიელ გოგონას, თვითონ კი ნახევარ საათში გარდაიცვლება. განმარტებას თუ მივენდობით, იოსებ უორდანია იმ ნახევარი საათის განმავლობაში მთელ სამყაროზე ამაღლდა. შეიძლება ნვრილმანია, მაგრამ ყინვაში თბილი მოსასხამის დათმობა [როგორ ნანარმოებშია] შეიძლება ოკეანეში „კამერის“ დათმობის ტოლფასი იყოს.

**მაია ფაჯიშვილი
მხატვარი, ხატმნერი**

რამდენიმე კვირის წინ ჩემს სოფელს ვსტუმრობდი. აივან-ზე ვიჯექი და ფიქრებით მოცული, ჰორიზონტს გავყურებდი. უცებ შერცხალი მოფრინდა და ბუდის ასაშენებლად საიდანლაც მიწა მოიტანა. გამეღიმა და დავსევდიანდი. თავში კი ასეთმა აზრმა გამიელვა, უკვა მეექვსე გაზაფხულია რაც მერცხლები შინ დაბრუნებას მასწრებენ-მეთქი, ხოლო როცა წარმოვიდგენ ირაკლის, როგორც ბავშვობადაგარგული თაობის წარმომადგენლს, თურმე რა რთულია, როცა მშობლიურ კალთებზე ყოველ გაზაფხულს მერცხალი გასწრებს სტუმრობას, შენ კი მასპინძლობაც არ შეგიძლია.

„როგორ გარემოსაც შეგაჩვევენ, იმას გვერდს სიბერეშიც ვერ აუვლიო.“ ეს ირაკლი შამთავას სიტყვებია. ჰოდა, ამიტომაც, ამდენი წლის შემდეგ, ირაკლი ალბათ მკითხველის წინაშე, თავისი ძველი განცდებით წარსდგა. ბავშვობადაკარგული თაობის წარმომადგენელმა ბავშვობადაკარგულების სევდა ყველაზე კარგად გადმოსცა და ლიტარატურულ ნაწარმოებად აქცია.

რაოდენ ძლიერი არ უნდა იყოს ადამიანი, ის საკუთარ განცდებზე საუბარს ყოველთვის გაურბის. ირაკლიმ კი შეძლო გულწრფელი ალსარება მკითხველთან, რაც სულიერ სიძლიერეზე მიუთითებს.

ირაკლი შამათავა ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ბავშვობაში ნიჩბოსნობა მინდოდაო და მე ვიტყვი რომ ის ყველაზე ახალგაზრდა და გამორჩეული ნიჩბოსანია, რომელმაც დიდი ხნის წინათ შეცურა ლიტერატურის დიდ ოკეანეში, გაუძლო კრიტიკის ქარიშხლებს, მიიწევს წინ და წინ, იალქნად კი თავის სულიერ განცდებს და მისტიკურ სევდას იყენებს.

ვიორგი ცხვიტარია პროზაიკოსი, პოეტი. რ. ინანიშვილის კონკურსის პრიზიორი

როგორც ო' ჟენრი იტყოდა „როცა ადამიანს ხელოვნება უყვარს, არანაირი მსხვერპლი მძიმედ არ ეჩვენება“. მართლაც, ირაკლი როგორც მწერალი, თავის ცხოვრების მანძილზე უზარმაზარ მსხვერპლს იღებს, შემოქმედებით პროცესში განიცდის მარადიულ მარტობას და როგორც რჩეული მწერალი, კითხულობს: რატომ, ვისთვის ან რისთვის ვწერ!..

მარტოოდენ წერო, არ არის მთავარი. მნიშვნელოვანია არ დაკარგო შემეცნების და აღქმის უნარი. მწერლობა, ჩემი მოსაზრებით, ბიოგრაფიაა და მეტი არაფერი. აუცილებელია

ხალხში იტრიალო, გლეხის სახლში შეხვდე მზის ამოსვლას, კარავში გაათიო ლამე - იმაზე ფიქრში, სადმე მგელი არ დაძრნოდეს, კლდე-ლრე იწანნალო, რათა სათანადოდ შეისწავლო კაცის და მხეცის ბუნება. რადგან მწერლობა დაკვირვებაა, შემეცნება რეალური სამყაროსი. მახსენდება წიგნი, რომელიც საგანგებოდ მაჩუქა დაბადების დღის აღსანიშნავად, ეს „ტრამალის მგელია“... ხოლო ვიდრე მოგზაურობას გადავწყვეტდე, ნ. შატაიძის „ევროპაში რა მინდოდა“ წარმომიდგება.

მომწონს, როდესაც ამბობს: მსოფლიო კლასიკაში იმდენი რამაა წასაკითხი, რომ დროს მაინც და მაინც ირაკლი შამათავაზე ნუ დახარჯავთო. ეს მის თავმდაბლობაზე მეტყველებს.

ჩვენ, უნივერსიტეტის შემდეგ ხშირად ვეძალებით ლუდს, კვირაობით თავგადასავლებს ვეძებთ სოფლად, ხან ვთევზაობთ, ხანაც ვსეირნობთ, ვესწრებით სპექტაკლებს და ლამის ზეპირად დავისწავლეთ მ. ჯინორიას „ქარი მწყურია მე პირდაპირი“. მუდამ წინა რიგებში ვსხედვართ და ვაკვირდებით ხელოვანის პერფორმანსს.

ირაკლის წესად აქვს, მარტო საუბრობს ხანდისხან. ბევრი ამას სიგიურს მიაწერს, მაგრამ მეც, როგორც ხელოვანს, ხშირად მსურს საკუთარ თავთან მონოლოგი (თუ დიალოგი?) და არც მიკვირს მისი ეს საქციელი.

ნიღბები... სახეები... ჭრელი ხასიათი... მას ალბათ ჯერაც არ ვიცნობ სათანადოდ.

*ოთარ ჯახველაძე
პოეტი*

БМЗІС-18н

ცხოვრება, როგორც სინამდვილებია

ეძღვნება უსაყვარლეს პოეტს, ბელა ქებურიას

I.

პამბუკისგან დაწნულ სკამზე იჯდა ქალბატონი მართა, ლოდინისგან დაღლილი და შეძრნუნებული.

უკანასკნელი საბიბლიოთეევო ექსპონატი, გაყიდვას გა-დარჩენილი წიგნი, ეჭირა და ფურცლავდა. გულმოდგინედ რო-დი, უფრო ზედაპირულად.

- ლაჩარი! ნუთუ შვილზეც აიცრუა გული?! – ისეთი პირი უჩანს, აღარასდროს დაბრუნდება, რაფგან ჩემთან ცხოვრება ველოსიპედის ტარებასავით ადვილი არ აღმოჩნდა. არაფერია, ერთით ნაკლები სადარდებელი მექნება, ბოლო დროს მაინც ბევრს ეწეოდა და უზომოდ სვამდა.

ცრემლი მოინმინდა, მძინარე ვაჟიშვილს გადახედა, გაახ-სენდა დაპირება, რომელიც ვერა და ვერ შეუსრულა საბრალოს. რას არ გაიღებდა, ოლონდ ერთი სათამაშო მანქანა ეშოვნა.

- „ახლა სჭირდება, მერე იქნებ დაგვიანდეს კიდეც. მარ-თალია ჯერ მხოლოდ სამი წლის არის, მაგრამ დანაშაულია ასე უდროოდ წავართვა ბავშვობა. ცხოვრება ისედაც არ დააკლებს მარნუხებს“.

ეგონა ბუტბუტს ვერავინ გაიგებდა, მაგრამ მოხუცი მამის მწყრალი ხმა შემოესმა:

– არა უშავს, შვილო. ბევრი რამ გვჭირდება, მაგრამ რაკი არ არის, ვითმენთ.

ბერიკაცს აკანკალებდა.

ოთახში საშინლად ციონდა...

ზამთარი სახლის ცივ კედლებში იმაზე ძლიერ იგრძნობო-და, ვიდრე გარეთ იყო...

მართა სიცივისგან შეწუხებულ მამას თვალებში ჩააცქერ-და, მზერა უმალ მძინარე ბავშვზე გადაიტანა და აღმოჩნამ გა-აოცა:

– მოხუცს ერთადერთი თბილი მოსასხამიც ბავშვისთვის დაეთმო.

[ბედად, რომ ამ რთულ ყოფაში, ზნეობით მაინც ვსაზრდო-ობთ].

უნებურად გაახსენდა, წინა დღით, ავადსახსენებელ ლი-ტერატურის გაკვეთილზე, დათბილული, ქურქში გახვეული

მდიდარი მოსწავლე როგორ უგრძნობლად და უემოციოდ იძახდა: „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩიო“, არც კი ესმოდა ალბათ სიტყვების მნიშვნელობა. [თბილი ღუმელი... და ფუფუნება-გამოვლილი მოზარდი რას მიხვდებოდა პოეტის მარტოობას].

სკოლის კიბეებთან შეჩერდა, საათს დახედა, – ესეც გაჩერ-რებულა, ღმერთო!.. ელემენტის ბრალია, უთუოდ.

შეატყო დაგვიანებოდა...

სახლიდან სკოლამდე რამდენიმე კილომეტრი ფეხით გა-მოევლო.

„ხურდა ფულის დაზოგვაც არ აწყენს ჩემს ყოფაში მყოფ ადამიანს“.

დაგვიანებისთვის დერეფნიდან დირექტორის მორიგი საყ-ვედური გაისმა:

– „ბავშვებს ვერ ვაჩერებთ, დაიმხეს მთელი საკლასო ოთახი, ქალბატონო და რა იქნა ამ დრომდე თქვენი მოუსვლე-ლობა!“

საყვედურზე მეტად იმას უკადრისობს, რომ მის სამოსს ამრეზით უყურებს დირექტორი, რომელსაც სახეზე ეტყობა თუ როგორ აღიზიანებს მასწავლებლის დარიბი შესამოსელი.

„რას ვიზამთ. სკოლა, სადაც მდიდართა და არისტოკრატ-თა შეიღები სწავლობენ, უგემოვნოდ, დარიბულად ჩაცმული ქალი იოლი შესამჩნევია. დიდება უფალს, ზნეობა ყოფნის და ტანსაცმლის გამო საჯაროდ არ დამცინის. მაგრამ ხომ ისედაც ნათელია, ვინ რას ფიქრობს ჩემ შემხედვარე“.

და აი, მოაგონა ამ ყველაფერმაც ნ. დუმბაძე, საკლასო ოთახის სიუჟეტი ჯერ წიგნის ფურცლებიდან, მერე კი კინო-ფილმიდან დაუტრიალდა თვალწინ! მაგრამ როგორ გინდა აუხ-სნა იმ ხალხის შთამომავალს სიტყვა „შიმშილი“, რომელთაც ერ-თხელაც არ ექნებათ ის განცდილი.

– თქვენ ამ სიტყვის მნიშვნელობას აუცილებლად გაეცნო-ბით ლექსიკონში. თუ იქაური განმარტება ბუნდოვანი აღმოჩ-ნდა, დაიხმარეთ გამოცდილი ადამიანები, ამ საქმის ნამდვილი „ექსპერტები“.

მანამდე კი, არ დავიზარებ და ვეცდები შეძლებისდაგვა-რად განვმარტო, სხვათა შორის, ეს ზნეობრივი აღზრდისთვის მასწავლებლის ვალდებულებაა... [გაიფიქრა, იქნებ წინადადე-ბის ეს წყობა გაცილებით სჯობს, – აღზრდისთვის მასწავლებ-ლის ზნეობრივი ვალდებულებაა].

და ამონარიდი წაიკითხა:

>>ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატება, გასაგრილებლად დაპერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩა-იდვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...
მეორე ლუკმა...

სწვავდა ენას და მაინც სჭამდა>>
გულისცემაც გაუხშირდა და როცა ნაწარმოებიდან ამოი-
კითხა: <<რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!>> თავშეუკავებლად
იტირა.

—აუუუფ, დაიწყო რააა! რა უსმენს ახლა ამის ჩხავილს, –
თქვა გიღაცამ!

— ნუთუ სხვა მასწავლებელი არ შეიძლება გამოგვიყონ? –
გამოეპასუხა მეორე.

— შიმშილი, სიცივე, ტკივილი, მარტოობა. უფრო ყოფითი
მოიფიქროს, ყელში ამოვიდა რააა.

— ფეხსაცმელზე თუ დააკერდით? – ნიშნისგებით აღნიშ-
ნა პირველ მერზე მჯდომარეობით აღნიშ-

— აუ, ეს რომ კოკო შანელს ენახა, ფაიზალი გაგიუდებოდა,
– პასუხი არ დააყოვნა უკანამ!

— გაბრიელა ტანსაცმლის დიზაინერი იყო, ფეხსაცმლისა
არა!.. – შეუსწორა მოდის მიმდევარმა თანაკლასელმა გოგონამ.
თან თავისი განათლების დასადასტურებლად დასძინა: – გაბ-
რიელა იგივე კოკო შანელიაო.

— ამ ჩემს ფეხებსო, – და ამის თქმას მოჰყვა ხარხარი.

მასწავლებლისგან დასმულ კითხვაზე, „რატომ ჰქვია ნა-
წარმოებს ტრაგედია უგმიროთ“-ო პასუხი გაისმა:

– იმიტომო!

და ეს გნიასი მართამ შეადარა ნოველის პერსონაჟი ბავ-
შვების ხმას, თავისთვის დაასკვნა:

— ესაა თაობათა განსხვავებული მსოფლმხედველობა. ამა-
ზე მეტს ვერავინ შეაგნებინებს.

II.

სკოლის კარები ყველაზე გვიან სწორედ მან გამოიხურა.
ხელში ძველმანი ტყავის პორტფელი ეჭირა; ცდილობდა
გაცრეცილი ხელთათმანის მორგებას...

– ხელფასიც იგვიანებს! რისთვის დავბრუნდე სახლში!

პირველი შემთხვევა იყო, როცა ეცადა ქმრის სახლიდან წასვლის მიზეზი აეხსნა. ეცადა და მოახერხა კიდეც დასაბუთება:

— თავმოყვარე იყო და ვერ გაუძლო სიდუხჭირეს. მეც ხომ არ წავსულიყავი საზღვარგარეთ? ბოლოს და ბოლოს, დამლა-გებელი მაინც დასჭირდებათ, დროული ხელფასის გადახდის სანაცვლოდ.

ხურდა მოიძია, დაენანა ისიც, მაგრამ თუ ტრანსპორტით არა, ფეხით სახლამდე სულს ვერ მიიტანდა.

ავტობუსში ასვლისთანავე მისი ყურადღება რადიომიმღებმა მიიქცია.

კითხვა საოცრად პრიმიტიულად ქლერდა, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა სირთულეს?

დარეკეთ ნომერზე... გვითხარით სწორი პასუხი, რამდენ მარცვალს შეიცავს სიტყვა „სირცხვილი“ და მიიღეთ საჩუქრად რძის პროდუქტი.

სირცხვილია, უმაღლესი განათლების ლიტერატურის პედაგოგმა დარეკეოს და საკუთარი გვარ-სახელით მოახსენოს ბანალური კითხვის ავტორს სწორი პასუხი, მაგრამ...

დარეკევად მაინც ღირდა...

უფრო სწორია ითქვას, ყველაფერი ღირს, რაც ადამიანს სჭირდება.

ისიც კი გაიფიქრა, სკოლის ადმინისტრაციაც თუ უსმენს, ეგებ მომდევნო დღეს დაგმონ მისი ეს საქციელი და უთხრან: — არ შეგრცხვათ, პატივცემულო კოლეგავ, რძის პროდუქტის გამო რომ დარეკეთ სტუდიაშიო? ვის რას აუხსნი, რა იყო დარეკევის მიზეზი. კაცობრიობის ნახევარს ადამიანური მაინც არაფერი შემორჩა.

სუნთქვა შეეკრა. მწერალთა სახლთან შეჩერდა. სახლში მისვლამდე იქ გადაწყვიტა შესვლა.

შავი როიალი ეგულებოდა;

განწყობის მიუხედავად, ინსტრუმენტზე მოცარტის „რექვიემის“ დაკვრა იმ დროს ახსენებდა, როცა მუსიკალურ სკოლაში ეუფლებოდა კლასიკური ნაწარმოების მაღალოსტატურ შესრულებას, თითების სიმეტრიულ განლაგებას და შინმისულის – გაუსაძლის, რამდენიმესაათიან მეცადინეობას.

ეგებ დავუკრა, რათა გავექცე რეალობას. მუსიკა ხომ ქრისტესავით ყოვლისშემძლეა, ღმერთმანი.

III.

...

მწერალთა სახლში წიგნების აუქციონია.

გამოფენა-გაყიდვა ყველა ჟანრის ლიტერატურის.
ისმის წამყვანის ხმა:

- ჩვენ დაგვრჩა ჯ. ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“. დამსწრენო, შეგახსენებთ, ის ქართული პროზის „ხელმწიფეა“, რომელიც სიტყვას „სამეფოსავით“ განაცემს. ვამაყობ, რამეთუ პერიოდულად, ჟამიუამ გამოჩნდებიან ხოლმე მწერლები, რომ-ლებიც ყოველგვარ ეპოქალურ დანაკლისს ხელის ერთი მოსმით ავსებენ.

„ანტონიო და დავითი“ მხოლოდ ეროვნული ნაწარმოები კი არა, გენიალური რელიგიურ-ფილოსოფიური ნამუშევარია, ან უკვე შედევრად რომ ქცეულა...

მე რომ შვილების მამა ვიყო, აუცილებლად ქარჩხაძის ნა-წერით აღვზრდიდი მათ!..

და თუ რომელიმე ოჯახის ბიბლიოთეკაში ვიპოვიდი დამ-ტვერილ წიგნს დიდებული მწერლისას – ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადმოვიდებდი, მტვერს გავაცლიდი, გულში ჩავიკრავდი და ვიტყოდი: – ლირებულებისა და ფასეუ-ლობის დრო, ალბათ, მალე მოვა, ავტორო და ნუ შეშინდები. მაინც გიპოვნის გონიერი მკითხველი და „უძეგლოდ არ დაკარგავს“ შენს ნამოლვანარს...

და აი, წიგნი ელოდება გონიერ მკითხველს!

ნუთუ მსურველი არავინაა?..

[იქნებ აჯობებს მრავალნერტილის, პაუზის და დუმი-ლის შესახებ დაინეროს, ვიდრე უბრალოდ სასვენი წიშანი დაის-გას]

როგორ არა!!! მაგრამ ვინც იცის ნამდვილი ლიტერატუ-რის ფასი, ის ჯიბეს იქექავს. ხურდა ფულით კი არათუ წიგნის ყიდვას, გადაადგილებასაც ვერ შესძლებს კაცი.

მაინც გაუმართლა, რაკი მსურველი არავინაა, წიგნი სიმ-ბოლურ ფასად გაიყიდა. [ამის შემდეგ კაცი ვერ იტყვის, მთლად უბედურია].

შერცხვა ამისიც და დღეს ხელმეორედ იგრძნო, რომ მე-ტისმეტად ბევრჯერ შეაწუხა სირცხვილის გრძნობამ.

IV.

ზამთარი განაცებდა თბილისს.

პოძთან აფიშას მოკრა თვალი:

“ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები”

თავისუფალი თეატრი, პრემიერა შედგა - 29.11.2007-ში

სპექტაკლი დაიდგა - მარია ლადოს "ერთი უბრალო ამბავი"-ს მიხედვით.

ადაპტაციის ავტორი: ავთანდილ (ავთო) ვარსიმაშვილი.

„ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“, დასწრება არც სჭირდება სპექტაკლს, ისედაც ყველაფერია ნათელი.

სახლში შესვლისთანავე იგრძნო, მოხუცი მამისა და უასაკო ვაჟიშვილის მზერა ხელებისკენ იყო მიმართული.

ქალს „ანტონიო და დავითი“ ეჭირა.

- ორი დღე ეს გვასაზრდოებს, ამასობაში, დაპირებისა-მებრ, ხელფასიც იქნება, – თქვა მორცხვად და დანანებით.

- სათამაშოც?

- საჭმელიც?

- ყველაფერი!..

აბაზანაში გავიდა და მოგუდულად იტირა.

დაიმშვიდა თავი, „უშემოსავლოდ მთელი წელი ცხოვრობს საზოგადოება!.. ხელფასით თავის გატანა იოლი საქმეა, უნდა შევძლოთ, უხელფასოდაც არსებობა“.

[თეორიულად ნათელია ეს მოძღვრება, პრაქტიკაში ხორციელდება შეუძლებელი].

შვილი მაინც გადამირჩინე, დედაო ღვთისავ,

და „როგორმე ზამთარს თუ გავუძელიო“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“

ისევ ქრის.

ისევ წვიმს,

ისევ თოვს...

ზამთარი არ აპირებს დამარცხებას.

ღმერთო, მართლა დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები!..

**04.12.2013 ხელი
თბილისი**

მეორედ, – გოლგოთაზე

„კვარო, მიღიხარ და უფლის ნებით ისევ დაბრუნდები“.

...

ადრიდან მსმენოდა, ოცნება ისეთი უნდა გქონდეს, იო-ლად რომ შესწოდეო.

ოცნებითაც წარმოუდგენელი იყო, მისგან მღვდელი დამ-დგარიყო.

უფრო მეტიც, – ჯანგეირით შეპყრობილს ჰგავდა ეგ ვი-რეშმაკა და იჩემებდა უფლის ქეშევრდომობას, თორემ ვინ მი-წიერმა განამწესა ეკლესიას, – (ცხარობდა ბერიკაცი, რომელიც სიყრმიდან დაობლებულს [სამადლოდ] ზრდიდა.

– წესიერად პირჯვრის წერაც არ ეხერხებოდა, მამაცხო-ნებულს.

მოაწია უამმა, როცა ხმალი უნდა შეერტყა სამშობლოს და-საცავად, მაგრამ დალოცვილის ტრიალს განა ვაჟკაცობა არ სჭირდებოდა?!..

ოღონდ ომს არიდებოდა და სანაცვლოდ საწესო შესამო-სელი შეიკერა... ნურვინ ნაღვლობს, „მღვდელი ჭილოფშიც იც-ნობა“.

ახია ჩემზე! ტყუილად ვიყავ გამეცადინებული მისგან კარგი მოისარი დამდგარიყო!.. ყოველთვის ზიზღით ეზიდებო-და ქამანდს, ჭირვეულად დამდევდა სანადიროდ უსიერ ტყეში და ძალდატანებითვე სწავლობდა შავარდნის წრთვნას.

ზარობდა ცხვრის მწყემსვას, საძოვარზე ნახირთ გარეკ-ვას, გუთნით მინის დამუშავებას, მატყლის ჩეჩვასა და თესლის ჩაყრას. არც შეშის ჭრა ახარებდა და ძირა-ალერდ-ლერნამთ თიბვა...

სათევზაოდაც ვერ გაიტყუებდი. აგონებდა ეს ყველაფერი იმ მცნების დარღვევას, რომლითაც უფალს ებრძანა: – „არა კაც-ჰელა!“.

კალო-საბძელს, ბოსელსა და თავლას ფეხისთრევით მოი-ნახულებდა, საიმისოდ, მწყურვალ პირუტყვს წყალი არ მოჰკლებოდა. [სამადლოდ ნაკეთები საქმე მძულდა, უფრო-რე მად[ლ]იანს ვამჯობინებდი, თუმცა ვერ ვიგებდი, პირუტყვს სიბრალულისთვის კითხულობდა თუ უფლის სასჯელზე ში-შით?!].

მე თუ მკითხავ, ეს კაცი სახლში არ ვარგოდა სათავისოდ და მაგონდება ბრძნული შეგონება: „ძალლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“.

პირველის გარდასახვა და გუნდრუკის კმევა ეიოლა!..

„ვის არ უნდა თვითონაც მღვდელი იყოს და ცოლიც “ფოფოდია“ ჰყავდეს“.

ენისჭარტალით როდი ვძრახავ მას და ქრისტიანთაგან ჯვრის მიმდევრის ქილიკს უპატიებელ ცოდვად, საუკადრისო საქმედ მივიჩნევ, მაგრამ ჩემზე მეტად ზაქარიას არა მგონია ცისქეშეთში ვინმე ჰყავარობდეს ან იცნობდეს...

სულ პატარა იყო, როცა პირველად მყავდა სხალთის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ტაძარში ნანახმა გააკვირვა, წყლიანი თვალით შეჰყურებდა სამლოცველოს კედელზე გამოსახულ წმინდანებს. შეცბუნებული ენისბორძიკით მეზურჩულებოდა:

– ტაძრისეულ სიწმინდეს, გუშაგზე ძლიერ, მლოცველი ესაჭიროება! სულ მთლად ცარიელია მამამძუძევ აქაურობა, ანგელოზებს ადამიანებისგან გარიყვა სწყენიათ და ღმერთო, ერთხელაც ესტუმრე მივიწყებულ სავანესო.

სახტად მყოფი ვუყურებდი ეკლესიის გუმბათს, მაღალთაღოვან არქიტექტურულ საოცრებას, რომელიც მდინარე სხალთისა და ფაჩისნალს შორის, მოვაკებულ ტერიტორიაზე, ამაყად გაშლილიყო; ვათვალიერებდი დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთიდან გამოწეულ შვიდწახნაგა საკურთხეველს, ნატიფად მოპირკეთებულ ქვებს, კედლებისა და კამარების საყრდენ თაღებს, გრძივ კედლებს, კარ-სარკმელთ, დანაწევრებულ-თაღვან ნიშებს და ვპასუხობდი:

– ტაძარსაც და სიწმინდესაც გულადი მცველი სჭირდება, არა ბერ-მონაზონთაგან, არამედ ერისკაცთაგან. მარტობას კი როგორმე აიტანს სამლოცველო! კაცი ბუნებით ავაზაკი შვა მამა-ზეციერმა და საკმარისია ჩვენს პირად ბედნიერებას რამე დააკლდეს, უმაღ აქაურ ფილაქანზე, რისამე სათხოვნელად, გაერთხმება! კარგად ვიცით, მოწყალე და გულკეთილ უფალს „თავის ხატად ქმნილი არსება“ შესაძლო კი არადა, მაინც ენანება გასაწირად და ივიწყებს ადამისეულ [იქნებ უკვე კაენისეულად გარდაქმნილ] ბოროტის-ყოფას, აბრალებს ყოველივეს შემდეგს: – კაცის შექმნისას იგი მიწისა და ტალაბის „შეზელვაზე“ გაცილებით მეტს ფიქრობდა, ამიტომაც არ გამოდგა შექმნილთაგანი სრულყოფილი.

– სრულყოფილება დედამიწაზე? – მორჩილად თქვა ზაქარიამ, – იგი იმ ერთადერთ ჩირალდანს ჰგავს, რომლითაც ამაოდ ცდილობენ ხელმომჭირნენი მთელი ქალაქის განათებას... ხანმოკლე დუმილის შემდეგ კი განაგრძო: – სრულყოფილი კაცის შექმნა სამყაროს შემქმნელის მიზანი არც იქნებოდა, აღმზრდელო. ასეთ შემთხვევაში ყოველი „სრულყოფილთაგანი“, სარკის ანარეკლის მსგავსად, სხვისი ორეული გახდებოდა. არადა, როცა საკუთარი ჩრდილი გრძნეულივით დამტრიალებს, ვევედრები არსთა-ხელმწიფებს: – დროულ მომაცილოს ლაბდი, ეგოიზმობისგან რომ არ პრიანობს სხვა ჩემნაირის დაბადებას.

სრულყოფილი ნამუშევარი არც სხალთის ეკლესიის ჩუქურთმაა, უსიცოცხლოდაც შესაძლოა მოგეჩვენოს მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმის ჭრის სილრმე, მაგრამ დალოცვილ ქართულს როდის უხდებოდა გადაპრანჭულობა. ყველაფერს ქართულს, რასაც სიყრმიდან ვეტრფოდი, ახასიათებდა უბრალობა. ფილაქნიდან დაწყებული – გუმბათით დასრულებული, ქართველი კაცი ყველაფერს ეროვნულს ქმნიდა. ეროვნულობა იყო ჩვენთვის ერთდერთი სრულყოფილება, ბერიკაცო...

– შენებრ ასობით ათასობით იბადება, ზაქარია!.. უდღეურ პეპელასაც განუზრახავს სამიოდ დღეში სამყარო შეიმეცნოს, სიამაყით დაფარფატებს და ტკბება მის ქვეშ მობარბაცე ადამიანების მზერით [სასხვათაშორისოდ, არ ვიცი პეპელას სიამაყე თუ დაუფლებია, თუმცა დარწმუნებული ვარ – ბედნიერია, რაკი ადამიან(ებ)ზე მეტი ფრენის შესაძლებლობით მაინც არის]. ისე კი, ღმერთმა იმ უდღეურს სამ დღეში თუ შეაგნებინა რა სურს, შენ რა ძალი გაგინყრა, რომ დღემდე ვერ შეგიცვნია საკუთარი თავი. კაცთა მოდგმას ნაადრევად აერია გზა-კვალი. უხსოვარი დროიდან მთვარეულივით დაბარბაცებს გზააცდენილი კაცობრიობა და მუდმივ ძიებაში არის! ვეძებთ ჭეშმარიტებას, რომელიც ვერსად ვიპოვეთ, გარდა ლექსიკონისა, სამაგიეროდ ძიებისას ისეთ სიხარულს განვიცდით, მეძებარ ძალლს ნანადირევის აღმოჩენისას რომ უფლება. ნიხრი და საპოვნელა ყველა მაძიებელს!.. ნიხრი და საპოვნელა ყველა მეძებარს!..

– შესაძლოა, კაცთა მოდგა უხსოვარი დროიდან ასცდა უფლისეულ გზას, თუმცა ისიც ბედნიერებაა, რომ ბარბაც-ბარბაც მაინც ეცადა ჭეშმარიტებას მიბრუნებოდა. მარტოკაცი ვიყავ ადრიდან და ამას ვერ ჰგუმბდი... მსაყვედურობდი კიდეც: – არათუ ადამიანებზე, ძალზე ზრუნვაც არ გამოგდისო!..

მეც გაყურადებდი, გულისყურით გისმენდი და ვფიქრობდი: – ღმერთო, ვიღაცას გზა მაინც აქვს, არათუ ასარჩევად, წასასვლებლადაც კი. არ მსურს ადამიანებთან ხათრით ცხოვრება, უფრო-რე ჯიბრით, რადგან ვიცი ნახათრალ-ნაჯიბრალი სიცოცხლე რას მოიმკის და ვლოცულობდი: – ჭია, ჭია მაპოვნინე, დანაკარგს როდი მივტირი, საკუთარი თავი მაინც მაპოვნინე-თქო!..

და აი, ნმინდა ნიგნებიდან შევიცანი პურისა და ლვინის არსი. და თუ ადრე ვკითხულობდი ვინ იყო ქრისტე მარიამის-თვის, ერთხელაც ხმამალლად ვიყვირე: – თავად მე ვინ ვარ იქ-სოსთვის? – არავითარი პასუხი არ მიმიღია, ექოსავით მომესმა მხოლოდ: – რა გემრიელია პური, როცა ის გეკუთვნის. იესო გემრიელი პურთაგანია. ეძიე ღმერთში ადამიანური, ხოლო კაც-ში – ღვთიური საწყისები და გახსოვდეს, არც ლვინო შექმნილა სათრობად, არც პური – სიმაძლისათვის! იესოს არ უყვარს მაძლარი და აძარი კაცი, რადგან მათ გადასარჩენად ერთხელ უკვე გაეკრა ჯვარს.

შემეცოდა შოლტით ნაგვემი და ნაწამები ქრისტე ჯვარზე რომ ვიხილე გაკრული. პირველად ვიგრძენი ჯვარცმის სიმძიმე; შეცტუნებულს მომაგონდა ნათლობის დღესასწაული და ხალხის ყიუინა: – ნუ აქყუმპალავებ, მამაო მაგოდენა ხანს ბოვშვს მდინარეში, ჯერ ერთი გაცივდება, მეორეც, თუ ოსმალოთაგანი, ან მოლა-ხოჯა შემოგვესწრო, დედაბუდიანად გვაოტნებენ ჭვანის ხეობიდანო!..

– თუ ქრისტე ვერ ვადიდე, რა აქ ვყოფილვარ, რა სამუსლიმანოში! ჭვანის ხეობაში ცამეტი მოქმედი ტაძრიდან ახლა ქათამაძეების საგვარეულო ეკლესიასაც უბირებენ დარბევას, თქვენ კი იმაზე შიშით, რომ მტერს არ ეამება, კვერს არ დაგიკრავს დიდვაჭარი და მოლა, ჩემზე უკეთეს მასწავლებლად მათ მიიჩნევთ. ერთი მაგ რჯულძალლი ოსმალების ასე და ისეო... – კაი გვარიანად შეიკურთხა.

საპასუხოდ კი:

– განწირულია და ახლა ჩვენც გვღუპავსო, – გაისმა.

მართალი ყოფილა, მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო!..

...

გამოხდა ხანი.

უფლის ნებით, ქათამაძეების საგვარეულო ტაძრიდან, კვლავ ისმოდა ღვთის სადიდებელი.

რამდენჯერმე გავემგზავრე სამცხეს, ეკლესიის მფარველობა შევთხოვე ათაბაგს.

წყალობის სიგელით დამაიმედა. ჭვანიკენ გამომისტუმრა და...

შინმოსულს მრევლმა მამცნო, – დაარბიეს უკანასკნელი ტაძარიც და მხოლოდ ჯვრის, ზარის და საეკლესიო ძვირფასეულობის გამოხსნა შევძელით.

მკითხეს, – რა ვუყოთ საგანძურს, სად გადავმალოთო?!

დაყოვნება არ ივარგებდა, მესხეთის ქედიდან – გურიისკენ, შემოქმედის ეპარქიისკენ გავნიე. მრევლიც უკან მომდევდა. იესოს სიტყვები მიტრიალებდა თავში: „ელიო, ლამა საბაქ-თანი?“, რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“.

საბედნიეროდ, ღმერთს ჩემი მიტოვება არ განეზრახა. ვგრძნობდი კიდეც, სვიმონ კვირინელის ნაცვლად, შემოქმედისკენ მიმავალ გზაზე ახლაც ადამიანური ცოდვის ზიდვით წელ-მოხრილი იესო მომყვებოდა, რომელიც დაუზარებლად იმეორებდა გოლგოთისეულ ისტორიას.

...

და უფლისეული ნებითვე განვაცხადე: ჯვარო, მიდიხარ და უფლის ნებით ისევ დაბრუნდები.

*02.11.2013 წელი
უკრაინა, ზაპოროჟიე*

ნათლიდება

ნაწილი I

ნათლიდებას ოსანა ერქვა.¹

[ოღონდ, შესავალმა არ გაფიქრებინოთ, თითქოს ბიბლიურ ისტორიას გიამბობდეთ].

ო, ღმერთმანი!.. მზარავს ამის გახსენება, მაგრამ შევეც-დები უმნიშვნელოც გიამბოთ!.. არადა, მეწვრილმანეობა საშინელი თვისებაა, გირჩევთ, არ გაეკაროთ. თუმცა, – წერა, ცხოვ-რებას რომ ასე ძალიან ჰგავს, – ხანდახან იხდენს კიდეც ასო-კირკიტს.

სპეტაკი ქალი იყო ნათლიდება. მცირედით რომ გამართლებოდა, სხვაგვარად წარიმართებოდა მისი ცხოვრება. იღბალი დიდებული რამაა, განსაკუთრებით, როცა სათანადოდ გწყალობს. საკმარისია ბედი მტრად მოგეკიდოს და იმ მამაკაცს ემ-სგავსება, საკურთხეველთან მიტოვებულ „გაბედნიერებულ“ ქალს პატარძლობის ხალისი რომ წარსტაცა...²

დარბაისელი იყო, ჩაცმა-დახურვით გამოირჩეოდა და ქალაქელი ქალბატონის სოფლად მობრძანება არ ეპრიანა ხალხს. კაცთა წესი მოგეხსენებათ! თუ ვინმე ზეალმატებული იპოვეს, მტრისას, უმაღლ გაკიცხავენ და მოჰკვეთენ, ჩვენზე მეტი რად უნდა იყოს ეგ შეჩვენებულიო.

– დაევსოს თვალები მის გამჩენს, როგორ უხამსად იცვამს ჩითმერდინს! თავი კი მოაქვს, აქაო და დიდი ვინმე ვარო, მაგრამ რა ჩიტიც ბრძანდება თქმადაც არ ლირს! – ცხარობდა ტერ-ტერა.

– სულ მუდამ წიგნით დაიარება და ვიღაც იესოს ახსენებს, ასე ამბობს: ღმერთი რის ღმერთია, თუ პირქუშად დაუწყო ადამიანის ცოდვილ ბუნებას მზერა და არაფერი მოიმოქმედა საიმისოდ, რომ აარიდოს თავის ხატად ქმნილი უმსგავსებასო!.. – გესმით, ხალხნოო? ამ ქალს ქალაქიდან ყველაფერთან ერთად ახალი წეს-ჩვეულება ჩამოაქვს. განა კითხულობს, მოგვწონს თუ არა მისი ზნე და ადათი. ჩვენ ჩვენი გვაქვს უკვე ასეული წლებია და უკლებლივ პატივი სცენ სტუმრებმაცო.

– ბავშვებს რაღაც ეშმაკის ენაზე ელაპარაკება, ეგ ოხერი! – დაამატა ჯუბომ.

¹ ღვთის სადიდებელი შეძახილი. სიტყვასიტყვით: „გვიხსენი ჩვენ!“

– ნითელა ბატონებით დავადებულთან არც კი მიგვიშვა მომლოცველი, არც „ალისა მალისა, თვალნაკრავისა“ წაგვა-კითხა. ბოლოს ვთხოვეთ, ეგებ ნამზითვარი მაინც დაგვათვალი-ერებინო. იუკადრისა დედაკაცმა, – უზნეობაა სხვის პირა-დულში ხელების ფათური, ნუ გეწყინებათ, მაგრამ ვერაო. ვი-ფიქრეთ, ალბათ ესირცხვილება მზითევის გამოჩენა-თქო, თუმ-ცა ცნობისმოყვარეობა არ გაგვიწეულებია. ვნატრობდით კიდეც, ნეტა ისეთი რამ შეემთხვეს, რომ მთელ მის სახლეულს თვალი გულიანად შევავლოთ.

ოჯახის უფროსი ანანია ხშირად შესწრებია ოსანას ტი-რილს.

– რად კვნესი, დედაკაცო, – ეტყოდა და თავზე მოეალერ-სებოდა.

– აქ ჩემი ადგილი არ არის, ანანია!

– ადამიანის ადგილი სად მოიძებნება? თეატრში? – არა ბატონო, რადგან უსახურია იქაური სანახაობა და უკეთეს სპექ-ტრაკლს სცენაზე კაცი თავად დგამს. მუზეუმში? – არც იქ დაბი-ნავდება დიდი ხნით, რადგან ახირდება ერთხელაც და მიიჩნევს, რომ ყველა ექსპონატზე ძვირადლირებული თავად არის. თუ სა-კუთარ ალაგს ვერ ჰპოვებ ცხოვრებაში, ადექი, საკუთარი სა-ვარძლით მიჩინდი სხვასთან და უთხარი: – გვერდზე გაინიე, მე-გობარო, აქ ჩემი ადგილი არის!

– როგორ, სხვისი მონაპოვარი მივითვისო? ეს რა წესი არის, – უკვირდა ოსანას.

– წესი ბევრი რამ შეიძლება არ იყოს ცხოვრებაში, უფრო მეტიც, უწესობაა ყოველდღიურობის მამოძრავებელი. ამიტომ, იმას უნდა გასდიო, რაც გიხსნის!

ოცდასამს არც კი იყო მიტანებული, როცა დაქვრივდა.

ქვრივთა წესისამებრ, მწუხარედ მოეკიდა ქმრის გარდაც-ვალებას; ძაძები შეიკერა და სამგლოვიარო არშიებით ჩაანაც-ვლა კედლის ჭრელა-ჭრულა კრეტსაბმელი.

წესის აგებიდან დაწყებული – ქელებით დასრულებული, არაფერი დაუშურებია ნათლიდედას.

ჭირისუფალს გონება წამითაც არ დაუკარგავს. ყველა-ფერს კითხულობდა, – სირცხვილი არ მაჭამოთ, თქვენი კვნესა-მე, – გაიძახდა და მანდილის ბოლოთი იშრობდა ცრემლიან თვა-ლებს. – ფლავი და ლობიო მაინც არ მოაკლოთ დამტირებელთ, ყველაფერს გადავიხდი, მისხალ-მისხალ ჩაგითვლით ნასესხებს,

შიში ნურაფრისა გექნებათ, ხალხნო. გსმენიათ ყველას, მეზო-ბელმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არა გქონდეს, მარი-ლიანი სიტყვა მაინც უთხარი-ო.

პოდა, რაკი სიკვდილი ყოველთვის უცაბედად მოდის [არა-სასურველი სტუმრის მსგავსად], არც ნათლიდედას შეეტყო მზადყოფნა. როცა ანანიას დახრჩობის ამბავი გაიგო, თავში ხე-ლი შემოკრა და მწუხარედ თქვა: – მარტომ დღეიდან როგორღა მოვერიო წყეულ ბედისწერასო!..

ანდაზისა არ იყოს, ურემი რომ გადაბრუნდება გზა მერე გამოჩნდებაო. უსაშველო მარტო სიკვდილი ყოფილა, თორემ სხვა დანარჩენს მოევლო.

საფლავზე ქვის აღმართვის სანაცვლოდ ქვრივმა მზითე-ვიც დაუზანებლად გაყიდა.

<<მხოლოდ ანტიკვარული ოქროს ჯვარი დაიტოვა, რო-მელზეც ჯვარცმა საოცარი ორნამენტული სიზუსტით შეესრუ-ლებინა მჭედელს. ჯვარს ეტყობოდა, დაახლოებით საუკუნენა-ხევრის მაინც იქნებოდა და ოჯახურ რელიქვიას წარმოადგენ-და. – „შენ არაფერში გაგცვლი, რწმენავ, სხვას ყველაფერს შე-ველევი“.>>

რაკი, ოსანას ბავშვის ნათლია ვიყავ, ვალდებულად ჩავ-თვალე ქვრივს წავშველებოდი.

ხშირად ვაკითხავდი ნათლიდედას. სამეურნეო საქმეში, თესლის ჩაყრაში, მოსავლის მოწევნაში, ფარცხვა-მარგვლასა და მატყლის ჩეჩვაში ვეხმარებოდი. ნიჩბის ხმარება დიდად არ მიყვარდა, [მესაფლავეთა პატივად მიმართდა] თუმცა ქვრივის სიბრალულით არც მას ვთაკილობდი. – შრომის უკადრისობა მეტიჩრობაო, – მარწმუნებდა იგი.

ქვრივი ხეხილის ბაღს განსაკუთრებულად უვლიდა. მთე-ლი დღე ფუსფუსებდა ეზოში.

შებინდების ხანს მისი ძახილი მომესმა.

ოდის მოაჯირიდან ოსანას გავძახე:

– რამ შეგანუხათ ასეთ დროს, ძვირფასო ნათლიდედავ, ხომ არაფერი გიჭირთ?

მთხოვა, – უნაყოფო ლელვის ხე მომაჭრევინეო.

ცოტა არ იყოს, საკუთარი საქმის კეთებაც მძაგდა, ვიჭირ-ვეულე, რა არ მოვიმიზებე. შემატყო ყოყმანი და მითხრა:

– გსმენია რამე უნაყოფო ლელვის ხეზე?

თურმე „ერთ კაცს ლელვის ხე ედგა თავის ვენახში. მივიღა, რომ ზედ ნაყოფი ეპოვნა და ვერ ნახა. უთხრა მევენახეს: ‘აჰა, სამი წელია მოვდივარ ამ ლელვის ნაყოფის საძებნელად და ვერ ვპოულობ. მოქერი! ტყუილად რად უნდა აცდენდეს მიწას?’ მან კი მიუგო და უთხრა: – ბატონო, წელსაც დატოვე, ძირს გა-მოვუბარავ და ნაკელს დავუყრი, იქნება მოისხას ნაყოფი. თუ არა და, მერე მოქერი“-ო. დღემეხვალიე კაცს კი რაც შეემთხვა კარგად იცი ეგეც. არ ივარგებს იმ საქმის გადადება, რისი კეთებაც დღესვეა შესაძლებელი.

მაინც ვჭირვეულობდი, რას გიშლის ეგ საცოდავი ხე, ან მის მეტი საზრუნავი ხომ არ გამოგელია-თქო!

წყენით შემომხედა და ამ მზერას იმწუთიერი სიკვდილი მერჩივნა. – „კარგია მარილი, მაგრამ, თუ მარილი გამოიფიტა, რილათი ალდგება? არც მინისთვის გამოდგება, არც ნაკელის-თვის, ამიტომ შორს გადაყრიან“.

იმისთვის ვართ, რომ ერთურთს მივეშველოთ. წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდეს, ერთმა რამდენიც არ უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავს-ო! [ბოლოჟამს ნათლიდედას აფორიზმებით და ანდაზებით საუბარი დასჩემდა].

სოფლის ყოველდღიური ცხოვრება ძალიან მღლიდა. ვფიქრობდი, იმგვარი რა შეიძლება მოხდეს, რომ ერთფეროვნება დასრულდეს-თქო...

მასთან სიარულსაც მოვუხშირ და ამ დროს მხედველობიდან გამომრჩა ის, რითაც ისარგებლა ხალხმა.

– აქ, ნათლი-მირონობა კი არა, სხვა რამეშია საქმე!.. – შეიცხადეს სოფლის დედაკაცებმა. ცხადია არ ეპიტნავებოდათ ოსანა. სხვისი პატიოსნების შებლალვა, მოგეხსენებათ, რა მარტივიც არის [გააჩნია ვისთვის], მით უფრო, როცა საქმე ქვრივს ეხება.

წყეული იყოს ის დღე, როცა ავყევ ხალხის გულისთქმას და ნათლიდედასთან კავშირი მხოლოდ იმიტომ გაეწყვიტე, რომ სახელი ჩემთვისაც სამუდამოდ არ გაეტეხათ. ახლა კი მრცხვენია, მაგრამ ზოგჯერ ისეთ დროს დუნდები უნებლიერ, როცა ყველაზე მეტად უნდა იმჭევრმეტყველო. სწორედ, ეს არ გეპატიება, ადამიანო!.. ენაყბედობა წესად და ყოველდღიურობად გექცა და მაშინ დუმხარ, როცა აუცილებელია. ამიტომაც იქნები მუდამ წყეული და შეჩვენებული...

სახელგატეხილი ქვრივი სოფლად დარჩენას ვერ შესძლებდა. ოსანას ერთადერთი იმედი შინ დაბრუნებალა იყო.

მიწერა მშობლებს, თავშესაფარი ითხოვა, რადგან გუსაძლისი იყო ხალხის ქირქილი.

– სასწავლებელზე და ლინგვისტის ხარისხზე უარი თქვიდა ხეპრეზე დაქორწინდი. (ლმერთმა ნათელში ამყოფოს, რა მისი ბრალია, თუ შენ იყავი ქარაფშუტა და ჭკუასუსტი).

როცა ფეხი აიდგი დედაშენს ვეუბნებოდი: – შეხედე, ის ოდნავ ბარბაცებს, მაგრამ მაინც ცდილობს მყარად დადგეს. დორო მოვა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვებს ნარმატებას, მთავარია წინსვლისას ბოროტებამ იმდენი ნაბიჯითვე არ დახიოს, რამდენიც დასჭირდა გასამარჯვებლად.

და აი, გაახარე მტერი შენი და სევდიანი ცხოვრება აირჩიე მომავლად. რაოდენ უკმაყოფილოც არ უნდა იყო, ითმინე!.. ამაოდ აზმნობ, თუკი გგონია, რომ შინ ასე უტითრად მობრუნდები. ჩემთვის მკვდარი ხარ, გულისწყრომის დავიწყებასაც ვერასდოროს შევძლებ. მამებმა ქალიშვილების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული იციან, მაგრამ წყენასაც „განსაკუთრებულად“ ინახავენ. ის მზითევიც დედაშენის დაჟინებული თხოვნით გაგიგზავნეთ, თორემ რა სახარბიელოა მაყრისთვის ქონების სოფლად გატანება.

საკვამლურთან ჩამოჯდა ოსანა და პასუხის მიწერა სცადა:

– ისევ მზითევს შებლვერი, მოხუცო? რა იქნა თქვენგან მორთმეული ეს იაფთასაინი თეთრეული ან ჯამ-ჭურჭელი. მშობელი ხარ და გმართებს, მამა ხარ და გევალება!!! რად მისტირი იმას, რაც მატერიალიზმთან მიგვიყვანს. ხომ შთამაგონებდით, – ფულთან მიმავალი გზა ბინძურია და ლაფში გასვრა ადამიანზე ძლიერ ღორს შემვენის, ხოლო ვისაც სურს სისუფთავე სხვა ბილიკს უნდა დაადგესო. ნუთუ ფარსი იყო ეგეც? ან რაში ხედავდით ცუდს, თუკი სოფლისკენ მოვპრუნდებოდი? განა მიწიდან არ გამოხვედით შენც და დედაჩემიც? აკი გუთნისდედა არ იყავ წარსულში და დედაც მინის მუშაკი? აი, ეს არის მეტიჩრბა!.. მოხვდით ერთხელაც ქალაქში, აგეშალათ ქალაქური საღერღელი და მერე ისე შეზავდით იქაურ წეს-ჩვეულებასთან, რომ დაგავიწყდათ წიალი, საიდან გამობრძანდით!.. გაფრთხილებდით, ტყუილად ოცნებობთ ჩემს საუნივერსიტეტო კარიერაზე, არც ხარჯების გაწევას მივიჩნევდი მართებულად. რომ გამომიცხადეთ, თურქულს უნდა დაეუფლოო, გავოცდი, – როგორ, მტრის ენას მასწავლით-თქო? მიპასუხეთ, – მაშ მოყვრის ენას რა გაგება სჭირდებაო.

ერთმანეთის ჯიბრით დავიწყეთ იმ დღიდან ცხოვრება. თქვენ პრინციპულად მემტრობოდით, მეც ხათრი დამავიწყდა სულმთლად და ვერ ვხვდებოდი, რომ ვცოდავი. იმ ათ მცნებას ვარღვევდი, რომელითაც ლმერთი გვმოძღვრავდა: – „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“.

როგორ მოვინანიო ახლა ეს ყველაფერი! შეცდომა, რომ-ლითაც გვინათ რომ ვცხოვრობდი, როგორ გიმტკიცოთ, მაინც ჩემი არჩევანი იყო და მე ის ისევე მიყვარს, როგორც საკუთარი მანკიერებანი-თქო. თქვენ ხომ ამას უბრალოდ ქარაფშუტობას მიაწერთ ან ცრუ მეტყველებას?

ლმერთო, რამდენი კითხვა მანუხება. რა საშინლად აუტა-ნელია მარტობა და იმის აღიარება, რომ ბედი გატიალებს და ისე ჯირითობს შენზე, როგორც გახედნილი ცხენი – იპოდრომ-ზე.

წერილის დაკონვერტება სცადა. ხელი უთროთოდა. უმ-სგავსებაა შვილმა ასე მისწეროს ოჯახს, ეს ნიშნავს, რომ სამუ-დამოდ ზნედაცემული გახდი.

საკვამლურში ცეცხლი ჯერაც გიზგიზებდა.

– ნეტა ყველა ტკივილის დაფერფლვა ასე იოლი იყოს, – თქვა და აკვანს მიუჯდა.

გვიანობამდე ურნევდა პატარას, ვიდრე ძილი არ მოერია თავადაც.

ნაწილი II

ჩვილის ტირილი მოესმა.

ნეტა ვინ სწუხს?

ნათლიდედას ხელთ თოჯინის მსგავსი არსება უჭირავს, რომელსაც თმები და ფრჩხილები საგრძნობლად გაზრდია. თო-ჯინას სახეზე მიტკლისფერი, უფრო მართებულად, მკვდრისფე-რი ადევს და ეჩვენება, რომ არ სუნთქავს. იგი სათამაშოსთვის თმის დავარცხნას ცდილობს და ზღაპარს უყვება.

– ცხოვრება, ასე თუ ისე, არ ჭირდა ომის დაწყებამდე, ძლივსძლივობით მაინც გაგვქონდა თავი...

ცდილობს სათქმელი დაუზუსტოს:

– ისე კი, ჩემთვის ომი კარგა ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ვიდ-რე ნამდვილ ომს არ ნახავ, ძნელია საშინელება დააგემოვნო!..

საკმარისია ერთხელაც შეეხოს ვინმე შენს პირადულს, რომ მხე-
ცად იქცე. ომისას კი, ყველა ყველაფერს ეხება და ანადგურებს.

რომ მითხრეს, „უნდა გავიქცეთო“, გამიკვირდა და ვიკით-
ხე ჩემთვის: გასაქცევი არსად გაქვს და ნუთუ არ გიმძიმს საფ-
ლავის დატოვება? [ქალს სიყვარულის გამჟღავნება ქმრის სი-
ცოცხლეში იმაზე ძნელად გამოსდის, ვიდრე მიცვალებულის
შემთხვევაში] მაგრამ, წარმოუდგენლად მწარე ყოფილა სული.

გავიქცეცი, რათა გადავრჩენილიყავი...

– სახლიდან რამე თუ წამოიღეო? – იკითხა ხმამ.

– არაფერი, დამეფიცება პატიოსნება!.. ურემი, რომლი-
თაც ვიმგზავრე, პირთამდე დატვირთული იყო ბროლის ჭიქე-
ბით, საყვავილებით, ძვირფასეულობით, აზარფეშებით, პორ-
ცელანით, ჭალებით. მე კი ხელში მზითვთაშორისი საოცრება,
გაყიდვას გადარჩენილი ჯვარცმა და ბიბლია მეჭირა. მათ ისე
ჩავეჭიდე, რომ მგზავრმა შემაფხილდა: – ჩვილს ჩასჭიდე დედა-
კაცო ხელი, რაღა ემაგ წიგნს ჩაბლაუჯებიხარო!..

განა მარტო წიგნი ან უბრალო წივთი მეჭირა ხელში? მე
რწმენას ვეპოტინებოდი, რათა იმედად მეცოცხლა; არ ვიცოდი
რა გზას დავდგომოდი.

– სხვებმაც არ იცოდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ, – გე-
მის საყვედური... შენ კი არაფერი ჰქმენ! სამშობიაროს ტკივილი
დავინყებულიც არ მქონდა და დაბადებით გახარებულს, მშიერს
მამყოფებდი. არც კი ვიბრძოლებდი, რომ მცოდნოდა, სუსხის-
თვის და ყინვისთვის გამიმეტებდი. ამაოდ მისინჯავ ახლა სასი-
ცოცხლო ორგანოს და ტყუილად იხსნი საკინძეს. რახანია გა-
გიშრა დედა ეგ რძე!..

არადა, იმ დღეს ვაჭარი გეხვეწა კაი სამი დღის სამყოფ
საჭმელში გაგიცვლი ოქროს ნაკეთობასო, შენ კი არ დანებდი. –
გადამარჩინე, გაყიდე და მის საფასურად დამაპურე-თქო, გემუ-
დარე. შიმშილისთვის ეგებ გამეძლო კიდეც, შენგან ლალატს
რომ არ მოვეკალი. შვილის სიცოცხლეს ოქროს ნაკეთობა ანაც-
ვალე, მიჭირს ამის დაჯერება!..

სიზმარში მისდევს საყვედურნარევ ექოს და ტირილითვე
პასუხობს:

– როგორ, ლაპარაკიც ისწავლე, დედის მზევ და ღვთაე-
ბავ?... ასე უცებ როგორ აიდგი ენა? მაგრამ ბრაზით საუბრის
დაწყება დასაძრახია, შვილ!

გამოფხიზლდა, შიშისგან ელდა ეცა ოსანას და მიხვდა, ხმა, რომელიც ჩაესმა, ქართულს ჰეგავდა.

— ქალბატონი, ნუთუ შესამჩნევი არ არის ბიბლიოთეკაში წიგნებს რომ მტვერი სჭამს, მოესმა იმ ენაზე, რომელიც უნივერსიტეტის შემდეგ არ სმენია.

რამდენიმე წამში ის გზა გაიხსენა, სამშობლოდან უცხოეთისკენ გასაცოდავებული ავტობუსით რომ გამოიარა.

როგორც მაშინდელ საქართველოში იტყოდნენ, გაუმართლა, რომ მოსამსახურედ მოეწყო მდიდარ ოჯახში. [სალხს გამართლება როგორ ცუდად ესმოდა მუდამ].

ნაწილი III

„მექოთნის ნება არ არის, საიდანაც უნდა იქით გაუკეთებს ქოთანს ყურს“, მეც ასე მეგონა ყმაწვილქალობაში. ვფიქრობდი, ისე წარვმართავდი საკუთარ სვეს, როგორც ვისურვებდი, რადგან მსმენდა: ყოველი კაცი თავად იყო საკუთარი ბედის მჭედლი.

„ჩემს თავზე მარტო წისქვილი არ დატრიალებულა“ თორემ რამდენმა გრიგალმა გადაიქროლა, ვინ მოსთვლის.

და აი, ყველა ქარიშხალს და სეტყვას გადარჩენილი, უცხოკლიმატში გადარგულ ხესავით, დავრჩი მარტო. მერწმუნეთ, ბოროტ ხალხთან თანაცხოვრებას ისევ მარტოობა სჯობს.

…
ბატონი წიგნიერი კაცია. ბიბლიოთეკაში ატარებს მთელ დღეს. ან ალაპის დიდებაშია ან ჩანაწერს აკეთებს. ბუზღუნა და ჭირვეულია. სამი თუ ოთხი ცოლი ჰყავს მოცვლილი (ამაში რელიგიური შეხედულება არ ზღუდავს) და ამაყობს კიდეც ამით. — როცა ისე ეჩვევი ცოლს, რომ მოახლისგან ვეღარ არჩევ, უნდა გააგდო სახლიდან, თუ გინდა აუტანელი თანაცხოვრების მომსწრე არ გახდე. ასე ამბობს: — არ მინდა გვერდით მყავდეს ქალი, რომელიც ყველა ჩემს საქციელს გაამართლებს და მორჩილად გამიღიმებს სამსახურიდან დაბრუნებულს. მე მინდა ადამიანი, რომელიც დღის მანძილზე სულ მცირე სამჯერ მაინც მომიშლის ნერვებს და დაძინებამდე მეტყვის, რომ ყველა ნაკლოვანების მიუხედავად უუყვარვარ...

მის შემხედვარეს ფიქრი აღმეძრებოდა: – „არაფერი ისე საზიზლარი სანახავი არ არის, როგორც პატივმოყვარე კაცი, რომელმაც საკუთარი თავის შეცნობა ვერ მოახერხა“. მას უყვარს, როდესაც ბედისწერა ლანგარზე დადებულად აწვდის ბედნიერებას; ადამიანია და გაემართლება. ბატონს ოცნებად აქვს სამყარო უკეთესობისაკენ შეცვალოს, თუმცა დავიწყნია, რომ ამისთვის აუცილებელია თავად გაუმჯობესდეს.

დილით საყვავილეს ვრწყავ, შუადღით ოთახებს ვგვი, საღამოს სამზარეულო–საპირფარეშოს ვასუფთავებ. ბატონი ბრაზობს, როცა ძაძებში მხედავს. ვცდილობ მის თანდასწრებით მწუხარება დავმალო და ვმხიარულობ. მართალი ყოფილა, სადაც მიხვალ იქაური ქუდი დაიხურეო. ეეჭ, ბეჩავო ოსანა, საკუთარი ცხოვრება რომელიმე წიგნში რომ ამოგეკითხა, უსათუ-ოდ შეგებრალებოდა შენებრ განწირული პერსონაჟი.

საწყალი შემოდგომა, რომელიც საოცრად ჰგავდა ვან გოგის ფერწერულ შედევრს „მზესუმზირას“, დეკომბრის სუსხმა შეჭამა.

დღე დღეს ენაცვლება, ღამე – ღამე!

სახლში შემაძრნუნებელი, სულისამაფორიაქებელი სინ-ყნარეა.

„თითქმის ხმას არ იღებს ეს შეჩვენებული, არც კითხულობს, ვის რა ედარდება. რა დაიმსახურა ამ ქვეყანამ და ხალხმა ისეთი, რომ მშვიდად იღამებენ და ითენებენ. იქ, ჩვენსას, ალბათ ისევ ტყვიები წვიმს და „მარადიორები“ ძარცვავენ ომისგან გა-დარჩენილთ. ნეტა დედ-მამა როგორ არის?“

ნერვიულად ასუფთავებს მტვრისგან შეჭმულ თაროებს, ათვალიერებს წიგნებს.

ეჩვენება, რომ სავარძელში ბავშვი ზის, რომელსაც ხელში ბიბლია უჭირავს და უკითხავს: – „ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ლირსი!“

ბინდი აზვება თვალებში, რეტი ესხმის. გონება ეკარგება და იატაკზე ეცემა.

ხმაურზე ბატონი სამზარეულოდან გამორბის, ხედავს მოსამსახურეს ხელში წიგნი და ჯვარი უჭირავს. „როგორც კი მოფხიზლდება, სახიდან წასვლა მოუნევს, არ მსურს ჩემს სახ-ლში ქრისტიანმა გაითენოს“!.. [ესეც თქვენი მორალი და მრნამ-სი!].

ნიშადურით აფხიზლებს გონწასულს და როცა სიცოც-ხლის ნაპერწკალს შეამჩნევს, ეუბნება:

– სხვაგან უნდა ეძიოთ, ქრისტიანო, თავშესაფარი.

„როგორ გამიმართლა, ახლა კარდაკარ მომიწევს ხეტიალი, ყველგან გამჩხურეკენ რაიმე უხამსი რომ არ შევიტანო ოჯახში“.

ქუჩაში მეძავები გამოფენილან, ისინიც ცდილობენ ღამის გასათევი იპოვონ.

„ბოზობით ნაშოვნი ფული...“ არ მეგონა ვინმეზე აღმატებული თუკი ვიყავ. [პატიოსნება ის ხილია, რომელსაც ულირსები სინანულით ჭამენ].

მშიერს და დაღლილს მეძინება.

ახლა ჩემს წინ პატარა კუბო დევს [დაახლოებით ბიბლიის ზომის], კუბოში ის თოჯინა წევს, რომელსაც წინათ თმას უვარცხნიდა.

სიკვდილის მიზეზს ვეკითხები, მაგრამ პასუხს ვერ ვიგებ.

– „ცხადია, არაფერი ვაჭამე და მოკვდა!..“

ჯანდაბას წყეულო სიკვდილო, არც პირველი ხარ დუნიაზე და არც უკანასკნელი!.. ბალდახინს ელოდები, რომ წასვენონ უცოდველი არსება.

„რა იქნა მესაფლავე? ნუთუ ისიც არ მოვა? დაკრძალვა მზის ჩასვლამდე უნდა მოვასწრო როგორმე!“

მზეც მიიწვერა, დაიღია მისი შარავანდედი და ნიჩაბს ვეძებ, „ადრე, ღრმა ბავშვობაში წინილი დამიმარხავს, ორმოს ამოჭრა, წესით, დიდი სირთულე არ უნდა იყოს!“

„არა, უსათუოდ უნდა წავიდე სამშობლოში. მაგრამ როგორ? კინწისკვრით გამომაგდო ბატონმა და დანაზოგიც მასთან დამრჩა! ისეთივე ღატაკი ვარ, როგორიც გამოვიხიზნე ქვეყნიდან.

სამშობლოში დასაბრუნებლად ბილეთის საყიდელი ფულიც კი არ აქვს. ეხვეწება მეავტობუსეს, საბარგულში მოვთავსდები, ფეხზე დავდგები, ოლონდ თან წამიყოლეო.

– რის სანაცვლოდ?

– მხოლოდ ოქროს ჯვარცმა მაქვს, სხვა არაფერი. მიჭირს მასთან განშორება, მაგრამ...

– აბა მიჩვენე!!! ოჰო, ოქროდ გადავადნობ და კარგი ცხრა გრამი მაინც იქნება. ეს კი იმდენივეა, რამდენიც დაახლოებით სამი სამგზავრო ბილეთი. მაინც ნახევრადცარიელს მიწევს მგზავრობა.

პაუზა, სიჩუმე, საბურავის ჭრიალი, ჭირვეული მგზავრობა. ძილში ბორგვა.

და აი, როგორც იქნა, ქართულ მიწაზეა!.. “გილოცავთ შინ მშვიდობით დაბრუნებას”.

რადიოგადაცემიდან ისმის პატრიარქის მოწოდება: – ყველა ქართველი დროა დაბრუნდეს სამშობლოში.

გზააბნეული ნათლიდედა იხსენებს, სად დაფლა გარდაცვლილი შეიღის ნეშტი.

ლმერთო, ყველა მძებნელს აპოვნინე დანაკარგი და ბავშვობისდროინდელი თამაში – საპოვნელა ახსენდება...

„მექოთნის ნება არ არის, საიდანაც უნდა იქით გაუკეთებს ქოთანს ყურს“, მასაც ასე ეგონა ყმანვილქალობაში. ფიქრობდა, ისე წარმართავდა საკუთარ სვეს, როგორც ისურვებდა, რადგან სმენოდა: ყოველი კაცი თავად იყო საკუთარი ბედის მჭედელი.

მჭედელი არა ის!..

ბედშავს ისიც დავიწყებია, ჩვილი რომ წმინდა წიგნში – ბიბლიაში დაკრძალა...

2013 წლის 14 აპრილს, მწერალთა სასახლეში, საქართველოს მწერალთა კავშირმა, ქ. თბილისის კულტურული

ღონისძიებების ცენტრის თანადგომით ჩაატარა ღონისძიება მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი და ახაგაზრდა მწერალთა

კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. კონკურსის პირობის თანახმად, ორი ახალგაზრდა გამარჯვებული ირაკლი

შამათავა (პროზა) და მინდია არაბული (პოეზია) გაემგზავრა ირანში, თეირნის წიგნის ბაზრობაზე და ფერეიდანში პოეზიის სალამოზე.

სხვისი ცოლი, ანუ ჰანა კონიგსჩერბის საპედისცერო მარტორბა

“მე მიყვარს ჩემი პროფესია, მაგრამ თუ
ნამართმევდნენ, სიამოვნებით დავკავდებოდი სხვა
საქმით. ვიმუშავებდი თეატრში, ან დავჯდებოდი
სახლში, დავწერდი, ან უბრალოდ, ვიუსაქმურებდი, და
რა თქმა უნდა, ამასაც სიამოვნებით გავაკეთებდი.
ავდგებოდი დილით, გავისეირნებდი, წავიდოდი
მუზეუმში, კინოში, მერე დავბრუნდებოდი სახლში,
გავესაუბრებოდი ცოლს, ვუყურებდი ძეისბოლს
ტელევიზორში. არც ისე ცუდია, არა?”

ვუდი ალენი

ნაწილი პირველი როლების გაცვლა „ვუდი პალასე“-ში

დღემ ისე ჩაიარა, რომ არავის დაურეკავს. მარტოდმყოფს
ძალიან შემეშინდა. ერთით ხმაური კარგი ყოფილა, რადგან
მძვინვარებისას არ გცალია მოუსმინო შენს მოძრავ სხეულში
დამწყვდეულ სულს.

„არა, ნამდვილად ჭკუიდან შევიშლები, თუ კიდევ 24 საათს
გასტანს ეს მარტოობა.“ ინტერნეტ-კაფეში შევიარე, რომელიც
გასულ წლებთან შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებ-
ლობს. თითქმის ცარიელ აუდიტორიაში ერთი ტელევიზორივით
გაბლენდილი მონიტორის ნინაშე დავჯექი და ვყელა შეტყობინე-
ბა გადავამოწმე, მათ შორის ლიტერატურული საიტების და
ფოსტის ჩათვლით...

„გეპატიურებით ვუდი ალენის ახალი ფილმის პრეზენტაცი-
აზე რომელიც შედგება ამა წლის 13 დეკემბერს, 21 საათზე კი-
ნოთეატრ „ვუდი პალასე“-ს მე-17 აუდიტორიაში.“ გთხოვთ მობ-
რძანდეთ.

სიამოვნებით, ვთქვი კმაყოფილმა და კინოთეატრისკენ
გავწიე.

სრულიად მოულოდნელად, ასე აღმოვჩნდი ვუდი ალენის
ერთ-ერთი ფილმის ჩვენებაზე. ისე კი ვერაფერი გავუგე მის

ბრწყინვალება ბატონ ვუდის, რადგან ისეთ სიტყვებს გაიძახდა ხოლმე, რომელიც არასდროს მსმენოდა.

– ჰოდა, გაითვალისწინეთ, დღეიდან მოგიწევთ ლექსიკონებით სიარული, რადგან თქვენი გონება დაიწრიტა მშვენიერი სიტყვებისაგან.

– კარგით, ბატონო ვუდი, თქვენ ნუ იდარდებთ და ამიერიდან მსოფლიოს ყველა უნიკალურ გამოცემას შევიძენ-მეტე.

ასე დაიწყო ამერიკელ გენიოსთან ჩემი ურთიერთობა.

ვინ ხარო, მკითხა მან ნარბის აქაჩიტით. იგი იდგა კინოთეატრის სამგანზომილებიანი ეკრანის წინ და შემეძლო ბატონი ვუდისთვისაც სამკუთხედურად მეყურა. ისე, რაღა დაგიმალოთ, შუქი თვალებში მეცემა და იქნებ ფარდაჩამოფარებულს გვესაუბრა, ვთხოვე მას. (მისი მიზეზი გახლდათ ვუდის არცთუ სასიამოვნო გამოხედვა). მეზღვაურის ზოლებიანი მაისური ჩაუტმასნავს ვინროდშეკერილ შარვალში, რომლის ჯიბებში თევზები ულავია. შარვლის ბოლო ტოტები ჩექმებში აქვს მოქცეული. (სავარაუდოდ კინოროლმა საბჭოთა კავშირისკენ გახიზნა) მის წინ უცნობი მამაკაცი დგას, რომელსაც „შავი კაპიუშონი ნამოუცამს, ტანზეც შავი სამოსი შემოტმასნია. კაპიუშონი თავს უფარავს, მაგრამ შუა ხნისა და მიტკლისფრად გადაფითრებულ სახეს კი არა. უცნობი ხმამაღლა ბურტყუნებს, იმუქრება და იატაკზე ეცემა²)

– ქართველი ვარ... ვთქვი ისე თავჩაქინდრულმა, რომ ლამის კინოთეატრის მოპირდაპირე მხარეს დამონტაჟებულ სკამზე ჩამოვიმტვრიე ცხვირ-პირი.

– მერე რა მორცხვად გაიძახი მაგას!.. „კაცი ნაციონალიზმით უნდა იკვებებოდეს...“

ამის თქმაზე მარჯვედ დაატრიალა გლობუსი და საქართველოს დაუწყო ძებნა. გრინვიჩიდან აღმოსავლეთით 40 და 50 გრადუსებს შორის მოვაძებნინე „გეორგია.“

– ეს გეორგია რა არის?

– მიწის სიყვარულის გამო დაგვარქვეს, ბატონო ვუდი.

– მიწა რომ გიყვარდეთ, განა ასე ჯუჯა სახელმწიფო იქნებოდით? გლობუსზე დაპატარავებულ მასშტაბს ჯოხი გადაატარა.

² ვუდი ალენის „სიკვდილი აკაკუნებს“ 1968 წ

– არა უშავს! ნაწილ-ნაწილ უნდა დავიშალოთ ჩვენ, რომ შემდეგ ერთიანად აღვდგეთ.

– მაშ, მიწა ძლიერ გიყვართ?

– ვერც კი ნარმოიდგენთ როგორ. თქვენ რომ პლანეტას ეძახით, (Planet, Earth) იმას ჩვენ „დედამიწა“ დავარქვით. ანუ „მაზერლენდი“, გესმით ბატონი ვუდი? მიწის დამუშავება ჩვენებურად „მიწათმოქმედებაა“, მიწაში დაფლვა – „დამიწება“!..

– თქვენ ძალიან ლიტერატურულად საუბრობთ, ხომ არ ცდიდით ბედს კინემატოგრაფიასა და მწერლობაში? გამომცდელი, საექსპერიმენტო მზერით ჩამათვალიერა თავით-ფეხებამდე. მე მოგცემთ ყველა ბაზისს, საჭირო ტექნიკას. უფრო მეტიც, ვუდის ასისტენტობას გთავაზობთ. მხოლოდ თქვით, რომ თქვენ ვუდის აღმოჩენა ხართ.

– ოჰო, გაიღვიძა თქვენში კოლუმბმა, არა? ახლა ვხვდები, როგორ მოახერხეთ სრულყოფილებასთან ზიარება. თქვენ ხომ ექსპერმენტების და აღმოჩენების ქვეყნიდან ხართ. სამშობიაროში დასაბადებელი ჩვილის ატირებამდე უკვე იცით მისი მომავალი პროფესია. მედდას წყალობით არკვევთ აქვს თუ არა ახალშობილს გამოყვანილი წელი, (მოცეკვავე რომ გახდეს), ან არის კი მისი მშობლების გენეტიკაში სიშიშვლე დასაშვები (ალბათ პორნო ვარსკვლავად რომ აქციოთ), და აიძულებთ დაქირავებულ მუსიკის მასწავლებელს ჩვილის თითოეული ტირილი ჩაინეროს და გააკეთოს დასკვნა: როგორ შეასრულებს საოპერო არიებს?

– მოეშვი მაგ ორატორობას და მითხარი, სად მუშაობენ თქვენთან მხერლები, მხატვრები, მუსიკოსები? რამდენად კეთილმოწყობილია კონსერვატორია, გამომცემლობა, სამხატვრო აკადემია?

– გამომცემლობა, ბატონი ვუდი, მაშინ გვახსენდება ვინ-მე წიგნის დაფინანსების პირობას თუ მოგვცემს. მუსიკას კონსერვატორიაში კი არა სახლში სწავლობენ! (რადგან იქაური ინსტრუმენტები მრავალი წლის მოშლილია) ხოლო მხატვარ-მაესტროს აზრით, აკადემია არაფერს მოუტანს ფერმწერს, თუკი ის არ ესაუბრება ფერთა გამასა და მოლბერტს.

– სცენარისტებზე რა აზრის ხართ? რამდენია მათი წლიური პონორარი?

გულში გავივლე, ოჰ, ეს ფინანსური საკითხები, სრულიად უადგილო მომენტებში რომ სჩვევია თავის წარმოჩენა. მაგრამ პასუხი რომ არ გავეცი ხელმეორედ გამიმეორა შეკითხვა.

– გავიგე ბატონო, სმენა კარგი მაქვს! ვიდრე გიპასუხებდეთ, გაითვალისწინეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ძუნი გამომცემელია და ფულიც მცირე ტირაჟით იბეჭდება. მართალია მის ავტორს (სახელმწიფოს) საავტორო უფლებები სრულად აქვს დაცული, მაგრამ ტირაჟის გაზრდის საკითხი ჯერაც საყიყმანოდ მიაჩნია. ამიტომაც, მცირე ბიუჯეტის გამო ჩვენ ვხდებით „მოხალისეები“. ღმერთო, ეს რა კარგი სიტყვა ვიპოვე. რეალურად ხელოვნებაც ხომ ასე უნდა იყოს, ხალისის გრძნობამდე დაშვებული. იგი განკერძოებულია ქრთამისგან, ფულადი სუბსიდიებისგან! მხოლოდ შემონირულობის მომხრენი ვართ. თუ თქვენში ერთი სცენარის ავტორს დაახლოებით ხუთი წელი უზრუნველყოფილი აქვს და ჰამაკ-სარწეველაზე უდარდელად ქანაობს, ჩვენ სცენარიდან მიღებული ჰონორარით ვახერხებთ შევიძინოთ იაფფასინი სათამაშო, რომლითაც მოვახერხებთ შეიღების მოტყუებას...

– რა გგონიათ მწერლობისთვის აუცილებელი?

– თვალის დალლა, ბატონო ვუდი... სანახაობით უნდა აღივსოს კაცი!.. ამასთან გამოცდილებაც მნიშვნელოვანია. დრო, კი თავისთავად სწორად უნდა გადანაწილდეს. განსაკუთრებით მიჭირს წერის პროცესში ვუსმინო ჩემს ცოლს, რომელსაც მაღვიძიარის ხმაზე ახსენდება ბავშვის ბალიდან გამოყვანა [ეს ხდება ჩვიდმეტ საათსა და ათ წუთზე]. ნეტა არ გამხსენებოდა ორსული ცოლი. ალბათ კიდევ ცამეტიოდე თვე და ახალი ულტიმატუმებით ატყივდება იმას მუცელი.

– როგორ ზრდით შვილს? ან რა რელიგიურ მრნამსს უყალიბებთ?

– თუ ღმერთმა ინება მოეგონა ბრონეული, არც ის დავვიწყდებოდა მის მრავალჯეროვან გამრავლებაზე ეზრუნა. ჰოდა, შენ უნდა გნამდეს, რომ მიუხედავად სწორად აღზრდის მცდელობისა, ბრონეული შეიძლება უშნოდ დაიტოტოს და წელმრუდი გახდეს. ხუთ ლიტრიან კოკაში ექვსს ვერაფრით ჩავტევთ. ვერც იმას ავხსნით, როგორ მიაგნო გუგულმა უნიკალურ ხერხს, როცა პირველად გაბედა სხვის ბუდეში კვერცხის (და არა კვერცხების) დადება... სამყაროს ყველა მოვლენას სამწუხაროდ ვერც რელიგია ხსნის. რწმენა კი ინდივიდუალური უნდა

იყოს და არა ოჯახურ ტრადიციასა და მოვალეობაზე დაშენებული.

– როგორი უნდა იყოს მწერლის ენა?

– ლაკონური, ჰარმონიული და გამდინარ წყალსავით კამკამა. კარგმა მწერალმა თუ თავისი ლექსიკონი ვერ შექმნა, სხვისი მაინც უნდა ატაროს გულისჯიბით და სამ განზომილებას (ინგლ. 3D, რუს. ტრიდე) შეერკიონს. 1) დროს; 2) სიტყვას; 3) სიუჟეტს; უნდა დააფასოვოს უვარვისი „სიტყვათთავთავები“ ვარვისანისაგან, ნინაალმდევ შემთხვევაში წიგნის გამოცემისას, რომელიც მოსავლის დაბინავების ტოლფასია, მას შეხვდება მდოგვის მარცვლები და გაუმნარებდა მკითხველს გემოვნება. დროთა ქარიშხლებში, როგორც ბარტყი სწავლობს ფრენას, ასე ხელოვანდება და ოსტატდება მწერალი. შეიძლება დიდი მწერალი ვერც ვერასდოროს გახდე, თუმცა ტექსტზე მუშაობისას თუ იგრძენი, რომ მაკულატურას ბეჭდავ, შენ ბევრ მწერალს სჯობნი, რადგან უსახურ ამბიციათა მსხვერპლი მაინც არ ხარ. სამწუხარო დასკვნამ კი არ უნდა გაგაკვირვოს: ქალალდის ინკვიზიტორად მოგავლინეს.

ვუდი წამოდგა, ნელი ნაბიჯებით ჩამოიარა კოლიდორი და მომიახლოვდა. გავიგონე მისგან ენისბორძიკით ნათქვამი „კუგელმასი, ეს ხომ კუგელმასია“. და ისე მომეფერა, როგორც მწერალი მისგან შექმნილ პერსონაჟს ელოლიავება ხოლმე. კუგელმას, ჩუმად დაიძახა ვუდიმ, „მე ხომ შენ ესპანური ენის ინტენსური კურსის ძეველ სახელმძღვანელოში დაგტოვე, – სიცოცხლის ბოლო წუთამდე უნაყოფო, კლდოვან ადგილას, სადაც დიდი და ბანჯგვლიანი უნესო ზმნა „ტენერ“ (ყოლა, ქონა) გაწვრილებული, გრძელი ფეხებით უნდა გამოგკიდებოდა დასაჭერად!“

სწორი ბრძანდებით ბატონო ვუდი, მართალია უნაყოფო, კლდოვან ადგილას მიმატოვეთ, მაგრამ სხვა უფრო გულისხმიერ და კეთილ მწერალს გადავეყარე, რომელსაც შევებრალე და თქვენამდე მოსასვლელი გზა მომასწავლა. ასე მითხრა, თურმე სიმშვიდის „ჯადოქარს“ ეძებთ. ბოლოსდაბოლოს მეც მოვედი. ნურაფერზე იდარდებთ, ნურც სცენის დეკორაციაზე, ალარც მსახიობთა შესარჩევ კასტინგსა და გარეგანათებაზე. თქვენი ასისტენტი შესძლებს მორიგ სცენარზე მუშაობას. თქვენ კი მშვიდობიან და უდარდელ მოგზაურობას გისურვებთ. ბილეთების დაჯავშვნა და აეროპორტში მომუშავე პერსონალის შენუხება არ დაგჭირდებათ. ამაზე ნინასწარ ვიზრუნეთ.

ვნახოთ, ერთი რა შეუძლია ამ ვაჟბატონს, თქვა მორჩილად ვუდიმ. (თითქოს მოეწონა ეს იდეა) ტაში შემოკრა და ბრძანა:

– მოიტანეთ ვუდის ორეული მანეკენი, ჩააცვით ამ ვიგინდარას და აკეთოს სამი თვით ვუდის საქმეები. იცოდეთ, არავინ უნდა დაეჭვდეს, (განსაკუთრებით მისის კონიგსბერგი) რომ ნამდვილი ვუდი დასვენების მიზნით სამოგზაუროდ გაემგზავრა. დაიმანჭა და ბუზღუნით შეძვრა კარადაში. ცხვირწინ უხეშფანერზე მიწებებული ორიოდე უშნო მთის ბროლი შეამჩნია.³ და ინდოეთიდან მოწვეული ჯადოქრის დახმარებით სადლაც გაუჩინარდა.

ნაწილი მეორე არცთუ სასიამოვნო სიმშვიდე

ძილბურანს რომ თავი დააღწია, ვუდი ერთ პატარა პროვინციაში ცხოვრობდა. კოლტების ღრუტუნი მის ეზომდეც აღნევდა. კარალიოკის ხის ძირში ვირი იდგა. უფრო შორს ცხვარი მწვანე კორდს ძოვდა. „იალალზეა ცხვარი გასაფენი“, გაიგონა მოხუცი ბართლომეს ძახილი. ფარდულიდან ქოხის შესასვლელში შეიარა. ვუდიმ ასე იფიქრა, ეს ნამდვილად სარდაფი იყო თავისი ბინის, რომლის დანახვაზეც მუდამ ოცნებობდა. მერე ის იყო, თავის მდიდარ ბიბლიოთეკაში შეიარა, რათა რაიმე ლიტერატურა ამოერჩია. იგი წააწყდა წიგნების ერთ მომცრო კარადას, სადაც მისთვის უცნობ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომები ელაგა. (მისის როზალინდა, ძალიან მტვრიანია ეს წიგნები. რაში გიხდით ფულს ეგ მაინც გამაგებინეთ. თქვენი ბუმბულებიანი ცოცხი გადაატარეთ ღვთის გულისათვის) ეუცნაურა ხმა რომ არავინ გასცა. ვერც თავისი წიგნები იცნო. მით უფრო უცხოურმა დამწერლობამ გააკვირვა. ბედად, რომ გულისჯიბეში მას ჰქონდა ანბანი, რომლის პარალელურად მსოფლიოს ყველა დამწერლობის შესაბამისი ასობგერა ეწერა. მთელი დღე იწვალა, რომ ამოეკითხა: „თუკი ალექსანდრე შმენანის სიტყვებით ვიხელმძღვანელებთ, ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა 21-ე საუკუნე თავის მე-10 დაბადების დღეს აღნიშნავდა.“

³ „კუგელმასის შემთხვევა“, ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

და გაახსენდა, რომ 2010 წელი იყო.

გვიანი გაზაფხული.

რომ ვიღაც მოხუცის დაუინებული თხოვნით ცხვარი საძოვარზეა გასაყვანი. ბერიკაცის საუბარი ნიუ-იორკ სიტიში გატარებულ წლებს აგონებს. ხარ-ძრობის და შინაურ ფრინველთა გამოკენებამდე ვუდის საკვამლურში ცეცხლის დანთება უწევს. გაჭვარტულ ჭერში სულგუნს, ნინაკასა და ლორის ხორცს ხედავს. სულგუნი და ნინაკა არა, მაგრამ ლორის ხორცი ირლანდიურ ლორს აგონებს. შუალამით საქონელს აბინავებს, ძროხებს აწველინებს დიასახლისს და ნადულის დამზადებას სწავლობს.

სამოცდა თორმეტი საათი ითმინა და მაინც გაიქცა.

ცხენზე შებმული ეტლით გააღნია სოფლიდან. ეხლა ისეთ მდგომარეობაშია არაფრის მოსმენა უნდა, მით უფრო, რომ უჭირს ყველაფრის აღქმა. ეტლის ბორბლების ჭრიჭინი უფრო ესმის, ვიდრე მეეტლის შეგონება, რომელიც თავისთვის ჰყვება დაკარგული ძმების იგავს.

„ჩვენ უნდა ვეძებოთ ყველაფერი, ოღონდ ისე, რომ ძებნისას არ დავიკარგოთ, რადგან დაკარგული ძმების იგავში ამგვარად ამოვიკითხე: იყო ორი ძმა, ლაზარე და თომა. უფროსი ნივთებს ეძებდა, ხოლო უმრნემესი – გრძნობების მაძიებელი გახლდათ... ნივთის მაძებარი თეზევისისგან აშენებულ ლაბირინთში დაიკარგა. ამბობენ ციფრების გამოქვაბულს შეაფარა თავიო. გრძნობების მაძიებელმა კი ჭეშმარიტებას მიაგნო და ბეჭინერად განაგრძო მორიგი ექსპერიმენტი. ახლა სათნოებას ეძებს, რომელიც სავარაუდოდ გულის სიახლოვესაა...“

მცდარად არჩეული ბილიკი

ორლობები, ვიდრე სოფელს გამოსცდებოდნენ, კოკით მომავალს თხოვეს წყლის დალევა. ხვატისგან შეწუხებულები კაკლის ჩეროში ჩამოსხდნენ და შუბლი დასველებული ნაჭრით გაიგრილეს. ვუდიმ რატომლაც იგრძნო, რომ უკან მნიშვნელოვანი რამ მოიტოვა. გაახსენდა ხელსაქმით დაკავებული ქალბატონი, ჩიბუხის მხრჩოლავი ბერიკაცი. მეეტლე ისევ საუბრობდა აუდელებლად: „ნადიოთ და ეძიეთ სიამოვნება, იპოვეთ ვწება, დატკბით ცხოვრებით, განიცადეთ ბედნიერება.“ ნუ გედარდე-

ბად სარეცელზე მიჯაჭულ მშობელთა ბედი, რადგან ისინი აფ-
თიაქში შვილების ნაცვლად სხვებს გააგზავნიან.

მერე ისევ აიბარგნენ. ცოტაც და ორენვანი წარწერა და-
ინახეს „NO ROAD“-ი ქართული შესატყვისით. ეტლი მაინც პირ-
დაპირი გზით მიიზღაუნებოდა.

იქით გზა არ არის ჯოუუუ... – მოისმა ექმ.

ვიცი, შეეპასუხა მეეტლე. უბრალოდ „სხვისგან სწორად
მითითებულ გზას, ჩემგან მცდარად არჩეული ბილიკი მიოჩევ-
ნია!..“

მცდარად არჩეულმა ბილიკმა ხრამში გადაყარა მოგზაუ-
რები. სანაცვლოდ ასწავლა მათ:

„დაკვირვება“

რომელიც ცხოვრებისეული პრაქტიკიდან გამომდინარე,
შეგამეცნებინებს: გველს უფრო დაახრჩობ შიშველი ხელით,
ვიდრე დათვს, რომელთანაც უიარალოდ შერკინება სიკვდილის
სასწორზე შეგდება კი არა ჰერმესთან დაზავება უფროა.

„ვიდრე ნაშრომით დატკბებობდეს...“

მერე ის იყო, მშიერს და ნახევრადმწყურვალს მკვდარსა-
ვით დაეძინა. რომ გამოფხიზლდა ხედავდა, ჭიანჭველა ტან-
ჯვით მოათრევდა დაახლოებით მასზე 12-ჯერ მძიმე მასას. პმ,
ამოიგმინა მან. ვიდრე ნაშრომით დატკბებობდეს, შრომისგან
წელატკივებული მოკვდება.

„უსინათლო ანგელოზის კუნძული“⁴

წინ უზრმაზარი კედელი შემოხვდათ. „იპოვეთ რწმენა“
რათა შეძლოთ ალმართულ ზღუდის მიღმა დამალული მშვენიე-
რების დანახვა.

რომელი რწმენა? საჭირო გრძნობასავით კი არა ჰალუცი-
ნაციასავით რომ არის? თანაკლასელისგან რუკაზე შეცდომით
მოხაზული „უსინათლო ანგელოზის კუნძული“ გაახსენდა. კუნ-

⁴ გაიანე ხაჩატურიანის (1942–2010წწ) ერთ-ერთი მხატვრული ტილოს
დასახელება.

ძულზე მარტომყოფ ანგელოზს, გეოგრაფიის მასწავლებლის მსგავსად, ხელში ეტრატი ეჭირა, რომლზეც იკითხებოდა: „გახ-სოვდეთ ზნეობა!“

იგი (ზნეობა) საცოდავ ლელვის ხის ნაყოფს ჰგავდა, რომე-ლიც ლამაზად ეპჯინებოდა ყუნწით დედა ხეს და თვალწარმტა-ცი იყო, ვიდრე ნიავმა არ შეარხია მისი ბრწყინვალების ფოთლე-ბი და თავშეუკავებელი მიწაზე არ დაანარცხა. ინატრა ვუდიმ წვიმას წარეხოცნა კვალი უზნეობის.

წვიმა კი წარსკდა ცისგამს ნიაღვარსავით, მაგრამ უკაპი-უშონიდ სახლიდან გამოპარულს არ გინდა თავშესაფრის ძებ-ნა?

ასე აღმოჩნდა ვუდი მართლმადიდებელ ქრისტიანთა სა-ლოცავები, სადაც ხანდაზმული ქალი საჯარო აღსარებას გაე-ტაცნა:

– მაპატიე, ღმერთო, რომ საკუთარს არაფერს ვქმნიდი და სხვისით ვიყავი გატაცებული. დავეძებდი, ვხეტიალობდი, ვპო-ულობდი და ხანაც ვერ ვპოულობდი სინდისის გამყალბებელს, პატიოსნების შეურაცხმყოფელს, კეთილმყოფელობის შემაკა-ვებელს, რადგან არ მინდოდა საკუთარი პიროვნების სიგლახაკე მერწმუნა. დიახ, ამათ ყოფილა სამკაულების და ძვირფასი ნივ-თების შეგროვება. მომიტევე, რომ ბედნიერებაზე ვსაუბრობ-დი, მე ფარისეველი, და შვილები არ მყავდა...

ნაწილი მესამე მისის კონიგსერვის შეშლილი მარტოობა

ვუდის სასწაულებრივ გაქრობას დიდად არ დაუმწუხერე-ბია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სადაც კონტრაქტით ბო-ლო წლებია ფილოსოფიას, ფიქიატრიასა და კინემატოგრაფი-ის ლექციათა კურსს კითხულობს. (რადგან ისედაც ბევრს აც-დენდა ბოლო დროს) ერთი „ვუდი-პალასე“-ს გენერალური დი-რექტორი დარდობდა, რადგან ვუდის მანეკენში გამოწყობილი ასისტენტი სულ უფრო დაბალბიუჯეტიან სპექტაკლებს დგამ-და.

ექვს საათზე, სამუშაო საათების დასრულებისთანავე, მა-ნეკენების ოთახში შემოვიდა ვუდის დაქირავებული მოსამსახუ-რე:

– მისტერ ვუდი, მძღოლი გელოდებათ.

– მე მისთვის არ დამირეკავს, გავეპასუხე და შიშველ მანე-კენს უშნოდ შეკერილი ტანსაცმელი მოვარე.

– ამბობს, მისის კონიგსბერგს ძლიერი თავბრუსხვევები აწუხებს. სასწრაფოდ უნდა წახვიდეთ სახლში.

– რა გაეწყობა, წავალ და გავიცნობ ჩემს მომავალ ცოლს, – გამეცინა და კინოთეატრის წინ გაჩერებულ ლიმუზინში ჩავ-ჯეტი.

სანამ ავტომობილი სახლს მიუახლოვდებოდა ნიუ-იორკ სიტის დათვალიერებაც მოვახერხე. შთამბეჭდავად ლამაზი იყო შებინდებისას.

მძღოლი სახლში მივიპატიუე და შევთავაზე კონიაკის და-ლევა.

„საჭესთან დალევა აკრძალულია,“ ხომ იცით აქაური კა-ნონები, მაგრამ ხათრი ვერ გამიტეხა და ჭიშკრამდე შემაცილა.

სამჯერ დავაბრახუნე კარებზე, მან კი მეოთხედაც მიაყო-ლა:

– „თუ შინ არ გინდათ შეგიშვათ მისის კონიგსბერგმა ეგ სხვა საკითხია, მაგრამ ალბათ იცით, რომ თქვენი მეუღლე მხო-ლოდ ოთხჯერ ზარის დარეკვის შემდეგ აღებს კარებს.

– ააააა, რა თქმა უნდა, რა გაეწყობა, დავმარცვლე და ამა-სობაში გავიარეთ კოლიდორი, მისაღები ოთახი და იქიდან ლო-ჯაში გადავინაცვლეთ.

ღმერთო, ეს რა უზნეობაა. ფეხზე არც კი წამომდგარა მი-სის კონიგსბერგი. სისხლში გამჯდარმა „სტუმარ-მასპინძლო-ბის“ ტრადიციამ ძალიან შემაწუხა. „ნუთუ ჩემი ცოლი ასე ოდესმე მოიქცევა?!

არ ამითვალწუნებია ღმერთმანი, უბრალოდ შევატყვე მი-სის კონიგსბერგი საშინლად მოსაპეზრებელი დედაკაცი იქნე-ბოდა, ამათან ბუზღუნა და ჭირვეული. იგი ცხოვრობდა დედის-გან ანდერძით დატოვებული სახლის სხვენზე, სადაც ჰამაკი ჩა-მოეკიდა და კედლები ჭრელა-ჭრულა ფერებით შეეღება. სახ-ლის ყველა ოთახში შეამჩნევდით სამედიცინო ყუთს, წარწერით „წითელი ჯვარი“, რომლის თითოეულ ეგზემპლიარში ინახებო-და ტკივილგამაყუჩებელი აბები. სწორედ, „ტკივილმა უნდა გაგ-რძნობინოს, რომ ცოცხალი ხარ!“ – იტყოდა ხოლმე ტუჩის ცმა-ცუნით. შინდისფერი პომადა უშნოდ წაესვა თვალის უპეებს შო-რის, რომელიც უფრო მელანქოლიურად წარმოაჩენდა მის ნა-ოჭშეპარულ სახეს. იგი იჯდა ვეებერთელა შეზღონგზე და სა-კინძეშესნილი ხალათიდან აჩენდა მშვენიერ მკერდს. თვალს

ვერ ვუსწორებდი ქალს, რადგან მინდოდა ვუდის წინაშე ალალ-მართალი ვყოფილიყავი.

„ჰმ, ზედაც არ მიყურებს, ალბათ შემცვლელი იპოვა“, ჩაი-ბურტყუნა მისის კონიგსბერგმა. კატისებურად გამოიხედა თუ არა ერთი რამ უმაღვე შეამჩნია, ხელზე საქორნინო ბეჭედი არ მეკეთა.

— ვუდი, რა იქნა ჩვენი საქორნინო ბეჭედი?

— დღეს დილით კბილი ამტკივდა, სტომატოლოგმა უარი თქვა საბანკო ანგარიშმასწორებაზე და იძულებული გავხდი გი-რაოდ ბეჭედი დამეტოვებინა... — ეს ტყუილი იმდენად დახვენილი ამერიკული დიქციონით გამოვხატე, რომ კმაყოფილებით მო-მაგონდა ინგლისური ენის მასწავლებლის სასწავლო მეთოდი, როცა სარკის წინ გვათქმევინებდა „ჯადოსნურ“ სიტყვებს.

— როგორ, კბილის ტკივილის გამო შეატოვე ვიღაცას ჩემი საქორნინო საჩუქარი? თქვა დანანებით.

დიალოგში მძღოლი შემოვიდა, რომელმაც იკითხა:

— მისის კონიგსბერგ, როდის მოასწარით სახლის ყვით-ლად შელებვა?

— როცა ვუდი ახალი ფილმის გადაღებით იყო დაკავებული. აღარ ვიცოდი რა მექნა, მოწყენილობისგან ვკვდებოდი. სა-შინელი მარტობა მღრღნიდა. ერთფეროვნებით შეძრნუნებულმა გამოვიძახე მღებავები, რომელთაც მოიტანეს ხარაჩოები, საღებავები, ინსტრუმენტები და საათნახევრის მანძილზე იერსახე შევუცვალეთ სახლეულს. მაშ, რა გგონია ამადეო, რა უნდა აკეთოს ქალმა მოწყენილობისას?

— როიალზე უნდა დაუკრას ან სხვა დედაკაცური ხელსაქ-მით დაკავდეს. — გავეპასუხე მისის კონიგსბერგს.

— ქალის მოწყენილობის მიზეზი უილბლო ქორნინებაშია ვუდი, აღნიშნა მისის კონიგსბერგმა. კვირაობით ბოსტონში და-დიხარ სიმპოზიუმზე, ორშაბათობით ჩინურ კვარტალში სადი-ლობ, სამშაბათს კინოგადაღება გაქვს, კვირის მორიგ დღეებში მსახიობთა შერჩევით ხარ დაკავებული. მე კი ამ დროს აკვარიუ-მის თევზებთან უნდა გავიყო სევდაცა და სიხარულიც. ცხოვრე-ბის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი კი შენს გარეშე უნდა შე-ვიგრძნო!.. ყველაფერი ისწავლე ვუდი, გარდა იმისა, რომ საჭი-რო ადგილას არასდროს ხარ!...

— იქნებ სერიალებს უყუროთ მისის კონიგსბერგ, უთხრა თანაგრძნობის კილოთი ამადეომ.

– სერიალებს უგემოვნო ადამიანები უყურებენ, შევუსწორე მძღოლს.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ ამადეო. ვუდის სწყინს, მის ფილმებს რომ არ უუყურებ. გადაპრანჭულად და ხელოვნურად დაქსაქსული მგონია მე ისინი.

– არც მწყენია მისის კონიგსბერგ. მისტერ ვუდი იმდენად კარგად მინაზღაურებს, რომ როგორ შეიძლება ასე უმნიშვნელო რამ მწყენოდა.

– თუ რამ გწყინს ხოლმე, უნდა თქვა ამადეო. ზედმეტი წყენა თუ დაგიგროვდა გულში, აუცილებლად ბოლმად გადმოხეთქავს. კაცი კი ადამიანს უნდა ჰგავდეს და არა ზღვას. ასე არ არის ვუდი?

– მთავარი ის კი არაა, ზღვას ჰგავხარ თუ თოლიას, უბრალოდ ცხოვრებას ძალიან ღრმად უნდა უსმინო.

– შეიძლება ღრმადაც უსმინო და მაინც ვერაფერი გაიგო!.. ამას აჯობებს, ბატონებო, სწორად მოსმენა ვისწავლოთ, – ამბობს ამადეო.

– სწორად რომ გაიგო, ნათქვამი უნდა იყოს მართებული ჩემო ამადეო. კმაყოფილი ვარ, რადგან ნელ-ნელა ვეჩვევი მისის კონიგსბერგს. კველაფერი ნორმალურად მიდის, მათ ნამდვილი ვუდი ვგონივართ, ვერც კილოზე მცნობენ, ვერც გარეგნობაზე. მაგრამ, საკმარისია ლოგინამდე მივიდეს საქმე და მისის კონიგსბერგი კველაფერს მიხვდება. ბოლოსდაბოლოს, ამ მანეკენით ხომ ვერ დავწვები. ამიტომ ვეკითხები ამადეოს, ხომ არ იცნობთ ვინმე კვალიფიციურ ექიმს, რომელიც შეძლებს დაუყოვნებლივ მობრძანებას. რადგან მგონი პლომბი⁵ ცუდად შეადულა იმ შეჩვენებულმა. ამასთან ჩემს მეუღლესაც გავასინჯებ.

– რა თქმა უნდა, დოქტორი როზენბერგი მოვიწვიოთ, ახლახანს წარჩინებით დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. ლონგ-აილენდის მდინარის პირას მდებარე სასტუმროში დასახლდა, ამბობენ გერმანული წარმოშობის როზენბერგი ხალხურ მედიცინაში ისეა განაფული, რომ შეუძლია ბუნებრივ კონსერვანტებზე დაყრდნობით სასწაულებრივი პრეპარატების დამზადება. ახლა ხელოვნურად დაბრმავებულ ძალს მკურნალობს და ირნებულება, რომ ოპერაციის გარეშე დაუბრუნებს ცხოველს მხედველობას.

⁵ მკვრივი ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ლრუს.

– მეც სწორედ ასეთ სპეციალისტს ვეძებ. „ხელოვნურად დაბრმავების“ იდეა ძალიან მომენტონა. (იქნებ ეგ მეთოდი საჩე-მო იყოს, გავიფიქრე)

– არ არის საჭირო ექიმის მოწვევა, ჩინურ კატაბალახებს შეგიმზადებ და უმალ გაგიყუჩებს ტკივილს. თან ხომ იცი ვუდი, ვერ ვიტან თეთრხალათიანებს, რომლებიც ყველა შემთხვევას ნემსებით უმკლავდებიან. – ცხარობს მისის კონიგსბერგი

– დამშვიდდით მისის ჰანა, როზენბერგი უნიკალური მოვ-ლენაა მედიცინაში. ნახევარ საათში დავბრუნდები, აღნიშნა ამადეომ და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა სახლიდან.

ნაწილი მეოთხე „დოქტორ როზენბერგის სიბრმავის რეცეპტი“

დაახლოებით ორმოც წუთში ამადეომ დოქტორ როზენ-ბერგი მოიყვანა. მას ეცვა მოთეთრო ფერის ხალათი, ყელზე გერმანული ფირმის კალეიდოსკოპი გადაეკიდა, ხელში კი სამე-დიცინო ყუთი დაეჭირა. მოსვლისთანავე პაციენტს ტკბილად მიესალმა და წევა გაუზომა მისის კონიგსბერგს. ყველაფერი წესრიგშია, გადაღლილობისგან გეხვევათ თავბრუ.

– დოქტორო როზენბერგ, იქნებ ჩემი კბილის ტკივილის მიზეზიც გამოგეკვლიათ, ვუთხარი მეტისმეტად შეწუხებული ტონალობით და სამზარეულო ოთახში გავიხმე.

როზენბერგმა ფანრით პირის ღრუ გამინათა და დაკვირ-ვების შემდეგ ალმოჩენით განცვითრებულმა მითხრა:

– თქვენ გაქვთ ამალგამის ბჟენი! მე გირჩევდით, რომ შეცვალოთ ეს ბჟენი ჰელიობჟენზე ან კიდე კერამიკულ ჩანარ-თზე, ამ მეთოდებით კბილის დამუშავება ხდება ისე, რომ მგრძნობელობა და უსიამოვნო შეგრძნება გამოირიცხოს! წინა-აღმდეგ შემთხვევაში, ყოველი ცივი საკვების მიღებისას ყრუ ტკივილი შეგაწუხებთ.

– მაშ, როზენბერგი არა? თქვენც ებრაული წარმოშობის გერმანელი ხომ არ ბრძანდებით? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. თქვენზე ამბობენ, რომ ჰარვარდის წარჩინებული სტუ-დენტი იყავით. ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც ძალიან გაგაო-ცებთ. დოქტორს ეგონა, რომ ისევ კბილზე ვკითხავდი და პრო-ფესიული პასუხისმომავალი... ჩემს კბილს ეშველება, მაგ-

რამ მე უფრო დიდი პრობლემის წინაშე ვარ. მე მინდა, მინდა ჩე-
მი ცოლი სამი თვით დაბრმავდეს. გესმით რას გეუბნებით? მხო-
ლოდ სამი თვით. ენისბორძიკით ვცდილობდი მარტივად მეთქვა
ყველაფერი. ოღონდ, სიბრმავე უნდა იყოს ხელოვნურად გამოწ-
ვეული და პაციენტის ჯანმრთელობა უმნიშვნელოდაც არ უნდა
შეარყიოს. იმედი მაქვს, რომ გაიგებთ ჩემი ახირების მიზეზს და
პოლიციაში არ დამაბეჭდებთ. ახალგაზრდა და გონიერ კაცს
ვინ იცის რამდენგზის მოუწევს მსგავს ექსპერიმენტებში მონა-
წილეობა. წარმატება ლანგრით არავისთვის მიურთმევიათ, მას
მოპოვება და დაშსახურება სჭირდება.

– წარმატება არ მაკლია მისტერ ვუდ, მთავარია გარიგება
სარფიანი იყოს ორივე მხარისათვის. უნდა შევთანხმდეთ, რომ
ამისთვის სოლიდურ ანაზღაურებას მივიღებ. ქალის სიბრმავე
კი სამი თვით კი არა შეიძლება წლებიც გაგრძელდეს. სხვათა
შორის, ამას წინათ ერთ-ერთ კლიენტს ისეთი დაავადება შევყა-
რე, რომ მედიცინაშ ვერაფერი გაუგო. ამბობს, რომ ავადმყო-
ფობით თავს აცოდებს ქმარს, რომელმაც მხოლოდ იმ მოტივით
გადადო განქორწინება, რომ კანონი ავადმყოფი ცოლის მიტო-
ვების უფლებას არ აძლევს. (ოხ, ეს შტატის სულელური კანონე-
ბი, ისე ამოიხრა ექიმმა გეგონება საკუთარ პრობლემაზე სა-
უბრობდეს).

– უცნაურია, ასეთი თვისების ხართ ექიმები და მაინც
მკურნალის სახელი გაქვთ საზოგადოებაში.

– მაშ, რა ჰქვია ადამიანს, რომელიც შეძლებს პაციენტთან
გულახდილი საუბრის შემდეგ ყოველგვარი დილემის გადაჭ-
რას?

– დიახ, სწორი ბრძანდებით, მოვექათინაურე დოქტორ
როზენბერგს, რომელიც უთუოდ საჭირო სტუმარი გახლდათ.

– და რისთვის გჭირდებათ ცოლის დაბრმავება, თუ საი-
დუმლო არ არის?

– დასვენებისთვის, დოქტორო, ვუთხარი მოსაფიქრებელი
ვადის გარეშე და ვცდილობდი ნამდვილი მიზეზის მიჩქმალვას.

– ჩემით უნდა მივხვედრილიყავი, ქალებისგან დასვენებაა
სწორედ ყველა მამაკაცის ოცნება, თქვა მან და რაღაც მცენა-
რეული ამოალავა ყუთიდან. მერე სამზარეულოში მოძებნა
„ბლენდერი“ და შიგ ჩაყარა ბრონეულის ფესვების ალკალინდე-
ბი, ალოეს ფოთლები, ჩემთვის უცნობი ქიმიური ნივთიერებები.
„ხედავთ, ტექნიკა როგორ გვიადვილებს ცხოვრებს?“, აღნიშნა
დოქტორმა და ბლენდერის ლილაკზე თითის დაჭერით შეკაზმა

წამალი, რომელიც ჩაის სახით უნდა დაელია მისის კონიგ-სბერგს.

– მორჩილად დავეთანხმე დოქტორს და ვკითხე, ერთჯე-რადად თუ ყოველდღე?

– ერთჯერადად, რასაკვირველია!.. თვეში ერთხელ, გან-საზღვრული დოზით. სიბრძმავე თანდათან ეწვევა, პირველი ჩაის ნაყენის მიღებიდან ასე სამ-ოთხ სათში მაინც უეჭველად.

საათს რომ შევხედე 21:33 იყო.

ექიმმა ჩეკი გამომაწერინა და სახლიდან გასვლამდე დაი-ბარა: „მისის კონიგსბერგ, მშვიდად იძინეთ. თუ ტკივილმა შეგა-ნუხათ ნუ მოერიდებით ჩემს შეწუხებას. მაინც გვიან ღამემდე ვატარებ ძალებზე ექსპერიმენტს. წასვლამდე პაციენტს მა-ჯისცემა გაუსინჯა, ტუმბოზე შემომდგარ ცარიელ ფინჯანს დააკვირდა და დარწმუნდა, რომ ქალს სითხე ბოლომდე გამოე-ცალა. მე კი დამიბარა:

– ბლენდერის საგულდაგულოდ გარეცხვა არ დაგავიწყდეთ!...

ნაწილი მეხუთე „სხვისი ცოლი“

– ვუდ, ალან სტიუარტ, სად ხარ წყეულო მოხუცო, მომეს-მა მისის კონიგსბერგის ხმა, სწორედ იმ დროს, როცა საპირფა-რეშოში ვცდილობდი წვერის დათხელებას. მგონი ვპრმავდები, დაიკივლა მან სიამის კატასავით და სააბაზანოს ჭუჭრუტანი-დან დავინახე, როგორ უსულებულოდ დაეცა მისის კონიგსბერგი იატაკზე. ამ ხმაურმა ისე შემაშინა, რომ მანეკენის გარეშე, დე-დიშობილა გავვარდი მისაღებ ოთახში. ბედად, რომ იგი ვერ მხე-დავდა. ნაცრისფერ თვალებში სისხლი ჩაქცეოდა და მძიმედ სუნთქვავდა. სასონარკვეთილი ისეთ ხმებს გამოსცემდა, რომ ძალიან შემეცოდა, თუმცა სიბრალულის გრძნობა იმ წამს გა-მიქრა, როცა გამახსენდა, რომ ქალის სიბრძმავე აუცილებელი იყო ჩემი მიზნების განსახორციელებლად.

– იმ წყეული როზენბერგის ბრალია ყველაფერი. ახია ჩემ-ზე, მოთქვამდა და ათივე თითოთ ისინჯავდა თვალის მიდამოს. სამწუხაროდ იგი ვერც ხელის მტევანს ამჩნევდა და ვერც ოთა-ხის სხვა ძვირადლირებულ ნივთებს. ხვალამდე თუ არ მოვმჯო-

ბინდები, უსათუოდ პოლიციაში დავასმენ არალეგალური წამლების ხმარებისათვის. ასე ხმაურში ჩაექინა მას.

როცა ყველაფერი მიწყნარდა დოქტორის დატოვებულ სავიზიტო ბარათს დავუწყე ძებნა, იმ იმედით, რომ აუცილებლად ვიპოვიდი მის საკონტაქტო ნომერს. აი ისიც, ძლივს არ ვიპოვე? უმაღლ ტელეფონის ყურმილს დავწვდი და ვცადე ექიმთან დაკავშირება.

– დოქტორო, ის დაბრმავდა, გესმით?

– ვინ ის? გაიკირვა ექიმმა.

– მისის კონიგსბერგი, ნუთუ არ გახსოვთ?

– მერე რა გაყვირებთ, სხვას უკეთესს ელოდით რამეს? თუ რამ გსურთ, შეგიძლიათ მეწვიოთ, სიგვიანეს ნუ იუხერხულებთ... ტუ, ტუუ, ტუუუ გაისმა ყურმილიდან და გავაანალიზე, რომ როზენბერგმა გაწყვიტა ჩემთან სატელეფონო კავშირი.

სასწრაფოდ გავიქეცი სახლიდან და პირველივე ტაქსის საშუალებით მივეღი ლონგ-აილენდის ავენიუზე. სასტუმროში შესვლისთანავე ვიკითხე დოქტორის ნომერი.

– სარდაფშია, ჩასასვლელი აი იმ კიბის გასწვრივაა, მიმანიშნა ბიომ⁶, რომელიც ზედა სართულიდან მოათრევდა მომცრო ზომის კომოდს. აი, იმ კუთხეში, ტელეფონის მაგიდის ადგილას დავდგათ, იძლეოდა მსახური მითითებას.

– როგორც იქნა მოგაგენით, ვთქვი როზენბერგის ბინაში შესვლისთანავე და თან დავაყოლე, „კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს სახლში, დოქტორო!.. კარგად მოწყობილხართ.

– არა უშავს, ცოტა ნესტია, მაგრამ საექსპერიმენტოდ ამაზე უკეთეს ოთახს ვერსად იძოვით მთელს ნიუ-იორკ სიტიში. სადმე ჩამოჯექით მისტერ ვუდ.

– არა, გმადლობთ, მეჩქარება, იქნებ გაიღვიძოს ჩემმა მეუღლემ. ბრმას ხომ იცით განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

– სიბრმავის გარეშეც ესაჭირეობათ ადამიანებს ყურადღება, თქვა რეზენბერგმა და მაგიდაზე გაშოლტილ მძინარე ძალლს მიუახლოვდა, სკალპერი გადაუსვა მუცელზე და სანიმუშოდ აღებული სისხლი სინჯარაში მოათავსა.

⁶ სასტუმროს მსახური ბიჭი, რომელსაც ევალება წერილების და სხვა ნივთების მიტან-მოტანა.

გული მერეოდა როზენბერგის ბინაზე, მით უფრო, რომ საშინელი შმორის სუნი ტრიალებდა სარდაფში. ამიტომ, ვცდი-ლობდი ნაჩქარევად სასტუმროდან წამოსვლას.

— დოქტორო, ჩემი ცოლი ყველაფერს ხვდება, ვიდრე დაე-ძინებოდა დაიქადნა, თუ სიბრმავე არ გამივლის პოლიციაში და-ვასმენ როზენბერგსო.

პოლიციის ხსენებაზე ყური მაგიდაზე მწოლარე ძალლსა-ვით ცქვიტა როზენბერგმა. საცოდავი ცხოველი ყოველი სკალ-პერის შეხებაზე კუდს აქიცინებდა და უნებლიერ იცრემლებო-და.

— მშვენიერი გამოსავალია, გაიცინა დოქტორმა. დაე, და-მაბეზღლოს, მაინც ვერაფერს დამიმტკიცებენ. ეს ისე კმაყოფილ-მა თქვა, როგორც გამარჯვებულ ჰოკეისტებს ჩვევიათ ხოლმე. ასე მისტერ ვუდ, ჭკვიან კაცს თითქმის არასდროს უჭირს, რა-საკვირველია თუ მცირე წინაღობებს არ არ გამოვრიცხავთ.

— ხომ მაგრამ, რამე ისეთი მოვიფიქროთ, პოლიცია რომ არ ჩავრიოთ. თუ მოგაგნეს, დოქტორო, ცხოველების წამების მუხლით დაგაპატიმრებენ. ხომ იცით აშშ-ს სისხლის სამარ-თლის უმძიმეს დანაშაულად ითვლება ძალლებისა და სხვა შინა-ური ცხოველების წამება, თუნდაც ეს მედიცინის განვითარების მიზნით ხდებოდეს. ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის ბრი-ფინგიც გახსენდებათ ალბათ, რომლებიც საჯაროდ ითხოვენ არალიცენზირებული მედიკოსების დასჯას.

— მესმის, თქვენი მღელვარება აშკარად მართებულია, მაგრამ ჩემგან რას ელით? შევატყვე, განსაკუთრებით სიტყვა „არალიცენზირებული“ ეხამუშა, ჯანდაცვის ეროვნული ინსტი-ტუტის ხსენებისას კი ხელის მტევანი აუკანკალდა.

— რამე ისეთ ტყუილს, რითაც დავამშვიდებთ პაციენტს.

ტყუილის თქმაზე, გონებაგანათებულმა დოქტორმა მკით-ხა, რა არის თქვენს ცხოვრებაში ისეთი, რაზეც დღედაღამ ოც-ნებობთ მისტერ ვუდ?

ამ დამაბნეველ კითხვაზე ალარ ვიცოდი რა მეპასუხა. ვუ-დის ბიოგრაფია კარგად მქონდა შესწავლილი, მაგრამ ბიოგრა-ფიის ცოდნა სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანზე ყვე-ლაფერი დაწვრილებით იცი. მით უფრო, ბიოგრაფია ყურადღე-ბას საზოგადოდ ცნობილ მოვლენებზე ამახვილებს და მისთვის პირადი ცხოვრების დეტალები ხშირ შემთხვევაში გამოუკვლევი ხდება. თუმცა, უცებ ამომიტივდა ვუდის დოსიე, რომელიც ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთს დაებეჭდა:

ნამდვილი სახელი – ალან სტიუარტ კონიგსბერგი;
დაპადების თარიღი: 01 დეკემბერი 1935, ბრუკლინი
ფსევდონიმი – ვუდი ალენი;

სიმაღლე – 1,65 მ;

ოჯახური მდგომარეობა – მრავალგზის დაოჯახებული;
პროფესია – მსახიობი, პროდიუსერი, სცენარისტი, კომპო-
ზიტორი, მწერალი და ა.შ.

მაგრამ არსად ენერა, რომ მას შვილები ჰყავდა.

– ჩვენ ვოცნებობთ შვილებზე, – განვუცხადე დოქტორს, თუმცა არც კი ვიყავი დარწმუნებული ამაზე ოდესმე თუ ესაუბრა მისის კონიგსბერგს და ნამდვილ ვუდი ალენს.

– ძალიან კარგი, მაშინ უთხარით, რომ სიბრძმავე ძლიერი ემოციის მიზეზით არის გამოწვეული, რომ ორსულობის მესამე თვეს დაუბრუნდება მხედველობა.

– და მუცელი რომ არ გაეზრდება დოქტორო სამი თვის მერე?

– სამი თვის მერე მორიგ ტყუილს მოვიფიქრებთ, – თქვა დოქტორმა და ძალლის სისხლის გამოკვლევა დაიწყო.

დოქტორმა კი დაიმშვიდა თავი, მაგრამ ახლა არ გინდა სხვის ცოლს უთხრა, რომ ორსულად არის?! უკმაყოფილო სახით გამოვედი სასტომროდან და შუალამებდე ვხეტიალობდი ბრაუნსტოუნის დიზაინით ნაშენ სახლებს შორის.

სახლში შესვლისთანავე ყურადღება უხმოდ ჩართულმა ტელევიზორმა მიიქცია. ცნობისმოყვარედ შევხედე, ბედად „აი-ლე ფული და გაიქეცი“⁷ გადიოდა. მისის კონიგსბერგი უაზროდ მიშტერებოდა კედელზე დაკილულ მონიტორს. „ეტყობა სულ ვერაფერს ხედავს, თორემ იგი ხომ ვერ იტანს ვუდის კინოფილ-მებს“, ჩავიბურტყუნე და მივუახლოვდი „სხვის ცოლს.“ შევატყვე, რომ გაცილებით მომხიბვლელი იყო მაკიაჟის და შინდის-ფერი კონტურის გარეშე, რომლის თვალებზე ნასმა ნესად ჰქონდა მისის კონიგსბერგს. აღარც ბრჭყვიალები ჩაეყარა თმებში. ხელში კონდიციონერის პულტს ათამაშებდა და რადიო-მიმღებისკენ მიექცია ყურადღება. მას არც კი შეუნიშნავს, როგორ გადავატრიალე გასაღები შემოსასვლელ კარებში და როგორ მოვთავსდი მის ნინ დადგმულ დივანზე. ღრმად ამოვისუნ-თქე და მოვემზადე ყველაზე საზარელი სიცრუის სათქმელად.

⁷ ვუდი ალენის ფილმი, გამოვიდა 1965 წელს

– ჩვენ შვილს ველოდებით, ძვირფასო. მალე პატარა გვეყოლება. შენი მხედველობის დაკარგვის მიზეზად დოქტორ როზენბერგს ორსულობა მიაჩინია. ირწმუნება, რომ სამიოდ თვეში გაგივლის სიბრძმავე.

ქალს სახე დაემანჭა. არ ვიცი, სიხარულისგან ეცვალა ფერი, თუ მწუხარებისგან. მე ხომ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მაგრამ რაც ნათელი იყო, ეს გახლდათ ქალის ვერაგული გამოხედვა. იგი ცდილობდა რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლოს დამალვას. მბრძანებლური ტონით მითხრა:

– სასწრაფოდ მოიწვიეთ დოქტორ როზენბერგი. მინდა ყველაფერში პირადად დავრწმუნდე.

ავკრიფე ნომერი და მისის კონიგსბერგს დავაკავე ტელეფონის აპარატი.

– გისმენთ დოქტორი როზენბერგი.

– დოქტორო, ხვალ 11:00 საათზე გელოდებით სახლში. იმედია გეცლებათ. რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ.

– მოითმინეთ, გაისმა როზენბერგის ხმა. ერთი წამით გადავამოწმებ, ხომ არ ემთხვევა ეს დრო კლინიკაში სამუშაო საათებს, ორ წამში კი გაისმა, იქნებ 13 საათი იყოს, ამ დროს მცალია მისის.

– შევთანხმდით, თქვა მისის კონიგსბერგმა და მთხოვა ფორთოხლის წვენი გამემზადებინა. სამზარეულოში გავედი. ლანგარზე დაყრილი ფორთოხლები გავფცევენი, ბლენდერით დავწურე და შაქარმოყრილი მივუტანე მისის კონიგსბერგს. ამ დროს კი იმას ვფიქრობდი, რატომ ითხოვდა ქალი ექიმთან პირადად შეხვედრას. მით უფრო დღის იმ მონაკვეთში, როცა კინოგადაღებაზე წასვლა მიწევდა. „ეტყობა, რაღაც იეჭვა,“ არც ის მომენტი ექიმმა კლინიკა რომ ახსენა. „ლიცენზირებული რომ ყოფილიყო ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხსენებაზე არ შეიშმუშნებოდა“; თუმცა იმის იმედით, რომ დოქტორი დაწვრილებით მეტყოდა ყველაფერს მშვიდად ჩამეძინა.

ნაწილი მეექვსე

მაღვიძარის ხმამ მაიძულა სახლიდან დილაადრიან გავსულიყავი. ლოგინის ქვეშ დალაგებულ ფაჩურებში ფეხი შევაცურე. სააბაზანოში ონკანი მოვუშვი და სახეზე ცივი წყალი ვიპკურე.

მერე ორი განსხვავებული ფერის კბილის ჯაგრისი დავინახე. მისის კონიგსბერგს ჩემზე ადრე გაღვიძებოდა და ნამცხარს მი-ირთმევდა უზმოზე. მასთან მსახური როზალინდა იმყოფებოდა, რომელიც ყავას ამზადებდა ქალბატონისთვის. (სხვათა შორის, როზალინდა მუნჯი იყო, მისის კონიგსბერგმა იგი საგანგებოდ მოძებნა „სერვანტ სააგენტოს“ დახმარებით. მდუმარე ქალბატონი იყო კონიგსბერგი და დღე ისე გავიდოდა, რომ შეეძლო არავის დალაპარაკებოდა. იცოდა მისის ჰანამ, რომ მუნჯი ენაყ-ბედობით მაინც არ შეაწუხებდა.

– რომელია შენი საყვარელი ფერი? შევძახე სააბაზანო-დან.

– ყვითელი...

– ზღვისფერი რატომ არ გიყვარს?

– წყალს მაგონებს, მე კი ბავშვობიდან წყლის შიში დამყვა. ალბათ მეათეჯერ გიყვები ამ ამბავს. იმედია, დღის ბოლომდე მაინც არ გამამეორებინებ.

ეს იგი, ლურჯი კბილის ჯაგრისი ვუდის ყოფილა, დავას-კვენი და ისე გულიანად გამოვივლე კბილებში, გეგონებოდა ამას საკუთარით ვაკეთებდი. „მაგრამ, თუ ის შეგიძლია, სხვისი ცოლის გვერდით ვნებადაოკილი ინვე, არც ის გაგიჭირდება სხვისი ჯაგრისით ისარგებლო“, ამის თქმაზე ხელი დავავლე ქურთუკს და სახლიდან გასასვლელად მოვემზადე. და როგორც წესად მქონდა ჩემს მიერ მოგონილი დილის ლოცვა წავიკითხე: „მომეცი ძალა უფალო, ბოლომდე საკუთარი თავის ერთგული დავრჩე!“ დაახლოებით ათი წუთი ვეძებდი ავტომობილის გასა-ლებს. „სიგნალიზაცია მანქანაზე მეტად გასაღებს ესაჭიროება, რადგან გულმავიწყობის მიზეზით ბოლო ხანებში სისტემატუ-რად მეკარგება“, დავიყვირე მოთმინებადაკარგულმა.

– მანქანის ტარება რომ არ გიყვარს ვუდი? თან შენ ხომ მართვის მოწმობა არ გაქვს. სწორედ, ამიტომ დაიქირავე ამა-დეო.

ახლა გული იმაზე მომდის, რომ ეს სულელური გაზეთები ასეთ დეტალებზე არასდროს წერენ. უტიფრად ვცდილობ წი-ნანდელი შეცდომის გამოსწორებას:

– მხედველობა როგორც კი დაგიბრუნდება ჩემს მართვის მოწმობას და ავტომობილს გაჩვენებ. იმედია მაშინ მაინც გაი-გებ, რა შესაძლებლობისაა ვუდი.

ამის თქმაზე ხელი დავავლე შემოსასვლელში დაკიდულ ქურქსა და ქოლგას. კარებთან ავტომობასუხე ჩაირთო, რომელ-

მაც მამცნო: – თქვენ ამინდის შეუსაბამოდ იცმევთ, რადგან დღის მანძილზე ჰაერის ტემპერატურაა $10-15^{\circ}\text{C}$ -ი. რჩევის მიუხედავად, ხელი დავავლე ქოლგას და თბილად შემოსილმა დავტოვე მისის კონიგსბერგის დედისეული სახლი.

იგი ახლა ბუხრის მახლობლად დადგმულ სარწეველა სკამში ჩამჯდარიყო და ფიქრებს გაეტაცა.

დრო ისე შეუმჩნევლად გაილია, რომ ველარც ის იგრძნო, როგორ შემოვიდა სახლში დოქტორი როზენბერგი.

– მისის, გაიღვიძეთ, დოქტორ როზენბერგი გეახელით.

– ააააა, ეს თქვენ ხართ? ნუთუ საათის პირველია უკვე? ასეა უსაქმური ადამიანის საქმე. დროის მანქანას უღრჭიალებს კბილებს და მასთან იყოფს სარეცელს. სამწუხაროდ, ვერაფერზე გეპატიუბით, რადგან მხედველობა გუშინდელს აქეთ სულ გამიქრა. როზალინდა კი ეს-ესაა სუპერმარკეტში ჩავიდა რძისა და შოკოლადის ამოსატანდ.

– მისტერ ვუდიმ ალბათ გითხრათ ამის მიზეზი, თავი იმართლა ექიმმა.

– მითხრა, მაშ, როგორ დამიმალავდა, თუმცა... არის ერთი რამ, რაც მაეჭვებს.

– ბრძანეთ, ქალბატონო!.. გისმენთ.

– ჩემი ორსულობა ისევე ხელოვნურია, როგორც თქვენგან გამოწვეული სიბრრმავე.

– ვითომ რატომ?

– ორი მიზეზის გამო; შვიდი თვეა რაც დავოჯახდით მე და ვუდი, თუმცა ჩვენს შორის სექსი თითქმის არ ყოფილა. ამას-თან, ყველაზე უტყუარი სამედიცინო დასკვნის საფუძვლებზე მე უშვილო ვარ.

– მედიცინა რომ ცხოვრების ყველა ნაბიჯზე ცდება ამას ალბათ ჩემგან არ ისმენთ პირველად მისის.

– საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ჩემს მოჯადოებას მაგ ფარისევლობით? თქვენ ქალები სულელები ხომ არ გგონიათ? დილიდან მოყოლებული თქვენს ნარმომავლობას ვარკვევ. ჰარვარდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ვკითხე თქვენს შესახებ; როზენბერგის გვარის სტუდენტი უახლოესი ორმოცდაათი წლის მანძილზე არც კი ჰყოლია სასწავლებელს. ცხადია, გერმანული ნარმოშობის ადამიანი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაციზმით დააგადებულ რასებს გაურბის, თბილ გარემოს პოულობს შორეულ ამერიკაში. ჩვეულებ-

როვად ამთავრებს შტატის რომელიმე კოლეჯს და ექლეგა უფლება გახდეს კინოლოგი, მოუაროს ძალებს, კატებსა და სხვა შინაურ ცხოველებს. სხვა სამკურნალო საქმეში კი სპეციალურ ლიცენზიას თხოვენ. ეს იწვევს როზენბერგის გაბოროტებას, რადგან ჰგონია, რომ ნიჭის მიუხედავად იდევნება იგი, რომ არავის აინტერესებს მისი ექსპერიმენტები. ყოველთვიური ბინის ქირის და სხვა კომუნალური გადასახადების დასაფარავად გინევს არალეგალური ტაბლეტების მიყიდვა ისეთი პაციენტებისთვის, რომელთაც ელემენტარული საშუალება არ აქვთ წამლის აფთიაქებში შესაძენად. დიახ, ამის მიზეზია, რომ ადამიანი კარგავს თავის პიროვნულ სამოსელს და ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობს წარმატების მიღწევას. არ ერიდება ამორალურ გარიგებებს, არც სინდისა ქენჯინის, არც ის აწუხებს, ასე საჯაროდ რომ ათეთონებს ფულს. ეს ყველაფერი დასაშვებია მისთვის, რადგან რომელიღაც ფილოსოფიის წყალობით სმენია, რომ ადამიანი ერთხელ მოდის ცისქვეშეთში და საჭიროა ყველაფრის მაქსიმალურად დახარჯვა-გამოყენება. თუმცა, დოქტორ როზენბერგ, ნუ გვინიათ, რომ ბრალს გდებდებთ რამეში. თქვენი ბრალი წამდვილად არაა, რომ ასე გაიძვერულ და მუხანათურ ეპოქაში დაიბადეთ. არც ის, წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი რომ არ ხართ. არც ისაა თქვენი მიზეზით გამოწვეული, საჯარო მოხსენებას რომ არ აკეთებ მედიცინაზე, სამედიცინო ექსპერიმენტებზე. თქვენ ხომ იმ დოზით არ მოგცათ ღმერთმა ყველაფერი, როგორც რეალურად საჭირო იყო თავის წარმოსახენად.

— ვერ მიგიხვდით ნათქვამს, მისის...

— იმას ვამბობ, რომ თქვენ გინდათ იყოთ უნიკალური, ერთადერთი მთელს სივრცეში. მხოლოდ თქვენ ფლობდეთ ჭეშმარიტ საიდუმლოს მკურნალობისას. მაგრამ, გულის სიღრმეში ჩაიხედეთ და დაინახავთ, რომ თქვენ არათუ გენიოსი, არამედ რიგითი ადამიანი ხართ. ისევე უბრალო და არაფრისმაქნისი, როგორც მე. და ისევე გაქრება შენი გვარი კაცობრიობის ისტორიიდან, როგორც ჩემი. ჩვენს საფლავებზე, ასე 15-20 წელიწადში, ქვაც ალარ იდგმევა, არც წარწერა გამოჩენდება და შარდის-გან შენუხებული ადამიანები ჩვენს გვამებს წაბილწავენ. ამიტომაც, უბრალო მოკვდავს ისლა დარჩენია მწუხრის ვარსკვლავებს უცქიროს მშვიდად და ჩაინიშნოს ყველაზე უმნიშვნელო მომენტებიც კი. თუმცა, დოქტორო როზენბერგ, აქ სხვა მიზნით

მოგიყვანეთ. კარგად გეხსომება კათოლიკე ქრისტიანს ბიბლიის შეგონება: „სადაც ლეშია იქ ორბებიც გროვდებიანო“⁸

- ამით რის თქმა გსურთ, მისის?
- ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე.
- რომელი საქმე?
- ვუდის და შენი წამოწყებული!..ოპ, ოპ, ოპ, ოპ, ახლა ნუ მომთხოვ დაკონკრეტებას.

– და რა გნებავთ მისის? მონამვლას ხომ არ უპირებთ მის-ტერ ვუდის? იცოდეთ, თუ ვინმეს მონამვლა გსურთ მე არ გამო-გადგებით, თუმცა ვიცნობ ერთ დოქტორს, ვინც ამზადებს მსგავს ქიმიკატებს.

– კარგად იცი როზენბერგ, ფულის გამო კაცს არათუ მო-ნამლავ, ისე გააქრობ, მის ალიკვალს მამაზეციერიც რომ ვერ მიაგნებდეს. ამ ათეისტური ნათქვამის გამო სამგზის გარდისა-სა პირჯვარი და მღელვარე ექიმს უთხრა: მონამვლა და სხვისი სიცოხლის ხელყოფა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია მამინ, თუ ამით სარგებელს არ დებულობს მკვლელი. გასაგებია?

- დიახ, თქვა როზენბერგმა ენის ბორძიკით.
- მე მჭირდება ვუდის მარჯვენა საჩვენებელი თითის ზუსტი ანაბეჭდი. უნდა მოიფიქრო, როგორ დამზადდეს ქარგი-ლი. ანაბეჭდის საფუძველზე დაამზადებ თითს, რომელიც გუ-ლის ფორმის მედალიონში მოთავსდება და მე მას ვატარებ გულმკერდით.

– არ შეიძლება ჩემს გარეშე გაკეთდეს ყველაფერი?

– შეიძლებოდა, როგორ არა!.. მაგრამ რადგან, ვუდის თა-მაშში მონანილეობაზე უარი არ თქვით და ჩემთვის გაუგებარი მიზეზით დამაბრმავეთ, ამიერიდან თქვენც თამაშის მონანილე ხართ.

– მე სარგებლის გარეშე არაფერს ვაკეთებ მისის.

ულტიმატუმის ტონი არ მოეწონა კონიგსბერგს, თუმცა გაახსენდა, რომ მაინც ექიმზე იყო მისი ჯანმრთელობა დამოკი-დებული.

– თანხის სამ პროცენტს მიიღებთ, რა თქმა უნდა თუ ყვე-ლაფერს სწორად გააკეთებთ. მე და ვუდის საერთო ანგარიში გვაქვს გახსნილი მანქეტენში.⁹

⁸ ბიბლია, მათეს სახარება [24,28]

⁹ რაიონული ცენტრი ნიუ-იორკში

– რას შეადგენს თანხა მისის, იქნებ არც ღირდეს ამ საქმე-ში მონაწილეობა?

– ეგ სამი პროცენტი სახელოვან კაცად გაქცევთ, ერთი უზარმაზარი ლაბორატორიის აშენების საშუალებას მოგცემთ და ექიმის ლიცენზიასაც გაშოვნინებთ.

– ოპო, წამოიყირა როზენბერგმა და ლაბორატორიაზე წარმოდგენისას ფინია ძალლსავით დაიწყოფუნა. აი, გარიგე-ბაც ამას ჰქვია... ამის თქმაზე სიგარეტი ამოიღო გულისჯიბი-ლან და სანთებელის დახმარებით ცეცხლი წაუკიდა. ქალმა იყ-ნოსა სიგარეტის მხრჩოლავი სუნი:

– რას აკეთებთ, მოწევა ხომ მომაკვდინებელია.

– პაპაჩემი საერთოდ არ ეკარებოდა სიგარეტს მისის, მაგ-რამ ორმოცი წლის ასაკში უცაბედად გარდაცვლილი იპოვა დი-დედამ. ჩვენი ატმოსფერო და ბიოსფერო ისეა მონამლული, რომ სიგარეტის ბოლი უმნიშვნელოა ამ ყველაფერთან. ბუხართან მიაჩინა ბამბუკისგან დაწნული სკამი, ჩამოჯდა და ფეხიფეხგა-დაჭდობილი ფიქრს მიეცა. დიახ, ყველაფერი ასე გაკეთდება. ვუდიმ უნდა დალიოს გამჭვირვალე შუშის ჭიქით ლიქიორი, ან სხვა ალკოჰოლური სასმელი, ან თუნდაც ჩაის ნაყენი, ხილის წვენი, მნიშვნელობა არ აქვს. მერე ეს ჭიქა უნდა მოხვდეს სადმე დაცულ ადგილას, რათა ექსპერტიზა ჩავატაროთ.

– თქვენ დაგავიწყდათ, რომ მე მხედველობა არ მაქვს, დოქტორო. ვუდის წესად აქვს დასვრილ ჭურჭლეულობას უმაღლ თევზების სარეცხ მანქანაში ათავსებს. სხვა უფრო გონივრული მოიფიქრეთ. ისე, თქვენ ხომ არ დაპატიჟებდით მას რომელიმე უახლოეს კაფეში? კალვადოსი მისი საყვარელი სასმელია, მარ-თალია ფრანგულს უფრო ეტანება, მაგრამ არც დაპატენტე-ბულზე გეტყვით უარს.

– მშვენიერია, ასეც მოვიქცევი.

– მით უფრო, რომ ცნობისამოყვარეობა არ მოასვენებს და სამუშაო საათების დასრულებამდე ეცდება ჩვენი საუბრის ყვე-ლა წვრილმანის მოსმენას. იმედია იცი რაც უნდა თქვათ.

– არ ვიცი, მაგრამ მოვიფიქრებ, მისის კონიგსბერგ.

– მოიფიქრე, მოიფიქრე, მაგრამ იცოდე, თუ დალატს დაა-პირებ ხელის მტევანზე არ შეგარჩენ არც ერთ თითს. გახსოვ-დეს, ღალატს არასდროს ვპატიობ ადამიანს...[ეს ბოლო ფრაზა ექსისავით მისდევდა უკვე ბრუკლინისკენ მიმავალ დოქტორს, რომელსაც ახლა ალბათ სხვა პაციენტთან მიეჩქარებოდა]

ნაწილი მეშვიდე

ღმერთმა დასწეულოს ეს საშინელი ცნობისმოყვარეობა, დავიყვირე და ისე ხმამაღლა გამომივიდა ნათქვამი, რომ მებრძოლის მანეკენში გამოწყობილ მხედარს შიშისგან გასძრა სამოსელი.

– თქვენთან მუშაობა ჯოჯოხეთია, დაიჩივლა მსახიობმა. ბოლოსდაბოლოს, თქვენს მოსაწონს ხომ ვერაფერს გააკეთებს კაცი. [დაწუნების მიზეზი ის იყო, რომ სცენარი არ მქონდა და ვცდილობდი დროის განელვას] ოფლიანი სახე კინოთეატრის ფარდით ჩამოიწმინდა. გადამღებებთან ერთად მივედი მსახიობ მამაკაცთან და ვეცადე დამემშვიდებინა. „დაისვენეთ, დღეს თავისუფლები ხართ“ გავეცი განკარგულება და 16:23 წუთზე დავტოვე „ვუდი-პალასე.“ ვიდრე სახლში წასვლას გადავწყვიტავდი, დოქტორ როზენბერგის საცხოვრებელ ბინას ჩავუარე. ჩემდა ბედად, ჭიშკართან იგი ჭალარათმიან, ხანდაზმულ ქალბატონს ესაუბრებოდა. უფრო ახლოს მივუახლოვდი, რომ მათი საუბარი მომესმინა: – თევზის ფხა, დამუშავებულ მდგომარეობაში მოხარშეთ დაფნის ფურცელთან ერთად, დაასხით ერთი კოვზი იოდი და ხარშვისას შეურიეთ ასკილის კაკლები. უნიკალურია ყელის ტკივილი დროს. თუ იმათ მუხის ქერქს შეურევთ თმის ცვენისგანაც განიკურნებით.

მერე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და ის იყო, როზენბერგი სასტუმროში შესვლას აპირებდა, რომ ვთხოვე ორიოდ წუთი დაეთმო ჩემთვის.

– ვიფიქრე, ამ ჩემოდანს დავდებ და მერე ვნახავ ჩემს მეგობარ ალენსთქო, ეს ისე მეგობრული ტონალობით თქვა, რომ მთლად არ მომენტია ღმერთმანი.

– კაფეში ხომ არ წამოპრაბანდებოდით დოქტორო? შევთავაზე, რადგან ძალიან არ მინდოდა იმ შმორიან ბინაში შესვლა, სადაც ალბათ მინიმუმ ერთი წლის გაშიგნულ ცხოველზე ატარებს შემზარავ ექსპერიმენტს.

– სიამოვნებით, მიპასუხა მან. ექიმს სახეზე ეტყობოდა კმაყოფილება. „ესეც ასე, რადგან ის მეპატიუება, არც სასმელის ფულის გადახდა მომინევს. ყოჩაღ, როზენბერგ. საქმეს ისე აკეთებ, რომ ზარალს არასდროს ხედავ.“ მალულად იცინის დოქტორი და პირს ისე აცმაცუნებს, გეგონება მზესუმზირის მარცვლეულს არჩევდესო.

უახლოეს კაფეში შევედით. „ნეტა ვუდის რა უყვარს?“ გონება დავძაბე და ვცდილობდი ნიუ-იორკ ტამისის იმ სტატიის გახსენებას, სადაც ვუდის საყვარელი სასმისის ისტორიაზე წერდნენ. „ფრანგული კალვადოსი“, ლამის დამავიწყდა მე შეჩვენებულს. ალბათ გულისყურით არ ვკითხულობდი სტატიას, თავი ვიმართლე და ოფიციანტს ვთხოვე ალკოჰოლის მოტანა.

- თქვენ რას დალევთ დოქტორო?
- ამერიკულ ბურბონს¹⁰, მას ხომ არაფერი შეედრება.

[ეხლა ის დროა სასმელზე ჩამოაგდო საუბარი. მამაკაცებს ხომ ავტომობილებზე, მოდელებზე და ალკოჰოლზე საუბარი განუწყვეტლივ შეუძლიათ.]

- ენის წვერზე უნდა შეიიშრო სასმელი და ისე გაიგებ მის ძალასო, ფილოსოფოსობს როზენბერგი. მაგრამ მის ფილოსოფიაზე მეტად სულ სხვა რამ მაინტერესებს. „იქნებ ცოტაც მოითმინო? ესმის შინაგანი ხმა, რომელიც მოუწოდებს სიმშვიდისკენ. ბოლოსდაპოლოს, ენაჭარტლობა ადამიანის თანდაყოლილი ნიჭია და ხომ იცით ადრე თუ გვიან მაინც იტყვის მთქმელი სათქმელს.“ მაგრამ უჭირს სიმშვიდის შენარჩუნება.

- რა ვკითხათ ჩემმა ცოლმა? ვკითხე დოქტორს და ვიგრძენი, რომ ეს შეკითხვა მეტისმეტად პირდაპირი და უხეშად ნათქვამი იყო.

[როზენბერგს ვითომ გაუკვირდა ეს შეკითხვა, გეგონება ამას არ მოელოდა და გაოცებული მიმიკით აღნიშნა]

- მას ეშინია მშობიარობის. საკეისრო კვეთას ითხოვს. ამბობს, რომ მენჯის სივინროვის გამო ვერ შეძლებს ბუნებრივი [ფიზიოლოგიური] გზით ბავშვის დაბადებას. გარდა ამისა, თურმე მენჯის ძვლის ამოვარდნა ჰქონია ბავშვობაში.

- თქვენ რა უთხარით დოქტორო?
- ვუთხარი, რომ ანალგეზის¹¹ მეთოდით შევძლებთ გაუმტკივარებას.

- სხვა უფრო მნიშვნელოვანი ხომ არ უკითხავს?

¹⁰ ყველაზე პოპულარული და ძველი ამერიკული ვისკი. ინარმოება მარცვლეულისან, რომელიც არანაკლებ 51% სიმინდს შეიცავს. მას ეს სახელი ძველი პროვინციის ბურბონის (კენტუკის შტატი) პატივსაცემად ეწოდა.

¹¹ [ბერძ. analgesia] – (მედიც.). ტკივილის შეგრძნების დაკარგვა.

– როგორ გგონიათ, დაგიმალავდით მისტერ ალენ? სხვა ქალურ პრობლემებზე მკითხა. დოქტორმა ხელით მანიშნა და-მელია ფრანგული კალვადოსი, რომელიც გამჭვირვალე მუშის ჭიქაში ჩამოესხა ოფიციანტს.

ვცდილობდი როზენბერგს დავკვირვებოდი, რადგან მსმე-ნოდა, ამერიკელები ყველაფერს ყურადღებას აქცევენ, განსა-კუთრებით როგორ გიჭირავს სასმელი, რა დოზით და როგორ მიირთმევ მას. დავინახე, რომ როზენბერგს ხელის სამი თითით დაეჭირა სასმისი, ისე, რომ ნეკა და ცერი ჭიქის ქვემოდან მოექ-ცია. მეც ანალოგიურ ხერს მივმართე.

– ხვალ დილით სიმპოზიუმზე მიმიწვიეს დოქტორო და თქვენის ნებართვით დაგტოვებთ. ოფიციანტს ვთხოვე ჩეკი გა-მოეწერა.

– 75 დოლარი და 15 ცენტი, სერ.

ფული მაგიდაზე დავტოვე. დოქტორს გადავხედე, რომე-ლიც ახლა აპირებდა ვახშმის შეკვეთას.

– წადით მისტერ ვუდ, არ მოგერიდოთ, მე ცოტა ხანს შევ-ყოვნდები.

– მაშ, დროებით დოქტორო როზენბერგ, მშვიდობიან ლა-მეს გისურვებთ.

– თქვენც ასევე. მან თავი დახარა ოფიციანტისგან ახლად მოტანილ კიბორჩხალის სალათზე და უგემოვნოდ ათვალიერა ერთხანს.

.....

მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმე ალიძრა ამ ყველაფერზე, საოქმო ჩანაწერიდან გავეცანი ოფიციანტის ჩვე-ნებას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ დოქტორმა მოსთხოვა მას ორი პოლიეტილენის პარკი¹², რომელთაგან ერთი ხელზე წამო-იცვა, მეორეთი თავი გაუხსნა ცელლოფანს და შიგ მოათავსა ის ჭიქა, რომლითაც მისი მასპინძელი მამაკაცი ფრანგულ კალვა-დოსს შეექცეოდა. ხელუხლებელი დატოვა მან კიბორჩხალის სალათი და ისე გაიძურნა კაფიდან, რომ ვახშმის საფასური არც კი გადაუხდია. ამის გამო, ოფიციანტი საქმეში დაზარალებუ-ლად მიწვევას ითხოვდა.

¹² ასევე ცელოფინის პარკი, მოქნილი შესაფერი პარკი, დამზადებული თხელი პოლიეტილენის აპკისგან. გამოიყენება საკვები პროდუქტების, ფხვნილების, ქიმიკატების, ნაგვის და მისთ

ნაწილი მერვე

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, თავის უახლოეს მეგობარს ეწვია სამშაბათ დილით დოქტორი როზენბერგი. პოლიე-თილენში გახვეული ნივთიერება მაგიდაზე დაუდო ექსპერტ სტივენ ადამსონს და გამოსაკვლევი საგნის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაზოდა:

– ჭიქაზე უნდა იყოს ხელის თითის ანაბეჭდები, რომელ-თაგან ჭიქის ქვედა ნაწილზე დარჩენილი კვალი უმნიშვნელოა, ხოლო სასმისის შუაგულში მარჯვენა ხელის საჩვენებელი და არათითის კვალიც უნდა იყოს. ჩვენ უნდა დავადგინოთ საჩვე-ნებელი თითის ზუსტი მოხაზულობა.

დაახლოებით სამი საათი მოუწია პოლში მოცდა. ოპერატორმა დოქტორ როზენბერგს მიეროვონით გამოუცხადა, რომ გასაცნობ ოთახში შეეძლო უმცროსი სტაჟიორისგან მიეღო სა-ექსპერტო დასკვნა.

მასში აღნიშნული იყო: ექსპერტის სახელი, გვარი, სამუშაო გამოცდილება, მუშაობის სტაჟი, საექსპერტო წოდება/თანამდებობა. უფრო მოზრდილ გრაფაში ეწერა გამოსაკვლევი ნივთის გვარებითი ნიშანი, გამოცემის ხელი, მახასიათებლობა, ვარგისიანობა, გამოყენების მიზანი. გრაფაში დახრილი ასო-ებით ეწერა: „შუშა ძვირადლირებული ხრუსტალისგან არის დამზადებული. მის წონას შეადგენს 95 გრამი, ტევადობა 40 მგრ, უკანასკნელად დაილია 1999 წელს გამოცემული კალვადო-სი. ჭიქა მაღალყელიანი, ძაბრის ფორმისაა და სამი ნაწილისგან შედგება: 1) დასადგომი (მრგვალი ფორმის) 2) ღერძი (კალმის-ტრის მსგავსი) და 3) სითხის დასაგროვებელი (ძაბრისებური). დაახლოებით სამი განსხვავებული ადამიანის ხელის ნაკვალევია მასზე შემორჩენილი. რომელთაგან ორი გაცილებით ახალგაზრდისაა, მესამე ხანშიმეშესულს ეკუთვნის. მიკროსკოპული დაკვირვებისას ხრუსტალი ოდნავ გაბზარულია, თუმცა შეუძლებელი თვალით მისი დანახვა შეუძლებელია. თუ მისი გამოშვების წელს დავუჯერებთ მასზედ 2004 აწერია.

მომდევნო გრაფაში ეწერა გამოსაკვლევი ობიექტის წარმომდგენის სახელი და გვარი. ხოლო იმ გრაფაში, სადაც უნდა მიეთითებინათ რა ფაქტის დასადგენად იყო საჭირო ნივთის ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაცემა, თავისუფალი იყო. გაურკვეველი ხელმოწერით დატოვა თავისი ინიციალი დოქტორ

როზენბერგმა. სტაუიორს მოწყალედ გაულიმა და ბეჭნიერი გა-მოვიდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. რატომ არ უნდა ყოფილიყო ბეჭნიერი, როცა წარმოიდგინა, რომ იმ სეიფში მისი და მისის კონიგსბერგის მომავალი იყო დალუქული.

– არა, მისის კონიგსბერგი ზედმეტია ამ საქმეში, დაასკვნა და მორიგი ღამისთევესთვის მოემზადა. მაგიდაზე, საძილე აბე-ბით გაბრუებულ ძალს მიუახლოვდა. მაცივრიდან გამოალაგა სისხლის ანალიზების შედეგები და გულმოდგინედ შეუდგა ექ-სპერიმენტს.

ნაწილი მეცხრე

ორშაბათობით ჩინურ კვარტალში სიარული მოაგონდა ვუდის, როცა ჩაინა თაუნში სადილობა მოუწია. ტიბეტელი მზა-რეული იან ჰო მოლუსებს, თევზსა და კიბორჩხალას შიგნავდა. უკანასკნელი ხუთდოლარიანი კუპიურით შეუკვეთა კურაგის სოუზი, კუნგ-პარ და ატრია ბოსტნეულით. მეზობელ მაგიდაზე უცხოელები ჩხირებით ცდილობენ თევზის დარჩევას. ვუდის ახ-სენდება, თვალზე სამკურნალოდ რომ აიძულებდნენ მის ჭამას და მეგობრისგან სწავლობს ფხის ამოცლის მეთოდს. მაგიდაზე ბლოკნოტი უდევს, სადაც აღნიშვნებს აკეთებს. იცის, რომ ნა-ნერს ან სცენარში გამოყენებს, ან ნოველაში, ან ბუხრის თავ-ზე შემოდებს იმ იმედით, რომ ოდესმე გულმოსულს ცეცხლის შესაკეთებლად დასჭირდება. სხვათა შორის, სამყაროს ციური მოვლენების ახსნამ გაიტაცა დღეს დილიდან. სწამს, რომ:

მიწისძვრა არის მიწის ზოდების მრისხანება;

წყალდიდობა – შესავალი წარლვნაში;

თოვლი – ტალახისგან დაჩირქებული იარების მაღამო, რომლითაც ცდილობს დედამინა განწმენდას;

მზის ნათება – ბებერ პლანეტასთან ალერსობანა;

ამის შემდეგ სილაპუსით გათვალისწინებულ ახალ სალექ-ციო თემას არჩევს, რომელსაც დღის მეორე ნახევარში წაიკით-ხავს ერთ-ერთ არააკრედიტებულ სასწავლებელში, სადაც შვე-ბულებაში მყოფი სპეციალისტის ნაცვლად არის დანიშნული. ვუდი ისე ამაყად შედის კოლეჯში, როგორც კოლუმბის უნი-ვერსიტეტში შესვლისას სჩვეოდა. სალექციო კურსის დაწყებამ-დე ლიმნიან ყავას შეექცევა და ზარის ხმაზე სუნთქვაგახშირე-

ბული მირბის აუდიტორიაში, სადაც ოთხი ინგლისურის მცოდნე სტუდენტი ხვდება.

– ხომ არ წაგვიკითხავდით არტურ რემბოს შემოქმედებას? ან დორის ლესინგის „ნობელის პრემიის მიუწვდომლობის გამო“?

– წინა ლექციაზე თქვენ დაგვპირდით, რომ ვუდი ალენის-გან ექსკლუზიურად მოიპოვებდით „მივმართავ სკოლადამთავრებულების“ მორიგ გაგრძელებას. დისკუსიობს მეორე სტუდენტი

– დიახ, დაგვპირდით და შეგისრულეთ კიდეც. თან უხარია, რომ დღეს საკუთარ ნაწერს საჯაროდ წაიკითხავს, რადგან ვუდის ყოველთვის თვითდამკვიდრების ინსტინქტი ამოძრავებდა. და ისიც ჰყვება:

სამყაროს ერთიან, უწყვეტ ფაზაში, ადამიანს, როგორც უზესათას ლირებულებას მოძრავ მატერიკაზე, საჭიროდ მიმართნია აღსარებისას გავენდო ერთადერთ ჭეშმარიტ სხეულთა ხელმწიფეს – გონებას და ვამხილო ნახევრად ქვეწარმავლური ხასიათი...

მაშინ, როდესაც ასე მოურიდებლად ვსაუბრობთ დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებაზე, გეკითხებით, რა უფრო ძვირფასია: ენაყბედობა თუ ბრძნად მეტყველება?

მეც, როგორც ბუნებით დაუმორჩილებელს, საჭიროდ მიმართნია ადამიანი ისე ცხოვრობდეს და იქცეოდეს საზოგადოებაში, როგორც განმარტოვებისას, როცა ვნებასაყოლილი თავის სასქესო ორგანოს გულიანად მოეალერსება და ფიქრებში ამორალურ სცენებს გაითამაშებს. დიახ, ამას ყველაზე ადმიანურ ლექსიკონში (რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკის სტელაჟებს ჯერაც არ ამშვენებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი ეგზემპარები სხვა კოლექციონერებს არ გააჩნიათ) გულახდილობა ჰქვია. ეს სინდრომი კი მაშინ შემოგვიტევს ხოლმე, როცა დავიღლებით ამქვეყნიური ამაოებით, ფარისევლობითა და სიცრუის ნილბის ტარებით. მაგრამ, თუ არ დავიოკებთ ჩვენს ადამიანურ მანკიურებას, მაშინ რა ვუყოთ ჩვენს გონებაში მცხოვრებ უჩინარ არსებას, რომელიც დაკავებულია ისეთი მნიშვნელოვანი საზრუნავებით, როგორიცაა იმიჯის, პიროვნული ღირსებებისა და თვითდამკვიდრების საშუალებათა ძერწვით.

დიახ! სწორედ ამის გამო ვიზყებთ ახბანის შესწავლას, რადგან გვეუბნებიან, რომ ანბანით ცხოვრებას ვისწავლით და სხვის დაუხმარებლად შევძლებთ ყველა ასო-ბგერათა აღქმას.

შემდეგ წინადადებების შედგენას ვიწყებთ და ჩვენდა უნებურად ფიქრი გვეძადება... მერე, ახალშობილ ფიქრებს ვზრდით, ვასაზრდოებთ, ვკვებავთ, ვავითარებთ. დავატარებთ კინოებსა და ლიტერატურულ პერფორმანსებსა. ასე ჩნდება ყოველ ადამიანში მეორე მე, რომელიც პირველისგან (რეალურისგან) განსხვავებით ილუზიურია და მაშინ ქრება, როცა სხვას დაგბადებთ. ეს იმას ჰგავს, დედას რომ მეორე შვილი ეყოლება და მთელი ძალით ზრუნავს მასზე, პირველ შვილთან კი თავს იმით იმართლებს, რომ პატარას უფრო მეტი მზრუნველობა ესაჭიროება. და ასე ბოროტდებიან ფიქრებიც, როცა ვცდილობთ და-ვიწყებას მივცეთ ისინი!!!

მერე სკოლაში სიარულს ვიწყებთ. წიგნებით დატვირთულ ჩანთას დავატარებთ, ვიდრე სხვა უფრო გამოცდილი მოსწავლები არ დაგვცინებებ ჩვენი სკოლისადმი დამოკიდებულებისათვის. გაკვეთილზე გამოუცხადებლობას მოსდევს გაგულისებული მშობლის სასჯელი, (სიმინდის მარცვლეულზე დაგვაჩიქებენ და ღამეს გვათევინებენ) მაგრამ სხვაგვარად როგორ შევიგრძნოთ 12-13 წლის ასაკში თავისუფლება?

უნივერსიტეტში კი იმისთვის ჩავირიცხებით, რომ სკოლის დამთავრებისას ჩვენი უსაქმური, (უდრო სწორად დაუსაქმებელი) მშობლები მინიმუმ ორ დიპლომს მაინც წარმოგვიდგენენ და მეტისმეტი პატივისცემით მოიგონებენ სტუდენტობის წლებს. ათასგვარი სიპრძნისმეტველებით თავს ამოგვაყოფინებენ მისაღებ გამოცდაზე, სადაც ისევე მოურიდებლად დავიწყებთ გადაწერისთვის „ჩალიჩს“, როგორ მოურიდებლადაც დავძვრებოდით ბავშვობაში სხვის ბოსტნებსა და ეზოებში. და როცა, სქელკანიანი, ჩაფუნთუშებული გოგონა ხელს დააფარებს თავის ნაწერს მნიშვნელოვან აღმოჩენას ვაკეთებს: იმდენად კონკურენტად აღვიქვამენ მომავალში, რომ ამ ნაწერის მსგავსად დაგვიმალავენ: ბედნიერებას, წარმატებას, კარიერას, სიხარულს, სიყვარულს. და ამ აღმოჩენით შეცდუნებულები ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. იმ გზას უნდა დავადგეთ დღეიდან, რომელიც საკუთარ თავს გვაპოვნინებს ამ სამყაროში.

მაგრამ რაში ვლინდება საკუთარი თავის პოვნა? განა მეცნიერის ხარისხი მოგვიტანს ბედნიერებას, ან ძვირადლირებული ავტომობილი და კარგი სამსახური? ან თუ ეს არ არის ბედნიერება, მაშ უამისოდ როგორია ცხოვრება? კატასავით ნაცრისფერში ხომ არ უნდა ვუთვალთვალოთ სამყაროს კანონზომიერებას? იქნებ არსებობს ცისარტყელის ფერები, საჭიროა ყვე-

ლაფრის გავლა, რათა წლები გაილიოს, რაღაცაში დაიხარჯოს ღვთისგან ბოძებული წამთა საუკუნენი, იქნებ ყველა ადმიანი დროის რაღაც პერიოდს უნდა უთმობდეს ქუჩაში ცხოვრებას, პირად განათლებას,...

ალბათ ესაა მიზეზი, რომ დაკავებული ვართ მეცნიერებით და ტექნიკის განვითარება-სრულყოფაში ვხარჯავთ ჩვენს ნებისყოფას, ემოციასა და ფიზიკურ სიჯანსაღეს. ბუნებრივიცაა ჩვენი ემოცია, როცა რაიმე მატერიკას ახალ ჭანჭის მივამაგრებთ და უახლესი ფუნქციით დავტვირთავთ გამონაგონს. თვითმფრინავმა რომ ფრენა შესძლოს, მას ფრთხი უმოძრაოდ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამ ჰიპოტეზის დასამტკიცებლად რამდენი ძვლის მოტეხილობა და სტაციონარში მკურნალობა დასჭირდა მის გამომგონებლებს. თუმცა, ღრმად გვწამს, რომ მეცნიერის წარმატება მსოფლიო ხალხთა წარმატებაა, რადგან გამონაგონი, რომელიც თავის მხრივ სასარგებლო ხდება სამყაროს ყველა მობინადრისათვის წარმატება და დამსახურებას მოითხოვს. ბედნიერად ვზივართ, ჩვენ უბრალო მოკვდავები ოთახში და ვათვალიერებთ ჩვენს გარშემო არსებულ ნივთებს, როგორიცაა: საათი, ფორტეპიანო, სურათები, შეზღონები, ხალიჩა, წიგნების კარადა, კონდიციონერი, ტელეფონი, ტელევიზორი, დიქტოფონი, რადიო, სატელიტური ანტენა. ჩვენი სახლის წინ ანათებს ლამპიონი. ახალწლობისას ათასფერადად განათებულია ქუჩები, სკვერები, საბავშო ბაღები და ატრაქციონები. დიახ, ეს ყველაფერი მშენიერია, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ გამონაგონზე, ხომ უნდა შევეხოთ ორიოდე სიტყვით იმ ძვირფას ლექსიკას, სიტყვებს, რომელსაც ადამიანი იგონებს დღითი-დღე. ძალიან ლამაზი სიტყვაა „პალოგენები“, „ვენტილიატორი“, „მობილური“, „ინტერნეტი“ და სხვა.

– პალოგენი რა არის? კითხულობს ყველაზე რეიტინგული სტუდენტი;

– შემდეგ ლექციაზე მოგახსენებთ, მართალია პროგრამით გაუთვალისწინებელია, მაგრამ ეგ არაფერი.

იმას ვამბობდი, რომ ასე მონდომებით ვსწავლობთ ასტროლოგიას და თვალს ვადევნებთ ციურ სხეულთა განლაგებას, სინეპტიკოსივით ვიცნობთ ამინდს, ვხსნით ათას ზოო-ბიოლოგიურ პროცესს, ვიკვლევთ ქიმიურ შენადნობებს, გეოლოგიური ექსპერიმენტებით შეგვიძლია ხელოვნური ქარიშხლის და გრიგალის გამოძახება. მაგრამ საკმარისია ნებისმიერი დიდი ადამიანი დავტვოვოთ ერთ ბოთლ ღვინოსთან ერთად და თავდა-

ყირა დადგება მთელი მსოფლიო. მიხვდები, რომ უფრო დიდი ბედნიერებაა, თუკი არ იცი რა ინვენს წვიმას, რატომ არის სამყაროში ანომალიური პროცესები, რა საფრთხის მომტანია ზვავი, სეტყვა, კანიონის ამოხეთქვა. უკეთესია, თუ ბუნებრივად ცხოვრობ და ზღვაზე სიარულს მხოლოდ იმიტომ არ არიდებ თავს, რომ რადიაციის გეშინია და მძიმე ავადმყოფობის, ან არ მიირთმევ ვაშლს, ბადრიჯანდასა და კიტრის მწნილს, რადგან შხამით გაჯერებულ ატმოსფეროსა და მონამლულ ბიოსფეროში ყველაფერი ბინძური გგონია. ამით იმას როდი ვამბობ, რომ უნიგნურებაა კარგი, მე ზედმეტ წიგნიერებაზე ვსაუბრობ, რონელიც საბოლოოდ ცხოვრებით სიამტკბილობის განცდას გიყლავს და სხვა მინიერი ბედნიერებისგან გრიყავს.

და ვიდრე პროფესიულ ზრდას დავინიცებდეთ ან სიცოცლისთვის საჭირო ექსპერიმენტებს ჩავატარებდეთ, აჯობებს კვლევა საკუთარი „მეს“ შესწავლას დავუთმოთ. უნდა ვიცოდეთ რა ძალის მფლობელები ვართ, რადგან საჭიროებისას ილუზია არ აღმოჩნდეს შეხედულება საკუთარ თავზე. უნდა მივეჩიოთ, რომ სინამდვილეში ჩვენ შუშის თოჯინები ვართ. თითოეული მსხვრევადობის შემდეგ მარჯვედ უნდა ვეცადოთ ნამსხვრევების შეკონინება.

თუ სხეულის უძვლო ნაწილს, ენას მისცემ უფლებას ისაუბროს თავის რელიგიურ შეხედულებებზე, დასძენს, რომ ყველაზე კარგი რელიგია უნომუნოსეულია¹³, რადგან ვერა ვერ გაიგებ რა მრნამსის მიმდევარია ავტორი. თითქოს ათეიისტიც ვარ, რადგან საკადრისად რომ მწამდეს ამდენს არ შევცოდავდი უფლის წინაშე. მაგრამ თუ არ ვსცოდდე რა ფუნქცია ექნებოდა სალოცავებს, რომლის ასაშენებლად ვწირავთ ფულად სუბსიდიებს.

თავისუფლებაც რომ პირობითია ამაში დავრწმუნდი. სადარის თავისუფლება, როცა ჩემს დაბადებამდე წინდანინ მოფიქრებული აქვთ სახელი, რომელსაც დაბადებისთანავე დამარქევენ. მერე იძულებეული ვართ შევიყაროთ სახელდებული და ამ სახელის უკვდავსაყოფად შევუდგეთ მომავალ საქმიანობას. თავისუფლების სტანდარტებიც ხელოვნურად მოირღვა, როცა გინეკოლოგის დიაგნოზით მშობლებს, რომ ცხვირ-პირი არ დამეტვრია, ვიდრე სიარულს შევძლებდი. (სინამდვილეში რა იცი

¹³ მიგელ დე უნამუნო (დ. 29 სექტემბერი, 1864 — გ. 31 დეკემბერი, 1936), ესპანელი ესსეისტი, ნოველისტი, პოეტი, დრამატურგი და ფილოსოფოსი

ადამიანო რა არის უფრო უკეთესი, ან რას გაუგებ შენ წუთისოფელს) ამიტომაც პირველი ნაბიჯები მამის დახმარებით გადავდგი და გალოლიავებული „მზრუნველობის“ კვალობაზე მივეჩვიე სხვაზე დამოკიდებულ ცხოვრებას.

ვიდრე ჩემში არ გაცოცხლდა მაძიებელი კაცი, რომელმაც მაიძულა ბოგანოსავით მექეტიალა კიდით-კიდემდე და ათასი ფათერაკი გამომეცადა ჭეშმარიტების შესამეცნებლად. მაგრამ, ამის საძიებლად სულაც არ ყოფილა აუცილებელი წლების გაფლანგვა ესპანელ იდალგოსავით. რადგან „ჭეშმარიტება“ ჭეშმარიტების გვერდით ყოფილა, მე კი მის უკან ვიდექი და ზურგუნიდან ვერ ვხედავდი იმის მშვენიერებას...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორც ცხოვრობს ჰანა კონიგსბერგი? და უცებ ჯვრისწერა მოაგონდა წმინდა ბატრიკის კათედრაში, ხელმოწერა ქორწინების სახლში, სადაც იგი ოფიციალურად გახდა ჰანა ჯეიმსონ მერილენდ კონიგსბერგი.

ნაწილი მეათვე

ჰანა საშაპეში როზალინდას დახმარებით ნუშის ეთერზე-თით დამზადებულ ლოსიონს¹⁴ ისვამს. ვარდის ფურცლის აბაზანა მზად არის. ნელსაცხებლის სურნელება ყნოსვას უამებს მისის კონიგსბერგს. ვიდრე შხაპს მიიღებდეს, როზალინდასგან ითხოვს განმარტოვებას. სავარაუდოდ არ სურს სხვას დაანახოს სიშიშვლე. იგი შემოდგომისფერ ხალათში ეხვევა და მუნჯის დახმარებით გამოდის სასტუმრო ოთახში. თმის ფენით გაშრობის წინააღმდეგია და პირსახოცით იმშრალებს ნაწნავებს. ნიუარისებრი თმები აქვს და დავარცხნისას ხშირად ეწინკნება, ამიტომ მუდამ თვითონ ცდილობს მოწესრიგებას და არას დიდებით იხმარებს მოახლეს.

როზალინდა ხედავს, რომ მის წინ დოქტორი როზენბერგი დგას. ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაუცვამს და გაფაციცებული ავეჯს ათვალიერებს. როზალინდა ფიქრობს, რომ ალბათ კარი ჩაურაზავი დარჩა. თუმცა ვერაფრით აგებინებს მისის კონიგსბერგს, რომ სახლში ექიმია შემოპარული.

— დამშვიდდი მსახურო, საშიში არაფერია.

¹⁴ ერთგვარი ინანთეული, სურნელვანი წყალი. უცხ. სიტყვათა ლექსიკონი

- ჰანას ნაცნობი ხმა ესმის და კითხულობს, არის აქ ვინმე?
- დღოტორი ვარ. უამინდობამ მაიძულა სახლში უნებარ-თვოდ შემოვსულიყავი. ვიფიქრე, კარგ ამბავს ვამცნობ მისის კონიგსბერგს-თქო.
- რა ამბავს? ნუთუ კარგი ამბებიც ხდება ჩემს ცხოვრება-ში?
- ჩვენ მზად გვაქვს თითის ქარგილი. იგი მიუახლოვდა მი-სის ჰანას და გულზე მედალიონი დაკიდა. ცდომილება გამო-რიცხულია მისის, დააყოლა დარწმუნებული ტონალობით.
- ყოჩალ დოქტორო, ნამდვილად შექებას იმსახურებთ. ისე, მანკეტენში ბოლოს როდის იყავი?
- სამი თვის წინ.
- ეროვნულ ბანკში ხომ არ გაქვთ ანგარიში?
- წინათ მქონდა, მაგრამ მედიკამენტების შესაძენად თან-ხა დამაკლდა და გავაუქმე პირადი ანგარიში.
- მისის კონიგსბერგს ეეჭვება დოქტორის ნათქვამი, ამი-ტომ ეკითხება:
- რამდენიმენა კოდი გქონდათ?
- ოცდა ექვსი. პლიუს სამი დამატებითი კოდი საგანგაშო ღილაკითურთ. (ეს ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა მოპოვებუ-ლი, რადგან ქალს ადრე ეხსენებინა მანკეტენის ბანკი)
- მაშინ ადვილად გავართმევთ თავს.
- თქვენც აპირებთ წამოსვლას?
- დიახ, ხელს ხომ არ შეგიშლით?
- რას ბრძანებთ მისის ჰანა, ცბიერობს დოქტორი. მე რა უნდა ვაკეთო იქ?
- კოდს შეიყვან, მერე ვუდის თითის ნიმუშს დაადებ, სიგ-ნალიზაციას გაანეიტრალებ და ფულს ჩემოდანში ჩაალაგებ!..
- ეს ხომ ერთიანი ანგარიშია და ვუდის გარეშე როგორ შეგვიშვებენ საცავში?
- ყალბი მინდობილობით, რომელიც უახლოეს ნოტარი-უსს დავამზადებინე. ფულის აღებიდან სამ საათში ქვეყანას დავტოვებ და გამოიძიონ მერე კრიმინალებმა ფულის მოპარვის თუ დოკუმენტის გაყალბების ამბავი.

– გაცილებით ჭკვიანი ყოფილხართ, ვიდრე რეალურად ჩანხართ. პირველად რომ მაჯისცემა გაგისინჯეთ ქმარზე შეყვარებულ, მეოჯახე ქალად მეტვენეთ.

– პირველი შეხედულებები თითქმის არასდროს ამართლებს; სიყვარულს რაც შეეხება, ქმარი თუ არაფერს დაგიშავებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გეყვარება.

– მისტერ ვუდიზე ამბობენ, რომ უწყინარი კაცია, ცრუობენ მისის?

– გააჩინა მის მთქმელს უწყინარობა როგორ ესმის... უწყინარი კაცი ცოლს კონტრაქტით არ შეირთავს.

– რას მოიცავს ეს კონტრაქტი?

– ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება დარჩეს მის შემძნებელს, სასამართლოში საქმის აღძვრის შემთხვევაში არც ერთი დეტალი არ უნდა გახმაურდეს მედია საშუალებებში, არც პირადი ცხოვრების წვრილმან-დეტალობები.

– მაშ, რისთვის გაპყევით მას? არ მითხრათ, რომ სიყვარულმა დაგაბრმავათ.

– მეტისმეტად ბევრს კითხულობთ დოქტორო, მეცაცრად აღნიშნა ჰანამ. „არავინ უნდა აფათუროს ხელი სხვის პირად ცხოვრებაში“. ხვალ 10:00 საათზე გავაღლო სახლიდან. ყველა-ფერს მოვასწრებთ, რადგან ვუდი ბოსტონში მიემგზავრება სიმბოზიუმზე.

– მაშ, მშვიდობით ჰანა!..

– მშვიდობით, მხოლოდ დაიხსომეთ, რომ ნურასდროს გაბედავთ აქ შემოპარვას.

– რომელია უფრო დიდი, ძლვენი თუ სამსხვერპლო?¹⁵ – კითხულობს დოქტორი სახლიდან გასვლამდე.

– ძლვენი, რომელსაც სამსხვერპლოში მოიპოვებ.

ნაწილი მეთერთმეტე

დათქმულ დროს მანქეტენისკენ მიმავალ ავტობუსში ჩასხდნენ მისის კონიგსბერგი და დოქტორი როზენბერგი. ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ და თითქმის არაფერს ეკითხებოდნენ

¹⁵ მათეს სახარება, 23-19, გვ 51, ბიბლია, სტოკჰოლმი

ერთმანეთს. როზენბერგს ხელჩანთა მოჰქონდა, კონიგსბერგს ფაილები ეჭირა ხელთ, რომელშიც მინდობილობა, ანგარიშის ნომერი, ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტები ჩაელაგა. დოქტორი თვლემდა, ზოგჯერ ხვრინავდა კიდეც. ჰანამ სცადა როზენბერგის გამოფხიზლება. მალულად უჩქმიტა და მერე ისეთი მიამიტი სახე მიიღო, რომ გეგონება თვითონ არაფერ შუაშიაო.

— როდის დამიბრუნდება მხედველობა? ეკითხება იგი დოქტორს, რომელიც უხერხული შეკითხვის ასარიდებლად თავს იმძინარუნებს. მისის ჰანა კიდევ მიმართავს და ახლა წინანდელზე უფრო მნარედ ბნებენს.

— ერთ თვეში, თუკი ვუდისგან მორთმეულ ჩაის არ დალევთ ხელმეორედ.

— უფრო ადრე არ მოხერხდება?

— მე გეუბნებით პირველი ჩაის ნაყენის მიღებიდან ერთ თვეში-თქო. მას შემდეგ აგერ თორმეტი დღე გავიდა.

მძღოლმა დაიძახა, რომ მანკეტენში იყვნენ, სასწრაფოდ მოითხოვა ტრანსპორტის დაცლა. ავტოსადგურიდან ხუთი წუთის ფეხის სავალზე თუ იქნებოდა ბანკი. მისის ჰანამ გასერნება მოისურვა. ბანკის კარებთან შეყოვნდა იგი და დოქტორის დახმარებით ორკაციან ლიფტში მოთავსდა. ბანკის თანამშრომელმა შეამონმა კონიგსბერგების საერთო ანგარიში;

— მისის ჰანა, თქვენ იცით ალბათ ბანკის შინაგანაწესი, რომელიც გვიკრძალავს თანხის გაცემას, თუ ანგარიშის შემოტანი პირი ფიზიკურად არ იმყოფება საცავში.

— დიახ, შინაგანაწესს გავეცანით მე და ჩემი მეუღლე, ვიდრე თანხას შემოვიტანდით. ვუდი დაკავებულია კინოგადაღებით, ამიტომ წარმოგიდენთ მინდობილობას, რომლითაც შემიძლია საბანკო ანგარიშსწორება, ანაბრის გახსნა, თანხის გატანა და სხვა ძირითადი საკრედიტო ოპერაციები. წაიკითხეთ მინდობილობა, თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

მინდობილობა იმდენად სრულყოფილად იყო შედგენილი, რომ ეჭვს ვერც კი შეიტანდა კაცი. ამასთან, მას ბოლოში ერთვოდა ვუდის ხელმოწერა, რომელიც ბანკში დატოვებულის კოპიო გახლდათ.

— თითის ანაბეჭდი რომელმა დატოვეთ მისის? თუ ის თქვენი მეუღლის არის სამწუხაროდ მინდობილობა უსარგებლო დოკუმენტი იქნება. შეგიძლიათ საცავში შებრძანდეთ, მაგრამ

თუ სიგნალიზაცია ჩაირთო ვერაფრით დაგეხმარებით. ამასთან, ბანკს შეუძლია თქვენი უსინათლობის გამო დამხმარე პერსონა-ლი მოგიჩინოს ან თქვენი თანხმობის შემთხვევაში თან იახლოთ თქვეთან მყოფი მამაკაცი.

– საჭირო არ არის, მისტერ. მე და როზენბერგი ყველა-ფერს გავართმევთ თავს.

საცავში შესვლისას, დოქტორმა აკრიფა ოცდაექვსნიშნა კოდი, რომლის შემდეგ საჭირო იყო თითის ანაბეჭდის დატოვება. ხმოვანი ფოსტა: გთხოვთ შეეხეთ დეტექტორს და ჩაწერეთ საიდუმლო სიტყვა.

მანკეტენის ბანკში სიგნალიზაცია ჩაირთო. ხელწერილის და ახსნა-განმარტების შემდეგ კონიგსბერგმა და როზენბერგმა შენობა დატოვეს. თან გამოიყოლეს გაფრთხილების წერილი და გვარი „კონიგსბერგი“ საშიშ მეანაბრეთა სიაში გადაიყვანეს.

ნაწილი მეთორმეტე

რატომ ჩაირთო სიგნალიზაცია, ნუთუ ანაბეჭდი არ და-გიმზადებიათ დოქტორო?

როზენბერგი ხმას არ იღებს, ერთხანს დუმს და მერე ეუბნება:

- მისის ჰანა, ციფრები იყო ჩემი აზრით არასწორი.
- ნამდვილად ვუდის თითის ქარგილი დაამზადეთ დოქტორო?
- რასაკვირველია, მისის ჰანა, შემიძლია დავიფიცო კი-დეც.
- ყველაფერი იმის ბრალია, რომ თვალისჩინი დამაკარგვინეთ. ახლა მარტივია ბრმა ქალის გაბითურება. მე ვითხოვ დაუყოვნებლივ დამიბრუნოთ მხედველობა, წინააღმდეგ შემთხვევაში...
- პოლიციაში დამასმენთ არა? სიტყვა გააწყვეტინა როზენბერგმა.
 - რატომაც არა? განა ცოტა საფუძველი მომეცით?
 - სწორი ბრძანდებით მისის ჰანა, ვალიარებ ჩემს დანაშაულს და თუ ჩემს საექსპერიმენტო სითხეს დაიდებთ თვალებზე იქნებ იმწამსვე გაგინათდეთ მხედველობა. თუ ამ შედეგმა არ

გაჭრა, მერწმუნებთ, სითხე არავითარ ზიანს მოგაყენებთ. თუ არა, ისლა დაგვრჩენია დავუცადოთ, როდის გამოვა მიღებული შხამი ორგანიზმიდან.

– რისგან დაამზადეთ სითხე დოქტორო?

– ამის თქმა არ შემძლია, არა, არ იფიქროთ, რომ უნდობლობის გამო არ ვამხელდე, უბრალოდ მე მის საიდუმლო შემცველობას იმ შემთხვევაშიც არ ვიტყვი, თუნდაც შედეგმა ასი პროცენტით გაამართლოს. თუ თანახმა ხართ, შევიაროთ ლონგ-აილენდის სანაპიროზე, ავიდებ ჩემს ჩემოდანს და...

– თანახმა ვარ, რადგან ბოლოსდაბოლოს ახლა მაინც გავიგებ, უნიჭო გაიძვერა ხარ თუ ხელმოცარული გენოსი...

.....

როზალინდას, კანონის თანახმად, დაუნიშნეს ყრუ-მუნჯთა ნიშნების მცოდნე თარჯიმანი, რომელიც დაბეჭითებით, სრული პასუხისმგებლობითა და ღრმა პროფესიონალიზმში თავდაჯერებული ირწმუნებოდა: – დოქტორმა როზენბერგმა სასანაულებრივი ნივთიერების წყალობით, შხაპის მიღებისას გააქრო მისის კონიგსბერგი.

.....

ექსპერტთა ჯგუფს ოთხზისი გამოკვლევის მიუხედავად ვერ დაედგინა ჯაკუზის (დანაშაულთან სავარაუდო მოკავშირე ნივთი) ზედაპირზე დარჩენილი მოშავო ზოლების შემადგენლობა. ყველაზე სტაჟიანი, გამოცდილი ექსპერტის აზრით, თუ მსხვერპლი ნამდვილად სააბაზანოდან გაუჩინარდა ამის მიზე-ზი შეიძლება ყოფილიყო ქიმიური ნივთიერება H_2SO_4 , რომელიც სპონს ნებისმიერ ორგანულ თუ არაორგანულ მინარევებს, ცოცხალ თუ მკვდარ ქსოვილებს.

.....

საქმის გამარტივებისთვის და გამოძიების დაჩქარების-თვის აუცილებელია ქიმიკოსის მოწვევა, რომელმაც უნდა ახ-სნას ზემოხერხშული ქიმიკატის ნიშანთვისება. ქიმიის დოქტორი ირწმუნება, რომ ძვლის ნარჩენი მაინც უნდა დარჩენილიყო, თუკი გოგირდმუავაა გამოყენებული.

.....

დავუბრუნდეთ ისევ ნამდვილ ვუდის, რომელიც ახლა ინ-ტერნეტ-კაფეში უყურებს 2009 წლის რომელიღაც უცნობი ევ-როპელი რეჟისორის ფილმს, – მსოფლიო ომზე და ებრაელთა დევნაზე გადაღებული. აგონდება, რომ „ებრაული ტრადიციე-

ბით გაზარდეს, რომელიც კრძალავდა არაეპრაელ ქალზე დაქორწინებას, შაბათს საღამოს გაპარსვას და განსაკუთრებით შაბათ საღამოს არაეპრაელი ქალის გაპარსვას” (ტექტი ავტ. ვ. ალენი). მას ყველაფერი მობეზრდა, ასე ჰგონია, რომ სამჯერ ტაშის შემოკვრით ინდოელი ჯადოქარი დაბრუნდება და აიძულებს თავის სამშობლოში დაბრუნებას. თუმცა, მასთან კონტაქტი შეუძლებელია. ახლა უნაყოფო, კლდოვან ადგილას, თავის პერსონაჟსავით მიტოვებულია. სახლის ტელეფონის ნომერს ვერაფრით იხსენებს, საბედნიეროდ მეგობარ უაკ მონოს ურეკავს და სთხოვს სამგზავრო თანხის გამოგზავნას. ბედად, რომ გულისჯებეში სცენართან ერთად პასპორტიც გამოყვა. ასკვნის თავისთვის, რომ ცხოვრება ეკრანიზაციას, კინოს გადაღებას ჰგავს, რომელმაც შეიძლება ფინანსურად გააუმჯობესოს რეჟისორის მდგომარეობა და ცოტაოდენი სახელიც მოუხვეჭოს. მაგრამ, „პირველი რამდენიმე ფილმის შემდეგ ხვდები, რომ ძველი პრობლემები ისევ შენთანაა...“

ვუდი თვითმფრინავში მოწყენილი ზის, ამერიკის თავზე გადაფრენისას სიამოვნებისგან ცქმუტავს და დარწმუნებული ამბობს, რომ არასდროს იქონიებს კავშირს ჯადოქრებთან, ექსტრასენსებთან და ფსიქოანალიტიკოსებთან.

სახლი არასდროს მონატრებია, თუმცა ახლა სურს გულიანად გამოიძინოს. მაგრამ რა ძილი, ღმერთმანი... პოლიცია ლუქს ადებს კარებს და ამცნობს საზარელ ამბავს.

– ნუთუ ის დაიღუპა? ან ჩემგან გაქცევის მიზნით ხომ არ გაითამაშა სიკვდილობანა?!?

ახლა თეატრში წადი ვუდი, მანეკენების დარბაზში გამოიძინე და მერეც მოასწრებ ყველაფრის გარკვევას...

ნაწილი მეცამეტე

დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, და იმ კორესპონდენციის მიხედვით, რომელიც ვინმე მისის კონიგსბერგის გაუჩინარებამდე იქნა გამოგზავნილი, თქვენ ბრალი გედებად ულიცენზიონ წამლების არალეგალურ გაყიდვაში. ასევე, შტატის მოქმედი სისხლის სამართლის თანახმად, თქვენ ანამებთ ცხოველებს, რაც დასტურდება სასტუმროს მებატრონის ჩვენებაში. და ვინაიდან არსებობს ეჭვი იმისა, რომ გაანადგურებთ საქმის-თვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ამ მიზნით დაკავება აუცი-

ლებელია. რომ გაქვთ უფლება ადვოკატის ყოლისა, ხოლო გადახდისუუნარობის შემთხვევაში დაგენიშნება სახაზინო დამცველი. ყველაფერს, რასაც იტყვით, შესაძლებელია თქვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში.

– როზენბერგი შეშლილივით ხარხარებს და ამბობს: ძალიანაც კარგი, კომუნალური გადასახადები და სასტუმროს ქირა მაინც არ გამინყალებს გულს თვის დასაწყისში. ასეთია წუთისოფელი, რას გაუგებ მის ბრნინვალება სამყაროს. „ომი შეიძლება არ გაჩვენოს და ისე გასწავლოს ბრძოლის წესები“. ასეა, ძმობილი, ასე. მეტად ძნელია საზოგადოებას აჩვენო საკუთარი შესაძლებლობები ცარიელი ჯიბით და მშეირი სტომაქით. ჭკვიანი კაცის დალუპვას არაფერი უნდა, ეს თავისთავადი, შეუქცევადი პროცესია, უნებლივ აქტი. და იცით ყველაზე ძნელი რა ყოფილა? – საკუთარი თავის პოვნა ამ მართლაცდა შეურაცხად სამყაროში. გონიერება წარმატების წინაპირობა არაა. იგი ჭკუის შინაგანი საზომი ინსტრუმენტია. მე ვიყავი ძალიან გონიერი, თუმცა მის შესაძლებლობებს ვერასდროს ვწონიდი. რაც შეეხება დანაშაულს, მე მას მხოლოდ იმისთვის არ ვაღიარებ, რათა დავრწმუნდე, რა შესაძლებლობისაა საგამოძიებო დეპარტამენტი. მისის ჰანას გაუჩინარებას ვერ ახსნით დაქტილოსკოპიისა და კრიმინალისტიკის დაუფლებით. როზენბერგი მეტისმეტად შტამბეჭდავად საუბრობდა და გულისგამანყალებელი კითხვებით თავს იქცევდა პოლიციელთან, რომელიც არც კი უსმენდა მის ფილოსოფიას და ყურებს მაშინ დაცეკვიტავდა, როცა დოქტორი სიტყვა „დანაშაულს“ ახსენება.

.....

ჰანას გაუჩინარების შემდეგ ვიცოდი, პოლიციას ჩემზეც გაუჩინდებოდა ეჭვი, ამიტომ შტატებიდან სასწრაფოდ შვეიცარიაში გადავფრინდი, სადაც იმ მარტივი მიზეზის გამო მომავნებდნენ, რომ არავინ იცოდა ჩემი ნამდვილი სახელი. (შტატებში ყოფინისას ჰასპორტი დაახლოებით სამჯერ გავაყალებ) გაქცევა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ როზენბერგი სულ მალე ყველაფერს დაფქვავდა, მათ შორის ჰანას ხელოვნურად დაბრმავების ფაქტს.

.....

„ვუდი-პალასეს“ ადმინისტრაციაშ ფრანგი სცენარისტი ჩამოიყვანა, რომელიც კომიკური უანრის სპექტაკლებს დგამდა და ცდილობდა ვუდის ორეულისგან დევნილ მაყურებელთა გულის მოგებას. ერთ-ერთი სპექტაკლის მსვლელობისას, მე-17

აუდიტორიაში შემოვიდა ვუდი ალენი და მოითხოვა დარბაზის დაცლა. დაახლოებით სამი საათი ეძინა მანეკენების ოთახში და ძილბურანიდან თავდახსნილი კვლავ დაინტერესდა ჰანას ბე-დით. მძღოლი ამადეო ქოშინით შემოვიდა დარბაზში, გადაეხვია ვუდის და უთხრა:

– ეჭვმიტანილი დოქტორ როზენბერგი ითხოვს თქვენთან შეხვედრასო.

ეუცნაურა კონიგსბერგს როზენბერგის გვარის გაგონება და დაუფიქრებლად წამოაყრანტალა:

– ვინ არის როზენბერგი ან სად შევხვედრილვარ მე მას!. მერე ენაზე იკბინა, ააა, როზენბერგიო? გამოასწორა და ისე მო-იყატუნა თავი ამადეოს წინაშე, რომ მძღოლი სულ დაიბნა. არ იდარდოთ, დღესვე ვინახულებ.

სამ საათზე, სატუსალოს ადმინისტრაციის ნებართვით, შეხვდა ვუდი დოქტორ როზენბერგს, რომელმაც დიდხანს ათვა-ლიერა დახვეწილად ჩაცმული მამაკაცი, რომელიც საერთოდ არ ჰეგვდა გარიგების შემომთავაზებელ, უშნო დიქციით მოსა-უბრე მამაკაცს.

– მისტერ, თქვენ ითხოვდით ჩემთან შეხვედრას? ან საი-დან იცნობდით ჩემს მეუღლეს? ისეთი შურისმაძიებელი თვა-ლებით მიაშტერდა ეჭვმიტანილს, რომ როზენბერგს ცოტათი შეეშინდა. (ეს იყო წმინდა ამერიკული დიქციით წარმოთქმული სიტყვები). დოქტორი ახლა ხვდება, თუ რატომ ითხოვდა ჰანას დაბრმავებას ვითომდა ვუდი ალენი... მხოლოდ ის აინტერესებს, ამ ვუდიმ თუ იცის მის სახლში რომ თალღითი ცხოვრობდა?

– მისტერი კი არა დოქტორი ვარ, შეუსწორა როზენბერ-გმა ვუდის და უთხრა, ხომ არ გვეცადა მორიგება?

ვუდი თვალებს იფშვნეტს, ალბათ ჯერაც ვერ აანალიზებს ყველაფერს და დაბეჯითებით უსმენს, მერე კითხულობს, რაზე უნდა მოვრიგდეთ?

– ერთ პატარა ლაპორატორიაზე, ექიმის ლიცენზიაზე და ციხიდან გათავისუფლებაზე.

– რის სანაცვლოდ მერედა? თქვენ რა, თავზეხელალებუ-ლი მილიონერი გგონივართ, რომელსაც შეუძლია ფულის გაბ-ნევა?!

– ჰანას დაბრუნების სანაცვლოდ!.. თქვა როზენბერგმა და ჰეგონია, რომ კოზირი აქვს დაჭერილი. მით უფრო იცის, რომ მანჰეტენში როგორც ჰანამ ვერ მოახერხა ქმრის გარეშე თანხის

გატანა, ასევე ვერ მოახერხებს ვუდიც!.. ეუბნება კიდეც, ჩემი შემოთავაზება უმნიშვნელოა მანქეტენის საბანკო ანგარიშთან შედარებით.

– მსგავს სიბინძურეში მონაწილეობას არ ვაპირებ დოქტორო. ამასთან, ჰანასგან დასვენება იმაზე ძვირფასია, ვიდრე მანქეტენის მილიონები. ნურასდროს დამიკავშირდებით, რადგან ისედაც ბევრი საქმეები დამიგროვდა, თქვა და ხელში ჯოხი მოიმარჯვა, რომელსაც ასაკში შესული რეუისორი მთელი ძალით ეყრდნობოდა. ციხიდან რომ გავიდა, ჩაიცინა და თქვა:

– ეს არის პირველი შემთხვევა, როცა სახლში ვბრუნდები და ძირითადი პრობლემა გადაჭრილი მხვდება... აი, სწორედ ამაზე იტყვიან, ბედისხერისგან ლანგრით მორთმეული წარმატებაა.

*2011 წლის 31 იანვარი.
ქ. ფოთი*

ჩემი სახელია ჰიროსი

„პროზაიკოსი გარდა იმისა რომ პოეტია, ისტორიკოსი და ბიოგრაფიც არის ერთდროულად, მაშასადამე, ის განუყრელად უნდა დაუკავშირდეს (გარკვეულ ეპოქაში, გარკვეული ქვეყნის) ადამიანთა ცხოვრებას.“

რიუნოსკე აკუტავა¹⁶

ჩემი სახელია ჩიზუკი.

ოღონდ, სინტოს¹⁷ ღვთაებას გაფიცებთ, მეტსახელი არ გეგონოთ!..

მშობლები 1945 წლის 6 აგვისტოს დაიღუპნენ.

მე დავინახე სოეოს ფორმის ღრუბელი, ვიდრე ჰიროსიმა ნარსულის საკუთრება გახდებოდა. ნანგრევებიდან, საბავშვო მელოდიასავით, დედის ხმის ექო აღწევდა; საწოვარგაჩრილს¹⁸ ვერაფრით გამეაზრებინა მოთქმის ტრაექტორია¹⁹.

კალენდრის მიხედვით ბუცუმე-ცუ²⁰ იყო. ამიტომ, ტრადი-ციულად, დაკრძალვა მომდევნო დღეს დაინიშნა.

განბანვის შემდეგ დედას თეთრი ჰაოცვეს, მსუბუქი მაკაფიოთ გაალამაზეს, ხელთ კრიალოსანი და ქისა დააჭერნეს, რომელშიც 6 მონეტა მოათავსეს. ო, დიდებულო სინტო, ამის გამო მძულს ციფრი ექვსი და აქ ცრუნწმენა არაფერ შუაშია...

ჩრდილოეთისკენ იყურებოდა იმისი ნანამები, დალლილი და ტკივილისგან შენუხებული პირსახე. მეხსიერების უჯრედში ვინახავდი დედის სიფერმერთალეს, მწუხარშეპარულ აღნაგობას, სხეულზე მიმხმარ უბედურებას, მარმარილოსებრ გაყინულ

¹⁶. მწერალი, ახალი იაპონური ლიტერატურის კლასიკოსი. (1892–1927).

¹⁷. უძველესი იაპონური რელიგიური მიმდინარეობაა, რომელიც სულების თაყვანისცემას ეფუძნება.

¹⁸. ბოთლზე წამოსაცმელი ნახვრეტებიანი რეზინის მილაკი, რომლითაც ძუძუმწოვარ ბავშვს რძეს აწოვებენ.

¹⁹. სივრცეში სხეულის ან წერტილის მოძრაობის გზა.

²⁰. მიცვალებულთა დასაკრძალად 6 არასასურველი დღეა: სენსიო, ტომობიკი, სენბუ, იაიანი, სიაკო და ბუცუმე-ცუ.

²¹. მოკლე ზედა კიმონო.

თითების ფორტეპიანოს, რომელზეც ჩრდილები შეუპოვრად ცეკვავდნენ. ვიცოდი, ოდესმე ვირუსშეპარული უჯრედი დააქვრივებდა ტვინს და მასში მოთავსებულ ინფორმაციას ერთიანად წაშლიდა. სხეულის ჰარმონიას კი მოწყდებოდა – მონატრება – სულის ამაფორიაქებელ-დამპყრობელი. (მონატრებაზე საზიზღარი დამპყრობელი კაცობრიობის ისტორიას არ ეხსომება).

მაგიდას თეთრი ნაჭერი გადავაფარეთ და სურნელოვანი ჩხირი დავაკმიეთ. ბრინჯის ფილაში ჰასი²² ვერტიკალურად დამაგრდა და ბუდისტური წესის თანახმად, გარდაცვლილს ახალი სახელი დავარქვით. მართალია უფრო სინტოზმის წესით მერჩივნა ყველაფერი გაკეთებულიყო, მაგრამ ძია ტიარსომ განია ხარჯები და ამადაც, მისი რწმენის შესაბამისად აღსრულდა დაკრძალვის ცერემონია.

მერე ბუდისტმა ბერმა დაახლოებით ექვს (ისევ 6) საათზე სარიტუალო ლოცვა წაიკითხა.

მოგვიანებით კუბოდან ამოვალაგეთ რკინის და შუშის ნივთები, რათა კრემაციისთვის ხელი არ შეგვეშალა.

ო-ბონის დღესასწაულზე²³ ფერფლი ძია ტიარსომ მემორიალს მიაბარა.

მას შემდეგ, დავხეტიალობ ამ მემორიალზე. მთავრობა გვპირდება, რომ გარდაცვლილებს ქვებს დაუდგამს, რათა თითოეულის სახელი უკვდავყოს. თუმცა არ მჯერა დაპირებების!.. რა ქვა, რის ობელისკი, როცა დაღუპულთა სტატისტიკაც არ იციან...

თავიდან ერთი ადგილი ამოვიჩემე, სადაც დედის ნეშტი მეგულებოდა. მოგვიანებით ისიც გადათხრილი დამხვდა. ვინ იცის, ეგებ სხვა მიცვალებულის ფერფლს მიუჩინეს ადგილი. წარმოიდგინეთ რა უბედურებაა, როცა საფლავიც კი საზიარო და სადავო გაქვს ადამიანს ამ ცისქვეშეთში.

მამაჩემი მთარგმნელი იყო და არა თარჯიმანი, როგორც ეს სხვებს ჰქონიათ. იგი ნაბეჭდ ტექსტს სხვა ენაზე თარგმნიდა და ამით არჩენდა ოჯახს. ხელმოკლედ ვცხოვრობდით, თუმცა მაინც ბედნიერები ვიყავით. იტყოდა ხოლმე, – შვილო, ბედნიერებას ძებნა უნდა, ნაპოვნს კი გაფრთხილება. ბედნიერება იმა-ლება კლდის ნაპრალში, ზღვის ფსკერზე, სარდაფში, კიბეზე და

²². ჩხირები.

²³. იაპონელებს სწამთ, რომ ამ დღეს სული ოჯახში ბრუნდება.

ციხის ქონგურზეც კი... იგი შეიძლება თავდებად დაიყენო, დაიგირავო, ან მეგობრულად შეიყვარო და პატივი სცე.

ჭკვიანი კაცი იყო და რაკი მას ვადიდებს, წუ გეგონებათ როგორც სისხლით ნათესავს და ოჯახის წევრს ვასხამდე ხოტბას. ხშირად ვცდილობ გავიხსენო ყველაზე უმნიშვნელო წყენა, უმისამართო საყვედურო, უაზრო გულისწყრომა, რათა სამუდამოდ უარვყო მამაჩემი და ცხოვრებას უფრო მხიარულად ვუყურო. (დარწმუნებული ვარ, თუ მამას შევიძულებ მონატრების გრძნობა არ დამტანჯავს). თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენადაც ვცდილობ გავამტყუნო, იმდენად ზნეკითოლად შემომცეკერის, უფრო მოსიყვარულე ხდება.

და მაინც... ჩვენ, ობლებს, გვჭირდება მამა: ფეხბურთის თამაშისას, ჩოგბურთის კორტზე ან საცურაო დარბაზში სასიარულოდ. რადიოგადაცემის თუ წიგნში დაფლული შეგონებების გასამარტავ-შესამეცნებლად; გვჭირდება მამა სკოლიდან მობრუნებულებს, შემოგლეჯილი სამოსის დასამალად და დედასთან შუამავლად. დასისხლიანებული ცხვირ-პირის მოსაწმენდად და ნამოქმედარის განსასჯელად.

მთავრობისგან გამოყოფილ უსახლკარო ბავშვთა სახლში ვცხოვრობ. საცხოვრებელი პანსიონატის მსგავსია. საპირფარეშო-აბაზანა და სამომხმარებლო ნივთები საერთოა. საკუთარი არაფერი გამაჩნია, თუ არ ჩავთვლით კბილის ჯაგრისსა და საგარეო ტანსაცმელს.

ძია ტიარსო ყოველწლიურად მიგზავნის ოცდაცამეტი (33) ათას იენას²⁴. [ძუნნი მიწოდეთ თუ გნებავთ, მაგრამ ფულის სესხება არ მიყვარს. როგორც მამა იტყოდა, თუ ფულს მისცემ ვინმეს, წინასწარ უნდა შეეგუო, რომ ის დაკარგე]. ძია ტიარსო ამბობს, რომ ხელმოკლედ ცხოვრობს. ძია ტიარსო მპირდება, როგორც კი მეტალურგიულ ქარხანაში დაინყებს მუშაობას, მეც ჩემს ბიძაშვილებთან წამიყვანს საცხოვრებლად.

ბავშვების უმრავლესობას პნევმონია აწუხებს. სამასამდე ვიქნებით ალბათ. წუ გაიკვირვებთ, რატომ სამჯერ მეტნი არ ვიყავით. ადმინისტრატორი მძიმე ხასიათის, პირქუში და ბუზღუნა მოხუცია, რომელიც დღედაღამ გაიძახის: ძილიც დროული უნდა იცოდეს კაცმაო!..

ბრძანებისამებრ, ცხრა საათზე არავინ უნდა ფხიზლობდეს. თავიდან ვითიქრე, უბრალოდ ასეა საჭირო-მეთქი!

²⁴. იაპონური ფულის ერთეული.

ერთხელაც, ვითომ თავი მოვიმძინარე, ფეხაკრეფით მივჩიდი ფიცარაკრულ ფანჯარასთან და ჭუჭრუტანიდან რას ვხედავ. საკაცეზე ასვენია ბავშვის ცხედარი და შავკიმონიანი მამაკაცები სამხედრო ფურგონში სხდებიან. ვიფიქრე, ალბათ ლაზარეთში მიჰყავთ-მეთქი. ახლა ვხვდები ყველაფერს, დიდებულო სინტო... მეურნალობენ, არა?! დიახ, რასაკვირველია, ეჭვგარეშეა რომ მეურნალობენ. იმდენად საფუძვლიანად, რომ სამკურნალო დაწესებულებად კრემატორიუმს იყენებენ, ღმერთმანი.

ექიმმა სკოლიოზით²⁵ დაავადებულთა სია შეადგინა და საუბედუროდ ამ სიაში მოხვედრილებს სასტიკად აგვეკრძალა თამაში. (განახათ ერთი ჩვენი სათამაშოები; ძირითადად გაფუჭებული ვაზნები²⁶, ტყვიები და სამხედრო დანებია) ამიტომაც მსაყვედურობენ თანატოლები, რომ „პატივმოყვარეობა გამონაყარივით მაქვს“. ქედმაღალი და ამპარტავანი სულაც არ ვარ. აქ სხვა უფრო დიდი მიზეზი უნდა იყოს. პირველი ის, რომ ადამიანში ყველაზე ძლიერ უბრალოება მაშინებს, და მეორეც ამ უნდობლობით გამოწვეული მარტოობა სწორებასავით შემეყრა.

სიკოხტავე ადრიდანვე დამყვა და სკოლიდან დაბრუნებული საკიდზე ვათავსებ ჩემს ფუროსიკის²⁷ და ფუროსიდეს²⁸. ხასიათით ჭირვეული და ბუზღუნა ვარ. ენაგადმოგდებული, დამანჭული და მიმიკადაგრეხილი მობინადრეები ადმინისტრატორის ნაბიჭვარს (ბოდიმი მომიხდია ბილწისტყვაობისთვის) მეძახიან, რადგან ჩვენს შორის მართლაც ხასიათობრივი მსგავსებაა.

ჭამით ცოტას ვჭამ, – განსაკუთრებით საერთო საცხოვრებლის პირობებში მომზადებულ საუზმესა და ვახშამს. კვება ორჯერ არის დღის წესრიგში; დღილით ჩაისა და ერთ ფუნთუშას მივირთმევთ, ღამით კრევეტებს ან (თუ საცხოვრებელს ვინმე ქველმოქმედი ფულს გადმოურიცხავს, მადლიერების ნიშნად მთელი წლის მანძილზე) წითელი მისოს სუფს.

²⁵. [ბერძ. skoliosis მრუდე] – (მედიც.). ხერხემლის გვერდითი გამრუდება.

²⁶. დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა.

²⁷. ფერადი ბოხჩა.

²⁸. ლამაზი საგარეო კიმონო.

სკოლა დაახლოებით ოცდაათი სიაკუს²⁹ სიახლოვესაა და ტრანსპორტის ფულის დასაზოგად, ძირითადად, ფეხით დავდივარ. ერთი დანჯღლრეული, მწყობრიდან გამოსული ავტობუსი გვემსახურება. გზაში ორჯერ მაინც ფუჭდება და მძღოლის საყვედურების მოსმენას მირჩევნია ფეხით სიარული.

ჰიროსიმა, ომის შემდეგ, საშინელებათა ფილმს დაემსგავსა!.. ძალიან ყურადღებით უნდა იარო ქუჩებში, რადგან თითოეულ შესახვევში გაცხოველებული მშენებლობაა დაწყებული და ნაგრევებიდან ცდილობენ ახალი მონუმენტების აღმართვას. კუნძული მჭიდროდ დასახლებულია და დიდალი მსხვერპლის მიუხედავად, ხალხით გადაჭედილ მოედნებზე, გზის გაკვლევაც მიძნელდება, რის გამოც სკოლაში ვაგვიანებ ხოლმე და მასნავლებლის საყვედურს ვიმსახურებ.

ფილოსოფიისა და ლიტერატურის გაკვეთილებს შორის ექვსწუთიანი (6) ინტერვალია და ამ დროს მოსწავლეები სასა-დილოში ჩადიან ხოლმე.

ბავშვობა რომ დაკარგო, ოდესმე ხომ უნდა გქონოდა იგი. მე კი აღარც ბავშვობა მინახავს და არც სათამაშოები. არა, არ გეგონოთ, თითქოს გავბოროტდი, შურმა თვალისწინი წამართვა და ეგოიზმია ცეცხლი წამიკიდა. უბრალოდ, ადამიანურად მომადგება ხოლმე ნერწყვი და შიმშილნარევ მზერას დავადევნებ დანარჩენ ბავშვებს, რომელთა მამებს, ომის მიუხედავად, ეტყობა ჯიბის სისქე ჯერაც არ დაუთხელდათ!..

რომ მქონდეს თუნდაც ორმოცდაათი იენი, შევუკვეთავდი უმებასს³⁰ და მადიანად მივირთმევდი კაპარჭანას სასიმს³¹. სა-სადილოს კართან ატუზულს ეს იმდენად ხმამაღლა წამომცდა, რომ შემრცხვე ჩემი სულმოკლეობის. მხარზე შეხება ვიგრძენი და ენისბორძიკით ნათევამი:

— მე გეპატიუჟებით.

სახეზე მანამ არ შემიხედავს, ვიდრე არ დავაგემოვნე მე-ბუფეტისგან მოტანილი სადილი.

ღმერთო ჩემო!... რა მშვენიერი, მებრძოლი და ვაჟკაცური გამოხედვა ჰქონდა ძლივს გახელილ თვალებში. სახეზე სიყვით-

²⁹. სიგრძის საზომი, ერთი სიაკუ დაახლოებით 31,3 სმ—ია.

³⁰. ქლიავისგან დამზადებული საჭმელი.

³¹. მზადება უმი თევზისგან. იგი დაჭრილია განსაკუთრებული წესით და ამოვლებულია სოიოს საწებელში, უმატებენ პირშუშხასაც.

ლე გადაჰკრავდა და თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ბოტკინი³² აწუხებდა.

მაგიდაზე ცარიელი თეფშები ელაგა. შემატყო, რომ მაძღარი არ ვიყავი და თავისთვის განკუთვნილიც მე გამომინოდა. მხოლოდ იმის გამო არ გამოვართვი ბრინჯის პური, რომ შემეშინდა, ვაითუ ინფექცია გადმომედოს და მერე რა უსმენს საცხოვრებლის მეპატრონის მუქარას.

— მეტს ვერ გეახლები, — ვუთხარი თავაზიანად.

ისე ხელმარჯვედ ეჭირა პასი და ისე ლამაზად გადაეჭირა ობი³³, რომ შურით აღვიგსე, ლმერთმანი!.. იგი გადაშლილი წიგნიდან რაღაც შეგონებას კითხულობდა.

— რას კითხულობ, სადაკო?

— ძენის წვრთნის კლასიკურ მაგალითს, სადაც წერია „როგორ უნდა დააღწიო თავი შობისა და სიკვდილის წრეს“. მედიტაციის ძალით მიხვდები მის პასუხს და უნებლიერ დასვამ ერთადერთ მართებულ კითხვას: „ვინ მომაქცია ამ წრეში?“

— საინტერესო ახსნა. თუმცა ცხადია, რომ სიკვდილის წრე ბუდას ხელის თითზე ჰკიდია და ბედისწერის ძალით, ადრე თუ გვიან, ყველას დაგვაჩიქებს. როგორც ჩვენში ამბობენ, „არ შეიძლება მოინდომო იმაზე მეტი, რაც ბედისწერამ მოგიზლო“. სიკვდილი კი ბედისწერის უკანასკნელი ძღვენია, — ადამიანის მიერ განხორციელებული ყველა ქმედების კომპეტენტური უიური. (ადამიანის სიცოცხლეც ხომ კონკურსია ერთგვარი). იგი უფრო დიდი რამაა, უფრო ემოციური და ეფექტური, ვიდრე წიგნის დაჭიავებული ფურცლებიდან იკითხება.

— შენ რა იცი როგორია იგი? — იკითხა გოგონამ და მის კითხვაში დაცინვის ნატამალიც არ ერია. ეს იყო გულწრფელი, ცნობისმოყვარე ადამიანის ანგარიშმიუცემელი შეკითხვა.

— მასწავლებელმა გვითხრა. სადღაც წაუკითხავს [ვგონებ ნინძიობონიში³⁴] და ირმუნება, რომ სიკვდილი არის სიცოცხლის უკანასკნელი წამის არითმეტიკული პროგრესია, მათემატიკური და [ანგარიშება, რადგან მხოლოდ მათემატიკურ

³². ინფექციური, ვირუსული დავადებაა, რომელიც აზიანებს ძირითადად ლუიძლს და ინვევს მის ანთებას.

³³. კიმონოზე მოსაჭერი დეკორატიული ქამარი.

³⁴. წიგნი ადამიანური გრძნობების შესახებ.

ციფრს შეუძლია იყოს ანგარებიანი]. რომელიც, რასაკვირველია, უსასრულობისკენ მიემართება მანამ, ვიდრე არ შეაჩერებს ბობოქარი ძალა და ყელს არ გამოლადრავს დანით.

— კიდევ რას ამბობს მასწავლებელი?

— ამბობს, „სიკვდილით იმიტომ არ უნდა მოვკვდეთ, რომ ეს ხელსაყრელი არ არის!.. მაშ, რატომ უნდა გადავიხადოთ სიცოცხლით არაფრის ვალი?“³⁵; რომ ნებისმიერი გონიერი არსება ფლობს ფილოსოფიურ მაგიას, წინასწარგანჭვრეტისა და სამყაროს შემეცნების უნარს. თუმცა, ნიცშე, რომელმაც ზედმეტად ბევრი შეიცნო, აღიარა, რომ „ლმერთი მოკვდა“. მაშ, რას გვარგებს ჩვენ მოძღვრება, რომელიც რწმენას მოგვიკლავს? „უღმერთობა ხომ იგივ გაუკულმართებულ გზაზე დადგომაა, უფსკრულისკენ გადებული ბერვის ხილის დაპყრობაა, მთვარეულთან მოკავშირობაა“. ყველაფერი, რაც ბოროტებისგან მომდინარეობს, უკეთურია სადაც. მართალია რწმენის დაკარგვა პიროვნებას შინაგანად ავითარებს, თუმცა სულიერად რყვნის. პიროვნება კი იანუსის³⁶ ქანდაკების მსგავსია. შეხედავ და გული აგირუდება იმის მშვენიერებით, მეორე წუთში კი საზიზლარი მიმიკით დაგემარჯება. მასწავლებლის მიზანია გვაპოვნინოს ჭეშმარიტება, რისთვისაც საჭიროა შევიმეცნოთ ფორმულა-კრეატივი: ნებისმიერი ადამიანი იმაზე დიდია, ვიდრე მთელი სამყაროს სრულყოფილება.

სადაკომ ლოყაზე მეგობრულად მიჩქმიტა და მთხოვა გაკვეთილების შევდეგ შინ გაყვითლოდი. ამის შემხედვარე ვფიქრობდი: ის იყო კარგი, თუ მე ვიყავი ზედმეტად გაფუჭებული. [ყველაფერი შედარებითა ალბათ]

სახლი ხის კარკასისგან და უხეშად გათლილი ძელებისგან აეგო სადაკოს მამას – შიგეოს. ყოველთვის მეგონა, რომ იაპონური კედლები მყარად ნაგები იქნებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც დავირწმუნდი, რომ ნახევრად გამჭვირვალე ქალალდის გისოსებიანი ჩარჩო საყრდენის ფუნქციას სულაც არ ატარებდა. თუნუქის მსუბუქი სახურავი სახლს უფრო მდაბიოს ხდიდა. გამხმარი ოკოძეს თევზი თილისმასავით ეკიდა შესასვლელში. საცხოვრებელი ღარიბულად იყო მოწყო-

³⁵. ჰაგაკურე ბუსიდოს მოძღვრება.

³⁶. დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება; გამოისახებოდა ორი პირისაზით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე - უკან.

ბილი. რაღა დაგიმალოთ და იაპონიაში ჩასული ბერის ჩანაწერი გამახსენდა, რომელიც ალფროვანებით წერდა ნაცრისფრად მოგებულ იატაკზე, სპილოს ძვლით განწყობილ ლაგაზებზე³⁷, ნაბლისფრად გაპრიალებულ ფილაქანზე, თეატრალური ფიცარნაგის მსგავსად აწეულ ხის ფარდაზე, – ხელოსანთაგან ქარავანგამოსახული წეროებით. კედლის ნიშაში – ტოკონომაში – ძველებურად იდგა თაიგული, რადიოლა და კედელზე კაკემონი³⁸ ეკიდა, რომლიდანაც ბრძნული შეგონება იკითხება: „მეტისმეტი თავმდაბლობის უკან სამაყე იმალება, გულწრფელობა ადამიანის ძვირფასი თვისებაა და გახსოვდეთ, ფულს დაუდექი თავდებად და ადამიანს არასოდეს!.. სძლიერ ამპარტავნებას ნებისყოფით, ეს უკანასკნელი კი კლდეშიც გაატანს“-ო.³⁹

ნამიან მრგვალ სიპზე მოვათავსე გეტა⁴⁰, მერე რბილ სურიპაში⁴¹ შევაცურე ფეხები, ბოლოს კი ჭილობზე გადასვლისას ტაბი მოვირგე და სასტუმრო ოთახში ბამბუკის სავარძელზე მოვთავსდი.

ზეთის სალებავებით მოხატულ ტილოს (იოგას) მოპირდაპირე მხარეს ნიპონგას⁴² გემოვნებითა და მგზნებარე სტილით შესრულებული მშვენიერი ცხვარი უპირისპირდებოდა. დავიანგარიშე და მივხვდი, სადაკო ჰოროსკოპით ცხვრის⁴³ წელიწადში უნდა მოვლენოდა ქვეყნიერებას, ამიტომაც ჰქონდა ნახატს და ბავშვებაც პესიმისტური ხასიათი და მორცხვი გამომეტყველება.

იაპონური ალუბალი საკურა ძალიან ლამაზად ჰყვაოდა და ნაზსურნელებით იპყრობდა ოთახს. შიგეოს სწამდა, რომ უთუოდ კარგი წელი დადგებოდა.

³⁷. ნოტიო თიხნარი ნიადაგი.

³⁸. გრაგნილი.

³⁹. იაპონური ანდაზების ციკლიდან.

⁴⁰. ქუჩაში ჩასაცმელი ფეხსაცმელი.

⁴¹. სახლში ჩასაცმელი ფეხსაცმელი.

⁴². მხატვრები ძირითადად წყლის სალებავებით და ტუშით ხატავენ აპრესუმსა და ქალალდზე.

⁴³. სადაკო 1943 წლის 7 იანვარს დაიბადა და გარდაიცვალა 1955 წლის 25 ოქტომბერს. ნიმუშდობლივია, რომ დაბადება-გარდაცვალება ცხვრის წელიწადში მოხდა.

ჰანამმა⁴⁴ ისე გამიტაცა, რომ ვერც კი ვამჩნევდი მშვენიერ სადაკოს, რომელიც გამოთქმით კითხულობდა ჰაიკუს:

წეროთა ფეხებზე,
ვით სარწეველაზე –
მე და დრო ვეკიდეთ...

რატომდაც ამ წუთას იგი ძალიან ჰგავდა თოჯინების თე-
ატრალურ პერსონაჟ ქალს – ტიარი ონაკუბის, რომლის ანკეპი-
ლი წარბები, ბუთხუზა ლოყები, პატარა ცხვირ-პირი, მგრძნო-
ბიარე, სათუთა, დამყოლი ხასიათი და უეშმაკო მზერა უფრო
იდუმალს ხდიდა.

სადაკო სიამისენზე⁴⁵ უკრავდა და იმდენად ჰარმონიულ
აკორდებს პოულობდა, რომ ვფიქრობდი: ნეტა ეს რომ მოესმინა
ამერიკელ მფრინავს, მაინც გამოაგზავნიდა ზეციდან მრისხანე
ატომურ იარაღს?

დიახ, ეს იყო ტკივილდავინწყებული, ბედნიერებანაპოვნი
მელოდია, რომელიც სამყაროს ერთიანობის უწყვეტ ფაზაში
ცდილობდა გზა ეპოვა ადამიანის გახრნილ მე(მორანდუმ)ში,
რომელმაც პირობად აღუთქვა მსოფლიოს მშვიდობა და მერე
პირველი შესაძლებლობითვე დაარღვია ხანმოკლე მშვიდობის-
მყოფელობის დუმილი. გაიქცეოდნენ თავნება ბგერები და სა-
დაკო ხელის ერთი მოსმით დაიჭერდა გაქცეულ მელოდიას, ერ-
თად უფრო ლამაზები ხართო, ჩურჩულით ეტყოდა და ამღვრე-
ული თვალებით ათვალიერებდა თავშეკავებულ დედა ფუჯი-
კოს, რომელსაც საცაა უნდა გადმოუვარდეს ყვრიმალზე ცრემ-
ლები.

დედა ფუჯიკო სამზარეულოში გადის და იბარებს: ლამის
დამიხრუკავს ვირთევზას ტაფამწვარებიო, თუმცა მე და სადა-
კო ვგრძნობთ, რომ მასში გულწრფელობის მარცვალიც არ
ურევია.

ფუჯიკო ღიმილით დაგვეთხოვა, სამზარეულოს კარები
მოხერხებულად გაიხურა და მოგუდულად იტირა.

მერე ვახშამმა მოაწია და უსიტყვოდ ვილუკმებოდით. სა-
დაკო კვლავინდებურად ცოტას ჭამდა.

წეროთა ქარავანმა გადაუფრინა სახლს და გზასაცდენი-
ლი მოქარავნე დაედევნა ხომალდის ეკიპაჟს. საბუდარში მიეჩ-
ქარებოდათ ფრინველთ.

⁴⁴. ყვავილების ცქერით ტებობა.

⁴⁵. იაპონური სამსიმიანი მუსიკალური საკრავი.

გვიანსანობას, გამოვემშვიდობე სადაკოს და ნაღვლიანი დავადექი ჰიროსიმას ჩაბნელებულ ხეივანს; გზადაგზა მომდევ-და სადაკოს გონივრულად შენიშნული ანდაზა: „ერთ ჭირში მყოფ ადამიანებს ეცოდებათო ერთმანეთი!..“

მეორე დილითაც ფილოსფიის გაკვეთილზე დავიგვიანე... თითქმის ყველა ოთახში ვეძებდი სადაკოს და ბოლოს გა-ვიგე, რომ ნაგონიას საავადმყოფოში დაეწვინათ...[სხვა ჰოსპი-ტალში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა].

პალატაში რომ შევედი მძინარე სადაკოს მოვკარი თვალი. ვნებადგადმომდგარი ჟრულა მთელი გზნებით შემოიჭრა ჩემ-ში.

გვერდით საწოლზე შუახნის ქალი იწვა და ოხრავდა. გო-გონას მიტკლისფერ ბალიშზე სიკვდილი ესვენა.

შემომეფეთა, კატასავით ეშმაკურად გამიცინა და იუხერ-ხულა:

— უ, ჰუ ჰუ, როგორ მძულს ჩემი თავი, როცა ასე უასაკოს უნდა ვუდარაჯო და დავუწნა გირლანდები. მართლა, მტირალ ტირიფებთან ხომ დგას ბინდისფერი ბალდახინი?

ოხუნჯობის თავი ნაკლებად მქონდა, თან არ მინდოდა მძინარესთვის დამეფრთხო ძილი.

— ასეა, ზედაც არ მიყურებთ, აინუნშიაც არ მაგდებთ, ვიდრე არ გაიძულებთ თვალი გამისნოროთ, პატიება მთხოვოთ ყველა არაგულითადი მისალმებისთვის. აჯობებს ვიმეგობროთ და როცა გამიცნობთ, მიხვდებით, რომ მხოლოდ ბუნების კა-ნონზომიერების ალსრულებას ვემსახურები. მეც ხომ ცოდვა ვარ. მეც ხომ ადამიანი ვიყავი, სანამ სიკვდილი გავხდებოდი.

— ე, ხე ხე... გგონია გული ამიჩუყდება? ლაჩრებთან მე-გობრობა არ შემიძლია და მადლობას გეტყვი, თუ გოგონას თმას არ დაუვარცხნი. მაგასაც მოესწრები, როცა მისი სხეული შენი საკუთრება გახდება. მერე შეგიძლია გააპატიოსნო და კი-დევაც თმა დაბანო.

— ოპ, ოპ, ოპ... — ტუჩებთან მიიტანა ხელის მტევანი და თქვა: გაპატიოსნების სპეციალისტი ცალკე არის, მე სულ სხვა ფუნქცია მაქვსო.

მერე ჩუმად ჩამოვჯექი რაფაზე და ხმას არ ვიღებდი. სიკ-ვდილი ზეზეულად ნამოიმართა, ჩემს მუხლებთან დაიჩოქა და მთხოვა:

— მოიფიქრე ისეთი რამე, რომ გოგონას გარდაცვალებაზე ფიქრი დავავიწყოთო.

სხვა ლოგინზე გადასკუპდა და ისე ჩაინა მომაკვდავი ქალის სხეულში, რომ ძალიან შემეცოდა შუახნის პაციენტი.

— აქ მოდი, პატარავ, — დამიძახა ავადმყოფმა. — რასაც ახლა გიამბობ ჩაინიშნე, რადგან ჩემს შეცოდებებს გიყვები. ადამიანს ძალიან უჭირს თავისი შეცდომების აღიარება, თუმცა ცხადია, როგორც დედა ცუდი ვიყავო.

ენოლა გეი⁴⁶

ჩემი სახელია ენოლა გეი.

დაწყევლილ იყოს ჩემი გვარიცა და მოდგმაც, რადგან საშომან ჩემმან დაბადა უკეთურება.

წყეული იყოს სისხლი, რომელიც შეზვირთდა მამაკაცის თესლთან;

წყეული იყოს ნაყოფი, — დაცლილი ამაოების სრულყოფილება;

წყეული იყოს ქალის ორსულობის ცხრა თვე და პლუს (+) მთელი ცხოვრება, თუცი შთამომავლობა სიკეთის მომტანი არ იქნა კაცობრიობისთვის!..

...

ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა...

უიღბლო ქორწინების შედეგად გამიჩნდა პაულ ტიბეტსი. მშობიარობის ტკივილი და მშობლების სიბერის წუხილი.

ექიმის თქმით, ნაყოფის წონა აბორტის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა, ვინრო მენჯის ქონისთვის კი საკეისრო კვეთით მოვილოგინე.

ყველაფერს იმას ვაბრალებ, რომ მასში ნაადრევად შედუღდა: სიძულვილი, პირველკაცობის წყურვილი, მზვაობრობის განცდა, მპყრობელობის უნარი, ეგოიზმი და მიზანთროპობა.

ზიზღით ნადული სისხლი განა სამყაროს გაკეთილშობილებას შესძლებდა? ზიზღითვე ჩაისახა იგი და ზიზღით მოიხსენიებენ მას უკუნისამდე! უარესის ლირსია გველის მოდგმა, რო-

⁴⁶. ატომური ბომბის სახელწოდება, რომლითაც ააფეთქეს ჰიროსიმა.

მელსაც ეს სიცოცხლე მხოლოდ განცდათა, ემოციათა შესაჯერებლად და წარმავლობისთვის კვარცხლბეჭის დასადგამად ესაჭიროება.

სახელი მისია პავლე, თავისაგან პაულად გადაკეთებული. თუ რამე უყვარს მთელს ქვეყნიერებაზე, ესაა ტკბილეული, ქალალდში გამოკვანძული კანფეტები.

სამი წლის ასაკში ძალის ლეკვები ცოცხლად დამარხა. თანატოლებში თამაში არ შეეძლო და იძულებული შევიქმენით ოთახში გამოგვეკეტა.

კვირაში ორ დღეს ფსიქოლოგთან სეანსებზე დაგვყავდა; ექიმის დიაგნოზით, პაული დაავადებული იყო შიზოიდური ფსიქოპათიით, რის გამოც სურდა მას განმარტოება და უყალიბდებოდა მშრალი, ოფიციალური დამოკიდებულება აღამიანებთან.

თორმეტი წლის ასაკში, აეროპლანით გადავუფრინეთ მშვენიერ ილინოისს⁴⁷. თითქოს ამან რევოლუცია მოახდინა მის ცნობიერებაში. ჭიანჭველებივით სჩანან ადამიანები და ამ კანფეტს არ აღემატებიან სიდიდითო. მან მორჩილებით ითხოვა ქაღალდის პარაშუტებზე გამოენასკვა მთელი შეკვრა ტკბილეული და ზეციდან გადმოეყარა...

მერე დაიწყო ენციკლოპედიების დამუშავება; გულმოდგინედ იკვლევდა სამხედრო-საავიაციო ხომალდების აგებულებას; გამუდმებით საუბრობდა: საპარო ხრახნზე, ფრთაზე, ფიუზელაჟზე, ფილტრზე, რეაქტიულ ძრავზე, საჭე-ამომრთველზე; „ბიპლანი მოხოპლანზე უფრო მანევრულია, თუმცა დიდი შუბლური ნინალობა აქვს, რაც ფრენის სიჩქარეს საგრძნობლად აძლიერებს“. ცნობილია ველოსიპედის, თხილამურის, ტივტივის და ნავისებრი აგებულების თვითმფრინავები და ასეთი უამრავი მეცნიერული წვრილმანით გვაძეზრებდა თავს...

და იცით რა ქნა პაულმა მოგვიანებით? თექვსმეტი წლისა სახლიდან გაიქცა. სამხედრო სამსახურში ჩაეწერაო, მომდიოდა ხმები, თუმცა მისი არსებობის შესახებ მერჩივნა არაფერი გამეგო.

ნინათ ვახსენე უილბლო ქორწინება, რომელმაც ოჯახი დამანგრევინა. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ქმარს გავეყარე, სულიერ მეუღლეს – უმწიკვლოებას – არასდროს ვლალატობ.

⁴⁷. შტატი აშშ-ში, მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის ცენტრალურ რეგიონში.

[პატიოსნება სამკაულია, რომელიც ხელიდან არ უნდა გაძვრეს დედაკაცს].

ილინოისში პატარა სახლი მქონდა. ვერანდაზე მიყვარდა ხოლმე გასვლა და სარწეველა სკამზე ჩამოჯდომა.

ბოლო დროს მხედველობა დამიქვეითდა და სისხლის ანალიზებშიც ლეიკემიის ნიშნები აღმომაჩნდა. სამსახურს თავი დავანებე, რაფგან ფიზიკური შრომა მიწევდა.

შენი სახელი შემახსენე, პატარავ? ჩიზუკი? ხომ ყურადღებით მისმენ...

— დიახ, — კვერი დავუკარი და უფრო ახლოს მივედი, რომ გარკვევით გამერჩია ტექსტი, რომელსაც მიბნედილი ხმით მიყვებოდა ქალბატონი ენოლა გეი.

— მაშ ასე. რადიომიმღებს ვუსმენდი იმ დილით [ვგონებ პარასკევი იყო, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს] და ამერიკელმა კორესპონდენტმა ხმისაუთრთოლებლად წაიკითხა პრეზიდენტის განცხადება:

„ჩვენ ჩავებით აზარტულ თამაშში...“

ვიფიქრე, ალბათ იმ კაზინოების ლეგალიზაციაზე უნდა გააკეთონ საჯარო მოხსენება, რომლის გაცხოველებული მშენებლობა წამოიწყეს-თქმ და ყურადღება მოვადუნე.

„ორი მილიარდი დოლარი დავხარჯეთ უდიდეს მეცნიერულ გამოგონებაზე“. სიტყვა მეცნიერულის ხსენებაზე კი თმა ყალყზე დამიდგა, ჟრუანტელმა დამიარა. კვლავ ვიმედოვნებ, რომ საუბარია სათამაშო აპარატის სახეობაზე...

ყურთასმენა დავძაბე, კორესპონდენტი კვლავინდებურად აგრძელებდა:

„გამოვიგონეთ, მაგრამ არ ვიცოდით სასურველ შედეგს თუ მოიტანდა...“ ეს იყო ექსპერიმენტი, რომლის ფინალი თვით შემქმნელებმაც ვერ განვივრიტეს. ეს ცდა დღეიდან შეცვლის სამყაროში ადამიანთა დამოკიდებულებას. გნებავთ შიში უნდეთ, გნებავთ ფსიქიკური ზენოლა!.. მთავრობები, რომლებიც ეცდებიან ომის პოლიტიკის წარმოებას, სასხლეტზე თითის გამოკვრამდე დაფიქრდებიან, აქვთ კი ისეთი მძლავრი იარაღი, როგორც ამერიკას, რომელსაც ომის პირველივე საათებში შეუძლია გამარჯვების მიღწევა. ამ ისტორიას შეუძლია კაცობრიობა ლოიალური გახადოს, თაობებს შატივისცემა ასწავლოს და ვინაიდან იაპონელებმა ჩვენი პირობები არ მიიღეს, ზეციდან

წამოსული გამანადგურებელი ატომის სურნელი დაუამებს ყნოსვას.

კორესპონდენტის [და მასავით მოფიქრალი ყველა ჰომო-საპიენსის] სიძულვილი სასულეში გადამცდა და ნერვიულობის-გან ცახცახმა ამიყოლია. წარმოვიდგინე, იაპონია ამ დროს მსხვერპლს ითვლის, ნანგრევებში ადამიანებს ექტს, ამერიკელი რეპორტიორი კი კმაყოფილებით აღნიშნავს:

„ჩვენ გავიმარჯვეთ.“

გაიმარჯვეს იმთავითვე, რადგან დეგუსტაციის სახით მი-აღებინეს ადამიანებს: სიმუავე, სიმწარე და მომწამვლელობა.

სამზარეულოდან ფინჯანი ყავა გამომქონდა, როცა შო-რით მომავალი მამაკაცის სილუეტი შევნიშნე. ჭიშკართან ატუ-ზულს ვერ გაებედა შემოსვლა. ასე ემართებათ ხოლმე: დამნაშა-ვე ვაჟიშვილებს, უმიზეზოდ სახლიდან გაქცეულებს, მშობლის გულისწყრომით გაბოროტებულებს, საყვედლურისა და შენიშვნე-ბის არმოსურნეებს, ამბიციურებს, პატივმოყვარეებსა და მედი-დურებს, თავანეულებსა და მაინც ჭვავივით თავჩაქინდრუ-ლებს;

ასე ემართებათ: სინდისგალვიძებულებს, ქენჯნისგან ნა-მუსატკივებულებს, ჭეშმარიტებისგან შეძრნუნებულებს; დიახ, იმ ადამიანს ჰავხარ, რომელმაც ცხოვრება სადღაც დადო, მე-რე დასჭირდა, მიაკითხა და არ დახვდა. (სწორედ ამიტომ ხარ ცხოვრებადაკარგული ადამიანი).

იდექი ახლა და ათვალიერე საკუთარი ჩრდილი. იმ ეზო-შიც კი არ შემოაბიჯო, სადაც აიდგი ფეხი. იმ ხეს ნუ ეყუდები, რომლის ქვეშ საქანელა ჩამოკიდა სულძალლმა მამაშენმა და ნურც იმ ლობეს ჩაუვლი, რისი აღმართვა-შეკეთება იუკად-რისე...

ნუ გეგონება, როგორც დედას, გული ამიჩუყდეს, ყველა-ფერი დავინყებას მივცე და ხელგაშლილად მიგიპატიურ სამზა-რეულოში; გაგიმასპინძლდე უწინდებურად და არ ვითაკილ შენი ძველმანი, ტალახმოდებული პიჯაკების ხელით რეცხვა.

და მაინც შემოვიდა, როგორც უსინდისოთაგანი!... „დედა“ დამიძახა [სხვა პიროვნებად მაცცია მისმა დაძახებამ] და თით-ქოს სასწაულმა ნავთობივით ამოხეთქა მიწიდანო!.. ცეცხლი ნა-მეკიდა, სული ამინრიალდა, თავდავიწყებამ დამიმონა. ნალველი და კაეშანი სხვა სხეულში გადავნერგე, მოღალატე გულში ჩავი-კარი და თმაც დავუვარცხნე.

დიახ, ვიცანი. თითქმის ისეთივე იყო, როგორც სახლიდან გაქცევისას. ის სუნი ასდიოდა, დაბადებამდე, შობის შემდეგაც ყოველ დედას რომ ყნოსვას უამებს და ბედნიერს ხდის. ყველაფრის მიუხედავად, მე ის მიყვარდა. მიყვარდა მაშინაც, როცა მავნებლობდა, ცხოველებს ანამებდა, მეზობლის ბავშვებს სცემდა და მაშინაც, როცა მელასავით გაიძურნა შინიდან. მიყვარდა იმის მიუხედავდ, რომ მთელი წლების მანძილზე ერთხელაც ვერ მოახერხა დარეკვა და ფოსტის გამოგზავნა.

მოვიდა, თვალებში დაგუბებული ცრემლი დამანახა [სახე-ზე ნაიარევი ეტყობოდა, თუმცა ბავშვობის ფათერაკის შემდეგ საგრძნობლად გაზრდილიყო] და თქვა:

„დმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე.. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ეს საზარელი წუთები არასდროს წაიშლება ჩემი მექსიერებიდან-ო!..“

და მოჰყვა საზარელ სოკოზე, დაღუპულ მსხვერპლზე, ეკიპაჟის დაბრმავებულ მეგობრებზე. არეული, დაბნეული და ძალიან შეურაცხადი გამომეტყველებით იხსენებდა ვინმე კაპიტან ფარიზონს, მეტყვიამფრქვევე ბობ კარენს... კუნძულ ტინიანის ბაზის ასაფრენ ბილიკს, 4700 ფუტ სიმაღლეზე მოფარფარე „ენოლა გეის“, სიყრმიდან ამოჩემებულ ტექსტს, „სამიზნეს ამინდი ირჩევს...“

ოთახში წვრილთვალება ექთანი შემოვიდა, კათეტერით წამალი შეუყვანა ენოლა გეის და თხრობის დასრულებამდე პაციენტს ჩაეძინა.

სიკვდილი უწინდელთან შედარებით უფრო ამაყად იწვა მის სხეულზე და წებივრობდა. ქალს რომ დავხედე, შევნიშნე, მთელი ამ ხნის მანძილზე ცრემლები სდიოდა და ემოციებით დაზაფრულს მის მოსანენდად არ ეცალა.

ცხვირსახოცით მოვწმინდე თვალის უპეები.

პალატაში, სადაკოს მამა, შიგეო შემოვიდა. შუბლზე აკოცა მძინარე ქალიშვილს და ლოცვა წაიკითხა:

„მთების სულად წოდებულო მგელო ოკამი, მეომარო ჭრიჭინა ტომბო, ღვთაება ინარ!⁴⁸ ავადმყოფობის ავგაროზო კიბორჩალავ [კანი] და თევზო ოკოძე⁴⁹, დაგანახებთ მზის სინათლეს, თუკი უმკურნალებთ ჩემს ქალიშვილს!.. და თქვენ, ყოველ-

⁴⁸. ცხოველის, ძირითადად კი მელიის კულტით გაცხადებული ღვთაება.

⁴⁹. ხალხური რწმენა-წარმოდგენები.

ნო ციურნო და მიწიერნო, მოგართმევთ კაგამიმოტის⁵⁰, ოლონ-დაც მზეგრძელყავით პატარა სადაკო!..“

...
სწორნისკარტა, მაღალფეხება წერო, სარკმელთან მიყუ-შული, აბურძგნილ ბუმბულს ისველებს. ბუდემოშლილი ფრინ-ველი ახალ საბუდარს დაეძებს...

ფიქრი სად შეუძლიათ ფრინველთო! – მჭევრმეტყველებენ ადამიანები და ამით კიდევ ერთხელ, თავიანთ სასიკეთოდ, ღვთისგან ბოძებულ პრივილეგიებს ხაზს უსვამენ.

მაგრამ რა ვთქვათ ახლა იმაზე, ომის კანონმდებლობით უბინაოდ დარჩენილი წეროთაგანი თავჩაქინდრული რომ დგას და არ იცის რა გააკეთოს?! შენ როგორც მოფიქრალი, როგორ მოიქცეოდი ადამიანო?!

სულიერის მსგავსად, აი წეროც დადგა გამოცდისა და არ-ჩევანის წინაშე. – ან ინსტინქტს უნდა დანებდეს ან გულისთქმას მიჰყეს!.. [წებისმიერ შემთხვევაში, ინსტინქტითა და გულის-თქმით ჩადენილს გაამართლებ, რადგან ორთავე მოვლენას ზე-ბუნებრივად მიიჩნევ, აი ნაფიქრალთან კი საქმე სხვაგვარადაა].

რთულია არჩევანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისგან უცილობელ გამარჯვებას ელოდები!.. თუკი მისხალ-მისხალ არ აწონე, გაზომე და დააკვირდი ყველაფერს, [მით უფრო მაშინ, თუ შენი სიცოცხლე უდღეულ პეპელასთან შედარებით მცირედ ხანგრძლივია და ადამიანთან მიმართებით საგრძნობლად ხან-მოკლე]. თავშისახლელი, სახათაბალო და სანანებელი მომავა-ლი, კარზე წამის მეათედში მოგიკაეუნებს.

და ვიდრე შენს სიცოცხლეს აფთარსავით დაეპატრონებო-დეს სიკვდილი, შენ უნდა იფიქრო და იოცნებო. ოცნებაზე მარ-ტივი ხომ არაფერია, მითუმეტეს, როცა საოცნებო საგანთა რიცხვი არ აღემატება ერთს. – სასიკვდილო ვადის განგრძობას.

აფეთქებული ალუბლის რტო თეთრად აყვავებულა, აკა-ციასთან დამაშვრალ სიფრიფანაფრთიან ფუტკართა “საგა” კი კამკამა წყაროს დაეძებს.

ყვითლად შეღებილ ოთახის კედელზე დაკიდული საათი ყოფიერების წამებს ითვლის; დარაჯობენ ციფერბლატები მა-რადისობის წიაღიდან გამოხიზნულ სიკვდილს, რომელიც ზეცი-ურ მისიონერივით მოციქულობს და ხელსაყრელ მომენტს

⁵⁰. ტაძარში მისატანი ძლვენი.

ელოდება, რათა მშვენიერი გოგონა რიგით მიცვალებულად აქ-
ციოს.

მთელი დღეები ვსხედვართ მე და სადაკო. ქალალდის
გრაგნილებს მაკრატლით ერთ ზომაზე ვჭრით, ოთახში გაჭი-
მულ თოკზე თეთრეულივით ვფენთ წეროებს და მათი რიცხვი
ისე მრავლდება, რომ იძულებული ვხდებით ენოლა გეის სა-
წოლსზედა სივრცეც გამოვიყენოთ.

...
ის კვლავინდებურად მოთქვამდა. ახსენებდა: მიწისძვრას,
ჩასისხლიანებულ მთვარეს, ლელვის ხის რტოდან მკვახე ნაყო-
ფივით ჩამოცვენილ ვარსკვლავებს, წიგნივით დაგრაგნილ ცას
და მღვიმებში დამალულ ადამიანებს.⁵¹ თავშესაფარი მიეცით
ნოესან მიტოვებულ კამეჩისო და ხელების იმიტაციით ვითომ
თავისუფალ ადგილს ეძებდა...

— ეს ნოე ვინ არის, ან კამეჩი და თავშესაფარი რა შუაშია-
მეთქი.

— ნოე არის ახალი სიცოცხლე, თავშესაფარი — ჩვენი პლა-
ნეტა, ხოლო კამეჩი გაუგონარი კაცის სახე, რომელიც დასაჯეს
ზეციურმა ძალებმა. აი, სწორედ ასე იბლავლებს სახედაკარგუ-
ლი, ადგილუპოვნელი პაულ ტიბეტსი!.. კაცი, რომლის ფილ-
ტვებში გაურნა ბოროტების მტვერმა.

მე კი... გულისტკივილის შემდეგ მიზეზს და ადგილს ვე-
ძებდი, შემთხვევას ველოდებოდი, რომ ადამიანებს გავცლოდი.
მომეცა საშუალება და დავტოვე კონტინენტი. იქ ჩამოვედი, სა-
დაც ატომური რადიაცია არღვევდა მოქალაქეთა ჯანმრთელო-
ბას.

მაგრამ აქაც შევცდი. ნაცნობებისგან მოწყვეტით და ადა-
მიანური გრძნობების გაუდაბნობით შვება ვერ ვპოვე. ასე უბე-
დურს, მომენატრება ხოლმე მეგობრები, სახლის ვერანდა, ეზოს
ჭადრები და ყვირილს ვიწყებ. მტკივა და ვყვირი...მტკივა და
ვყვირი... მაგრამ ყვირილით ეშველება რამეს?

— მე ყველაფერს შენთვის ვაკეთებდი და ეს კარგად იცო-
დი ენოლა გეი! — ასე მითხრა პაულმა უკანასკნელად. ქურაში
გავარვარებულ მოელვარე სპილენძს მიუგავდა პირსახე. თვა-
ლები ელვასავით უციაგებდა და ტუჩის ცმაცუნით ამბობდა:

⁵¹. აპოკალიფსის თავი ბიბლიიდან.

შენი სიყვარულით დავარქვი ხომალდს „ენოლა გეი“; შენი სახელის უკვდავსაყოფად მიმქონდა ის იარაღი, რომელიც შეიძლებოდა გადაზიდვისას ამფეთქებოდა. ახლა კი გინდა უარყო? ჩემი მეგობრები მათმა დედებმა ხვევნა-კოცნით მიიღეს, სადღესასწაულო ნამცხვრები გამოუცხვეს და კიდით-კიდემდე გაავრცელეს მათი შვილების გმირობის ისტორია. შენ კი, რას აკეთებ ამ დროს? უარყოფ შვილს, მხოლოდშობილ ძეს!.. მე რომ არა, ამას ვიღაც მაინც გააკეთებდა...

— სწორია, ვიღაც გააკეთებდა; შენსავით თავზეხელალებული, წარუმატებელი, წრუნუნასავით გაქცეული, ოჯახუარყოფილი და უგულო ადამიანი!.. გააკეთებდა ის, ვისაც დასაკარგი არაფერი ექნებოდა. შენი აზრით ენოლა გეი უკვდავყავი? მერე ვინ მოგცა იმის უფლება სხვისი სახელით აკეთო ესოდენ დიდი ბოროტება? შეცდი პაულ! შეცდი, რადგან დედის ხასიათი ვერ შეისწავლე. როცა ჭკუის დარიგება გჭირდებოდა — მიგვატოვე. იმათ რიგებში ჩაეწერე, რომელთა მშობლები შვილებზე უზნეონი და სინდისგარეცხილები გამოდგნენ!.. შურით, ღვარძლით, სიძულვილითა და სისასტიკით იცხოვრე და არ იცოდი, რომ უკეთურების მახლობლად შეიძლება ესაზრდოვა ჭეშმარიტებას, ზნეობას, მორალს, სინდისს, სულიერებას. მერე რა, რომ წარჩინებულთა კოლეჯი დაამთავრე ან წიგნიერი გიწოდეს, შენ ხომ ვერადროს იგემებ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, რადგან უგულოდ დახარჯვე სიცოცხლის წამზომი!.. თავად განიდევნე მგრძნობელობის სავანედან და ჰარმონიასმოწყვეტილი ახლა ქვაფენილზე დავარდნილ მარცვალივით ხარ, რომელიც გადარჩენის მიზნით ქარს ეხვენება ტრანსპორტირებას.

— ზნეობა რას ჰგავს დედა?

— ლელვის ხის რტოს მიმაგრებულ ნაყოფს; საკმარისია ნაყოფი ქვაფენილზე დაენარცხოს და დედა ხე ზედაც არ შეხედავს!.. უცხოა შენთვის ზნეობაცა და სინაულიც, მოუნანიებელი კაცი კი ჩემთან ვერ გაიყოფს ლუკმას!..

— მაშ, უარყოფ ენოლა?! იქნებ უადგილო იყოს ზნეობაზე ასე დაგვიანებული საუბარი? თვალებში შემომხედა და შევატყვე, იარაღის კონდახი შეემართა. სასხლეტან გაუაზრებლად ათამაშებდა თითებს. როგორც წესი, მეომრის თოფში ერთი ტყვია ყოველთვის არის გადანახული და გამონაკლისი არც ახლა იქნება. ვხვდები მის განზრახვას, მაგრამ უმოქმედოდ ვარ. სინამდვილეში ეს იარაღი მან მე დამაჭერინა, თითის გამოკვრა-

არგამოკვრის შანსიც მე მომანდო, ხვალინდელი დღეც ჩემს
ხელში მოამზყდია.

ტყვიის გასროლამდე ყველა დედა ფიქრობს, არის კი ისე-
თი საშუალება, რაც ამ განზრახვას ჩაახშობს?

არის!.. ფარისევლური ალერსი, გულში ჩახუტება, მოფე-
რება, პატიება, სიბრალული... მერე იმაზე ფიქრი, რომ შვილზე
უზნეო მშობელი აღმოჩნდა და მისთანები. საკმარისია ჩემგან
ერთი უარი და სამუდამოდ დავკარგავ მას. [ერთ უემოციოდ
ნათქვამ სიტყვას – გპატიობ, პირიქით, შეუძლია გადამირჩინოს
მხოლოდშობილი ძე]. მახსენდება კორესპონდენტის კმაყოფი-
ლებით ნათქვამი, „ჩვენ გავიმარჯვეთ!“. და დაიწყო ჭიდლი დე-
დობრივ გრძნობასა და სიმართლეს შორის, რომელიც სამართე-
ბელივით მომბჯენოდა ყელზე.

და მე ვარჩიე სიმართლე!..

მე გავიმარჯვე...

სულაფორიაქებული, აღელვებული და შეურაცხადი დავ-
ყურებდი პაულის გვამიდან თქეშით წამოსულ სისხლს, რომე-
ლიც ჭიდლარის გადაჭრის და ჩემი სხეულიდან მისი განკვეთის
წამებს საოცრად ჰგავდა. უბრალოდ, მაშინ თეთრხალათიანები
მილოცავდნენ მის დაბადებას, ახლა კი მორგის თანამშრომლე-
ბი მისამძიმრებდნენ.

...

633, 634, 635... ფანჯრის რათაზეც ნახეთ, იატაკზეც, ჭერ-
ზეც. ყველგან მოძებნეთ... აი, 641, 642, 643-ე ქალალდის წეროც
გამოჩნდა. ვითვლით, ვანგარიშობთ, მაგრამ არც მეტი გამოდის
და არც ნაკლები. ფუჭიკო და შიგეო გოგონას ნივთებს ჩემო-
დანში ალაგებენ, თან ცდილობენ როგორმე დამალონ ზნუხარე-
ბა, რაც ეს-ესაა შეემთხვათ. ბოლოს და ბოლოს, ხომ კარგად
იციან, რომ „არ შეიძლება იმაზე მეტი გააკეთონ, ვიდრე ბედის-
წერამ მიუზღო“.

მე სარკმელთან ვდგავარ და გარეთ ვიყურები. შუშის მიღ-
მა დგას წერო და დამწუხრებული იყურება. ვხედავ, რომ ნის-
კარტით ეფერება მასზე უფრო მომცრო ზომის ქალალდის წე-
როს. ვაკვირდები და გაოცებისგან ვყვირი: „644-ე წეროც გა-
მოჩნდა, დედა წეროსთან ერთად-მეთქი!..“

ყველანი ფანჯარასთან ვგროვდებით!.. დიდებულო სინ-
ტო, ქალალდის წეროზე წარწერა იკითხება. „ ჩემი სახელია
ჰიროსიმა“, მის ქვეშ კი კოხტად ნაწერი ჰაიკუ:

– წეროთა ფეხებზე,

ვით სარჩეველაზე –
მე და დრო ვეკიდეთ...
სწორნისკარტა, ბუდემოშლილი წერო ქალალდის ნაკეთო-
ბას ეალერსება;

ალბათ ისიც დედა იყო.

შესაძლოა ომბა მასაც მოსტაცა შვილი.

შენ რას იტყვი ადამიანო?!

მე? მე მეკითხებით? აა, რასაკვირველია, უნდა გიპასუხოთ
ხომ? ჩემი აზრით... დიახ, მე ვამბობ, რომ კეთილშობილება გა-
დაარჩენს სულიერთა სამყაროს... რომ მიმოიხედავ ერთხელაც
და მიხვდები, შენზე გაცილებით ლამაზად წეროთა ქარავანს
უცხოვრია... შეგრცხვება, ადამიანობას გეფიცები!.. შეგრცხვე-
ბა და პაულ ტიბეტსის მსგავსად ადგილუპოვნელად მოკვდები...

2011 წელი
თბილისი

პავმობადაკარგული თაობა
ანუ
ბოლოსიტყვაობა,
რომელიც
ავტოპიოგრაფიას
ჰგავს

მიწის სუნი ასდის ამ მარტობას და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ადამიანებმა მიწასავით გამომიყენეს. ნააღრევად დამბარეს, დამფარცხეს, დამმარგლეს და ახლა, როცა მოსავლის მოწევნის უამი დადგა მომინდა სოიოს მარცვალივით მიმობნეულ წლებზე ზერელედ გადამეხედა. შევძრნუნდი, ღმერთმანი! ვხედავ, მხარზე მოგდებული ილუზია რეალობის ნიღაბთან პირფერობს. აი, თურმე რისთვის დამჭირდა ფურცელთან განმარტოება. ჩემს გამოგონილ სამყაროში, სადაც ყველაფერი არცთუ სახარბიელოდაა მოწყობილი, საიმისოდ რომ გული არ დამწყდომოდა [მუცლით-მეზღაპრემ] ახალ-ახალ ადამიანებსა და ისტორიებსა დავუწეუ „ძერწვა“.

ასე აღმოვჩნდით ომის ქარცეცხლში, საიდანაც გადარჩენილებმა ერთმანეთის ხათრითა და ჯიბრით დავიწყეთ ცხოვრება. დედა ცდილობს ომის მიზეზი განმარტოს, თუმცა ქვეცნობიერად უფრო ის მაწუხებს, რატომ ვწევარ იატაკზე, რა იქნა სათამაშები და რას ნიშნავს ასე ყოველ წუთში ნათქვამი სიტყვა „უსახლკარობა“.

სოფლიდან – სოფელში, ქალაქიდან – ქალაქში, ორიოდ ჩემოდნის თანხლებით, დავძრნით. [ასეთია ადგილუპოვნელთა ბედი]. მამა ამბობს: – თავშესაფარი უნდა ვეძიოთ და თავიდან დავიწყოთ ყველაფერი. როგორც მოკედავებს, ბევრი რამ დაგვჭირდება, არა ფუფუნებისთვის, არამედ საარსებოდ, თავის გასატანად...

ჯანდაბას, მხოლოდ ხუთის ვარ და იმ პირობას მივიღებ, რასაც შემომთავაზებთ. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ გულისტემა ჩემი ოდესმე დაარღვევდა თვრამეტნლიან დუმილს და კალამი ბავშვობის ქიმერიონთან დამაპირისპირებდა.

ბავშვობაში რომ შეგონებებს ჩამჩიჩინებდნენ, ყოველი სიტყვა ენის წვერზე მადგება და მინდა ვიყვირო, ვიტირო! დიახ, იმიტომ, რომ არასწორად მზრდიდნენ, ბავშვურ ბედნიერებას მიმალავდნენ, მარტოოდენ სამყაროს შავ-თეთრ გამოსახულებიან, გაბლენძილ ტელევიზორში მანახებდნენ, ისიც შეზღუდუ-

ლად, მხოლოდ განსაზღვრული დროით!.. ჯვარს იმისთვის არ ვატარებდით, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული რომ არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ფრინველთა გამოჩეკილ მატერიკი, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!..

პირად განცდებზე როდი მოგითხობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგვარი თავგადასავლებით, საპოვნელას, ნიშნანიშნასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლა.

ამადაცაა, ჰარმონიის საძიებლად ვიხსენებ ხუხულას, ხიმინჯებზე დაფგმულ ოდას, ჭასთან დამდგარ ჭანჭახს, ბზით შემორაგულ ეზოს – დეკორატიულ ღობე-გალავანს!.. ფარლალა-ლა მარანს, კალო-საბძელს, ალერდთა ზეინს, ბოსელსა და თავ-ლას, ეზოში დაბუდებულ სკას, წარწერით „სასუტელას მფარველი ანანა-გუნდა“. [სულ ახლახანს გავიგე, რომ სასუტელა იგივე ფუტკარი ყოფილა, ანანა-გუნდა კი აფხაზ ხალხში დღემდე შემორჩენილი ტრადიციული რწმენის გადმონაშთი – მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი]. ვიგონებ ბალში დადგმულ საფრთხობელა ა-ლაკუმზას, მარცვლეულთა დასაფქვავად აღმართულ ბუჭულას და ბოძებზე შემდგარ ნალიას.

თუმცა, ეს ყველაფერი ტკბილ მოგონებად დამრჩა.

რახანია გავიზარდე და ფიქრიც ისევე ვისწავლე, როგორც ანბანი. ველოსიპედივით დავეუფლე ცოდვა-ბრალიან წუთისოფელს, სადაც ლამის სევდის ობელისკად ვიქეც!..

ან განსვენებული დიდედაჩემი, თვალცრემლიანი, დანანებით უბნობს: უწინ ასე იყო, პურივით ვილუკმებდით მწუხარებას, ბედნიერებასა და დარდის მელანქოლიას. დღეს კი... რწმენა დავკარგეთ, – მომავლის და საკუთარი თავის! იხვენება, ვუწილადო სასოება, დავაიმედო, რომ ერთ დღეს გაიღვიძებს და მეზობელი შეეხმიანება, – ხახვის ან ღერლილის თხოვნით. (ალბათ კი არადა და) რასაკვირველია, ადამიანები დაიღალნენ ერთფეროვანი ცხოვრებით, ყელზე ბურთივით რომ დაადგებათ და სულაფორიაქებულები უნებლიერ ხელს კრავენ ერთი სცენარით განვითარებულ სამას სამოცდახუთ [ან ცოტათი მეტ] დღეს. რადგან ამაზრზენია, რწმუნდები რა, რომ ხვალინდელი დღე არაფრით იქნება დღევანდელზე საინტერესო და უკეთესი.

სამწუხარო ჭეშმარიტებაა – ხელის ერთი მოსმით გაქრა იდილია. გაუკაცრიელდა კარ-მიდამო, ხოლო მარანს, სადაც

უნინ ვაზის ნაჟურს ვლვრიდით, მორიელები შეესივნენ. ისლით დახურულ ოდას საბუხრე მოერღვა; დაცარიელდა ნალიაცა და ბელელიც. თავლაში ნაკელი გახმა და არც მსხვილფეხა საქონლის აღმუვლება ისმის, სალამო ხანს სახლის კართან მომდგართ რომ სჩვეოდათ. ჭამდე მისასვლელი ბილიკი ეკალ-ბარდებით დაიფარა. ქანდარაზე გადმომდგარი მოკუნტული ქათმების ადგილას ყვავებმა იწყეს ბოინი და ყრანტალით აიკლეს იქაურობა. ისეთი ამაზრზენი სანახავია სოფელი, რომ ძველებურად შიშმა შემიპყრო, ზუსტად ისე, მეხის გავარდნისას რომ დამეუფლებოდა და აფორიაქებული კარადაში შევიყუშებოდი, ვიდრე გრუსუნის ხმა არ მინავლდებოდა.

ისეთი განცდა მაქვს, ლარნაკში გამხმარ ყვავილს რომ შესაძლოა ოდესმე დაეყუფლოს. გული მაქვს გაპობილი და ამ ქრილობას ვერ ვშველი, თორემ ქრისტესისხლათი უბრალო იარა რამდენგზის მომირჩენია. ქვიჯაში დანაყულ ნიორივით ვარ!.. ოლონდ მართლა, არ გეგონოთ გამოგონილ განცდაზე ვწერდე.

სულატკიებულს გამუდმებით ჩამესმის: კიდეც უნდა შესცოდო და მოინანიო!.. დანაშაული რომ გამოისყიდო, როგორმე უნდა დააშავო!.. რაც მეტ ტკივილს იგრძნობ, უფრო დაგიამდება გველივით დაკალაკილი და სასოწარკვეთილი სიცოცხლე. დაე, მოხსენი ღირსებას მარყუში და სახრჩობელაზე ჩამოკონიალებული, ტომარანამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისგანო!..

მე კი... სიამაყის გრძნობადაკარული [არადა წყეული უსამართლობა რომ არა, ინდაური კაცზე მეტად გაბლენძილი უნდა დადიოდეს?] მამასთან საუბრისას ვწერ: უცხო კლიმატში გადარგული თავმოყვარე ხე თავს გაიხმობდა, ჩვენ კი... უკეთურებას შევემთხვიერ და გვეამა, უბედურება გადაგველობა და გულში ჩავიკარით, ხელმოცარულ მარტოობას დავუზავდით და მერე ისე შევეჩვიერ ამ ყოფას, რომ არამც და არამც გავიბრძოლებთ დაკარგული ღირსების დასაბრუნებლად. სამოთხე სხვა კი არაფერი არის, თვინიერ სამშობლოს გარდა. მე და შენ კი უ-ს-ა-მ-შ-ო-ბ-ლ-ო-ნ-ი და ბედს შეგუებული სალახანები გავხდითო.

ბავშვობა რომ დაკარგო, ოდესმე ხომ უნდა გქონოდა იგი. მე კი აღარც ბავშვობა მინახავს და არც სათამაშოები. არა, არ გეგონოთ, თითქოს გავბოროტდა, შურმა თვალისჩინი წამართვა და ეგოიზმმა ცეცხლი წამიკიდა. უბრალოდ, ადამიანურად მომადგება ხოლმე ნერწყვი და შიმშილნარევ მზერას დავადევნებ

დანარჩენ ბავშვებს, რომელთა მამებს, ომის მიუხედავად, ეტ-ყობა ჯიბის სისქე ჯერაც არ დაუთხელდათ!..

ამასობაში, უნებლიერ შემომეპარა უნდობლობა. სანგარ-ში დამალულ მტერს კი ჩემი უმწეობით რომ არ ესარგებლა, გა-ვაათკეცე თვალისჩინი და ყოველგვარ წვრილმანს გაფაციცე-ბით დაცუნყე ზვერვა. არადა მეც კარგად ვიცი, რომ წასულია ეჭვიანი კაცი საქმე. ვიდრე სხვას შეჭამდეს, ის საკუთარ თავს დახრავს.

და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, მარტოობით შეძრნუნებული, შიშვე-ლი ხელით ვებრძოდი ყოველდღიურობას; სტიქიის შედეგად გა-უბედურებულ კაცის მსგავსად კი, ყველა უბედურებასთან ერ-თად, მამაც დავკარგე. [მარტოობა მას მერე სულში შემომეკედ-ლა, თორემ მანამ ტყუილუბრალოდ ვწუნუნებდი თურმე].

კაცობრიობას საზიზლარი ეპიდემია – ურნმუნოება მოე-დო, რომელმაც საბოლოოდ შვა ეჭვიანობა და სისასტიკე, დასა-ბამი დაუდო ავხორცობას და ერთნაირად მოფიქრალი ადამია-ნები გარიყა.

ჩემს ნაწერში კი სევდა გაცოცხლდა, როგორც ყოველკვი-რული ლამის კოშმარი და საკუთარი თავი [მერამდენედ] დავ-კარგე! იქ, შორს, გემის ბაქანზე ვიღაცის ლანდი დგას, მალუ-ლად მიხმობს (სიამაყე პატიების თხოვნას უკრძალავს) და მე-ჩურჩულება: არ გინდა ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? ჩვენ ხომ ოდესლაც, შორეულ წარსულში, ერთმანეთი ვიპოვეთ და არც ახლა გაგვიჭირდებაო.

ბავშვობადაკარგულები ერთმანეთისთვის ვლოცულობთ! ღმერთს შევთხოვთ, დანარჩენებმაც არ დაკარგონ ბავშვობა.

დაკარგული სამოთხის ძიებაში

ო! ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი!
ო, უფალო, ღმერთო, მამაო ჩვენო ზეციურო,
პატრონო, მწყემსო ყოველთა მინიერთა! რა შეგცოდა
მოდგმამ კაცთამან ეგეთი, რომ გახადე ერთმანეთისა
სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად?!
აფხაზი გოგოს დღიურიდან

ნაწილი პირველი

ზღაპრები არასდროს მყვარებია, ისინი მხოლოდ მაშინ
დავაგემოვნე, როდესაც ჩემმა დისწულმა ხელში ასტრიდ ლინ-
დგრენის⁵² „სახურავის ბინადარი კარლსონი“, შემომაჩერა.
თხრობა ფანტასტიკური, ამაღლელვებელი ისტორიებით იყო გა-
ჯერებული. ფოტოფირივით აკინძულ ამბავს მუცლით-მეზღაპ-
რე ბავშვურად მიამბობდა. მეც კა, ჭუადამჯდარს, მსიამოვ-
ნებდა „მოგონებული ტყუილი, შემჭერებული ამბავი, რომელი
ივლტიან ბილწ-ჰამბობასა“⁵³ და მივხვდი, რომ ბავშვ[ობა]და-
კარგულ თაობას ვეკუთვნოდი, რომელსაც ბრძოლის წესები,
სამხედრო ლიტერატურა და ომის სურათები თვალწინ გადაუ-
შალეს; ტკივილიანი, სისხლიანი ანბანის გარშემონერილობით
კი შეაგონეს: „შენ დაკარგული სამოთხიდან ხარ!-ო“.

მოგვიანებით ამავე სახელწოდების ჯონ მილტონის⁵⁴ წიგ-
ნში ამოვიკითხე:

„ნეტა ესენი ვინ არიან? ხალხს არა ჰგვანან,
ალბათ სიკვდილის მთესველები თუ იქნებიან!
ასე უგულოდ როგორ ჰკლავენ ადამიანებს?
ათიათასჯერ ამძიმებენ ძმის მკვლელის ცოდვას:
განა ესენი თავისავე ძმებს არ ხოცავენ!
ადამიანი ადამიანს უსპობს სიცოცხლეს“.⁵⁵

რადგან დაკარგული სამოთხის ძიებაში ვარ, როგორც
მთხოობელ-პერსონაჟი შევეცდები ის გარემო ავსახო, უკანას-

⁵². შვედი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის არაერთი საბავშვო წიგნის და
ფილმის სცენარის ავტორობა.

⁵³ ს. ს ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, 1991 წელი; გ 1, გვ 291

⁵⁴. ინგლისელი პოეტი, მწერალი, პოლემიკოსი.

⁵⁵. ჯ. მილტონი, „დაკარგული სამოთხე“, თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა.

კნელად რომ დავტოვე ერთი ნაღვლიანი შემოდგომის მიწუ-
რულს. ადგილი, მემატიანემ მოგვიანებით დოკუმენტურად რომ
აღწერა.

მდეპარეობა: – ჩრდილო-დასავლეთ საქართველო;

მოსახლეობა: – ეთნიკური აფხაზები;

კონფლიქტის დაწყების წელი: – 1992-დან-დღემდე...

მხარეები: – აფხაზეთი, რუსეთი, კავკასიის მთიელ ხალ-
ხთა კონფლიქტია, კაზაკები, საქართველო და ა.შ.

ყველა მსგავს გამოცემას თავს ვარიდებდი; მათ კითხვას
მერჩივნა სიყრმის ფოტოები და მასზე ხელით მიწერილი წლები
გონებაში გადამეფურცლა. ამჟამად 1991-ს ვიგონებ.

უსაკობის მიუხედავად გამახსენდა ხუხულა⁵⁶, მიწურზე
დადგმული ოდა, ჭასთან დამდგარი ჭანჭახი⁵⁷, ბზით შემორაგუ-
ლი ეზო – დეკორატიული ღობე-გალავანი!.. ფარლალალა მარა-
ნი, კალო-საბძელი, ალერდთა⁵⁸ ზვინი, ბოსელი და თავლა, ეზო-
ში დაბუდებული სკა, წარწერით „სასუტელას მფარველი ანანა-
გუნდა“. [გვიაზ გავიგე, რომ სასუტელა იგივე ფუტკარი ყოფი-
ლა, ანანა-გუნდა კი აფხაზ ხალხში დღემდე შემორჩენილი ტრა-
დიციული რწმენის გადმონაშთი – მეფუტკერეობის მფარველი
ქალღმერთი].

მომაგონდა ბაღში დადგმული საფრთხობელა ა-ლაკუმ-
ზა⁵⁹, მარცვლეულთა დასაფქვავად აღმართული ბუჭულა⁶⁰, ბო-
ძებზე შემდგარი ნალია, ხილნარი და თხილის წკეპლის შიშით
ნასწავლი პირველი საფორტეპიანო ეტიუდი. მეზმანა კედელში
დატანებული თახჩა და იქვე მიდგმული ხაფანგი, – მუდამჟამს
თაგვის საცდუნებლად კაუჭში გაჩრილი სასუსნავით. დაბო-
ლოს, მისაღები ოთახის მუდმივი მასპინძელი – „უცნობი ქალის
პორტრეტი“⁶¹, წინასწარმეტყველის შეგონების მიუხედავად

⁵⁶. აქ: ბავშვების მიერ გაკეთებული სათამაშო სახლი.

⁵⁷. თხელი ტალახი.

⁵⁸. (კუთხ.) სიმინდის ნედლი ჩალა.

⁵⁹. ასე ვეძახდით გათვალვის საწინააღმდეგო მოწყობილობას, რომლის
სამკაპა თავში ჯვრისებურად ჩასმული იყო ორი ჩხირი, – თეთრი ქვა და
ასევე ტოტისგან დაგრეხილი რგოლი.

⁶⁰. წისქვილი.

⁶¹. ცნობილი რუსი მხატვრის, ივან კრამსკოის, ფერწერული ტილო, 1883
წელი.

მშვენიერი ქალბატონისთვის ესოდენ საპატიო ადგილი რომ მიეჩინათ.

უაზრო, გამოუსადეგარი საგნებით დახუნძლულ წუთისოფელში უამრავმა დაკარგა ფუნქცია და ნაგავსაყრელის მუდმივ ბინადრად იქცა. სოფელში კი მხოლოდ ბედნიერების მაძიებელთათვის აუცილებელი ნივთები შემოგვრჩა.

თუმცა... ვერ ვიტყვი, რომ ღმერთი ვინმეს დიდად ახსოვდა. (არადა, მიკვირდა, განა შეიძლება ბედის მაძიებელი უფალს სადმე არ გადაყროდა). ერთი ხატიც არ გვებადა სახლში. ალბათ იმიტომ, რომ ხატი ხორციელ არსებობას არას მატებს, სულის ნავსაყუდელია. ტაძარში სიარულსაც ვერიდებოდით, – აღდგომის დღესასწაულზე კვერცხის წითლად შეღებვასაც. გვასწავლიდნენ: – ბუნებაში, თუკი რამ ცოცხალია სიმწვანის ელფერს ატარებს. წითელი კი მელანქოლიურ, ტრაგიულ ამბებს გვაგნებსო. ჰოდა, ჩვენც თავს მოხვეული მოძღვრების გამო შეგვძლდა წითელი ფერი.

აღდგომის წინა ოთხშაბათს (ღამით) ვითომდა კუდიანების დასაფრთხობად ცეცხლს დავანთებდით, ჭიაკონონბის⁶² შელოცებს ვკითხულობდით და ხელსაქმეს თავს ვარიდებდით.

უძილობისგან და საბურავის ნამწვისგან თავატკივებულებს მომდევნო დღეს შემლოცველები უცილობლად გვსტუმრობდნენ. ქალალდზე დაჯდაბნილ ტექსტს შუბლზე შემოგვაკრავდნენ და თუ ეს მეთოდი არ გაჭრიდა, ჩვენს უგუნებობას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ.

ყოველთვის მაინტერესებდა, რა ეწერა იმ დაჭმუჭნილ ფურცელზე. ერთხელაც, მალულად გავხსენი და წავიკითხე: „მაკიყი შამოჩვეულა სათიბის ბოლოსა, ასე ხვრემდა რკინასა, როგორც ხარი თივასა!.. გაუწყრა წმინდა გიორგი, გაპარულიყო დილასა!..“

(გაიითი, ეს რა გააკეთა ამ ვირეშმაკამ, ჯანგეირი⁶³ დაუფლებია და ჯადოსანთა საიდუმლო გააცხადა. ახლა ძალას დავკარგავთ და უამისოდ როგორ გავძლოთო; აზრსმოკლებული ცხოვრება რა ჯანდაბისთვის მინდა თავშისახლელადო. გულმო-

⁶². ბოროტ ძალთა უკანასკნელი უსუსური გალაშქრებაა დიდი საიდუმლოს წინააღმდეგ – დგება ბრწყინვალე დღესასწაული და ცეცხლთაყვანისმცემლობის მთავარი ღვთაება [აპურამაზდა] ფარ-ხმალს ყრის მკვდრეთით აღმდგარი უფლის წინაშე.

⁶³. ავი სული აფხაზურ მითოლოგიაში.

სული დედაბერი ილანძლებოდა, მე კი იმ წუთას საკუთარი თავი ყველაზე დიდ ბოროტმოქმედად, ნაღდ დამნაშავედ მიმაჩნდა. – მთვარეულია ეს შეჩვენებული ან თვალნაკრავი და ჩქარა ვინმემ წაიკითხოს „ალისა, მალისა, თვალმავნებლისა, ფერნაცვალისა, თვალჭრელისა, ჭამჭია, ჭამჭია“, თორემ გავგიუდები ამ სიბერეში!.. თან მამუნათებდა, თუ არ ინამებ, კიდევ უფრო შეგანუხებს თავის გაუსაძლისი ტკივილიო.

ახლა ვიგონებ ამ ამბავს მშვიდად და აულელვებლად, თორემ მაშინ კუდიანების ძალმოსილებით შეშინებული, დამფრთხალი და სასონარკვეთილი იმ წუთებს ვწყევლიდი, როცა ცნობისმოყვარებით ვხსნიდი ქალალდის ნაგლეჯზე გაურკვევლი ხელით ნაჯღაბნ მაგიურ სიტყვებს.

ვნების კვირას მომლოცველები ჩუმად რომ შემოგვიტანდნენ ხალანში⁶⁴ ამოწვერილ ჯეჯილს, წითელ კვერცხს, სათენეფე ლელენგორსა⁶⁵ და პასქებს, დედა მათ უცხო თვალისგან შეუმრნეველ ადგილზე გადაინახავდა, შუალამეს კარებს ურდულს⁶⁶ გაუყრიდა და მალულად გვაპურებდა; თან იმის პირობას გვაძლევდა, რომ გაისად კვერცხებს ყაყაჩოსფრად უსიკვდილოდ შეღებავდა.

მამა საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა და მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა. ვინ იცის, ეგებ ჩვენთან საღვთო სჯულიც ინახებოდა, თუმცალა, იესო ქრისტე რომ ნათლობამდე არ გამეგო, ეს ცხადზე ცხადი გახლდათ.

ჩვენ ორდალიების და ხატზე გადაცემის გვჯეროდა.

ამას წინათ „წყევლა“ დავბეჭდე ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში და ან განსცენებული დიდედაჩემის მონაყოლი მხატვრულად აღვწერე.

მოთხოვთ პერსონაჟი პილა [უნინ პილატე] იყო, რომელიც „უაშხა დღას“⁶⁷ უჩვეულო რიტუალს ასრულებდა. საბუხრე ადგილას სანახევროდ წყლით ავსებული და გამურული ქვაბი კავით ჩამოეკიდა. გოდორი, ლიფლიფი⁶⁸, რკინის

⁶⁴. პირფართო ქოთანი.

⁶⁵. სააღდგომო უფუარი ნაზუქი.

⁶⁶. კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი.

⁶⁷. კვირა დღე მეგრელთაგან.

⁶⁸. ფანარი.

⁶⁹. საჭედარი ცხენისა თუ ფერწ(თ)ა საცმელთასა (საბა).

ჯვრები, თოკები, დანები, დრუნგილთა⁷⁰ ნატეხები მოემარაგებინა და დამნაშავის დასასჯელად კედელზე ლურსმანს აჭედებდა. იდევნებოდა ეს ტრადიცია ეკლესისგან, თუმცა „გამოსყიდვის“ წესებს ყველა მიმართავდა. რიტუალი ჭყონდიდის ხის მახლობლად სრულდებოდა. მერე ხატზე გადამცემს, ყოველნლიურად სამსხვერპლო ვაცი მიჰყავდა პილასთან და ლოცვას აკითხებდა.

წინასწარ განერილი გეგმით ვცხოვრობდით. უთენია, ხარძროხის საძოვარზე გარეკვამდე საქონელს მოვწველიდით, საკვამურში ცეცხლს დავანთებდით და წინა დღის ნარჩენ სიმინდს ქათმებს ვაკენინებდით; გვემსახურებოდა ხალხურ მედიცინაში განსწავლული ექიმი, რომელიც არაფრით სჯობდა დევის-ფრჩხილასა⁷¹ და ალვახაზის⁷² დუბელით⁷³ განმზავებელს. სადღაც გაეგონა ეპაზმის⁷⁴ შესახებ და ახლა ცდას ახალშობილზე ატარებდა.

ეს ყველაფერი ტკბილ მოგონებად დამრჩა. მე და მამაჩემი გულმოდგინედ ვუსმენდით აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. ერთხელაც, რეალობას შევხედე თვალებში და „დაკარგულ სამოთხეზე“ ფიქრს მოვეწვი. ყოველთვის, როცა მხატვრულ ფილმს, „ფესვებს“⁷⁵ ვუყურებდით, დასასრულს მეტყოდა ხოლმე მამა:

– ხედავ, შვილო, რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში?!

– ის არა, მამა!.. ფერფლი დაბრუნდა, ფერფლი. – შევუსწორებდი.

– ხომ მაინც დაბრუნდა?! ჩვენც დაპბრუნდებით, თანაც აუცილებლად. ხომ გჯერა, მამა?

– რა თქმა უნდა, – ვიტყოდი ნაკლებსარწმუნო, მერყევი ხმით.

⁷⁰. მარმარილო.

⁷¹. წამალია ერთი.

⁷². თაფლი დაზელილი.

⁷³. წყალი მოთბო.

⁷⁴. დედაპერთა მიერ ჩვილთა შემლოცველობა, შუბლითა ნერწყვის წარხოცა და დამბერველობა.

⁷⁵. ფილმი ქართველი ემიგრანტის სამშობლოსადმი განუწყვეტელი ნოსტალგიით აღსავსე ვრცელი ცხოვრების გზაზე მოგვითხობს.

– ასე გაცილებით სჯობს, – იტყოდა მამაჩემი. იმედი თუ ერთხელ მაინც ეწვევა კაცს, მერე არასოდეს მიატოვებს.

სამურზაყანოს სისხლიანი დღეები და 1993 წელი დროის ქარავანმა უკან მოიტოვა. ეს-ესაა სამგზავრო მარშრუტით სოფელ რუხს გავცდი და ენგურის ხიდთან ჩამოვბარგდი. ტყავის ბოხჩის ამარა ვარ! ისეთივე ცარიელი ვპრუნდები, როგორც გამოვიხიზნე, ლმერთმანი!... ფილტვებში ვიგროვებ ნოტიო ჰაერს. უამთააღმწერელ მდინარის 17-ნლოვან ისტორიას რუდუნებით ვაყურადებ. ვხედავ, ერთმანეთში როგორ შეზვირთებულა აფხაზური სიამაყე და ქართული სიდიადე; სმენადაკარგული „შარვაშიძე“ (ენგური) გაღმა ნაპირას დგას და გამოლმით მყოფ „დადიანს“ აქეზებს, დამონებული ხალხის გათავისუფლებას იხვენება.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ სიტყვასიტყვით აღვიდგენ: „თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამნამონ-მეთქი“. მე კი იმას ვშიშობ, იქნებ ეს ის მდინარე არ არის, წლების წინ რომ გადმოვლახე, ეგებ პირდაპირი გზა აირჩია და მზად არის მარწუხში მომწყვდეულმა იღინოს ხელოვნურ წყალსაცავში, საკუთარ კალაპოტს საბოლოოდ ასცდეს და გზა ვერ იპოვოს უკან მოსაპრუნებლად. იქნებ მდინარის წყალს ბალლამი შერევია, სასალბუნე მინერალები კი სადღაც გამქრალა.

ამ ფიქრის მიუხედავად ენგურის წყალი დავლიე და გზა განვაგრძე „სტანციისკენ“, სადაც „სქელ-კისერა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრის, ბრიყვი სახის“ მესაზღვრე დამხვდა, რომელმაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და ე.ნ „საშუალო“ 200 რუბლი მომთხოვა. მეც წარუდგინე ორენოვანი საბუთი, ქართულ-აფხაზური შრიფტით რომ დაებეჭდათ ჩემი გვარ-სახელი.

ნაწილი მეორე

ძრავის ხმაზე მივხვდი, დახლოებით 1982 წლის „24-ი“ მარკის მანქანაში რომ ვისხედით. საჭეს რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი უჯდა; მის გვერდით პოლკოვნიკი, უკანა სავარძელზე კი მე და ორი სერუანტი ვისხედით. ბორკილები ძალზე მიჭერდა, რასაც ტყვეობის დამთვარებით როგორც განცდაც ემატებოდა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლკოვნიკს გა-ასენდა თვალების ახვევა რომ დავიწყნოდა და სერუანტს უბ-რძანა:

– ამხანაგო სტასს, ყოველი შემთხვევისათვის ტომარა ჩა-მოაცვით ტყვეს თავზე, ყოველი შემთხვევისთვის, უკან მისაბ-რუნებელი გზა რომ ვერ დაიმახსოვროს!..

სიცილიც კი მომინდა „ამხანაგოს“ გამგონეს, თუმცა, რო-გორც კი გამახსენდა უსიამოვნო რუსული დიქციით ნათქვამი „უკან მისაბრუნებელი გზა რომ ვერ დაიმახსოვროს“ მივხვდი, მეფე მათიუს პირველის⁷⁶, ჰეკლბერი ფინისა და ტომ სოიერის⁷⁷ მსგავსი თავგადასავალი როდი მელოდა, შუაგულ ომში ვიმყო-ფებოდი, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა რუს „სალდატს“ მოთმინების ფიალა ავსებოდა და პირდაპირ ჩემს თვალწინ ყუმ-ბარა აეფერებინა.

ავტომობილი სამზადი ფაცხის მახლობლად გაჩერდა. ფაცხასთან მოხუცი ფუსფუსებდა. ცალი ხელით ჯოხს ეყრდნო-ბოდა წელში მოხრილი, მეორეთი კოკით წყალს ეზიდებოდა ჭი-დან. სტუმრების დანახვაზე ჭიშკრისკენ გამოემართა და აფხა-ზურად ალაპარაკდა.

– ახაშალა⁷⁸ მოგიყვანეთ, ახაშალა!.. – დასჭექა პოლკოვ-ნიკმა, რასაც ჯგუფის ხელმძღვანელის მხრიდან თოფის გასრო-ლა მოჰყვა. რუსულიდან თარგმნილი პოლკოვნიკის სიტყვები გვაუწყებდა: მანქანაში საწვავი გამოგველია, ქართველ ტყვეს ცოტა ხნით თქვენთან დავტოვებთ, დეიდა კატო! ოლონდ იცო-დეთ, წინანდელივით ნულარ ეცდებით გააპაროთ. თუ გვიღალა-ტებთ სახლს გადავწვავთ და ბადიშს⁷⁹ თვალწინ დაგიხრიბოდთ... ექვს დღეში დავბრუნდებით, მანამდე კი ავტომობილსაც თვალ-ყური ადევნე, ვინმემ არ მოიპაროს!..

– ხელბორკილი მაინც ახსენით, – ითხოვა მოხუცმა.

პოლკოვნიკმა გასაღები გადმოუგდო დედაკაცს, თავად კი ხელქვეითებთან ერთად საცალფეხო ბილიკს დაადგა.

⁷⁶. ებრაული წარმოშობის პოლონელი მწერლის იანუშ კორჩაკის ნაწარმოები.

⁷⁷. ცნობილი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ლიტერატურული პერსონაჟები.

⁷⁸. ყმა გლეხების კატეგორია ფეოდალურ აფხაზეთში. არ გააჩინდათ ოჯახი და საკუთრება (იგივეა, რაც იმერული და მეგრული “მოჯალაბე”).

⁷⁹. შვილიშვილი.

– წყეულიმც იყოს თქვენი მოდგმა, კაცთა მკვლელებო!.. – ჩაიბურტყუნა კატომ, რომელსაც სახეზე შევატყვე, ქართველის სტუმრობა დიდად ეამა.

ხელბორკილი ამყარა, მიწურში დანთებულ ცეცხლთან მიმაფიცხა, ჯარისკაცის თბილი ტანსაცმლით შემმოსა და ვახშამზე მიმიპატიუჟა.

ტაბლაზე⁸⁰ შებოლილი სულგუნი, შაშხი და მისივე გამომცხვარი პური იდო. ასადუღებლად ბიდონით რძე შემოედგა.

ფაცხის კედელში წიგნების თარო დაეტანებინათ. თაროებზე ოჯახის დიასახლისს რუსულენოვანი ლიტერატურა ჩაემწყრივებინა. იქვე ათი-თორმეტი წლის ბიჭი უსიტყვოდ იდგა და დაუინებით მათვალიერებდა. ბუხარს ზემოთ იარაღასხმული მამაკაცის პორტრეტი ეკიდა. ფოტოდან აფხაზი ბერიკაცი არნივისებრ იმზირებოდა. კაცი იფიქრებდა სტუმარ-მასპინძლობის ადათ-წესებს იცავსო.

„სწორედ რომ მეორედ მოსვლა და ცის ჩამოქცევაა, შენი მშობლიური ენა რომ დაგავიწყდება კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ერი დასალუპავ-დასაკარგად გაიმეტე“⁸¹. შევატყე, მოხუცს მართლა დავიწყებოდა ქართული და ვიდრე სათქმელს იტყოდა, გონებაში ფრაზებს გულდაგულ აწყობდა.

– ადრე არნივთა ყეფა ისმოდა კლდის თხემიდან, ახლა თოლიერი ზვაობენ, – დასძინა ბებერმა კატომ. – საზიზღარი უამი დაგვიდგა. სკოლაში ველარ დამყავს ბავშვი. წერა-კითხვა ამან არ იცის, სიყვარულსა და მეგობრობას ველარ სწავლობს. ეჰ, ნეტავ რა უნდა აკეთოს ამ ბეჩავმა?!“ დანანებით გადახედა შვილიშვილსა და განააგრძო: – ალბათ ამასაც ხარ-ძროხები ეყოლება და მთაში გარეკავს ნახირს. სახნავ-სათესი მიწები უხვად არის, გლეხის საქმეს კი რა დალევს სოფლად. ახია ჩვენზე, აქ გამომწყვდეულებზე. შიშით გვიცემს გული და ძილიც იშვიათად გვეკარება! დღე არ გავა ვისიმე უბედურება, სიკვდილი, წამება არ გავიგო... ეს ოხერ-ტიალი წლები მიგორავს და ჩვენს ცხოვრებაში არაფერი იცვლება. რწმენა დავკარგეთ შვილო, მომავლისა და საკუთარი თავის რწმენა. გესმის ეს რას ნიშნავს? გეხვენებით, თუკი თქვენს არ დაგიკარგავთ გვიწილადეთ მცირედი, გვისახსოვრეთ იმედი, რომ ერთ დღესაც გავიღვიძებ და მეზობელი შემომეხმიანება, თუნდაც ხახვის ან ღერლილის თხოვნით.

⁸⁰. დაბალი მაგიდა.

⁸¹. რ. მიშველაძე: „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, 2010 წელი.

„გეშვი სკუა ბჟა, ვაგოირგიდას ლორონთიშით“... მიხვდა, ცუდად მესმოდა მეგრული და მანიშნა, რძე დამელია. თავშალი შეიკრა და ხანძოკლე დუმილის შემდეგ, ლაზარესავით მკვდრე-თით აღმდგარი, მივიწყებული და კვლავ გახსენებული ქართუ-ლით, განაგრძო:

– მთლად გულთანაც ნუ მიტანთ ჩვენს სატკივარს. იმდენ რამეს ვუყვები დღის მანძილზე ჩემს თავს, ვიტყვი ხოლმე, ხომ არ გაგიჟებულხარ, კატო, საკუთარ თავს რომ ესაუბრები-მეთქი, თუმცა ეგ იმიტომ მემართება, რომ არავინ შემომრჩა შვილო, დამლაპარაკებელი!.. მე კი სამარისკენ მივალ, მაგრამ ამ პატა-რას ცოდვით ვეღარ ვისვენებ.

მერე მომიტრიალდა და ძალიან თბილად მითხრა:

– სკან გოლვაფირო, აკა ქორთულო კითხირ ქუდომგურე მოთაშა, ვარა გერუს გვალო ბალანაქ⁸²...

– სიამოვნებით, – ვუთხარი და ის შემთხვევა გავიხსენე, დისწულმა ცნობილი მეზღაპრის წიგნის წაკითხვა რომ მთხოვა.

ნაწილი მესამე

ანი – ქართული ან[ბან]ის პირველი ასოს „ა“-ს სახელწო-დებაა, აბა გაიმეორე, ანი... ბანი... კარგია!.. ახლა მის მოხაზუ-ლობას დავაკვირდეთ. იგი კაუჭის ფორმისაა. ბებო რომ კავით ჰკიდებს ბუხარში ქვაბს, იმ კაუჭს ჰგავს.

– სათევზაოდ თუ ყოფილხარ ოდესამე? – ვეკითხები პატა-რას, რომელიც ჩემს ნაწერ ასოთა მოხაზულობას ჩაპკირკიტებს და მალიმალ წიგნში ნაბეჭდს ადარებს.

– კი, ვყოფილვარ. თედოს დავყავდი ხოლმე მდინარეზე. პატარა ბამბუკები გვქონდა და ნეხვით საესე ქილა, რომელშიც ჭიებს ვინახავდით.

– ანკესის კაუჭი გაიხსენე მაშინ!.. მას აქვს „ა“-ს ფორმა, ხომ დაიხსომე?

– კი.

– ახლა „ი“ ვისწავლოთ. მითხარი, ცხენები თუ გყავს?

⁸². შენი ჭირიმე, იქნებ ქართულად კითხვა ასწავლო შვილიშვილს, თორემ მთლად „გარუსდა“ ბავშვიო. (მეგრ.)

– როგორ არა, შარშან ერთი მგელმა შეგვიჭამა, ერთიც ტყეშია გახიზნული.

– ნალის დაჭედება თუ უსწავლებიათ?

– საჭედურს ჩვენთან გამოცდილ ნალბანდს აკეთებინებენ. აბა მე ვინ მანდობს ამ საპატიო საქმეს.

– ჰოდა, ეგ „ი“, სწორედ იმ ნალს ჰგავს, ამობრუნებულს, თავდაყირა დამდგარს, რომლის ტყუპისცალია „ო“. (ერთმანეთზე მიბმული ორი „ი“) ო-ს რომ კუდი დაუგრძელო „უ“ გამოვა; აი „ე“ კი ნამდვილი ხათაბალაა. იგი ოდესლაც ჯაჭვის ერთი რგოლი ყოფილა. ამბობენ ხუთვა დამართნია და უპაერობისგან გამნარებულს საკუთარი კბილებით დაუჭამია რგოლის ერთი ნაწილი. ახლა ქალბატონი „ე“ შედარებით თავისუფლად სუნთქავს. თუმცა მას ერთი რამ აწუხებს. ეს-ესაა დაორსულდა და მუცელი გამოეზარდა, გარეგნულად გარდაისახა და ძალიან დაემსგავსა მეზობელ „ვ“-ს. ორსულობის საიდუმლო რომ არ გამუღლავნდეს (მშობლების შიშით) ყველა მოძმე ასომ ფორმა შეიცვალა. „ვ“ საჭიროებისას ქოჩორს გადაივარცხნის, თმას აიპრეხს და „პ“ ხდება. „ლ“-ს ორმაგი ნიღაბი აქვს, ხან „დ“ არის, ხანაც „ლ“. „ჯ“ იპრანჭება „ჭ“-სავით... და ასე გრძელდება უსასრულობა.

ამას მოსდევს იასესგან⁸³ ენისბორძიკით წაკითხული სიტყვები: კაჭკაჭი, ჭაჭა, ვაჭარი, ნაჭერი, ჭერამი, ხუჭუჭი, ნაჭუჭი, ჭრიჭინი, ჭარხალი, მჭედელი, ჭარჭური.

დამარცვლით ნათქვამი: ფ-უ-ტ-კ-ა-რ-ი, ხ-ა-რ-ა-ტ-ი, ტ-ა-ძ-ა-რ-ი, ტ-ი-ტ-ი-ნ-ი, ტ-ა-ბ-ი-კ-ი⁸⁴, დ-ი-მ-ი-ტ-რ-ი, ბ-ა-ტ-კ-ა-ნ-ი...

შემდეგ გაზეპირებული გვერდიდან სიამაყით წაკითხული: ციხე, ცული, საცერი, ციკანი, ხუცესი, ციყვი, ლოცვანი...

დაბოლოს, საბავშვო მოთხრობის გარჩევა: ”ყვავი გაამპარტავანდა. ყვაობა არ მინდა, ფარშევანგი უნდა გავხდეო. ჩაირჭო გარეშემო ფარშავანგის ფრთები და გაერია ფარშავან-

⁸³. იესე (ძველი ებრაული), როგორც ჩანს, ერთ-ერთი ვარიანტული ფორმაა ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელისა ესაია/ისაია (“ზსნა უფლისგან”).

⁸⁴. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი, რომელიც უღელში საქონლის შესაბმელად წყვილ-წყვილად არის ჩაყრილი.

გებში. ჯერ ვერ იცნებს. მაგრამ უცებ წამოსცდა თვისი „ყვაა“. მისცვივდნენ ფარშავანგები და სულ გაძიგნეს. ტიტველა ყვავი წავიდა ისევ თავის ტოლ-ამხანაგებში; მაგრამ იმათაც იუცხოვს და ქისტის კვრით გამოაგდეს. ფარშავანგიც ვერ გახდა და ყვავებშიაც გამოსწყდა”.⁸⁵

ვეკითხები ყმანვილს: რატომ დაისაჯა ყვავი?

მაგრამ ვიდრე მიპასუხებდეს ქვეითი ჯარისკაცების ხმა ისმის.

– „ისინი მოდიან“, – თქვა კატომ და სასწრაფოდ გადამალა ქართული წიგნები.

ფაცხაში ბრგე კაცმა შემოაბიჯა, მას სხვა „სალდატი“ შემოჰყვა და მოხუცს უბრძანა.

– Дайте мне горячий хлеб и водку, быстро!..

– Через минуту господин, – тქვა კატომ და შევატყვე, მოსულებს ნაძალადევი სითბოთი შეეხმიანა.

ჯარისკაცმა, იარალის სასხლეტზე, ეშმაკურად აათამაშა თითები. ახლაც კი მახსოვს მისმა გამოხედვამ საშინელი ფრინველი რომ მომაგონა. გამიკვირდა, როგორ ახერხებდა ერთდროულად სახლის ყველა მობინადრისთვის თვალყურის დევნებას. ღმერთმანი, ნამდვილად შემზარავი ორთავიანი არწივი⁸⁶ იყო!..

რუსის იდეალური პორტრეტი წარმომიდგა რომელიდაც წიგნიდან: ”მზისაგან დამწვარ ძვლებამობურთულ ქოსა სახეზე შეუპოვრობის გამომხატველი იერი გადაჰკრავდა, წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა, კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე, რომლის ჩაყოლებაზე, მკერდის შუა ადგილას, ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქური აჯდა, ერთმანეთს გადაჭდობილი“.⁸⁷

თუ რამ გაწყენინოთ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, დამიბარა კატომ და ის-ის იყო ბავშვის საძინებელ ოთახში გაყვანა დაპირა, რომ შემოესმა:

– Вы хотите изучить стрелять, Иасе?

– Господин, я не могу сделать этого. Я – ребенок...

⁸⁵. დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შემდგ. ი. გოგებაშვილი, თბილისი, 1884 წელი.

⁸⁶. რუსეთის გერბზე დატანებული სიმბოლო.

⁸⁷. ლ. ქიაჩელის ”ჰაკი აძბა“.

– Вы шутите? В Вашем возрасте я убил человека, и Вы не можете поднять оружие? გაიოცა რუსის ჯარისკაცმა.

აფხაზი უსიტყვოდ იჯდა და ილუკმებოდა. ნაიარევ სა-
ხეზე მღელვარება ოდნავ დამჩნეოდა.

– Приезжайте сюда и выпейте водку. – тხოვა აფხაზმა და-
მეგობრებულს, თან უხერხული სიტუაციის განმუხტვას შეეცა-
და.

– Конечно, но ему придется стрелять из оружия!.. – იარალი
მხარზე მიაბჯენინა იასეს, ფანჯარასთან მიიყვანა და ეზოში
მონავარდე კურდღლის მიზანში ამოლება აიძულა. თოფის გა-
ვარდნის ხმა და რუსის კმაყოფილებით ნათქვამი ანდაზა ერთი
იყო:

– Лучше позже, чем никогда!..

მერე მოხუცს მიუბრუნდა და გულგრილად ჰკითხა:

– Как работает ваш раб, тетя Катя?

– Не могу сказать, что недовольна.

– Мы нашли горючее, поэтому и машину увезем, а на
следующей неделе начнутся военные сборы, так что в дивизию,
какую нибудь, мы запишем и тех кто сейчас находится у вас. – ია-
სეს ქოჩორზე ხელი გადაუსვა და დანანებით აღნიშნა: –
Понимаешь ли, так или иначе, жизнь сама научит тебя военным
действиям!

ბოთლში დარჩენილი არაყი ჯარისჯაცებმა ერთბაშად
გადაჰქრეს, ფაცხიდან გავიდნენ და მოკლული კურდღლი ჯვა-
ლოს ტომარაში ჩადეს..

– ავაზაკები! – ჩაიბურტყუნა კატომ და ელდანაკრავ შვი-
ლიშვილს საძინებლამდე მიმავალი გზა ლამპით გაუნათა...

ნანილი მეოთხე

ბაბუის შეგონებისამებრ, საშემოდგომო ყინვების დადგო-
მამდე, 20-25 დღით ადრე, ცელის პირი ავლესე და ეზოში სათი-
ბად გავედი.

ფოთოლცვენაა. წითელ კოლერს⁸⁸ გენიოსი შემოქმედი პა-
ლიტრაზე აზელილ ყვითელს უზავებს. ჯადოსნურ ფერთა გამა-

⁸⁸. ფერნერაში: საღებავის ფერი, ელფერი, ფერის სიმკვეთრე.

ში აგონიაში მყოფი დედამიწა სიკვდილს ივედრებს. მალე ზამთარი გაა(ბუ)რუსებს მის მშვენიერებას, თუმცა არც მის ბრწყინვალება დეკემბერ-თებერვალს უნერია ხანგრძლივი ბედნიერება.

ბავშვობაში რომ შეგონებებს ჩამჩიჩინებდნენ, ყოველი სიტყვა ენის წერზე მაღვება და მინდა ვიყვირო, ვიტირო! დიახ, იმიტომ, რომ არასწორად მზრდიდნენ, ბავშვურ ბედნიერებას მიმალავდნენ, მარტოოდენ სამყაროს შავ-თეთრ გამოსახულებიან, გაბლენძილ ტელევიზორში მანახებდნენ, ისიც შეზღუდულად, მხოლოდ განსაზღვრული დროით!.. ჯვარს იმისთვის არ ვატარებდით, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული რომ არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ფრინველთა გამოჩეკილ მატერიკი, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!..

პირად განცდებზე როდი მოგითხობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგარი თავგადასავლებით, საპოვნელას, ნიშხანიშხასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლა. სულ სხვა ქალაქში, გარემოში, საზოგადოებაში აღმოვჩნდი გაურკვეველი სტატუსით (ხან ლტოლვილი, ხანაც დევნილი). ფესვებს მომწყდარი ყოველდღე იმას ვფიქრობ, რას გავაკეთებდი, რომ არა 1993 წლის სამოქალაქო ომი? დიახ, მე სხვისგან ხელოვნურად დაწერილი გეგმის ნაწილად ვიქეცი და კვლავ ხელოვნურად, ისე მივყვებოდი მდინარის დინებას, როგორც მქონდა ნაბრძანები!..

ჭისკენ ტაატით მივდივარ, ვცდილობ, წყურვილი მოვიკლა.

იძულებით „გასაბჭოებული“ [სსრკ] ღრუბელთა ჯგრონვიმას პროგნოზირებს.

ქანდარაზე ყვავი გადმოზნექილა და ყრანტალით ბოინობს.

სოფლის მყუდროებას იმის „ყვაა“ არღვევს.

გუბესთან რუსული ჩექმა აგდია – ბედად დახეული.

ახალი ნურც ღირსებიათ!

...

შორიახლო თოფი გავარდა.

ფრინველს ბუმბული აებურძგლა, სიტ(ყვაა) წამოსცდა ავ-სიტ(ყვა) (ყვა)ვს, ფრთები შეისწორა და სხვა ქანდარასთან გადაფრინდა.

საზარელმა ექომ ფაცხის კედლებიდან გამოაღწია და თავზარდამცემი კივილი გაისმა.

წყლის სათლი ხელიდან გამივარდა, ოდისკენ გავიქეცი და...

ჰოი, საშინელებავ!..

ეს რა მოიმოქმედა წყეულმა ჯარისკაცმა?!

ნაწილი მეხუთე

აპდე⁸⁹, ისიც მომიკლეს, ავაზაკებმა, მომესმა კატოს ქვი- თინი. მუხლმოყრილი მოხუცი დასისხლიანებულ ბავშვს იხუ- ტებდა და ჯაჭო-ჭროლა თვალებს უკოცნიდა.

„ბედნიერად უნდა მეცხოვრა მე, მოხუცს და შენი შვილე- ბის აკვანი მემნყემსა, ახლა კი კუბო-საფლავთა გუშაგობა მო- მიწევს!.. შენ უმანკოებას კრეფდი ცის ტატნობიდან და უფლის- გან განწმენდილს მთავაზობდი. მე კიდევ კლდის ნაპრალში მომწყვდეულ ჯიხვიგით გითვალთვალებდი, ზუსტად ისე, რო- გორც მოზარდთა მიმართ ზედმეტი გულისყურის მიპყრობა სჩვევიათ ხანდაზმულებს. მეშინოდა, როგორც ქორი გვპარავდა წინილს, წყალსაც იმგვარად არ გაეტაცე, ხიფათი არ გეწვნია, მუხლები არ გადაგეტყავა... ახლა კი... უბედურო კატო, დარდის ძაფი უნდა გაჭიმო დედამიწიდან იმ უცხო განზომილებამდე, რომელსაც პირობითად გარდაცვლილთა საუფლო ჰქვია. რომ ყოველი მონატრებისას, ჩემი ჯვრითა და ადამიანური ტკივი- ლით ზურგდამძიმებულმა, ბოხჩაში უნდა შევახვიო რძისა და მაწვნის ქილა, ერთი ვიწროყელიანი წითელი ღვინით სავსე ბოთლი, ცოტაოდენი მარილი, ზეთი, პური და ისევ ისე მადლია- ნად დაგაპურო, ის დრო რომ მოგაგონდეს, ბალში ჩამომსხდრე- ბი ხორბალს რომ დავიყრიდით ხელისგულებზე და მშიერ მტრე- დებს ვაკენებინებდით. ჩვენი ოდის საძირკველიდან მიწას ავიღებ და ამასაც გაგატან. კილიანტარსაც⁹⁰ დავამზადებ, საკურთხესაც დროულად დავდგამ... არაფერს დაგზარდები ბებო, ოლონდ ძილში მინახულე ხანდახან და ნუ მოგერიდება მოხუცის გალვი- ძება. გაუბედურებული ბევრჯერ დავხუჭავ თვალს, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ ეს ძილის ნეტარებაა“.

⁸⁹. უზენაესი ღვთაების ეპითეტი.

⁹⁰. ჩამოქნილი სანთელი, რომლის ლერძი მთელ სიმაღლეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტი აქვს შემოხვეული.

იასე საზარლად ხროტინებდა და ძვირფასი სახელმძღვანელო ხელებში ჩაებლუჯა.

რუსმა სალდათმა თოფი დამიმიზნა და ზურგსუკან მომესმა:

– Книгу прочитай ты балда!..

Сибирькона ფურცელზე პატარა ლექსი ეწერა:

„ჩვენ ვბრუნდებოდით

სამშობლოში სისხლიან მინდვრით

(გამოუცდელი

და უხეში ჩვენი ჩანგებით!),

სადაც ჯვარს ვეცვით,

სად უგონოდ კაცის სისხლს ვლვრიდით,

ომის ფრინველი

სად სულს წენდა ცეცხლის ჭანგებით;“⁹¹

სიტყვა სამშობლო მომხვდა ყურში.

– За это убил невинного ребенка? – Шевಡახე და მისკენ გავიწიე.

– Ты научил его говорить на языке врага, и этим убил невинного человека! Тише тише, говорю! Даю три часа и чтобы труп похоронил, понял?

გონს რომ მოვედი შორით მომავალი მოხუცი კატო დავლანდე. ვიღაც წვეროსანი ახლდა.

ბავშვს სუფთა პირსახოცით სისხლი მოვწმინდეთ. სასთუმალზე დავასვენეთ პირით აღმოსავლეთით და მოძღვრის რჩევით, გულზე ხელებდაკრეფილს ჯვარი დავაჭერინეთ. მერე ისეთი საამური გალობა გაისმა, თვალებზე ცრემლი მომერია. მოძღვარი ხან აფხაზურად, ხანაც ქართულად ასრულებდა ლოცვანს. (კატომ ითხოვა, წესის აგებისას რუსულად არ ესაუბრა მამაოს). შევატყვე, ქართულად ღვთისმეტყველს ოდნავ შიში ეუფლებოდა და სახეზე არეკლილი მნუხარება ნაოჭიან სხეულს ერთიორად უბერებდა. მერე წყალი, ხორბალი და ზეთი მოითხოვა. აკურთხა ისინი და სანთელი დაანთო.

თათახში საკმევლის სუნი დატრიალდა.

მოძღვარი გარდაცვლილი ქრისტიანის ლოცვას კითხულობდა:

⁹¹. მურმან ლებანიძე, 1977 წელი.

„მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო, სავანეთა მათ საუკუნეთა რწმენითა და სასოებითა შენითა აღსრულებული მონად შენი იასე და ვითარცა სახიერმან და კაცომოყვარემან, ცოდვათა მიმტევებელმან და უშჯულოებათა აღმხოცელმან, უძალო-ჰქმენ, მიუტევენ და შეუნდვენ ყოველნი შეცოდებანი მისნი ნებ-სითნი და უნებლიერთნი.

... აღმოფშვინვამდე მართლმადიდებლობით აღიარებდა სამებასა ერთარსებასა, ვინაიცა მოწყალე ექმენ მას და რწმენაი მისი შენდა მომართ, ვითარცა ლვანლი დიდი, მიითვალე და მოწყალებითა შენითა წმიდათა შენთა თანა განუსვენე.

ამინ.“

მოძღვარმა წიგნი გამომინოდა და: – „ქართულად კითხვა თუ შეგიძლია“-ო, მკითხა. თანხმობის ნიშნად ლოცვანი გამოვართვი, პირჯვარი გადავიწერე და წავიკითხე: [რატომლაც ამ ტექსტის წაკითხვა თავად არ ისურვა].

„ღმერთო ძლიერო და კაცომოყვარეო, დალოცე და დაიფარე ქართველთა და აფხაზთა მშვიდობა და ერთობა. უფალო, შეგვინდე ყოველნი უსჯულოებანი ჩვენი. უპირველესად მოგვიტევენ, უფალო, უნდობლობა და სიძულვილი, ძმათა სისხლის-ლვრა და შურისძიება, ძვირისხსენება და ბოროტი გულისსიტყვა. შეგვინყალენ ჩვენ ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და აღვიდგინე ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთთავ-განწირვა და მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა და ლოცვა ერთმანეთის დღეგრძელობისთვის.“⁹²

ამინ.

...
სწორედ მაშინ, როცა ცისკარი ღამის სამოსში გახვეულ ბნელეთს აფერმერთალებდა, შლეგი მე(ეტლი)ს თანხლებით გავიარე ნაძვნარი, ბუთა და ჭოტთა სავანე, ვსძლიე წკვარამში ჩაკემსილ შიშს და უკვე სამშვიდობოს⁹³ მყოფს მოხუცი კატოს მადლიანი დალოცვა შთამესმა: – ფეხბედნიერად გევლოს, შვილო ამ გაუკულმართებულ საწუთოშიო!..

დაკარგული სამოთხის მაძიებელი კვლავინდებურად ჯონ მილტონს ვფურცლავდი:

„ო, ჯოჯონეთო! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!
ჩვენს სანეტარო სამყოფელში ვინ შთასახლეს

⁹². ლოცვა ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ერთობისათვის.

⁹³. ასე ეძახიან ქართველთა კონტროლირებად ტერიტორიას.

ვინ ალამაღლეს ასე ძლიერ, – სულ სხვა არსება,
სხვა ბუნებისა, მიწიერი, მოკვდავი არსი!

ბედნიერი ხართ, მაგრამ დიდხანს ალარ შეგრჩებათ,
რადგანაც სუსტი საფარი აქვს თქვენს ნეტარებას
მაგრამ ნინასწარ თქვენი მტრობა არ განმიზრახავს
მზად ვარ კიდევაც შეგიბრალოთ, უთვისტომონი!“

...

სახლში რომ დავპირუნდი მამას ვუამბე, რაც შემემთხვა.

– ლაჩარი ხარ! – მითხრა. თვალინი ანგელოზი მოგიკლეს
და ხმა არ ამოიღე, უსიტყვილ დამორჩილდი ბოროტებას!!! ასე
აპირებ დაკარგული სამოთხის დაბრუნებას?!

– მამა, ის შეიარაღებული იყო, თან სიკვდილის შემეშინ-
და... ერთხელ კი გავიფიქრე, იქნებ ყელში ვწვდე ამ საზიზღარ,
უგულო, ცივსისხლიან ჯალათს და ნიწილივით დავახრჩო-მეთ-
ქი, მაგრამ იმზამს, წამოიმართა ზებუნებრივი შიძი. თვალი ია-
რალისკენ როგორც კი გამექცეოდა, წონასწორობადარღვეული,
მიწაზე გართხმული კატოს კალთაში ვზღლუქუნებდი. მიკვირდა,
მოხუცმა, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი, არათუ გა-
იბრძოლა, სიტყვა არ დასცდენია, ზედაც არ შეუხედავს ჯარის-
კაცისთვის.

– კატოს რა უნდა ეთქვა, ბრიყვო!... განა საფლავს პატრო-
ნობა არ უნდა? თორემ მისი და მისნაირებისთვის დღესასწაუ-
ლია სიკვდილი... იმიტომ ვპრაზობ, ვხედავ, შენც სხვათა მსგავ-
სად პირამიდასავით აიზიდე, ყელი სიამაყით მოიღერე და ინდა-
ურივით გაიბლინძე. ვერ წარმოიდგენ, როგორ მძულს უსაფუძ-
ვლო სიამაყე, უთავპოლო პატივმოყვარეობა, თავით-ფეხებამ-
დე აღჭურვილი ვაი დარბაისლობა, მედიდურობა, ჭირვეულობა
და ამგვარი რამ!.. რა გეამაყება შე უბედურო ადამის ძევ? უცხო
კლიმატში გადარგული თავმოყვარე ხე თავს გაიხმობდა, ჩვენ
კი... უკეთურებას შევემთხვიერ და გვეამა, უბედურება გადაგ-
ველობა და გულში ჩავიკარით, ხელმოცარულ მარტოობას და-
ვუზავდით და მერე ისე შევეჩივიერ ამ ყოფას, რომ არამც და
არამც გავიბრძოლეთ დაკარგული ლირსების დასაბრუნებლად.
სამოთხე სხვა კი არაფერი არის, შვილო, თვინიერ სამშობლოს
გარდა. მე და შენ კი **უ-ს-ა-მ-შ-ო-ბ-ლ-ო-ნ-ი** და ბედს შეგუებუ-
ლი სალახანები გავხდით.

მწუხარებამ თავით ფეხებამდე დამირბინა და ვგრძნობ-
დი, სხეულის რაღაც ნაწილი ამომგლიჯეს.

ის კვლავ განაგრძობდა: – კიდეც უნდა შესცოდო და მოინანიო!.. დანაშაული რომ გამოისყიდო, როგორმე უნდა დააშავო!.. რაც მეტ ტკივილს იგრძნობ, უფრო დაგიამდება გველივით დაკლაკნილი და სასოწარკვეთილი სიცოცხლე. დაე, მოხსენი ღირსებას მარყუში და სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული, ტომარანამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისგან!..

მას შემდეგ მამაჩემს ჩემთვის ხმა არ გაუცია.

ერთ თვის თავზე გარდაიცვალა, გულმა უღალატა.

ახლა მის უკანასკნელ სურვილს ვასრულებ და ცხედარს მივასვენებ აფხაზეთში...

ხელში ლოცვანი მიჭირავს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს ვკითხულობ. იასეს და მამაჩემის სულს ვავედრებ შემოქმედს.

ურიგო არ იქნებოდა საკუთარ სულზეც მეზრუნა!.. სულმა, რომელმაც სხვა სული უნებლიერ დაღუპა...

შვილებს გვჩვევია საყვედლურის თქმა მშობლების მიმართ. რომ თითქოს რაღაც დაგვაკლეს, არასწორად გვმოძღვრავ-დნენ, უსამართლოდ გვსჯიდნენ. ხშირად ვწუნუნებდი, თურმე შეიძლებოდა ქრისტეშობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები აღგვენიშნა, ტაძარში გვევლო უქმე დღეს და პასქები გამოგვეცხოვნების კვირას.

თუმცა ყველას ვურჩევ განმარტოვდეს საკუთარ თავთან, გულზე სიმბოლურად (და არა რწმენით) დაკიდულ ჯვარს ხელი ჩასჭიდოს და იკითხოს: რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც გაიგო ჯვარცმის შესახებ?

ადამიანმა გაიგო, რომ ლინდგრენი და ანდერსენი პავშობას გვაძლევს, სახარება და ბიბლია – ცხოვრებას.

„არა კაც-ჰკლა“, თქვა ლმერთმა და გულისთქმა კაცისა ამ მცნების დასაცავად მიმართა.

სანაცვლოდ გამოიგონა ადამიანმა იარაღი, რათა წინ აღ-დგომოდა უფლის ნებას!..

და გამხდარიყო ათასობით ადამიანი ბავშვ[ობა]დაკარგული...

კაენი და სახარება

„რწმენით შესწირა აძლელმა უკეთესი მსხვერპლი ღმერთს, ვიდრე კაინმა; მისითვე მიიღო მონმობა, რომ მართალია, როგორც იმონმა ღმერთმა მისი მსხვერპლისთვის; და, სიკვდილის შემდეგ, მისითვე მეტყველებს კვლავაც“. ებრაელთა მიმართ, თავი 11, 4.

„მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ლვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო“.⁹⁴

ადამმაც თითქოსდა ევა შეიცნო, თავისი დედაკაცი, ევა დაორსულდა და შვა კაენი – მინის მუშაკი და თქვა: კაცი შემე-ძინა უფლისგან.

გამოხდა ხანი და „ბოროტისკენ მიდრეკილმა ადამიანის გულისთქმამ“ მიართვა უფალს ძლვნად მიწის ნაყოფი. ამაოე-ბით გაულენთილ ნიადაგთა მონაგები არ ისურვა შემოქმედმა, რისთვისაც თაკილობდა კაენი, რომ თავის შემქმნელზე გაცი-ლებით პატარა და უსუსური იყო; ნაყოფიერი ბალის წიაღში აკ-რძალული ხილი ეგულებოდა და პიროფლიანი ჭამდა სიმაძ-ლემდე. იბერტყაყდა მტვრიან სამოსს, თავადაც მტვრისგან შებილი.

იგი იყო სიმრუშისა⁹⁵ და სიყვარულის თავდაპირველი მი-ნარევი, ამიტომაც ყველაფერში პირველობა მოუნდა.

სწორედ, ბიბლიის კითხვისას წამოსტყივდა დედას მუცე-ლი. შუალამეზე გამაღვიძა ჩემი „ნახევარდმის“ ძახილმა. მუც-ლადყოფნის ბოლო სამი საათი და დაბადების პროცესი გაჭია-ნურდა. წარმავლობა და ვნება, ექიმის თითებში დაკლაკნილი, გამალებით ასრულებდნენ საკლავესინო⁹⁶ ეტიუდებს⁹⁷...

⁹⁴. ეკლესიასტე, თავი 3, 11.

⁹⁵. გველისგან ადამიანის ცდუნება – სატანისგან „მრუშობა“ (ავტ.)

⁹⁶. ძველებური კლავიშებიანი საკრავი. ფორტეპიანოს წინაპარი.

⁹⁷. ვირტუოზული ხასიათის მცირე მუსიკალური პიესა.

„ლურჯი, ძონეული და ჭიათერი მატყლის ქსოვილისგან შეკერეს საწესო შესამოსელი“, რომელიც ხელებზე გადაეფინა მამაჩემს და მწარე ტკივილით შეწუხებულ დედაკაცს მიარბენინებდა საავადმყოფოსკენ.

„ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ“⁹⁸ – ცხარობდა მოსალოგინებელი, რომლის ილაჯწართმეულ საშოში ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს შვილები.

ექიმი კმაყოფილებით აკვირდებოდა ქალის ოფლდანურულ თვალებს და პროცესის დასაჩქარებლად პაციენტს სამშობიარო წამლებს სთავაზობდა. [ანალგეზია].⁹⁹

ასე ხელოვნურად, – ცხრის ცამეტ წუთზე – გაჩნდა ჩემი ძმა, რომელსაც ეკლესიური სახელი [ლაზარე]¹⁰⁰ დაარქვეს.

„სულ მთლად წითელია და თითქოს ტყავ-ფუჩით შემოსილი. ხორცის ნაკვთები მისი შენივთულია ერთმანეთთან, მკვრივად აფენია, შეუძვრელად. ქვასავით მკვრივია მისი გული, მკვრივია ქვედა დოლაბივით, რყინა ჩალად უჩანს და ფუტურო ხედ – რვალი“.¹⁰¹ ამ თვისების აღმოჩენა მოვასწარი ხანმოკლე თანაცხოვრებისას. ერთადერთი, რაც მომწონდა მასში ცხვრისფერი ყვრიმალები და ზედმეტად ალერსიანი გამომეტყველება გახლდათ. ლამის შემიყვარდა, ღმერთმანი!..

გარედან მომესმა სასონარკვეთა, მინორული ჩხავილი. მას „დიდება და ღირსება დაადგეს გვირგვინად“, მე კი შეშინებულს უფრო მიმძიმებდნენ დაბადებას. გინკოლოგის ხრინნიანი ხმა იდუმალ მომეპარა და ჩურჩულით ჩამესმა ყურში – „მეორეც მოდის“ -ო და წყეული წინასწარმეტყველებით შეცდუნებულმა ვიგრძენი, როგორ დაურბინა მწუხარებამ დედაჩემს ფეხებშორის და ბასრი ინსტრუმენტის შეხებისას გამისისხლიანდა პირსახე. (მას შემდეგ სახეზე იარა დამრჩა).

„შიშმა შემიპყრო და ყოველი ძვალი ჩემი შეძრნუნდა“. ასე ვიშვი [სიავის მხვნელი და სიცრუის მთესველი], შევისუნთქე სა-

⁹⁸. ეკლესიასტე, თავი 3, 18.

⁹⁹. (ბერძნ. απ უარყ. ნაწ, αιγος ტკივილი) – ტკივილის შეგრძნების დაკარგვა.

¹⁰⁰. ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც მკვდრეთით აღადგინა იესო ქრისტემ. (მოთხოვთაში ლაზარეც სიმბოლურად სიკვდილს გადარჩენილი პერსონაჟია).

¹⁰¹. იობი, თავი 41.

ერთო ჰაერი და, დავარდნილს მშობელ მიწაზე, როგორც ყველას, მეც პირველად ტირილის ხმა აღმომხდა. რუდუნებით ვიზ-რდებოდი ჩვრებში გახვეული,¹⁰² რადგან ჭიაფერი მატყლის ქსოვილისგან შეკერილ შესამოსელში მოათავსეს უფროსი ძმა“.

წინასწარ მოფიქრებული სახელიც მას დაარქვეს. დაბადებიდან მეორე დღეს, მეზობელი ქალის გულისხმიერებით, სახელი მეც გამომიძებნეს. (აღმოჩნდა, რომ ჩემთვის ჯერაც არ დაერქვათ).

სწორედ, იმ დღიდან დაიწყო პირველობისთვის ბრძოლა! შეჯიბრი ძუძუს წოვებისას, ბურთის თამაშისას, დავალების შესრულებისას.

„როგორც არნივი ფხიზლობს თავის ბუდეზე, ზედ ეფოფ-რება თავის მართვეებს, ფრთებს შლის, აიტაცებს და მიჰყავს თავისი მხრებით, ასე მარტო დაატარებდა მას უფალი“, მე კი...

დამლამობით წიგნებს გადმოვალაგებდით კარადიდან. ლაზარეს თხოვნით მამა სახარებას კითხულობდა. თვალცრუემ-ლიანი, კითხვაუცოდინარი ვიხვენებოდი ბიბლიის წაკითხვას. (ასე ინტერესთა კონფლიქტმა საბოლოოდ დაგვაშორა პირველ-საწყისს). მამის მრისხანე გამოხედვით შეცბუნებული ვთმობდი ჩემს ახირებას და ზერელედ ვათვალიერებდი ბიბლიის ფურცლებს. (რა ვიცოდი, რომ „უგუნურს ღუპავს ბრაზი, ბრიყვს კი შური კლავს“).

რიგითობის დაცვით ლამის დავრწმუნდი, რომ ის პირველი შვილი იყო, მე კიდევ ტყუპისცალი... სამწუხაროდ, რაც მე დამაკლდა, მისთვის საგანგებოდ გაამზადა ბედისწერამ.

სადილობისას, თეფშების რაოდენობას შეუმჩნევლად გადავითვლიდი და ვხედავდი, რომ ერთით ნაკლები იყო ყოველ-თვის. (ჩემი არსებობა ავიწყდებოდათ).

ძილისპირულზე, ფეხშიშველი გამოვიპარებოდი საძინებლიდან სამზარეულოსკენ, სადაც ჯერაც გაურეცხავ ჭურჭლეულზე ცოტა საჭმელს დავისხამდი და მალულად ვჭამდი დანაყრებამდე.

ალიონზე ცხვრის სამწყემსად წავიდოდა მამა და თან გაიყოლებდა ლაზარეს.

¹⁰². სიბრძნე სოლომონისა, თავი 7.

– შუადღეზე კოკით წყალი მოგვიტანე, მიწაც საგულდა-
გულოდ დაამუშავე! დამიბარებდნენ და გუთანს ეზოს კართან
დააგდებდნენ, რომ არ დამვიწყებოდა საქმე. „ყმანვილსაც შე-
იცნობ თავის საქციელით, თუ წრფელად აკეთებს, რასაც აკე-
თებს“¹⁰³, – იტყოდა ლაქარდიანი ენით. განმარტოებით გადავ-
ყურებდი მათ საქმიანობას და ვფიქრობდი: „მარტო ყოფნას
სჯობს ორნი იყვნენ, რადგან კეთილად მიეზღვებათ მათ საშ-
რომელში...“

მთიდან ჩამოტანილ „ძროხის ნაღებს, ცხვრის რძეს და
ნოყიერ პურს ვჭამდი, და ლვინოს ვსვამდი, ყურძნის სისხლს“. დამავიწყდა, რომ „ლვინო კაცს ამასხრებს, ლუდი შფოთს ატე-
ხინებს, ვინც მათ ეტანება უგუნურია“. ამ დროს მომესმა: „გა-
სუქდი, გათქვირდი, ჩამრგვალდი, დაივიწყე ლმერთი, შემოქმე-
დი შენი და არად ჩააგდე შენი გადარჩენის ბურჯი...“ ხომ გახ-
სოვს, რაც გითხარი: „თუ ივლი ჩემს წესებზე, დაიცავ ჩემს
მცნებებს და შეასრულებ მას, თავის დროზე მოგცემ წვიმას და
მიწაც მოგცემს ნაყოფს. თუ დაივიწყებ: ორმოს გამთხრელი თა-
ვად ჩავარდება შიგ, ხოლო კედლის დამანგრეველს გველი დაშ-
ხამავს“.

და იმ დღიდან მოგვენატრა წვიმა. ხრიოკ მიწაზე გახმა ბა-
ლახი და მომესმა ლაზარეს საყვედლური: შენს გამო ცხვრები
შიმშილით გვეხოცება!.. განგებისგან „გექნება იმედი, რომ
თესლს დაგიბრუნებს და კალოზე დაგიხვავებს?“

ჩემი გუთანით მოხნულ მიწას ამოალრმავებდნენ და
მკვდარ პირუტყვებს მარხავდნენ. სნეულებამაც იმატა და ვი-
უბნე: „რას არგებს მაშვრალს შრომა მისი?“ ან „მოიქცევიან
ურჩობისგან და თავიანთი ბოროტი საქმეებისგან ადამიანები?“
და „უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდი ხნის მკვდარნი მათზე,
ვინც ჯერაც ცოცხლობენ“. რომ „სიბეჯითე ყველა საქმეში,
მხოლოდ ერთურთის შურით არის გამოწვეული“ და მე მუდამ
მშურდა ტყუპისცალის.

– „აბა, შეირტყით ჯვალო,¹⁰⁴ იგლოვეთ და მოთქვამდეთ,
რადგან ჯერ არ გაბრუნებულა ჩვენგან უფლის რისხვის ალი“.

¹⁰³. იგავნი სოლომონისა, თავი 20, 11.

¹⁰⁴. უხეში ქსოვილი, რომელსაც თხის ბეწვი ურევია.

ამის თქმაზე სიცილი წარმსკდებოდა ბაგიდან და დამწუხერე-ბულ მამას და ძმას ვაჯავრებდი. ლაზარე კი მეტყოდა:

– ცოდვაა კაცი, ვისაც „ბზედ უჩანს ლახტი და ლახვრის შხულზე ეღიმება...“

ზედმეტად გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა, ლმერთმანი. ო, როგორ მახსოვს ეს მდუმარება მუცლად ყოფნისას, როცა ჩემგან შევინწროებული უგუნებოდ იჯდა და თავს არ უმხელდა მარტობას.

„მეფის უფლებებს აჭარბებ და მტარვალზე სასტიკად იქ-ცევი“-ო, – გააცხადებდა უკიდურესობისას.

პირველი ცხრა თვე ერთად გვეძინა. მეჩვენებოდა, რომ „ნესტოებიდან კვამლს უტევებდა, როგორც მდუღარე ქვაბი, როგორც ნახანძრალი ლერწამი“. მერე ინება ძმისთვის სასთუმლის წართმევა, სიყვარულის და თანაგრძნობის საზიარო უფლებად გადაქცევა.

ბოლო დროს, ლაზარეს მოკვლაზე ფიქრი ამეკვიატა. სწორედ ისე, ბიბლიურმა კაენმა რომ დაუპირა აბელს. ვცდილობდი ტყისკენ გამეტყუებინა და წყალში დამეხრჩო.

ცოდვა ჩასაფრებულია კართან და შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზეო.

ხრიოკ მიწაზე დავსხედით. ლაზარე მიწას ეფერებოდა... ოდნავ ცერებზე შემართულიყო, რადგან შიშობდა, მეტისმეტი სიმძიმით წელში არ გაეწყვიტა დედამინა. მერე მოულოდნელად მომეხვია და სევდანარევად მითხრა:

– ჩვენ უკვე დავიხოცეთ!!!

– რატომ? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– შურის, სიზარმაცის და უფლის გმობისთვის! რომ ჩვენ არც კი ვიცით რა გვსურს ერთმანეთისგან. ვისწავლეთ ლალატი ერთგულების სანაცვლოდ და ბრაზი წავიკიდეთ. ვიხოცებით ცხვართა და პირუტყვთა მსგავსად. კერპები ყველა მთაზე და მათ შორის, სულშიც დავიდგით. „გამძღარი ვარ ფორიაქით გან-თიადამდე“, რადგან ყოველწამის მახსოვს, რომ თიხად შექმნილები მტვრად ვიქეცით. განა ძვლებითა და ძარღვებით არ მოგვესოვეს და რძესავით არ გადმოგვლვარეს? მაშ, რად შევდედ-დით? საერთო სასუნთქი აპარატით განვითარებული, მიზან-სწრაფვამ დაგვაშორა ერთმანეთს. რომ ბედნიერება ცხვრის ძოვებასა და მიწის დამუშავებაში კი არა, ჯიბრსა და კამათში

ვპოვეთ... მაგრამ გეკითხები, განა შესძლებდი ერთდროულად მიწის დაბარვას და ცხვრის საძოვარზე გაყვანას? თესლის ჩაყრას და მატყლის ჩეჩვას? ბზის ამოძირვას და მგლის თვალთვალს? ნუთუ პატრონი არ უნდა გარეულ ვირს, რომელიც ყროფინებს საბალახოზე ან ხარს, რომელიც ბლავის თივის წინ? ჭეშმარიტად „მარტოკაცი უფრო ცოდვა არაა, ვიდრე რამეში მოზიარე?“ ყველაფერმი ვერ იქნები პირველი, ზოგჯერ უნდა იყო მეორე, მესამე, მეათე... რომ რიცხვები არაფერს ცვლიან მანამ, ვიდრე თვლას არ მოუნდომებენ.

„ნუ დაუკლავ უფალს, შენს ღმერთს, ხარს, ცხვარსა და თხას, რომელსაც ნაკლი აქვს, რაიმე ცუდი სჭირს, რადგან სისა-ძაგლეა ეს.“

ამგვარი ნაკლის მქონე ვარ მეც...

მაშინ, როცა იალაღზე გაშლილ ცხვარს ვწყემსავ, ამეკვი-ატება საზარელი ფიქრი ნარმავლობის სევდაზე. იმაზეც, რომ გაივლის დრო და არ ვიქნებით ერთმანეთის ნუგეშისმცემელნი. რომ სხვათა უბედურებაზე პილატე პონტოელივით ხელებს და-ვიბანთ, ჯვარზე ერთმანეთის გრძნობებს აღვმართავთ და სია-მოვნებას მოგვანიჭებს ძე კაცის წინაშე ფარისევლობა...

ჩუმად ვიჯექი და კაუზზე ხახუნით დანის პირს ვლესავდი. იარაღის გაპირულ წერს ოდნავ ნერწყვით ვასველებდი... მაინც დახრჩობა აჯობებდა, ალიბიც უკეთესი მექნებოდა თავის გასა-მართლებლად.

რადგან ვიცოდი, შინმისულს მამა უსათუოდ მკითხავდა, „სად არის შენი ძმა“ და მისი სიცოცხლის გაუფრთხილებლო-ბისთვის დამსჯიდა...

უკვე ასაღამოვდა. ნათელი ღამის სამოსში გამოეწყო და [დღე] დასაძინებლად ისრესდა თვალებს. ბუს კივილი გაისმა და ღამურას გზააბნეული ფართხალი. მერე ხიდზე გავიარეთ, რო-მელიც საქანელასავით ირწეოდა და ქარის ზუზუნს ტანს აყო-ლებდა ლაზარეც.

უცებ, მას ფეხი აუთრთოლდა, მუხლებში ძალა გამოელია და წონასწორობადარღვეული აზვირთებულ წყალში გადაეშვა.

ცურვა არ ვიცოდი ღმერთმანი, თორემ როგორ არ მივეშ-ველებოდი, რადგან მსმენოდა: „ნაქცეულს სჭირდებოდა წა-მოდგომაში დახმარება, თორემ ფეხზე მდგომი თავადაც გაიკ-ვლევდა გზას“.

წყლის დინებამ გაიტაცა ლაზარე. ხელებს იქნევდა და ცურვის ოსტატობას ეუფლებოდა. წუთიც და თვალსაწირს მიეფარა ოგი...

თვალთ დამეხატა მისი გარდაცვალება. აპა, წევს მკვდარი და გლოვის ზარები რეკავენ... ჩვენ ორს შორის საფლავიც პირველი მას ერგება, მშობლებიც მისგან იგემებენ პირველად „ჭირისუფლობას“, მოუწევთ ქვის აღმართვა, ქელების გადახდა და ეს „სამიცვალებულო პატივიც“ დამენანა მისთვის.

ხალისიანად ჩავუყევი ტყის საცალფეხო ბილიქს და ვფიქრობდი: „შექმნა კი ღმერთმა კაცი თავის ხატად?!“

და მომესმა ზურგსუკან მამაკაცური ექო:

– „განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვე-შეთში; და აპა, ვცანი – ამათ არის ყველაფერი და ქარის დევნა. და შევიძულე მე ეს ცხოვრება“.

მორიდებით შევაღე კარი. (რადგან მარტო დავბრუნდი სახლში).

ბამბუკისგან დაწნულ სკამზე იჯდა დედა და ჩოხას ქსოვდა. შავ ძაფზე ძონისფრად ამოეტვიფრა ჩემი თიკუნი. დიახ, ჩემი და არა ლაზარესი!.. რატომლაც, ვიგრძენი, რომ ისევ მის ორგანობს ვიყავი სასუნთქი აპარატით მიმაგრებული. ზუსტად ისე, როგორც მუცლადყოფნისას... (ეს იყო პირველკაცობით გამოწვეული სიხარული).

ჩავიმუხლე, მნარედ ავტირდი და ვითხოვე, ლაზარესთვისაც მოექსოვა ამგვარად!!!

შევისწავლე ესე ცხოვრება და ვცანი: „მეც მოკვდავი კაცი ვარ, ყველას მსგავსი, პირველნასახი მინიერის შთამომავალი და ხორცი, დედის მუცელში გამოძერწილი, სისხლით შენივთული ათი თვის მანძილზე მამაკაცის თესლისა და ძილის თანმხლები ტკბობისგან“.¹⁰⁵

„მხილების მოძულე ცოდვის კვალზეა, ღვთის მოშიში კი გულით მოინანიებს!“ – ცხარობდა სინდისი, რომელსაც დედის-თვის სამძიმრის თქმა გასძნელებოდა.

მის კალთებს ვემთხვიე და ოდნავ ჭალარაშერეულ თმაზე ხელი გადავუსვი.

მოტრიალდა მწუხარედ და თქვა:

¹⁰⁵ . სიბრძნე სოლომონისა, თავი 7.

– ასე მხოლოდ დანაშაულისას იქცევი!

ნერწყვი გადამცდა სასულეში, ხველება ამივარდა, ნერვი-ულობისგან ვკანკალებდი.

დედა ყველაფერს მიხვდა. უნუგეშობა არ იგრძნოსო და გადამეხვია.

სახარება გადაშლილად იდო, საიდანაც ხმამაღლა ამოვი-კითხე:

– „უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებო-და“.

სახლში მოძღვრის ხმა გაისმა: „აღდგება შენი ძმა“. (ამ სიტყვებმა დამზაფრა, სასო წარმეკვეთა და ვინატრე: „ნეტა ინებდეს ღმერთი და დამლენავდეს“, რადგან ძლივს მოპოვებუ-ლი პირველკაცობა ხანმოკლე და დროებითი გამოდგა). ვიჯექი ჩემთვის, ძალად დამწუხერებული, პირფერ-ლიქნობით, მაცდუ-რი მიმიკით აღჭურვილი და ვუცდიდი განგების სასწაულთმოქ-მედებას...

შორით კაკუნი მოგვესმა.

სავარძლიდან ბარბაცით წამოდგა გაუბედურებული ქალი და ზღურბლთან სიცივისგან გათოშილი ვაჟიშვილი დახვდა.

– დედა, ცურვაც ვისწავლე! – თქვა ლაზარემ და საწყა-ლობლად გადმომხედა. ეს იყო მზერა ხიდსქვეშეთიდან, დახ-რჩობისთვის გამიზნული მსხვერპლის მსგავსი. სიმორცხვისგან თავჩაქინდრულს აღსარებასავით წამომცდა:

– მდინარის წინააღმდეგაც მან პირველმა გაცურა ჩვენ ორს შორის!.. ნუთუ ისევ მაჯობა?!?

ძმის ქუსლებთან დავიჩოქე, ისევ მოვეჭიდე მგრძნობია-რედ და მომაგონდა დაბადება.

„იდუმალის შეცნობად აღიძრა გონება, ოღონდ ისე, რომ ვერ გაიგო ღვთის ნამოქმედარის თავი და ბოლო“.

და ვცანი: ვერაგობა ყოფილა პირველკაცობისთვის ძმის სიძულვილი...

ნაწარმოები მოვიანებით ითარგმნა რუსულ და სომხურ ენებზე. რუსულ ენაზე თარგმნილი შესულია მსოფლიო ხალხთა პროზაულ კრებულში.

სახლიდან გაეცეულის დღიურები

„ეს სამყარო ოქვენდამი მტრულად როდია
განწყობილი და თუ მასში ხიფათსაც დალანდავთ,
საჭიროა სცადოთ და შეიყვაროთ“.
იმრე კერტესი.

დღიურებს მარტოსულები წერენ ან მოცლილები. ბრიტა-
ნეთის მუზეუმში დაცულ ჩესტერ ბიტის პაპირუსზე კი ასე ამო-
ვიკითხე: „ადამიანი გარდაიცვალა, სხეული მისი გაიხრწნა და
ჩაიფერფლა. მაგრამ მისი ნაწერი დარჩა კაცთა გულში და გონე-
ბაში“.

საიდან დავიწყოთ? სხვა მწერლების მსგავსად იქნებ ჩემს
ოთახზე გიამბოთ, სადაც მსახიობებისა და ფერარის ავტომო-
ბილთა პლაკატები ჰქიდია. არა! ნამდვილად მოსახეზრებელია;
ვის რაში აინტერესებს როგორ ვაგორებ დღეებს, სად მძინავს
ან როგორ ფილმებს ვუყურებ.

მოკლედ გეტყვით. კატას თუ არ ჩავთვლით, სახლში სამნი
ვცხოვრობთ. [დედა კი იჩემებს ოთხნი ვართო]. მე, დედა და ბე-
ბია.

დედაზე გიამბოთ? ააა, ეს თმაშეთხელებული, საცოდავად
დაბერებული, შვილზე მეტად თავის პატიოსნებას უფრთხილ-
დება. ახლაც საჯარო მოხსენებას აკეთებს მასზე:

– პატიოსნება ის ხილია, რომელსაც ულირსები სინაუ-
ლით ჭამენ!.. შეიძლება ცხოვრებაში ქმარს გაეყარო, თუმცა სუ-
ლიერი მეუღლის (უმნიკვლების) მარად ერთგული დარჩეო. –
ისე აცმაცუნებს ქლესა ტუჩებს, როგორც მზესუმზირის გარჩე-
ვისას გვჩვევია ხოლმე...

მზესუმზირა რა მოსატანია და ადამიანობას ვფიცავ, მამა-
ჩემი მოსალოცი ბარათებით გავიცანი. პირისპირ შეხვედრის
აუცილებლობას კი იმ მარტივი მიზეზის გამო არ ვგრძნობდი,
რაც თან ახლდა ძილისპირულზე კომოდიდან უნებურად ამო-
ლაგებულ სენტიმეტალურ და გულუბრყვილო წერილებს:

მამა – კაცი, რაც მეტად უკვირდება ვერაგი წუთისოფლის
საიდუმლოებას, ასკვნის, რომ მისი სპერმატოზოიდი არ იმსახუ-
რებს გამრავლებას. მაპატიე შვილო, ვიუკადრისე, ხელში არ
აგიყვანე და შენს გვერდით არ აღმოვჩნდი ყველაზე საზარელ
მომენტებში. უბრალოდ, მიგხვდი, რომ ჯერ მზად არ ვიყავი!

თუმცა... რას გაიგებს ბედშავი დედაშენი, რატომ დავნებდი ოჯახს!

დედა – წრუნუნას ალსარება! რა გულჩვილი, სულის ამაშ-ფოთებელი მეტყველება დასჩემდა!.. ხომ არ დაბერდა ნეტავი? ო, ღმერთო! ეხლა ეგლა მაკლია იმის სუდნოს ვუდარაჯო!.. წამ-ლების ყუთი, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ტელეფონის ციფერბლატზე ნერვიულად აკრეფილი 011, დაკავება... ზუმე-რი... ავტომოპასუხე... კრუნჩევები, კათეტერი, პულსის გასინ-ჯვა, სადიეტო რეცეპტი: „არ გაანერვიულოთ ვაჟბატონი“! კაპ-ლითა და წიმადურით გულის მობრუნება, ფეხების თბილ წყალ-ში დაბუჟება და...

ისევ ამანათები, ნაჯლაბნი კონვერტები, რომლებიც ისე ხრავს ჩემს ნერვებს, როგორც თაგვი ჰოლანდიურ ყველს.

ვიღლები... სხვისი ცხოვრება მბეზრდება. საკუთარ ალაგს ვეძებ; მინდა ჩემსა და შენს შორის ზღვარი გავავლო. პარალე-ლები და შედარებები მძულს. საყვარელი კერძიც კი არ გამაჩ-ნია. სხვისი ტანსაცმელი მაცვია, ხელთათმანიც და ქუდიც ნათ-ხოვარია. მე სად ვარ ნეტავი?

25 ნოემბერი

დედა – მაშ, ჩემი და შენი გავყოთ? კი ბატონო!.. ქვეშავი, საბანი, ბალიში, ხალიჩა, თეფში, უთო, ჩაიდანი, რადიოლა და ხალათი ჩემია; დავამატოთ ნამზითევიც და ეგაა. რაღაც მავინ-ყდება. სულ ასე მჭირს. ააა, საათი, „მარტოობის ასი წელინადი“, (რომელიც მარტო თუნდაც იმიტომ არის, რომ გამოცემიდან ორმოცდა ოთხი წლის მანძილზე არავის ნაუკითხავს). სათვალე და საკერავი მანქანა. მოიცა, ფეხსაცმელებიც უნდა ელაგოს მანდ. ცარცით მოვნიშნოთ ალაგი და ნულარ ეცდები საზღვრის მოშლას.

ნახვამდის!.. ტელეფონის გადასახადი სამ დღეში მოვა. გი-ლოცავ!.. დღითი დღე პირნავარდნილ მამაშენს ემსგავსები.

26 ნოემბერი

16:16 წთ

სახლიდან ბევრჯერ გავქცეულვარ. პირველად მაშინ, მა-თემატიკაში სამიანი რომ მივიღე და დღიურში გაფორმებულ ნიშანს ვერაფერი მოვუხერხე. სამასწავლებლოში ცარცის სათ-

ხოვნელად შევიარე და ოსტატურად მოვიპარე უურნალი, რომე-
ლიც მოგვიანებით ქიმიის გაკვეთილზე გავანადგურე.

27 ნოემბერი

უურნალში მოსწავლის ცხოვრების ყველა დეტალს ინიშ-
ნავდნენ. თვალსაჩინო ადგილას მშობელთა პროფესიებს ინერ-
დნენ.

დედის გრაფა: ს. გ. 6 – სანიტარი, საავადმყოფოს დამლა-
გებელი.

მამა: დ. დ. რ – მეთევზე. უფრო სწორედ მეზღვაური.

მასწავლებელი: რომელი ჩავწერო?!

პასუხი: გაბლენძილო, მძულს ეს უურნალი!.. მძულს, რად-
გან ადამიანებს პროფესიებით ახარისხებთ, მიღწევებით მიჯ-
ნავთ ერთურთისგან და სხვა ადამიანური კრიტერიუმი არ გა-
გაჩინიათ.

ცრემლიან შეპასუხებაზე ეცინება თომას, თელოს, სან-
დროს, დათას, რომელთა გრაფებში გამოყვანილი ასოებით ალ-
ნიშნულია: „დამსახურებული პიანისტი, მეცნიერი, ფსიქოლოგი,
არქიტექტორი“...

28 ნოემბერი

– მასწ, ასე ცუდად რატომ მექცევით. ხომ დაგპირდათ დე-
და, რომ მომდევნო ოთხშაბათს მოგიტანთ ლიქიორსა და ბანბა-
ნერკას.

– დღეს რა დღეა?

– მარხვა მასწ. ოთხშაბათ-პარასკევობით დასაცავი.

– განყდა შენი მომგონი, ვითომ ახლა გაგახსენდა ღმერთი,
შე ათეიისტო!!!

– ყველა უბედურებასთან ერთად, ისლა მაკლია უფალთან
მიმართებით გაურკვევლობაში ვიყო!..

29 ნოემბერი

კვირა დღე იმით იყო გამორჩეული, რომ არავინ მაიძუ-
ლებდა ხელ-პირის დაბანასა და კბილის გამოხეხვას. ეს ოხერ-
ტიალი შაბათიც სასწავლო დღედ გამოაცხადეს.

– ბოტკინის გავრცელების საშიშროების გამო კმარა, რაც დაისვენეთო, – ბრძანა დირექტორმა და დაფაზე ჩამოგვიწერა შაბათის დღის განრიგი.

სწორედ რომ, ზუსტად განერილ დღის წესრიგს ვერ ვიტანდი. მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ასტრონომია, გეოგრაფია...

ყველა გაკვეთილის ბოლმას ფიზკულტურის მასწავლებელთან ერთად ვიკლავ. ჭადრაკის დაფილებურად ვლაგდებით კლასელები და ფეხბურთში ვეჯიბრებით ერთმანეთს.

30 ნოემბერი

ენერგიის მოზღვავება მჭირს. უნდა დავიხარჯო. ლოგინზე ავდივარ. მატრასის გარდა ყველაფერს იატაკზე ვყრი და ვხტუნაობ. ჭერს ვურტყამ გოგრას და ტკივილის მიუხედავად ვერ ვჩერდები. ზამბარებიანი ჩარჩოდან იატაკზე ვეშვები, ფლომასტერს ვიღებ და კედელზე ვიწყებ ხატვას. არა, ეს უფრო ჯლაბნას ჰგავს, რადგან მთელი საათებია, რაც კედელზე ვარ გასული და ერთი ნახატიც არ გამოვიდა!.. დავმარცხდი, მორჩა. დღეისთვის საკმარისია, არა?

კალენდარი არ მაქვს. ძველ მეთოდს მივმართავ; ხელებს ვკუმშავ, მუშტზე ამოზნექილ ძვლებზე ვითვლი: იანვარი (31), თებერვალი (მახოვს, რომ ნაკიანია), მარტი (31), აპრილი (30), მაისი (31) ... იდეა ნაპოვნია, ამოზნექილები 31-ით მთავრდება, ჩაზნექილები 30-ით; ამის შემხედვარეს მომაგონდა გვირილის ყვავილი, სადაც ძველად „ვუყვარვარ-არვუყვარვარს“ ითვლიდნენ.

„ვუყვარვარ-არვუყვარვარ“ წარსულს ჩაპარდა. მაშინ პატარა გოგო იყო დედაჩემი; ახლა წამოიზარდა, დადინჯდა და სხვანაირად არითმეტიკობს: „დაბრუნდება-არდაბრუნდება“.

დაბრუნდებაო... ნათელმხილველობს ყვავილი და გვირილის ფურცელს თავის საყვარელ წიგნში ინახავს, რომელიც მარტობით ლამისაა ჭკუიდან შეიშალოს...

1 დეკემბერი

ყვავი ყვავობას ვერ მოიშლისო, ნათქვამია. მე კიდევ ფრჩხილის კვნეტასა და ნუნების დაგლევას ვერ გადავეჩვიე.

კატაბალახები, თითებზე ქათმის სკინტლის და იოდის წას-
მა, შელოცვები; ყველა სააფთიაქო თუ სარიტუალო საშუალე-
ბის გამოცდა. შედეგად, საწოვარსავით გავიჩრი თითებს და
ვიდრე სისხლი არ წამომივა ვერაფერს ვუხერხებ. ტვინს წისხლი დააჭირე, ეეე! შენი საქმე არაა, მე რას ვაკე-
თებ. ჯიბრით უფრო გამალებით ვიგლეჯ ნუნებს.

2 დეკემბერი

1999 წელს ორჯერ გავიქეცი. სიმართლე გითხრათ, ვერ
ვიხსენებ ვერც ერთის მიზეზს. (სასჯელი უფრო მახსენდება,
ვიდრე ფაქტები, რისთვისაც მკიცხავდნენ). ალბათ გენეტიკაა,
ასე ხსნიდა ჩემს საქციელს დედაჩემი.

ისევ მოსალოცი ბარათები, რომლებიც მაგიდაზე ყრია.

– გადაყარე ან სადმე გადაინახე, ნერვებს მიშლის ეს ქა-
ღალდის ნაფლეთები, – ვუყვირი დედას. – ბოლოს და ბოლოს რა
ბედენაა, როცა მამას მხოლოდ ამგვარი წერილებით უნდა ვა-
ჟიშვილის მოკითხვა. გაიხედავ გარეთ და თანატოლები მშობ-
ლებთან ერთად ბურთს თამაშობენ, საცურაოდ დადიან მდინა-
რეზე, მე კი მამის სახელიც მავიწყდება. მძულს ეს ფარატინა
ფურცლები. იქნებ უკეთესია დაწვა ან საერთოდ არ გამოართვა
ფოსტალიონს.

დედას გული მოსდის. ჩვეულ ხერხს – ტირილს – მიმარ-
თავს. ქალები ხომ ნამდვილი დიდოსტატები არიან ამისი! თარი-
ღების მიხედვით ალაგებს მათ და იბარებს:

– იქნებ ეს ბარათი ნუგეში იყოს უიმედო და გაუბედურე-
ბული ქალის?

– წადი მერე და შენს ნუგეშთან ერთად დარჩი, რა!..
კარების ბრახუნი, კოკისპირული წვიმა და სულძალლი
მარტოობა.

ფეხებზე მკიდია ადამიანებო თქვენი განცდები.

3 დეკემბერი

იდეას ექებ! რაღაც განსაკუთრებულობა და პირველკა-
ცობა გინდება. ადამიანურია ეგეც. იქნებ წყალქვეშა სამყარო
შეგესწავლა?

„ოკეანე მინდაააააა“, ყვირი და ამის გამოც გარბიხარ სახლიდან. აკვალანგს¹⁰⁶ ჰპარავ ბებერ მეზღვაურს და წყლის ფსკერისენ მიიწევ.

მაგრამ ვის გააკვირვებ ყვინთვით? იჯექი ახლა ბატივით იმ წყალში და ხელები აფათურე. ღირდა ამისთვის გაცივება ან ზღვის დაავადების შეყრა?

შეცდომის აღიარებას სიკვდილი გირჩევნია. საჯაროდ როგორ იტყვის შენი ამპარტავანი მე, რომ შეცდა; თუმცა ზედვე გეტყობა ყველაფერი. მაგიდასთან რომ დაჯდები და გადასაფარებელზე დახატულ ზღვის პროდუქტებსა და წყალმცენარეებს ხედავ – ღებინება გენტყება და სასწრაფოდ გარბიხარ საპირფარეშოში. დიახ, გული საკუთარ ცხოვრებაზე და განვლილ დღეებზე გერევა.

დასკვნა: წყლის სტიქია საშენო საქმე არ არის და შეცდი, როცა აკვალანგით შეეცადე ოკეანის სილრმეს დაუფლებოდი.

– დედა, იქნებ ეს გადასაფარებელი გამოცვალო, თუ გინდა, რომ ისევ არ გავიქცე!

4 დეკემბერი

ახალი გადასაფარებელი ვიყიდეთ. მასზე ზამთრის პეიზაჟია გამოსახული. ზურგჩანთა მოუკიდიათ ალპინისტებს, ფეხზე ლურსმნიანი ფეხსაცმელი ჩაუცვამთ და ხელთ ალპენშტოკი¹⁰⁷ დაუჭერიათ. მწვანე საფალებიც უკეთიათ და ისე აცაბაცად მიუყვებიან მყინვარწვერს, რომ შესაშურადაც მოგეწვენებათ ყველაფერი.

ყდაში ჩასმულ დავთარში ვაკეთებ აღნიშვნას: მთის დასალაშქრად წავედით, თან მიმაქვს მცირეოდენი ფული და თუ არას-დროს დავბრუნდი შეეგუე უ-ჩ-ე-მ-ო-ბ-ა-ს.

ისევ ტირილი, მოთქმა, მეზობლების თანაგრძნობა, გვარის (უჩემობა-უშენობას) დაწყევლა და კვლავ მარტოდ დარჩენა.

საყვარელ მამაკაცთან ერთად შვილიც დაკარგე, ნეტა როდის და სად შეცდი?

¹⁰⁶. წყალქვეშ სასუნთქე აპარატი.

¹⁰⁷. წვეტიანი ბუნიკის მქონე ჯოხი, რომელსაც ხმარობენ ალპინისტები მაღალ მთებზე, მყინვარებზე ასასვლელად.

5-6 დეკემბერი

ყველაფრის საყიდლად ფული არ გყოფნის, თუმცა კარგია. აქაც თუ არაფერი გამოგივა, თავის გასამართლებელი მიზეზი გექნება; უფულობას და ინვენტარის არქონას დააპრალებ ყველაფერს.

სხვენში პოულობ აზიმუტს, კომპასს, რუქებს, ჭოგრიტსა და სახლის ძველ მფლობელს პირველი შემთხვევაა, რომ ლოცავ.

ანორაკს¹⁰⁸ იცვამ. მუჯირს¹⁰⁹, წერაყინსა და სამარშრუტო ფურცელს იჭერ, პულსს ისინჯავ; ყველაფერი წესრიგშია. საკუთარ სიმამაცეს იწონებ და ბედისწერას ენდობი.

ზვინულზე სიარული გბეზრდება; ყინვას და ქარბუქს ვერ უკლავდება.

ბუხარი გენატრება, თუმცა ახლა რა ისეთი ძლიერი ალიბი უნდა მოიგონო, რომ უსინდისოდ შეაღო სახლის კარები? აღმოსავლური ანდაზისა არ იყოს „შინიდან წასასვლელი გზა მართლაც ბევრია, შინ დასაპრუნებელი კი მხოლოდ ერთი“.

7 დეკემბერი

დედა ყველაფერს გაიგებს, თუ არადა კიდევ ერთი მიზეზი მექნება გაპარვის. [გსმენიათ ალბათ, ბეჩავი კაცი იმედით ცოცხლობსო].

(ზელები გაყინული მაქვს და ჩანაწერებს ვერ ვაკეთებ; ნუ მიწყენთ)...

8 დეკემბერი

ვიცანი ჩემი სახლის კარები. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაქცევისა და დაბრუნების შემდეგ მის წინ ავიტუზები და სირცხვილნაჭამი სიგრძე-სიგანეს ვზომავ.

სიგრძე – დაახლოებით ორი მეტრი;

სიგანე – 65 სანტიმეტრი;

რა შესანიშნავი პროპორციაა. არც სიმსუქნე აწუხებს, არც სხვა ადამიანური პრობლემები. იცის კიდეც, რა აკეთოს;

¹⁰⁸. წყალგაუმტარი მსუბუქი სამოსი, საყელოზე მიკერებული კაპიუშონით.

¹⁰⁹. სამთო ჯოხ-შუბი.

9 დეკემბერი

გვიან დავბრუნდი და ტყავშემოფლეთილ დივანზე დავეგ-დე, რომ სამზარეულოდან ხამანწების აყროლებულმა სუნმა შემაწუხა. რა თქმა უნდა, „ქალბატონი დედა“ ახლაც თავის ჩვე-ულ საქმიანობას ეწევა, გავიფიქრე და ვცდილობ თავი შევიკა-ვო, მით უფრო, რომ კინკლაობის თავი არ მაქეს. ისევ ღილები და სამკაულები უნდა დაამზადოს ალბათ.

ყურადღება ტელევიზორზე გადავიტანე, სადაც დისნეის მულტფილმი გადის.

10 დეკემბერი

შეზღლონგზე კატა ნებივრობს. თათებს ილოკავს და ყაის-ნაღს ეთამაშება. იქვე ძაფის გორგალი აგდია. კატა სარკესთან მიდის, რომლის თავთან ლომის ფორმის ქანდაკება ფაფარაშ-ლილი დგას, ცნობისმოყვარედ ათამაშებს კუდს და ისეთ გამო-მეტყველებას იღებს, რომ აშკარად გაურკვევლობის სინდრომი აწუხებს.

დედა – ნეტა ამ კატას დამსგავსებოდით შენ და მამაშენი. ერთეულ ჩავახედე სარკეში და მას მერე ფეხი არ მოუცლია ოთა-ხიდან.¹¹⁰

მე – იქნებ, ადამიანისგან განსხვავებით, კატებს წასას-ვლელი არსად აქვთ ან აჯობებდა მამაც დაგეყენებინა ამ სარ-კის წინ?

დედა – შარიანი ხარ, რა.

11 დეკემბერი

არ მინდოდა რომელიმე საწარმოში ჰალსტუხიანს მემუშა-ვა და ტუფლებს ან ფაილებით დატვირთულ ხელჩანთას შევე-წუხებინე. წყული თეთრი პერანგიც საჩემო საქმე არ იყო!

დიახ, მე ვნატრობდი გიუმაჟ ცხოვრებას. დაძველებულ, დაბალძირიან კედებს, რომელიც სხვა თუ არაფერი – ტუფლის ქუსლივით მაინც არ იკაპუნებდა. ჩამოვჯდებოდი დღის ნების-მიერ მონაკვეთში მტვრიან ადგილას და წამოდგომის შემდეგ არ მომინევდა კლასიკური შარვლის ფერთხვა. გესმით ეს რას წიშ-

¹¹⁰. არსებობს ასეთი რწმენა, რომ თუ ერთხელ მაინც ჩაახედებ კატას სარკეში, იგი სახლიდან არასდროს წავა.

ნავს? ეს არის თავისუფლების ექსტაზი, რაც ასევე გიბიძგებს გაქცევისაკენ.

12 დეკემბერი

სული ისე კნავის, როგორც კატა, რომელიც სარკის წინ ხედავს თავის ორეულს. ქუჩაში ვარ, დაფნის ხის ქვეშ და უშნოდ გათლილ „სკამეიკაზე“ ვწევარ. გაუშალაშინებელი ხე ზურგს მტკენს. ისე საზარლად, რომ რანდას ვნატრობ, რათა გავაპრია-ლო სკამის ზედაპირი.

სიზმარს ვხედავ, მაგრამ იმდენად საშინელს, რომ გაღვი-ძებისთანავე ცეცხლოთან ვამბობ ან გამდინარ წყალს ვატან.

უხერხული ნამებია, მაგრამ მათაც ვყლავაპ!.. ზუსტად ისე, როგორც ჭინჭარს – გაბლენძილი ინდაური.

13 დეკემბერი

ქარი ბზიკივით ბზუის. ღამემ ბებერ მგელისებრ იყმუვლა. ისეთი განცდა მაქვს, ვითომ ჭიბლარი ეს-ესაა ჩამინას-კვეს. ბედნიერებისთვის არცთუ დიდი საბაბია, მაგრამ თავადაც ვერ ვხსნი სიხარულის მიზეზს.

ტელესერიალზე მიჯაჭული ბუზლუნა დედაბერის მომზა-დებულ საუზმეს ზიზლით ჭამ. [ალბათ ბებოს ნახელავი გახსენ-დება და მიტომაც].

სტანდარტები და წინასწარ განსაზღვრული დროის გრა-ფიკი ხომ მუდამგზის გაღიზიანებდა.

08:15 წუთზე მაღვიძარის ხმა. მომდევნო ათი წუთის მან-ძილზე ხელ-პირის დაბანა, კბილის გამოხეხვა, ჩაისა და ნამ-ცხვრის მირთმევა და 09:00-ზე სკოლის კარებთან საშვის მო-მარჯვება. ჯინსის პერანგის ჩაცმისთვის გაკვეთილზე არდაშ-ვება; სანაცვლოდ, შუადლეს შეგიძლია ნახვიდე ნიჩბოსანთა კლუბში და კანოეთი ისეირნო. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ ამ სპორტს სამი უნაყოფო წელი მიუძღვენი.

14 დეკემბერი

მწარედ გახსოვს ეს დღე. მდინარეზე ხარ ნავით გასული და ტალღურ წინაღობას ებრძვია. ქარი ისევ კრაზანასავით ზუ-ზუნებს. ნიჩბით ცდილობ წონასწორობის შენარჩუნებას. ტორ-ტმანობს ტალღა და წყლის შხეფი გასველებს. აპა, კიდევ ერთი

წუთიც და დალლილი თავს ანებებ წყლის სტიქიას. სანაპიროს-თან სხვა ნიჩბოსნები შეყრილან და შეწე ეცინებათ.

წყლის ტემპერატურაზე ხვდები, რომ გაციება გარდაუვალია. ამოყირავებულ ნავს ეჭიდები, ვიდრე საბოლოოდ ჩაიძირებოდეს. ცურვა მაინც გესწავლა, შე ბედნიერო და მერე ნავის მართვა! – გესმის მწვრთნელის მუქარანარევი ხმა, რომელიც ნავის დაძირვის ფაქტს ჯერ ფედერაციას მოახსენებს და შემ-დგომ გაგაძევებს კლუბიდან.

15 დეკემბერი

„მოქანდაკე უნდა გავხდე. ყველა დიდებულ ადამიანს ქვა-ში გამოვსახავ. ერთი სახელმწიფოს ხელა მუზეუმს ავაშენებ და უნიკალურ კოლექციას გამოვფენ“.

16 დეკემბერი

დაბადებიდან სიყალბეს მიმაჩვიეს და მერე ისე საინტერე-სო მეჩვენა რიოში¹¹¹ ცხოვრება, რომ უიმისოდ ვერ გავძელი. მე-უბნებოდნენ, განსაკუთრებული თვისების პიროვნებამ ისეთი რამ უნდა აკეთოს, რაც დამახასიათებელი არ არის საზოგადოე-ბისთვისო.

ამ მიზნით, ნუმიზმატიკას მივყავი ხელი. უიშვიათესი მო-ნეტების კოლექციონერი გავხდი. ძველბერძნული, კოლხური, სპარსული, რუმინული, იაპონური, რუსული და გერმანული მო-ნეტების თითო ეგზემპლარი „გავიჩალიჩე“.

ამავე საქმით იყო დაკავებული ძია გაბრიელი, რომელმაც სიკვდილის წინ გადმომაბარა უნიკალური კოლექცია; მას თან ახლდა დღიური, რომელშიც მოხუცი იწერდა ფულის წარმოშო-ბისა და მოპოვების ისტორიას.

ეგინური დრაჟმა. იწონის 6 გრამს. მასზე გამოსახულია კუ. საპერძენეთში ყოფნისას, შემთხვევით შევიძინე ბაზრობაზე. ამას მოსდევდა ვერცხლის ათშაურიანების, ოქროს თუმნიანე-ბის, სპილენძის კაპიკიანების, გრივნების, ალტინების, მეფის პორტრეტგამოსახული და ჯვარგამოკვეთილი ასიგნაციები, რომელთა ქიმიური კომპონენტებიც კი შეესწავლა ბერიკაცს.

¹¹¹. იგივეა, რაც ყალბი.

აი, ვისი საქმე ყოფილა ნუმიზმატიკა. მე კი, მხოლოდ იმი-
ტომ ვაგროვებდი, რომ ვინმეს ეთქვა: შეხედეთ, ხალხნო!.. რა
განსაკუთრებული ადამიანია-თქო!

17 დეკემბერი

ფილატელისტიც გავხდი. მამაჩემის გამოგზავნილი სა-
ფოსტო მარკები დავახარისხე და ალბომში ჩავალაგე. შევაგრო-
ვე სანოტო ფურცლები, გერბები, ცნობილ ადამიანთა ავტოგ-
რაფები. უცნაური ფორმის ხეთა ფოტოები...

ნეტა რა მინდა ცხოვრებაში?

18 დეკემბერი

ჩემს მსგავსს ვეძებ. მაინც როგორს? ჯვალოს მოძრავ ტო-
მარას რომ ჰგავს? თუ ისეთს, ფერებს რომ ვერ ცნობს? რა ვერ
გავიგხე!.. მშვენივრადაც მესმის. შენ ეძებ ხელმოცარულ იდი-
ოტს, უპროფესიონ და შინიდან გაურკვეველი მიზეზით გაქცეულ
ნაბიჭვარს. მოიცა! შენ გადმოცემით იცნობ ასეთ ადამიანს. ეს
მამაშენია!..

იგი წერილებში ხშირად ახსენებს თეატრს. ურიგო არ იქ-
ნება ამ მიზნით სპექტაკლზე დასასწრებად ბილეთი გეყიდა.

მარჯვენა შარვლის ტოტის ჯიბე გარღვეული გაქვს. თუმ-
ცა, ეს ის შემთხვევაა, როცა არც შეკერვაზე და არც ახლის შე-
ძენაზე ფიქრობ. ბოლოს და ბოლოს, განა სტანდარტებს არ გაე-
ქცი?

19–20 დეკემბერი.

უგემოვნოდ დადგმულ სპექტაკლს ვუყურებ. ცხოვრები-
სეულ წვრილმანს მკვეთრად წარმოაჩენს რეჟისორი. დეკორა-
ცია მთლად კარგად არ არის შერჩეული. მსახიობთა ჩაცმულო-
ბაც გამაღიზიანებელია. ისინი სხვის ცხოვრებას ისევე თამაშო-
ბენ, როგორც დანარჩენები; ერთფეროვანი ადამიანების ხილვი-
სას კი კბილები უნებლივით მინაკრაკებს.

ლოუაში ახალგაზრდა მამაკაცი ზის. შესახედაობით მისი
ასაკის დადგენა რთულია, კითხვის დასმა – უხერხული. თვალ-
დახუჭული ოცდაორი-ოცდასამი წლის ჭაბუკს ჰგავს. თვალგა-
ხელილი უფრო ხნიერად გვაჩვენებს თავს. თბაში ჭალარა ჯე-
რაც არ გამორევია, თუმცა კი შუბლის ნაკეცები გამოკვეთილი
აქვს. შუბლის ხაზების მიხედვით ვადგენ, რამდენი შვილი ჰყავს

ადამიანს. მართალია ცრურწმენა უფროა, მაგრამ ეს მეთოდი მაინც ხშირად ამართლებს.

იგი ახლაც წერილს წერს. ხელის თითებზე ნაიარევი ეტყობა; მახსენდება დედაჩემის შეკივლება, როცა წერილიდან გაიღო, რომ მის „ძვირფას“ ქმარს სახელოსნოში ხელი დაეზიანებინა.

უფრო ახლოს მივდივარ, მის გვერდით ვჯდები, მაგრამ არ ვიცი რა ვუთხრა. ვანვალებ ფიქრებს და ვცდილობ როგორმე ისეთი შეკითხვა დავუსვა, რომ არც მან იუკადრისოს პასუხი და არც მე აღმოვჩნდე უხერხულში.

— ეტყობა ძალიან გიყვართ თეატრი, არა?

— აპა, იმ სანახაობას დავესწრებოდი, რომელიც არ მეყვარებოდა?

— რასაკვირველია!.. თუმცა, ზოგჯერ იმას აკეთებს ადამიანი, რაც არ მოსწონს. უფრო მეტიც!.. რაც სძულს, იმასაც სიყვარულით აკეთებინებენ ხოლმე.

— მართლა? — გაიოცა მან. — შენ ისეთ კატეგორიაზე საუბრობ, რომლებიც მუდამ დაბნეულნი არიან. ლოგინიდან ვერ დგებიან, თუ ვინმერ არ შეახსენა გათხენდაო. სკოლის მოსაწყენ გაკვეთილზე დადიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მშობლებს ასე სურთ! ყავას მიირთმევენ დღის მანძილზე სამჯერ, ოთხჯერ ან შემოთავაზების შემთხვევაში ათჯერაც, რადგან ხათრს ვერ უტეხავენ მეგობრებს. მერე ლამე ალარ სძინავთ, ცალკე ყავის დოზით შეწუხებულებს და ცალკე სურვილდაკარგულებს. სტანდარტებით ცხოვრობენ ადამიანები და იმას სჩადიან, რაც საყოველთაო, ზოგადია. ყველასთვის მისადები საქმის კეთებით სულიერ მოთხოვნილებებს ახშობ და რკინის კონსტრუქციას ემსგავსები. ღმერთებიც განა თქვენით იპოვეთ? უბრალოდ მიგითითეს ღრმად განსაწავლულმა მშობლემა, ზუსტად ისე, გეოგრაფიის მასწავლებელი ევრაზიის კონტინენტის საჩვენებლად ჯოხს რომ იშვერს.

— იქნებ ცხოვრების შესასწავლად მოზარდი მართლა საჭიროებს დირექტივს? იქნებ სასურველია, რაღაც მომენტში ყელში წავუჭიროთ და გავაგებინოთ: „აკრძალულია“, „არ შეიძლება“, „სირცხვილია“, „უადგილოა“, „სისაძაგლეა“ და სხვა.

— თუ გჯერა იმის, რასაც ახლა ქადაგებ? შენ რა იცი უბედურ კაცთა მოდგმავ, რა უფრო უკეთესია წუთისოფელში? ისიც ვერ გაგიგია, როგორ იცხოვრო და სხვას რა რჩევასა და ნუგეშს მისცემ? სასაცილოა პირდაპირ ასე გაცხადებული ფა-

რისევლობა; ამტკიცებ იმას, რის დარღვევას უნებლიერ ცდი-ლობ მეორე წუთში.

– ვის სწერთ წერილს, თუ საიდუმლო არაა?

– რომ გითხრა საიდუმლოა-თქმ, ცნობისმოყვარეობა შეგ-ჭამს, ისე დაგხრავს, როგორც ციყვი თხილს. მე კი არ მინდა ცოდვაში გავრიო ხელი. ჩემს მეუღლეს ვწერ, რომელსაც თექ-ვსმეტი წლის წინ გავექეცი.

ვცდილობ მისი აღსარება მშვიდად მოვისმინო. მაგრამ, ცოტათი ვლელავ!.. გრძნობების მოთოკვა მიჭირს. – დაწვრი-ლებული ხმით ვეკითხები, რატომ გაიქეცით?

– ძალიან დამიახლოვდა ის უბედური. იმდენად, უფრო ახ-ლოს რომ მომკარებოდა ჭკუიდან შევიძლებოდი. სულიერთან ურთიერთობა მანამ არის სახარბიელო, ვიდრე დარწმუნებული ხარ, რომ შენს შესახებ ცოტა ან თითქმის არაფერი იცის!.. [წუ-რასდროს გაენდობი დედაკაცს ბოლომდე, რადგან ეს კიდევ ერ-თი ნეკნის დაკარგვის ტოლფასია. კაცებს კი გვგონია, ვითომ ქალებს ჩვენ ჭკუაზე ვათამაშებთ, სინამდვილეში ყველაფერი პირიქით ხდება].

– ნანობთ რამეს ბატონო? – ისეთ რამეს ვეკითხები, რასაც ზოგადად დიდი ხნის ნაცნობებიც რომ არ ჰქითხავენ ერთმა-ნეთს.

– არც ერთი დღე არ მიცხოვრია შეცდომის გარეშე! ამი-ტომ, ყველა დღეს ვნანობ. ახლა კი, თუ შეგიძლიათ მარტო დამ-ტოვეთ, – თქვა და იმის მიუხედავად, რომ თამბაქოს მწეველთა საყურადღებოდ თითქმის ყველგან ეკიდა ამკრძალავი განცხა-დებები, სიგარეტს ცეცხლი მაინც მოუკიდა.

21 დეკემბერი.

არტსალონში წავედი. მხოლოდ იმიტომ, რომელიმე ფერი რომ ამომერჩია და შემყვარა. „სევდის ქვეშ იწვის ადამიანი“, „წუხს როიალი, მე რაღაც მტკივა“, „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“-ო¹¹² და ისეთი მგრძნობიარე სათაურებია, რომ ვის გაახსენდა რა მიზნით მივედი სალონში.

იქიდან წამოსულმა, საკუთარი თავი დავაჯერე, რომ შავ-თეთრი მიყვარდა.

¹¹². ქართველი მხატვრის რეზო ადამიას ნახატები, რომელიც გრანელის პოეზიაზე შეიქმნა.

22 დეკემბერი

წინა დღის ნაყიდ გაზეთს ზერელედ ვათვალიერებ. გვერდებს ვუსწორებ და თვითმფრინავის გაკეთებას ვიწყებ. მარჯვენა და მარცხენა კიდურს სახლის სახურავის მსგავსად ვეპავა. ფრთებს სიმეტრიულად ვანანილებ და აივნიდან ვისვრი.

მოგვიანებით ბანქოში საკუთარ თავს ვეთამაშები და ფოკუსებს ვიხსენებ. კამათელსაც ვაგორებ. დომინოს ქვებისგან შენობებს ვაწყობ, ვანგრევ, კვლავინდებურად სხვა უფრო მოზრდილ კონსტრუქციას ვაგებ...

23 დეკემბერი

სისაძაგლეა უმიზეზოდ დაღლილი და სასონარკვეთილი კაცის ნახვა. [ზუსტად ისე, როგორც – უაზროდ აყეფებული ძალის]...

აი, ეს განცდა დამეუფლა, როდესაც პირველად ვნახე მამაჩემი. მას სიჭაბუკის ნლები უკვე მოელია, ოდესლაც ოჯახიც შეექმნა, თუმცა შვილის სახლთან მისასვლელი გზა დავიწყებოდა.

ფეხები. მოდი და ანდე ამ სულელს სხეულის მართვა, სწერდა ის წერილში. და მაიც, აჟყვა თავის გულისთქმას [უფრო-რე ფეხებს], ნანატრ თავისუფლებას, – დაოჯახებულებს რომ მალიმალ აეკვიატებათ.

ოჯახი, ეს არის ღამის სიჩუმეში დანახული მოჩვენება. კაცის ცხოვრება კი სხვა არრა არის რა, თუ არა „ჯარის სამსახური და ქირისკაცის დღეები. ახლა კი დამცინიან ჩემზე უმრნემესნი, რომელთა მამებსაც ჩემი ფარის ძალლებში არ გავრევდი“. ღმერთო, სიტყვის მეუფევ და განმგებელო, როგორ გულისხმირად შეარჩიე სასაუბრო ტონი, როცა ბიბლიურ პერსონაჟს [იობს] ათქმევინე: ოჰ, ნეტავი ქვესკნელში დამმალავდე, შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დაგინიშნავდე და მერე გამიხსენებდე-ო!

ფეხმობარბაცე კაცს ნუ წააქცევ უფალო...

24 დეკემბერი

სასონარკვეთა, საქსოვ დაზგასთან, ჩხირებითა და ძაფებით იოკებს ნერვებს.

ვგრძნობ, რა უსუსურიც ვარ იმ გადმოსახედიდან, რომელსაც არასდროს ვაჩვენებ გარშემომყოფთ.

ლოცვა მინდება. ხატებთან ვიჩოქებ, იმ ხატებთან, რომელიც მე არ მიპოვნია. იმ ღმერთს ვევედრები, დედამ რომ აღმოჩინა და მერე მეც გამიზიარა. უფალო, შინ დასაბრუნებელი გზა გვაპოვნინე მე და მამაჩემს. [არადა გზის კი არა, ერთმანეთის პოვნაა უფრო მნიშვნელოვანი].

25 დეკემბერი

სახლიდან გაქცევის უთვალავი მიზეზი არსებობს, ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ ერთი – გაურკვევლობა. მე თუ მკითხავთ, ეს მაშინ ხდება, როცა ერთფეროვანი ცხოვრება ყელზე ბურთივით დაგვადგება და სულაფორიაქებულები უნებლიერ ხელს ვკრავთ ერთი სცენარით განვითარებულ სამას სამოცდასუთ [ან ცოტათი მეტ] დღეს.

26 დეკემბერი

შიგნიდან მარღვევს ამაზრზენი მარტობა, რომლისაც ისევე მეშინია, როგორც უფულობისა და უიმედობის. [ალბათ უხერხულია ამდენ ქალაჩუნობაზე საუბარი]. სულის კედლები, უნინ რომ ხავერდოვანი მცენარეებით მოვკაზმე, სუროს ფოთლებით ჩანაცვლდა. საკუთარ თავთან განვმარტოვდი და თვინიერმა გულუბრყვილოდ ვიკითხე, რას ვეძებ წუთისოფელში? – ბედნიერებას?! – ეს ხომ მეტისმეტი უბედურებით დაღლილ შემოქმედთა ილუზიური წარმოდგენაა და სხვა არაფერი. – ჭეშმარიტებას? ის ხომ ჯერ მშობელს უნდა ჰქონდეს ნაპოვნი, ვიდრე შვილს შეაგნებინებდეს! – ფული მინდა? – იმდენს ხომ მაინც ვერასდროს ვიშმუვი, რომ მომბეზრდეს? იქნებ უბრალოდ ქალი მინდა, თანასწორი, ჩემებრ მოაზროვნე, რომელიც დღის მანძილზე დასვამს უამრავ უხერხულ და გაუმართლებელ შეკითხვას? სახელდობრ: ვცხოვრობთ, საყვარელო იმგვარად, ორი, სამი და ათიოდე წლის შემდეგაც რომ არ შეგვრცხვეს ნამოქმედარის?!

27 დეკემბერი

გადავწყვიტე ყოველდღიური წვრილმანით დავკმაყოფილდე. მერე რა მოხდა, თუ დილით ყავისა და ორიოდ ტკბილეულის დაგემოვნება მომინევს [სასეთის არსებობის შემთხვევაში], ტელესერიალის გაუბედურებული გმირებისა და აზლუქუნებული მაყურებლებისთვის თვალის შევლება ან იმ ფილმის განდიდება,

რომლის შინაარსს ჯერაც ვერ ჩავწედი. სხვათა ცხოვრებით განა მარტო უნდისყოფნი და სუსტები დაიარებიან? ხათოზე რა ვთქვათ მაშინ? განა ამგვარად არ სულდგმულობს პლანეტის ნახევარი? [რა თქმა უნდა დაუკერებელია, მაგრამ მეცნიერების წყალობით შესაძლოა ოდესმე უნდისყოფობის, სხვაზე დამოკიდებულებისა და ხათორიანების ზუსტი ციფრიც დავსახელოთ].

28 დეკემბერი

ასე უკითხავად იმიტომაც ვაფათურებთ სხვათა სულებში ხელებს, რომ მეტისმეტად ბევრს ვიგებთ ერთმანეთზე. ჩვენ საინტერესო ცხოვრება ჰაერზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ გვჭირდება და გვგონია, ამისთვის გახიზვნაა აუცილებელი.

საგანთა გადანაცვლებით და სხვა გარემოში მოხვედრით ყველაფერი წამიერ დავიწყებას ეძლევა. მაგრამ მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, უკვე კალაპოტში მოქცეული მდინარეც კი სინაულით მოიგონებს ყოველ უმიზიზო ღელვასა და ტორტმანს, რომელმაც საბოლოოდ ვერავითარი შედეგი მოუტანა მის ზეალმატებულებას, გარდა – დაღლისა და მაჯისცემის შენელებისა!..

29 დეკემბერი

ქანდარაზე გადმომდგარი მოკუნტული ქათამივით თავატკიებული ვიჯექი, როცა ტელეფონმა დაინწრიპინა. ვფიცავ პატიოსნებას, უკმეხად არც ვაპირებდი დედასთან საუბარს, რომ არა იმის ცნობისმოყვარედ ნათქვამი „ხომ არაფერი გიჭირს“-ო...

მთრგუნავდა, გამუდმებით სანგარში დამალულ ჯარისკაცივით რომ მითვალთვალებდა! მე ხომ ის ბალლი არ ვიყავ, ყოველი წაბორიძეების შემდეგ, ნამტირალევი, საშველ ხელს რომ იწვდენდა.

– ნურასდროს დამირეკავ! მე თვითონ შეგეხმიანები, როცა კი რამე დამჭირდება, ჩავძახე...

– მამაშენი წერილით მაინც მკითხულობდა, შენ კი... ზუ, ზუ, ზუუუ-ო მომესმა და მივხვდი, სატელეფონო კავშირი განყდა.

– რატომ გააკეთე, – მკითხა ქვეცნობიერმა. ნუთუ მსგავსი ყრანტალით განიზრახე იმ ადამიანური ურთიერთობების დანგრევა, რომელსაც წლებია ღირსეულად ზურგით მოათრევთ?

ფუი, შენ ადამიანო, მართლა ვერ გაგიგია, რა უფრო ღირებულია ამ ცისქვეშეთში.

30–31 დეკემბერი

დედამიწელები ახალი წლის სამზადისში არიან.

ნაძვის ხის საყიდლად დილაადრიან გავდივარ და ორიოდ საათის შემდეგ სახლისკენ მივეშურება. [ესეც ალბათ შინ და-საპრუნებლად მოგონილი მორიგი საბაბია]. ნეტა როგორ შემ-ხვდება დედა? ან მაპატიებს იმ უკმერხ სატელეფონო საუბარს? კართან ატუზული ისევ ფრჩხილს ვიკვნებავ.

— სანტა კლაუსი გეახლათ, ნაძვის ხე მოგიტანათ ქალბა-ტონო... მივმართავ იუმორს.

— არავინ ცხოვრობს ამ სახლში იმ ასაკის, სანტას მოსვლა რომ ესიამოვნოს. ნაძვიც სხვას მიუტანე, მე განყობილი მაქვს. მაგრამ, მოიცა... კივის და გამორბის. გუმანით მივხვდი, რომ დაბრუნდებოდი. კისერზე მეკიდება და ტირის.

მე ისევ გაქცევა მინდა...

ვერაფრით ვიხსენებ, როდის გავიქეცი პირველად სახლიდან.

ალბათ იმიტომ, რომ ამას ხშირად ვაკეთებდი. მთავარია ოდესმე ყველა გაქცეული დაბრუნდეს, მით უფრო, თუ ვინმე დაუინებით გელოდება!..

როცა შორიახლო კათავალკა მიცდის...

როცა პალატიდან გამოვედი, უკვე ნიშადურისა და ქიმიკა-ტების სუნს ვეღარ ვგრძნობდი. მხოლოდ ექიმის სიტყვები საყ-ვირის ხმასავით ჩამესმოდა: – „სიკვდილი ბიოლოგიური ორგა-ნიზმის პერმანენტული დასასრულია“.

ეხლა ის დროა ქტონური ღვთაება, - ჰადესი - მიმაცილებ-დეს ქვესენელს. ბერძნული ტრადიციის თანახმად (თუმცა მე არც ბერძენი ვყოფილვარ და საერთოდ არ გამაჩინდა ნაციონა-ლობა) ენის ქვეშ ოქროს მონეტა ამოვიდე.

მარტოობა ტკივილიანი განცდითა და შემაძრწუნებელი ელფერით შემოიჭრა ჩემში; ეულობის ვნება მიწვავდა სხეულის შინაგან მეოხს - სულს - და მაწუხებდა ხალხთან ურთიერთობის დეფიციტი...

ქარისგან აბურძგნული თმა თითებით გადავივარცხნე, იმის მიუხედავად, რომ მამის ნაქონ ქურთუკში სავარცხელი მე-გულებოდა.

სურწყუნისი იდგა. მოღუშული ამინდი, მისთვის ჩვეული სიკონტავით, აპირებდა წინა დღით დასველებული კაბის შეშ-რობას.

გაშეშებული ვიჯექი ბავშვობის საქანელაზე. ო, რამდენი სასიამოვნო წუთი მახსენდება მის დანახვაზე. ახლაც კი, ქანდა-რაზე მოკუნტული ქათამივით, ვზივარ თავატკივებული და ვი-გონებ ამ ეზოში გატარებულ წლებს. წარმომიდგება ხევისპირი, ამწვანებული კორდი, იალალზე გაფერილი ფარა.

როგორც ყველა ყმაწვილს, მატყლის ბაზრობაზე გატანა ოცნებად გადამექცა... აბგაში ჩავალაგებდი გუდის ყველს, რომ-ლითაც გზად ვნაყრდებოდი ხოლმე. პაპის (მამის მხრიდან) ნა-ქონ თუშურ სამოსს მოვირგებდი, დანესტიანებულ ნაბადს მო-ვისხამდი და უგზო-უკვლოდ ვხეტიალობდი. ღამისპირულზე, მგლის შიშით, ცეცხლს დაგანთებდი და დილამდე ნაკვერჩხალ-ზე ფიჩებს ვაყრიდი. ალიონზე, მზე-სხივ-მოპარული, ვხედავ-დი, მე არც ცხვარი მყავდა, არც სხვა საქონელი, რადგან დიდი ხნის წინ გავვეყიდა ფარა. (ამის გამო ხშირად ვსაყვედურობდი მამაჩიმს, რადგან მთაში ცხოვრებას სადისერტაციო ნაშრომე-ბის წერა და პროფესორის ხარისხი ამჯობინა).

მესმოდა დედაჩემის მკაცრი ტონალობა:

– რატი, შემოდი ოთახში, არ გაცივდე ღვთის გულისათვის!

– ახლავე, ვეტყოდი და მაინც ვაგრძელებდი სოფლური ცხოვრების იმიტაციას... ხან სანადირო თოფს გადავიკიდებდი, ხანაც ანკესის ტივტივას ვთლიდი. სათევზაოდ წასვლამდე, ბოსელში დაგროვილ ნეხვში, ვეძებდი ჭიებს და მაღალყელიან კონუსის კოლბაში ვათავსებდი. (კოლბა ქიმიის გაკვეთილზე მოვიპარე).

ასე დავშორდი სიყრმის ასაკს. შევიძინე შიშის განცდა - თავდასაცავად, სევდა - სამყაროს გულთცემინების გასაგებად. მავნებლობა - პასუხისმგებლობის გამოსაწვევად; ლმობიერება - სისასტიკის დასაცხრობად, მრუშობა - პატიოსნების დასაცინად, ბოლოს კი ღმერთმონატრებულმა ვილოცე...

კვირაობით წირვაზე სიარული ტრადიციად გადამექცა. მღვდლის შეგონებებს ვუსმენდი და ფილაქანზე მუხლმოყრილი საღვთო წერილებს ვკითხულობდი.

იმ წელს, მრევლის შემწეობით, ტაძრის რესტავრაცია და-იწყო. მეც ვმონაწილეობდი ქვის გათლაში, სადილის მომზადებაში, ბზის დარგვაში, ეზოს მორწყვაში.

ვნების წინა კვირას მგალობელი გავიცანი, რომელთანაც ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ დავქორწინდი. ასე გვეგონა ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილები. სხვისგან არ გესწავლება, მკითხველო, მამაკაცთა დაწყევლილი ბუნება და მეც, როგორც ადამის ძეს, ქორწინების შემდეგ ხასიათი მეცვალა, უგუნებობა დამჩერდა. ჯერ კიდევ თაფლობის თვის დასრულებმადე ვგრძნობდი ჩემს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. ვერ ვეგუებოდი ოჯახის წინაშე დაკისრებულ მოვალეობებს. ბუნებით თავისუფალს ქუჩაში წანწალი მინდოდა. (ამ თვისებით საოცრად ვგავ-დი მეზობლის ძალლს). საკუთარ პიროვნებას გავურბოდი და მეუღლესთან დისტანციის დაცვას ვცდილობდი. ავითვალწუნე მისი მომზადებული სადილი, მოხარშული ყავა, დაუთოვებული პიჯაკი. ერთ ოთახში ვერ ვჩერდებოდით. უმნიშვნელოზე ვკინკლაობდით. მას ოთახის კედლების გადაღებვა უნდოდა, ცისფერი მოსწონდა, ვარდისფერი აღიზიანებდა, მე პირიქით.

სახლის მზითევით გავსების შემდეგ ჩემს საყვარელ შეზლონგს ადგილი არ მოეძებნა. გამოსავალიც მარტივად იპოვა; ჩემგან უკითხავად თავის ბიძაშვილს ტახტი აჩუქა. ყველაზე ძლიერ მე მაინც მისი სატელევიზიო გემოვნება მთრგუნავდა. მღვდლის რჩევის მიუხედავად გულმოდგინედ უყურებდა სერიალებს.

უილბლო ქორწინების შემდეგ საზღვარგარეთ სამოგზაუროდ ფულის მოძიება დავინიყე. (ფულის სესხება ჩვენს დროებაში ჩვეულებრივ კი არა და ტრადიციულ მოვლენად იქცა). სახლში ყველა დავარწმუნე, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად მივეშურებოდი.

თვითმფრინავის აფრენისას ბედნიერი ვიყავი, დაფრენის-თანავე უცხოური რეალობა შემომეფეთა და ილუზიები ერთიანად დამიმსხვრია. „ის არ იყო, რაც შორიდან სჩანდა“. მოტყუებული და დამცირებული ღარიბულ სასტუმროში მოვთავსდი. მრავალსართულიან საერთო საცხოვრებელში, ძირითადად, სტუდენტობას მოეყარა თავი. სასტუმრო „ინტერნაციონალი“ თავის სახელს ამართლებდა, რადგან აქ მსოფლიოს ყველა წარმომადგენელს დაინახავდით. რომ არაფერი ვთქვათ ბერძნებზე, იტალიელებზე, ფრანგებზე, ამერიკელებზე და სომხებზე, მეზობელ ოთახში ეგვიპტისა შავკანიანი მოქალაქეებიც ცხოვრობდნენ. პირობები არცთუ სახარბიელო იყო. საერთო საპირფარეშოთი და აბაზანით სარგებლობა გვინევდა. სამზარეულოც სასტუმროს შემოსასვლელში გაეკეთებინათ, სადაც მსუქანი, თვალჩასისხლიანებული გოგო მუდმივად ჭურჭელს ალაგებდა, თვის ბოლოს კი ყველა მობინადრისგან მომსახურების ფულს კმაყოფილებით იჯიბავდა.

სასწავლებელიც გარეუბანში მდებარეობდა. სანამ გზას ვისწავლიდი ლექციებზე ვაგვიანებდი. უინტერესო საგნები და ენის არასათანადო ცოდნა მაბრკოლებდა. ბიბლიოთეკაშიც მეცადინეობაზე მეტად დროის მოსაკლავად დავდიოდი. კომპიუტერთან საათობით ვიჯექი და გასართობი პორტალით ვსარგებლობდი. შებინდებისას სასტუმროში ვპრუნდებოდი და ერთფეროვანი დღით დაღლილი უკმაყოფილოდ ვწერდი მემუარებს.

ამიტომაც იყო, რომ სემესტრის დამთავრებამდე, ხანშიშესულმა პროფესორმა დეკანატის წინაშე დაგმო ჩემი სასწავლებ-

ლისადმი დამოკიდებულება. არაღიარებული კრედიტებისა და სასწავლო ქირის გადაუხდელობის მოტივით სალამანკადან და-მითხვეს.

დეპრესიები და უძილობა დამჩემდა. ფინანსური სიდუხჭი-რის გამო იძულებული გავხდი თავისი გასატანად ჩინურ რესტო-რანში ჭურჭელი მერეცხა. გამომუშავებული ფულით ვახერხებ-დი დღეში ორი ჰამბურგერისა და სიგარეტის ყიდვას, ასევე მგზავრობის საფასურის გადახდას. თვეში ერთხელ განსაზ-ლვრული დროს ლიმიტით (8 წუთი) სახლში ვრეკავდი. (რო-გორც უცხოეთში წასულთა წესია, ვცრუობდი როცა ვამბობდი, საქმე იდეალურადაა-თქმ).

ასე ძნელებედობის უამს ნარკოტიკზე დამოკიდებული სტა-სი გავიცანი. (ეროვნებით რუსი იყო, ოდესლაც მიგრაციის სამ-სახურში ემუშავა).

ერთხელაც, მან ხელის მტევანი გამიშიშვლა, მაჯისცემა მომიძებნა, პულსს თვლა დაუწყო. ბოლოს, „რეზინის“ ზინარი მკლავზე გადამიჭირა; წინასწარ მომზადებული „შპრიცით“ და ნარკოტიკის განსაზღვრული დოზით წამალზე დამოკიდებული გამხადა.

– „ნარკოტიკი ლეგალურია ჰოლანდიაში და მას შეიცავს ყველა საფაპრიკატო პროდუქტი“ – იტყოდა სტასი. მეხვეწებო-და სამსახურში დაგროვილი ფულით წიდერლანდებში გვემოგ-ზაურა. იქაური ქვეყნის პოლიტიკაზე აღტაცებით საუბრობდა:

– „პირის სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსება ნე-ბაყოფლობითა, ყოველგვარ იძულებას გამორიცხავსო“.

პირველად ნარკოტიკი ექსპერიმენტის დონეზე გავსინ-ჯე, რადგან ვიცოდი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ჩემი უბნის (ე.ნ. პირველის) ახალგაზრდობა (უფრო სწორად, ძველბიჭო-ბა) მკითხავდა, შევიგრძენი თუ არა წამლის ნეტარება, უარყო-ფითი პასუხის შემთხვევაში კი დამცინებდნენ გულიანად. (თა-ვის მართლებაც წამალზე დამოკიდებულის ქმედითი უნარია.

გაშეშებული ვეგდე იატაკზე. თავს ძალა დავატანე და ლოგინამდე მივიჩოჩე. სუნთქვაშეკრული უსაზღვრო ტკივილს ვგრძნობდი. სისხლძარღვები დამსიებოდა. ახალი განცდები და ემოციები შემოჭრილიყვნენ ნარკომანის ნავსაყუდელში. არაა-დეკვატური საუბარი და უემოციურო, მოდუნებული მოძრაობა

დამჩემდა. გუგები შემივიწროვდა; - სხეულის ტემპერატურამ ცვალებადობა იწყო; - მაჯისცემა და სუნთქვა შემინელდა.

გამოფხიზლებისთანავე ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი მოთხოვნილება გამიჩნდა. ეს იმაზე მძაფრი შეგრძნება იყო, ვიდრე ამ რამდენიმე თვის წინ ჩემი საოცნებო მაგისტრის დიპლომი. თავდაპირველად, მამის ნაჩუქარი ანტიკვარული საათი გავყიდე და ამის მერე მართლა გაჩერდა დროება...

ჰერიოდული ინტრიკისიკაცია, გულისრევა, ღებინება... თმისცვენის მურნალობის ტრადიციულ მეთოდს მივმართე; დაფნის და ხახვის ფურცლის ნახარშით თავს ვიბანდი. მონამ-ვლასაც კავკასიური მცენარეებით ვმკურნალობდი. სამგზავრო ჩემოდანში აღმოვაჩინე ბალახები, რომელიც დედამ ძალდატანებით მოათავსა).

ვიზის დასრულებამდე, ესპანეთის სამეფოდან, დეპორტით გამომაძევეს. აეროპორტში მამა შემომეგება. მხიარული გამომეტყველება ჰქონდა. ეგონა უკვე ღრმადგანსწავლული შვილი დაუბრუნდა. ჩემს ილაჯნარომეულ მზერაში მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. (ამ ამბის მერე, გულის შეტევით გარდაიცვალა)

სახლში ვეღარ ვჩერდებოდი.

ნანწალი და ქუჩაში სირბილი ცხოვრების წესად გადამექცა.

რამდენჯერაც სცადა ჩემმა მეუღლემ შერიგება, იმდენჯერ კარები გავუჯახუნე. როგორც ყველა ნამალზე დამოკიდებულს (და არა ნარკომანს) გამომიმუშავდა მოძალადის ბუნება. ვეძებდი ჩეუბის მიზეზს და თან ვცდილობდი ხელჩასაჭიდი ფაქტის კონსტატაციას, რითაც მოწინააღმდეგეს პაექრობაში ვაჯობებდი.

დედა კი ამ ყველაფერს მწუხარებით აღიქვამდა. თვალცრემლიანი, ხშირად დამინახავს დაგმანულ ფანჯარასთან მდგომი, სანთლით ხელში. (ალბათ მაშინაც, როგორც ყველა დედას სჩვევია, შვილის მომავალზე ლოცულობდა).

საავადმყოფოდან შინმისულს სალამურის ხმა მომესმა.

ო, როგორ მიყვარდა ეს გრძნეული ხმები, ასპიტივით რომ დასისინებდნენ ჩემი სულის ჯებირებში და იქ ჰპოვებდნენ განსასვენებელს, ნავსაყუდელსა და ბედნიერებას.

ოთახში შევედი. კარები არ ჩამირაზავს. ექიმის სიტყვები ყრუ გუგუნით ორგანიზმს მიმტვრევდა და მაღალი ტემპერატუ- რით შენუხებული ვწურჩულებდი: „ჩემს ვირუსს სიკვდილი ჰქვია“.

იმუნოდეფიციტის სინაკლებერ [შიდსი] ენერგია ერთია- ნად წამვრა. (ამბობენ ვირუსი ნახმარი, ინფიცირებული ნემსის საშუალებით შემოიჭრა ორგანიზმში).

მისი მრავალფეროვანი სიმპტომატიკიდან ყველაზე მე- ტად კანზე გამოსული მუქი წითელი ლაქები და გახანგრძლივე- ბული პნევმონია მანუხებდა. ღამით ოფლიანობისგან ვერ ვიძი- ნებდი, პირის ღრუზე თეთრი ფერის ნადები გამიჩნდა, ჰალუცი- ნაციებიც დამჩერდა.

თვალებზე ცრემლმომდგარს აღარ ვიცოდი როგორ გამემ- ხილა დედისთვის ჩემი უზნეობით, აღვირასნილობითა და ნარ- კოტიკით გამოწვეული სწეულების შესახებ. და სიკვდილის ისე ძლიერ არ მეშინოდა, როგორც იზოლირებულად გასატარებელი დღეების.

– „სირცხვილისგან ქუჩაში ვერ გავდივარ“, მესმოდა ჩემი დის მყაცრი ტონალობა. (რომელიც სულ ეხლახანს, სულით დაა- ვადებულთა სახლიდან გამოჯანმრთელების მიზეზით გამოწე- რეს).

დედა ცდილობდა აღელვებული ქალწულის დამშვიდებას, რომელიც ხელის თითების ნერვიული, არარიტმული მოძრაო- ბით რეცხავდა ჭურჭლეულობას.

ელას დაუინებული მოთხოვნით გამომიცალკავეს საერთო საკუთრებიდან სამომხმარებლო ნივთები. აქამდე სახლში არსე- ბული ქონება საერთო მეგონა, ახლა ახალი ჩანგვლის, თეფშის, კოვზის, თეთრეულის კერძო მესაკუთრე გავხდი. (ნაცვალსა- ხელთა შორის ჩემი უფრო მიყვარდა, ვიდრე შენი) მაგრამ იზო- ლირებულად ცხოვრება აუტანელი მეჩვენა.

ძველებურად არ მიმინევდა გული არც ქალებისკენ, არც ნარკოტიკისკენ. მინდოდა დარჩენილი დღეები რწმენაში და წიგნებთან გამეტარებინა. ვკითხულობდი ბიბლიას, სამედიცი- ნო ლიტერატურას, ფილოსოფიურ ტრაქტატებს... და ვამბობდი: „ დაევალა ლვთის ნაძერწს სამი რამ: ხეხილის დარგვა, ნერგის მოვლა და ნაყოფის მოწევა“, სხვა დანარჩენი კი კაცთა გულის-

თქმამ გამოიგონა. ხოლო ევას, მარტოობის მკურნალს, მიენიჭა ედემის მოქალაქეობა და განესაზღვრა სამოქალაქო ვალდებულებანი. შემდგომ, „უფალმოზღვავებული“ გახდა მანიაკალურად საშიში...

მეც (ევას მსგავსად) მომინდა ჩვეულ ცხოვრებას დავბრუნებოდი; ზიზღითა და შიშით არ შემოეხდათ ჩემთვის, გამება ურთიერთობის კვანძები ოჯახთან და გარეშე ადამიანებთან. დამაჯერებლად ვეუბნებოდი ყველას, ნუ გეშინიათ, რადგან ეს სწეულება არ ვადადის: „ჰაერ-ნვეთოვანი გზით, ნერწვით, ხველებით, ცვირის დაცემინებით, კოცნით. რომ საშიში არაა ჩემთვის ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, ალერსი; ნებადართულია („ვინაიდან აკრძალული არ არის“) ჭურჭლით, თეთრეულითა და საპირფარეშო-აბაზანით სარგებლობა“. ნუ დადიხართ ასე განცალკევებით, ნუ დაატარებთ დეზინფექციის ხსნარებს, რადგან ადამიანი ვარ და არა რომელიმე მწერი.

მაგრამ ხალხს არაფერი ესმის, რადგან მიზეზს ეძებს კაცობრიობა, რომ უარგყანონ, დაგამცირონ, მოგკვეთონ, დაგიმარტოხელონ, ყველასგან მოწყვეტილად გამყოფონ.

მამლის ყივილს ვუსმენდი შუალამით და ცისკარხანობას, (თუ დააკვირდებით სამის თორმეტ წუთზე სჩვევია) მაგრამ ისეთი ხმის გაგონება არ მინდოდა, ყოველ ამოსუნთქვაზე პეტრეს მიერ უარყოფილ ქრისტეს რომ მახსენებდა. მიწაზე დგომისას მიწის მუშაკი კაენი წარმომიდგებოდა, ხელში ყველა მიწათმოქმედთა სია ეჭირა (მე იმ სიაშიც ვერ მოვხვდი) და მაღლვებდა კაენობა, რადგან იგი სხვა სიყვარულზე ძალუმად იყოს ჩაბუდებული. ამასობაში, ღვთის ხატად შექმნილს თან მდევდა ადამიანური მანკიერება და ვთხოვდი შემოქმედს, თიხისგან ძერწილი ფერფლად არ ექცია, რადგან ადამიანად ვიყავი დაბადებული და არა ფენიქსად.

დილიდან მოყოლებულს სუნთქვაც გამიძნელდა. ჰაერის უკმარისობისთვის კვლავ ჰოსპიტალში მომათავსეს. ხელის-გულდასიებული, თვალშეშუპებული, ჩინდაქვეითებული, სმენა-დახშული ვაკვირდებოდი პალატაში გამდორებულ მარტოობას. ექთანს სამედიცინო ნილაბი აეფარებინა სახეზე და ჩემს უსიცოცხლო მანჭვას ნერვდამცხრალი ზვერავდა. ხელთათმანით

პულსი გამისინჯეს უკანასკნელად და... ჰაერში მიმობნეული კივილი ჩამესმა.

შემდგომ, ჩვეულებაც აღასრულეს. ხელში სანთელი ჩამან-ვეს; ტკივილითა და სიმხურვალით სული დამეწვა. მერე თეთრი ფერის ძაფი გაჭიმეს საავადმყოფოდან სახლამდე, იმის რწმე-ნით, რომ სული სახლში დაებრუნებინათ.

– „სიზმრებში შეგვაწუხებს დედა მისი სული, თუკი ყველა წესს არ დავიცავთ. მოამზადე თუ გიყვარდე სავარცხელი, პირ-სახოცი, ქამარი, ახალი ფეხსაცმელი, ძველმანი სამოსები, ცხვირსახოცი, სათვალე... არც ერთი ნივთი არ უნდა დაგვავიწ-ყდეს“-ცხარობდა ელა. (ალბათ ისევ მწვავე ნერვული შეტევა დაეწყებოდა).

მერე დავყურებდი გვამის გამპატიოსნებელს. საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტი წვერს მპარსავდა, თმას მპანდა, სხე-ულს მიწმენდდა ბების გამოხდილი ორნახადი არყით.

ჭურჭელი ამაზრზენად შავი გაეკეთებინათ, თეთრი არში-ით მოერთოთ, სახურავზე ჯვარი დაეკრათ. ეზოს გარეთ ბინ-დისფერი კატაფალკა თავმომწონედ უყურებდა სამგლოვიარო პროცესიას. ვეებერთელა ავტომობილში გირლიანდებს და პა-ნაშვიდზე შეგროვილ ტიტებს ყრიდნენ. მერე ის იყო, შუადღის სამ საათზე გადმოასვენეს კუბო, სამჯერ დაატრიალეს და მაგი-დაზე დაასვენეს, სადაც ბერიკაცს წინასწარ მომზადებული სიტყვა უნდა წაეკითხა. ჩემს განვლილ და გაუკულნართებულ ცხოვრებაზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ ქართული ტრადიციის თანახმად და ჩემდა ბედად, მიცვალებულის ქილიკი დაუშვებე-ლია. არავის უთქვამს ავზნიანი და აშარი იყო, ბილწსიტყვაობის და უმვერი სიტყვების მოტრფიალეო. ბერიკაცი (თუშეთიდან ჩამობრძანებულიყო) ჩემს დარბაისლურ ხასიათზე მსჯელობდა, ქველმოქმედ მარჯვენას მიქებდა. (მე კი მეგონა ჩემს დაკრძალ-ვას კი არა ვინმე პატივსადები საზოგადო მოღვაწის პროცესიას ვესწრებოდი).

ოთხი კაცისგან შემდგარ გადამზიდველებს მხრები რომ არ დამძიმებოდათ, ამისთვის კატაფალკაში შემასვენეს. გზად ავტომობილის ბორბლის ჭრიჭინი მესმოდა, მელანქოლიური რეკვიემიც ბგერებს ასევდავებდა... ქელეხისგან მიმშილდაოკე-

ბული ხალხი აქა-იქ ყვავილებს ყრიდა და გზადაგზა ღვინოს ას-
ხამდა.

– ეს რა წესი გქონიათ ქალაქელებს, როგორ დაგრძლუნგე-
ბიათ ძალა, დაგვიწყნიათ ტრადიციები. ჯერ იყო და გვამი ფერ-
ფლად აქციეთ, ახლა ცარიელ ჭურჭელს მიასვენებთ სასაფლაო-
ზე და ხელით წასვენებასაც თაკილობთო – ცხარობდა თუში.

– მედიცინის დოქტორი მაღალფარდოვნად პასუხობდა: –
„საშიშია ძია და რაღა ვენათო...“

მღვდელი არ მოუწვევიათ, მითხრეს უცნობებმა, რადგან
შენი გვამი არ იყო და წესის აგება შეუძლებებლი გახდა. საზო-
გადოების დაუზინებული მოთხოვნით კრემაცია ჩაუტარეს შენს
სხეულს, ფერფლი კი მინას დაფლესო. (მიკვირდა, თუ დაწვას
მიპირებდნენ ან დასუფთავება რა საჭირო იყო, ან კუბოს დამზა-
დება. ხომ შეეძლოთ იმ კოლბაში მოვეთავსებინეთ, რომელიც
ქიმიის გაკვეთილზე მოვიპარე და ვიყენებდი ჭიების მოსათავ-
სებლად).

მაშინ გამახსენდა ჩემი უკანასკნელი ვედრება და ვთქვი:
„ნუ დაუშვებ შენგან ძერნილი იქცეს ფერფლად, რადგან ადამი-
ანად დავიბადე და არა ფენიქსად“.

და მომესმა ექო: – „მე ვარ ანი და ჰაე, პირველი და უკანას-
კნელი“ და ამით არ მთავრდება კაცის ცხოვრება.

– მაში, სად გრძელდება ადამიანის გაუკულმართებული
ცხოვრება? – გამიჩნდა კითხვა.

– სადაც უკანასკნელად დასრულდაო, მპასუხობდა კაპე-
ლას ხმა.

მე კი იმის ნაცვლად რომ ალილუა მეძახა, ვამბობდი:
ჩემს ვირსუსს სიკვდილი ჰქვია, ექიმის თქმით კი „სიკვდილი ბი-
ოლოგიური ორგანიზმის პერმანენტული დასასრულია“.

მერე ისეთი საამური განცდა დამეუფლა, რამაც ბავშვო-
ბაში საქანელაზე ქანავი გამახსენა, ქანდარაზე გადმომდგარი
მოკუნტული ფრინველივით რომ ჩამოვჯდებოდი. და მესმოდა
გაუცხოებული ხმა:

– შემოდით ოთახში, არ დაიგვიანოთ ღვთის გულისათ-
გის!..

ანიმაზია დრეზდენს

სამი წლის წინ დრეზდენის გალერეა მოვინახულე. ექ-სკურსიათმძღვრლი გამეცნო. მრავალ ენათა შორის ქართულსაც კარგად ფლობდა. „ხელოვანთა სამყაროს ძარცვავენო,“ ნაღ-ვლობდა გიდი. წყვდიადისფერ თვალებს აციმციმებდა, მატა-რებლის შორეულ ექსავით ჰქონდა ხელოვანი: „ჩქარა, დრეზ-დენის გალერეისკენ!“

– აქ რასაც ხედავთ ათი ამდენი გუშინნინ ებადა მუზეუმს, ათვერ და ასჯერ დაცარიელება მოელის კიდევ!..

– 1560 წელს საქსონელი კურფუურსტების სასახლის კო-ლექცია დაარსებულა. შედევრთა თავმოყრას საუკუნე ნახევარი დასჭირდა. 1722 წელს ნარსდგა ჩვენს წინაშე დიადი მონუმენტი, რომლის მსგავსი კაცობრიობას არაფერი ჰქონია. 1945 წელს და-ბომბეს; 197 სურათი ნესტისა და შმორისაგან დაიღუპა.

მარჯვნივ დამწუხრებული რაფაელია, მარცხნივ ჯორჯონე. მათ შორის ტიციანი ჩამდგარა. ვერონეზეს და კორეჯოს ამაყ გამოხედვას გენიალური რემბრანდტი ებრძვის. ვერმე-რის, ჰოლბაინ უმცროსის, ლუკა კრანახის, რუბენსის, ველასკე-სის, რიბერას, დიურერის მახლობლად რეისდალი წარბშეტოკი-ლი დგას და იგერიებს შედევრთა ჟინდაუმცხრალ მზერას. კრა-მიტახსნილი გალერეაც ამდენ გენიას ვერ მასპინძლობს. იწვევს ბომბდამშენების, ქვემეხების, საბრძოლო-საავიაციო დანაყო-ფების ხელმძღვანელობას, სამხედრო დივიზიას, მართლმსაჯუ-ლებას, რათა უსახურებად აქციონ პრეისტორიული მონუმენტი.

– ხელოვნება არად ფასობს, კაცი მუზეუმის ძარცვით ერ-თობა, იტყოდა გიდი, რომელიც კიბის მოაჯირს მიყრდნობოდა... იცი, ჩემო ბართლომე, რამდენი რამ მომწონებია და მასზე მესა-კუთრეობა მომდომებია, მაგრამ როგორ შეიძლება ღმერთთა მონაგებიდან მოპოვებული ხელმეორედ მოიპაროს მდაბიომ?! დიდება იმას, ვისაც კულტურის დაცვა შესძლება.

– კულტურა სადღა არისო, ანერვიულებული ბართლომე კადნიერ საუბარს დაიწყებდა. ქალაქში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც გულახდილად საუბრობდნენ.

ხელოვანთა სახლი სტაციონალურ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს. ნუთუ დიდხანს უნდა გვაფურთხონ წყეულმა ებრაე-

ლებმა და რჯულძალლმა გერმანელებმა? რამდენიმე საათის შემდეგ უკანასკნელი ექსპონატი, სიქსტეს მაღონაც აღარ იქნება. მზის ჩასვლისას გალერეაში ოქსინოსდარი, მზესუმზირის-ფერი პალიტრაც გაბრძანდება და ბათქაშითა და კოკისპირული წვიმისგან ჩამობერილი ჭერი ჩამოიფხრინება. დაიტბორება წყლის ნაკადით ერთ დროს დიდებული სამხატვრო გალერეა...

მოულოდნელად იწვიმა. თითქოს ვიღაცა საგანგებოდ მაღლიდან ვარცლით ასხამდა შმორიან, ტალახშედედებულ მატერიკას. უშნოდ შედედდა სისველისგან კირი და გაჯი. ცისარტყელი-სებურად სიჭრელისგან დაიზაფრა კედლები. გიდი შეშლილივით დარბოდა ნაბდით და საწვიმრით ხელში. გულდათუთქულ შედევრთა გოდებას ისმენდა; საყვედურობდნენ ექსკურსიათმძღოლს დავიწყებისთვის, მოუვლელობისთვის, დაღუპვისთვის.

წვიმამ მოგვიანებით გადაიღო. ალბათ „მარიგე ღმერთმა“ მაინც გული მოიბრუნა თავისივე შექმნილ სააქაოზე. მაგრამ თუნდ სამუდამოდ ეწვიმა, რა აზრი ჰქონდა. წუთისოფელი არ ღირდა გუშინდელი დრეზდენის სანახაობად, დღევანდელსაც არ სჯობნიდა ბევრით.

წლებმაც განვლო. ბართლომეს სახლში გიდის ანდერძი იპოვეს:

— დრო მოვა, როცა ადამიანები სიამაყით ალივსებიან წარსული დროით. მოიძიებენ სეზანს, ვატოს, ველასკესს, რიბერას, რაფაელს, გოგენს...მიაკითხეთ ბრემენის სასაფლაოს, სადაც დამარხულია კაცობრიობის ისტორია.

საბჭოთა მეომრებმა იპოვესო დამალული სურათები, ასე კი სწერია ყველგან, მაგრამ რაც არ მინახავს იმას ვერაფრით დავწერ. თან საბჭოურ რეჟიმს ყველაფრის მისაკუთრება ახასიათებდა.

1956 წელს კვლავ გაიხსნა იგი. კალვადოსით უცნობმა ბერიკაცმა წარმოოთქვა:

მართალია თავის დროზე კრამიტი ახადეს გალერეას, სანაცვლოდ ამავე ეპოქაში იგრძნო ადამიანმა, რომ არაფერი იქნებოდა დრეზდენის სანახაობის გარეშე.

და არაფერი იყო გუშინდელი დრეზდენი დღევანდელთან შედარებით, რომელიც მერმისის აჩრდილად ქცეულიყო. მწუხარე ბინდში, იმავე მიწის წიაღში, ახალი შედევრი იხატებოდა, გერმანელთა და უცხოელთა წინარე.

નિરૂપિણ

პოეტის ქორცინება

ზღვა უცნაურად ლელავდა და მის ტორტმანში ხმათა მუ-
სიკასავით ჩამესმა, – არ დაიგვიანო, სტუმარო! დღეს „ვინმე
გენრი დოლიძის“ ქორწილიაო...»

ჩოხოსანთა რიგებში ვდგავარ, წელზე დეკორატიული ხმა-
ლი მამშვენებს და თავდახრილი მივყვები სარიტუალო პროცე-
სიას.

ტაძართან ეტლი დგას, მეტისმეტად გადაპრანჭული კი
არა, გაუბრალოებული. ღმერთმა დალოცოს ქართული ხასიათი,
არასდროს ყოფილა ფუფუნების მოტრფიალე, რადგან მუდამ-
ჟამს სხვა სიმდიდრე-ფასეულობის მაძიებელი გამხდარა.

ნეფე-დედოფალი ლოცულობს, ალბათ ღმერთს შესთხო-
ვენ „უღელი“-ს შემსუბუქებას და დიადი ქართული სიტყვის
[მეუღლის] მნიშვნელობაზე ეფიქრებათ.

წვიმს. კოკისპირულად არა, უფრო სენტიმენტალურად,
ისე, მნერალს რომ კალამი აალებინოს, მაგრამ რა დროს წერა
არის, წერას აყოლა დღეს არ ივარებას.

ტაძრიდან გამოსულ ნეფე-დედოფალს ხმლის ქვეშ უპირე-
ბენ გავლას და ჩოხოსანი გაპირებთ გადაგაჯვარდინოთ ხმლე-
ბი, მაგრამ გვესმის სათნო ხმა: – ტაძარია და უხერხული [ან იქ-
ნებ უადგილოც] ხმალთა ტრიალი, ეს ქართველთ არ გვეკადრე-
ბა!..

მეეტლე რუდუნებით უცდის ნეფე-დედოფალს. დალოცოს
ღმერთმა ის ტექსტი, სადაც გიორგი ცაბაძე „მეფაიტონე“-ს ამ-
ღერებს.

„არც ფაიტონი, ალარც ცხენები,

რატომ არაფერს მეტყვით,

სად მიმაქროლებს ჭენებ – ჭენებით

ნუთისოფელის ეტლი...“

ცხენების თქარა-თქურსა და ფლოქვების ხმაზე ადგი-
ლობრივი გარეთ გამოდიან. ვხედავ ხალხი გაოცებით იმზირე-
ბა: მაღაზიის ვიტრინებიდან, ფეშენებელური სასტუმროებიდან,
კაფე-რესტორნებიდან და ვრწმუნდები, – ქართველს მაინც არ
მოეწონა გათანამედროვეობა და არქაული მოენატრა ყველაფე-
რი.

ახსენეს ორი სულის სავანე, ვეფხისტყაოსანი და ბიბლია.
„რომელმან შექმნა სამყაროს“ მოჰყვა მოძღვრისგან თქმული
„მამაო ჩვენო“ და ვიდრე იგი აკურთხებდა სუფრას, გულმხურ-

ვალედ ერთხმად ვილოცეთ. [ბედად, ლოცვაც არ დაგვიწყნია თურმე, რადგან ასე ერთხმიანობა დიდი ხნის წინ თუ მსხმენოდა].

პოეტის ქორწილში ლექსს ვინ არ იტყოდა, ამიტომ გაეჯიბრნენ ამერ-იმერის პოეტები ერთურთს. თუმცა კი, არ შეიძლება არ გამოვყო თამადის, – მერაბ კვიცარიძის სადღეგრძელოები, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „საქორწილო პოემა“. მისი სიტყვა იყო უზუსტესი, ხოლო მისგან თქმული ჰგავდა მოქანდაკისკან გამოკვეთილ ქვას, სადაც ნებისმიერი ნაკვთი განსაკუთრებული სიზუსტით შეესრულებინა ხელოვანს.

ის დღე რომ სხვათაც ენახათ, გაახსენდებოდათ ან განსვენებული პოეტის გენიალური ლექსი, „ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად“-ო.

მაგრამ ვაი, რომ საწყალ პოეტთა დასი კი არა, სიტყვის დიდოსტატებს მოეყარათ თავი. თითოეულმა იცოდა მადლიანი ქართული სიტყვის ძალი და ფასი, ამიტომაც წელში გაიმართა დამსწრე საზოგადოება, მეტისმეტი სიამაყით აიზიდა მხრები [ეს მარტო ქართველს თუ მოუხდება], თორემ სხვა ერთა ასეთ თავეერთობას ვადარებ ინდაურის გაბლენძგას.

და მახსენდება,

„არცა განგცე სიქადულო“, სიტყვაც სულის არტოებავ,
თითზე მელნად დაგრეხილო, სისხლში სისხლად

ჩანანურო,

მიოჩევნია კლარჯეს ახსოვდე ასო-ასო, ლებან-ლებან,
ფერეიდნულ ჩანგზე თრთოდე არა-სალიტერატუროდ“,
ან კიდევ, სიძისეული

„ბაბუ, ის დრო ალარ არის, ბაბუ, ის დრო წავიდა!“

არავითარი დრო არ წასულა, პოეტო. უბრალოდ, ცოტათი მეტს ვნალვლობთ დარდყაცათ ქცეული პოეტები თუ მწერლები, ამიტომ წერდა ალბათ როინ აბუსელიძე: „რთულია უსაშველოდ პოეტის განაჩენი“-ო.

მერე, ისევ ჩემს ფიქრებში წასული ვფიქრობდი ნ. ლორთქიფანიძეზე, რომელმაც გენიალურ ნოველას ტვიფარივით დაამჩნია ეპილოგად: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო“. თუმცა, განა ერს ეპატიება ასეთი დიდებულთაგანის უძეგლოდ გაქრობა? მიხვდებოდით, პოეტ ზურაბ გორგილაძე-ზე ვსაუბრობ, რომელსაც წიჭი თავის დროზე სათანადოდ ვერ დაუფასდა, მაგრამ ახალმა დროებამ მოიძია, გადაქექა მისი ბიბლიოთეკა, ზეპირად დაისწავა ლექსთა-ლექსები! აშკარად

იგრძნობოდა, თანამედროვეობა მუხლს იყრიდა მისი საფლავის
წინარე და მისივე სიტყვებით თვალცრემლიანად ამბობდა:

„ვარჯანისთან, ნაჯვარისთან
დაჯვარული ქვები წვანან,
ქვებში ჩუმად დაქვითინებს
ჩემი დიდი ნენეის ნანა,
დერდებს გულში ვიბექსნიდი
აჭარელი ვიყავ განა“.

მუხლოდრეკილ დროებასა და სრულიად საქართველოს
შემფასებლად დარჩა მეუღლე და შვილები, ბედად, ისინიც გავი-
ცანი; ისეთივე წმინდა და სათონ სულისანი იყვნენ, როგორც
გორგილაძისეული პოეზია გახლავთ.

წესისამებრ, „ქართული გენია როკეით განფენილი“ გახდა
სცენის საჭეთმპყრობელი. მოცეკვავეთ დალაშქრეს დარბაზი,
ხოლო მომღერალთა გუნდი ხმატკბილად ასრულებდა „მრავ-
ლუამიერს“...

ფერეიდნიდან ჩამობრძანებულ იოსელიანთაგან, თავკაც-
მა ისე ტკბილად იმღერა „ქორნილია, ქორნილი“, რომ დამ-
სწრეთ ცრემლის შეკავება გაგვიჭირდა. ისიც მომაგონდა, ის-
პაპანში სტუმრობისას რამდენჯერმე რომ შეგვახსენეს, „ფერე-
იდანი სხვა საქართველოა, ერბოა და წყალში არ შაერევის“ -ო,
ხოლო დამშვიდობებისას უფალთან გაგზავნილი ლოცვა –
ლმერთს ებარებოდეთო“. ისინი ახლა იმ მინაზე იმყოფებოდნენ,
აგერ რამდენიმე საუკუნის წინ რომ მათ წინაპრებს მრისხანე
შაპ-აბასმა დააგრებინა, მაგრამ არ ჰქონიათ განცდა უ-ს-ა-მ-
შ-ო-ბ-ლ-ო-ბ-ის, რადგან შორეულ ირანშიც ახერხებდნენ ეროვ-
ნულობის შენარჩუნებას...

ვსვამდი ზომიერად, რადგან თრობა არ ივარგებდა. ყვე-
ლაფერს ფხიზელი თვალით შეფასება სჭირდებოდა.

დავლოცე ახალგაზრდა ხელოვანთა ქომაგები, სულიერი
აღმზრდელები

აღმოსავლეთით – მაყვალა გონაშვილი,
დასავლეთით – ბელა ქებურია
რომელებიც იცავენ სოკრატეს მოძღვრებას, „ყოველ ადა-
მიანშია მზე – ოღონდ მიეცით მას საშუალება, რომ ანათოს“.

ისინი იცდიდნენ, ეძებდნენ და ჰპოვენდნენ კიდეც.
და აი, დღეს ყველაზე ძლიერ, დუნიას მზის მცხუნვარება
ახარებდა.

...

საღამო იყო წყნარი.

ზღვაც ისე ძლიერ არ ტორტმანობდა; იქნებ სტიქიამაც იგრძნო ბათუმურ მიწაზე თავმოყრილ ხელოვანთა ძალმოსილება და გაჯიბრება ვერ გაძედა.

მერმე, პირველად მოვხვდი ოჯახში, სადაც მომიწია ღამის გათენება. ბ-ნ დავით არძენაძესთან ვისაუბრეთ ლიტერატურულ პროცესებზე, ხელოვნებაზე, თანამედროვეობაზე; ამ დიდსულოვანმა ქართველმა „სტუმარ-მასპინძლის წესზედა“ მიმიღო, როგორც ძმა შემიყვარა და გამთენისხანს დაუზარებლად გამაცილა სახლიდან.

შეიძლება მეტიც დაიწეროს, მაგრამ დანარჩენი სხვათათვის მომიღვია.

პატივებას ვითხოვ, თუ რამე მნიშვნელოვანი გამომრჩა.

მაგრამ, „to be continued“ – ის ნაცვლად მე მაინც ძველმოდურად ვიტყვი: – გაგრძელება იქნება, მეგობრებო!..

22.10.2013 წელი
ბათუმი/თბილისი

თერილი სპეციალურ ადგესატს

ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, რომელსაც ფრონიდისა და კანტის ენა თითქოსდა მესმოდა, თავის დროზე შენი ვერაფერი გავიგე...
მოცარტის რექვემს დატყვევებული ვუსმენ, სადღაც მყუდრო ადგილას ვპოვე თავშესაფარი და განმარტოებულს ისევ შეზე ფიქრი მომერია.

ადრე ვფიქრობდი, ლმერთო, რა იდიოტობაა სიყვარულზე ასე გაუთავებლად საუბარი-თქო, ალბათ იმიტომ, რომ ურნმუნო თომა ვიყავი და სიყვარულზე მხოლოდ სარაინდო-ეპიკურ-სათავადასავლო ლიტერატურიდან თუ მსმენოდა.

დაახ, ეს მე ვიყავი: განსწავლული, პატივმოყვარე და წარმატების მაძიებელი. რომელიც დღითიდღე მ. ჯავახიშვილის პერსონაჟის „ბრინჯა“-ს ანალოგი ხდებოდა. [ალიარებაც გმირობაა, იმთავითვე].

არ ვიცოდი, როგორ უნდა მეცხოვრა და დანამდვილებით არ ღირს იმის მტკიცება, რომ დღეს უკეთ შემიძლია გადაწყვეტილებების მიღება.

...
როდესაც შენ „სადედოფლო“ სამოსში გამოწყობილი გიხილე, ვიფიქრე, საუცხოო პატარძალია და როგორი იქნებოდი ჩემს გვერდით. მაგრამ უკვე რისამე შეცვლა სავსებით შეუძლებელია... არჩევანს არ დაგიწუნებ, რადგან საქმე შენს მომავალს ეხება და ვირნმუნებ, რომ შენ არ შემცდარხარ!..

როგორც კი დაგკარგე, იმწამსვე შეგიგრძენი. გეგონა, რომ შენს სადღესასწაულო საღამოზე დასასწრებად მაინცდამა-ინც მოსაწვევი დამჭირდებოდა? არა, ძვირფასო. მე შენთან ვიყავი მაშინ, როცა ჯვრისწერის ცერემონიიდან „უღელს“ მოეზიდებოდი. მხარგამართული იყავ და თან შეშინებული, რადგან არ იცოდი, შეძლებდი თუ არა ბოლომდე ამ ტვირთის ტარებას.

მაგრამ ნუ შეშინდება. მე ხომ შენთან ვარ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო. რა მნიშვნელობა აქვს ვისთვის მოამზადებ სადღილს, ვისთვის დაუკრავ ფორტეპიანოს, ვის გაუთბობ გულს შენეული ღიმილით, მე ხომ მეცოდინება, რომ შენ ხარ ბედნიერი.

ისლა დამრჩენია, ვიქცე შენი ცხოვრების აჩრდილად, რადგან უკეთესი ხვედრი არ მერგო განგებისგან. [თუმცა მთლად ბედ-ილბალს დავაბრალო ეს ყოველივე, უსამართლობა იქნება, რადგან შენს მოსაპოვებლად თითქმის არაფერი მიქნია].

როდესაც ჩავივლიდი საიუველირო თუ ყვავილების მაღაზიებთან, უნებლიერთ გავიფიქრებდი, რამე ხომ არ მივუძღვნა საჩუქრად-თქო?! მაგრამ იჭვნეული, დაბნეული ვიდექი საათობით. (აკი ვაღიარებ, გადაწყვეტილებების მიღება მუდამ მიჭირდა-მეთქი). მეშინოდა, არ გეფიქრა, ვითომ საჩუქრითვე ვცდილობდი შენი გულის მოგებას. საბოლოოდ ისე გამოჩნდა, რომ ან ჯიბეგაფხევილი დავრჩი შენს წარმოსახვაში, ან საოცრად ძუნნი. არც ერთი ვყოფილვარ და მით უფრო, – მეორე. მე შენზე უზომდო შეყვარებული ვიყავი!..

და სიკვდილივით მაშინებდა ის ფაქტი, რომ საჩუქრების გაგზავნით შესაძლო იყო სამუდამოდ დამეკარგე. ზოგჯერ წყენაც ხომ დაკარგვის ტოლფარდა...

მოქმედება თუ უმოქმედობა?! – აი, ორთაგან ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ დაგისაკუთრე.

ახლა კი ვფიქრობ, ნეტა როგორ ხარ? შეგრჩა სახეზე ღიმილი თუ...

რამდენიმე რჩევას დაგიტოვებ, ვიდრე კვლავ შეგეხმიანებოდე:

უფრთხილდი, ძვირფასო ავტომობილით მგზავრობას, რადგან საფრთხე მომეტებულია ამ დროს და რამე არ შეგემთხვას.

მოერიდე ასევე მეტროში სიარულს, რადგან გულჩილი ბუნების ხარ და გაჭირვებულ ხალხთა დასახმარებლად ვიცი უკანასკნელ გროშსაც გაიღებ, მერე კი შინმისული რა პასუხს გასცემ ქმარს, რომელმაც შესაძლოა შენი ასე უანგარო ქველ-მოქმედებისა ვერაფერი გაიგოს.

დააკვირდი ადამიანებს, როგორი ერთფეროვანი და უმეტყველო სახით დაიარებიან. არამც და არამც მათ არ დაემსგავსო. პირიქით, მაგალითი მიეცი ბედნიერი ადამიანისა, თორემ ხომ ხედავ, როგორ იტანჯება სამყარო სენტიმენტალობისგან...

მესმის, რომ კოკო შანელი ელიტარული მოდის შემქმნელი იყო, მაგრამ მის კოლექციაზე ძლიერ ფერი მომწონდა (შავთეთრი), რადგან ყველას წინარე გულახდილი ქალი იდგა და საზოგადოებას სიყალბეს კი არა, ჭეშმარიტებას სთავაზობდა.

ისიც მესმის, რომ გენიალური კომიკოსი ჩარლი ჩაპლინი ნიღბავდა თავის სულიერ ტკივილს და ჯერალდინასთან [შვილთან] საუბრისას აღიარებდა, „აგერ ნახევარი საუკუნე ჩვენი გვარი აცინებდა პლანეტასო“, მაგრამ შენც უკეთ იცი, ეს ყოველივე თამაში იყო სცენაზე, ადამიანთა გულის გასათბობად და

სწორედ ამიტომ იყო გენიალური, რომ საყოველთაო სევდას კი არა, მხიარულ შარქებს უჩვენებდა მოწყენილ დედამიწელებს.

ამ წერილის მერე ხალხი ჩემზე იტყვის, რა ჩინებული სასიძოა, როგორი უბადლო რომანტიკოსიო, ზოგიც ჩათვლის, რომ ქალების გულის მოსანადირებლად ვწერ. მაგრამ რას გაიგებთ იმ კაცისას, რომელიც დღენიადაგ მარტივით ცვალებადია. მე ასეთი ვარ მხოლოდ შენთან, ამ წერილის სპეციალურ ადრესატთან. სხვასთან ოცნებაც კი არ შემიძლია ამ ყველაფერზე.

უმორჩილესად გთხოვ, როდესაც მოილოგინებ და ჩვილის აღზრდას დაიწყებ, იყავი მასთანაც ისეთივე, როგორადაც გაგიცანი. ესაუბრე მუსიკაზე, ღმერთზე, სიყვარულზე, პოეზიაზე...

ეს ერთადერთია, რითაც ჩემს გახსენებას შეძლებ და ნუ-გეშსაც მომანიჭებ.

რადგან შენ ჩემი ერთადერთი და დაკარგული სიყვარული სარ.

ჩემი ბედნიერების და უბედობის თავიც და ბოლოც...

მიყვარხარდი და მიყვარხარ სიგიუმდე.

სამარადისოდ!

შენი, ირაკლი

04.03.2014 წ.

ზოგიერთი რამ ჩემს შესახებ, ანუ დედიშობილა ფიქრები

პირველი შემთხვევაა, როდესაც ვწერ არა საუკუნალო-სა-
გაზეთოდ, საწიგნო-საგამომცემლო მიზნისთვის, არამედ საიმი-
სოდ, რომ აღსარება ვთქვა საკუთარ თავთან და მერმე, ნაწერის
სპეციალურ ადრესატთან.

არ ვინაღვლებ, თუკი ორთოგრაფიულ-სინტაქსური შეც-
დომები იქნება და პუნქტუაციაც გაუმართავი, რადგან მარ-
თლწერის წესების სრულყოფილი ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ
სრულყოფილ ნაწარმოებს შექმნის ავტორი.

პროზაში ახალბედამ, ხანგრძლივი (დაულალავი) შრომის
ფასადაც კი ვერ შევძელი ლიტერატურისთვის სიახლის შემატე-
ბა. არცთუ ადვილია, კაცობრიობას, რომელსაც ჰყავს: დრაიზე-
რი, ფოლკნერი, დოსტოევსკი, სელინჯერი, თომას მანი, გოეთე,
შექსპირი, უელბეკი, ბახი, ორუელი, შმიდტი, რილკე, მანი, ცვაი-
გი, დიკენსი, რემარკი, ჰემინგუეი, და შორს რომ არ წავიდეთ
(ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია), ჩემი გოდერძი ჩოხელის,
ოთარ ჭილაძის, ჯემალ ქარჩხაძის, ნოდარ დუმბაძის, გურამ
დოჩანანშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის შემდეგ საკუირველებანი
შევთავაზო ეროვნულ თუ მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიო-
თეკას. აჯობებს, მორჩილად ვიჯდე ჩემთვის და ვწერო შიგადა-
შიგ, როცა ე.წ „აზრკრიმინალები“ მაიძულებენ თაბახთან რისა-
მე ახსნა-განმარტების დაწერას.

იბადება ჩემსავე წიაღში ფიქრები და შემქმნელის წინაშე
დედიშობილად ჩამნკრივებულან. ერთმანეთს ეჯიბრებიან, არა
მე გჯობინი, არა მეო. გამორჩევას მთხოვენ. საუკეთესოს თავი
მოაქვს, მედიდურობს და მე ასეთ ფიქრებს ყეყეჩ და თავმომწო-
ნეს უუწოდებ. ინდაურივით გაბლენძილებს თავი გამორჩეულად
ესახებათ. იქვე არიან მარტოსული ფიქრები, რომელთა ხილვა-
ზე წარმომიდგება რატომდაც კოლხი დიდედა.

რამდენი რამ მაქვს მოსაყოლი და არც კი ვიცი, საიდან და-
ვიწყო.

მიკუირს, სქელტანიანი წიგნების ავტორს, რომელსაც უინი
ჰკლავდა ხან შუა საუკუნეები გაეცოცხლებინა, ხან სხვათა და
სხვათა ცხოვრებისეულ ფრაგმენტებზე ეწერა, როგორ მოხდა

რომ საკუთარ თავზე ასე ცოტა უსაუბრია, არადა კაცმა რომ თქვას, მეტისმეტი თავმდაბლობა აქ არაფერ შეუაშია. თავმდაბლობაც ისევე ცოცხლობდა და საზრდოობდა ჩემში, როგორც სხვა იმპულსური გრძნობანი.

მართლმადიდებლურ ოჯახში დაბადებულს (ნათლისლების მნიშვნელობა, კვერცხის შეღებვის რიტუალი, ჯვრის ტარება და სხვა სიმბოლისტიკა ჯერ წიგნებით შევიცანი, მერე მირონის ძალამ და მადლმა მაზიარა) ვიცი, რომ აღსარების გამხელა მოძვართან ხდება, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ხელოვანს შეუძლია კალამს გაანდოს ეს საიდუმლო. და აი, სააღმსარებლოდ, პირველ და უმთავრეს ცოდვაზე მსურს გესაუბროთ, ამ ცოდვას მე მაქსიმალი ზმი დავარქვი.

ყველაფერი ერთდროულად მომინდა. პირველკაცობის წყურვილმა მაქცია ყველაზე ჩამორჩენილი მოსწავლე საუკეთესოდ, რადგან იმ წელს, როდესაც ტრადიციად ქცეულ რჩეულ მოსწავლეთა გამოფენაზე (სანიმუშო დაფაზე) ჩემი გვარი ვერ ამოვიკითხე, სკოლიდან სახლამდე მიმავალი ბილიკი ზამთრის თვეში ფეხშიშველმა, თვალცრუელიანმა გავიარე. და მივხვდი, სკოლის უურნალიდან ნიშნის გადასწორებით ან დღიურიდან უარყოფითი შეფასების ამოგლევით პრობლემას არ ეშველებოდა. მაჩანჩალა მოსწავლის ბედს ცხოვრება არასწორად გეგმავდა. საჭირო იყო მონდომება.

კონკურენცია საკმაოდ დიდი გამოდგა. მით უფრო, რომ 90-იან წლებში, კლასობრივი მდგრმარეობა ხელს არ მიწყობდა და არც მასწავლებლის ტკბილეულით განებივრების ფინანსური შესალებლობა გამაჩინდა. მოკლედ, მე თვითონ უნდა დამეწყო ბრძოლა პირველობისთვის. სწორედ, ამის გამო შემძულდა საგანი არითმეტიკა, სადაც თვლის დაუფლებისას ჩამესმოდა: - პირველს მოსევს მეორე, მესამე, მეათე. აი, შენც მესამე შვილი ხარ, ანბანური საძიებლით შენი გვარი 24-ეა, როგორც ამ კანონზომიერებას ვერ დაარღევ და მშობლებისთვის [ასევე მასწავლებლისთვის] პირველი ვერ გახდები, [ან რატომ უნდა გავმხარიყავი?!] ასე იქნება მუდამ. შეეგუე, საშუალო ადამიანი, თუ მას შრომის და ბრძოლისუნარანობის ხელოვნებისა არ ეს-მის, მუდამ რიგითად დარჩება.

შრომის და ბრძოლისუნარანობის ხელოვნება, აი რას შეძლო საშუალი ადამიანიც კი საზოგადოებაში მნიშვნელოვან

მოვლენად ექცია. [არ შეიძლება გჯეროდეს, რომ სამყარო შენს გარშემო ტრიალებს და შენ ხარ მამოძრავებელი ძალა, თუმცა ადამიანები შეიძლება დააჯერო, რომ იმაზე მეტი ხარ, ვიდრე ჩანხარ. ამის მერე, მეტად პატივისცემით მოგეკიდებიან. მთავარია ყველამ იგრძნოს, შენ საჭირო ფიგურა ხარ. ასეთივე საჭირო იქნები სკოლის მერჩეც, ბურთის თამაშისას, დავალების შესრულებისას, სამეგობროშიც, სამსახურშიც, უნივერსიტეტშიც და ყველგან, სადაც მოგინერეს მიბრძანება].

ნელ-ნელა დაკვირვებას ვახდენდი და მაკიაველის „მიზანი ამართლებს საშუალებას“, აბსოლიტურ ჭეშმარიტებად მივიჩნიე. ბოლო მერჩე მჯდომი და ხან კიდევ მასწავლებლის რის-ხვისგან კუთხეში მდგომი ყმანვილი მე-5 კლასში წარჩინებულ მოსწავლედ გამომაცხადეს. როგორ?

პასუხი მარტივია. არ არსებობდა ჩემთვის დაბრკოლება, სირთულე. ვიქექებოდი ენციკლოპედიაში, დის რეკომენდაციით ვკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურას, ვეცნობოდი ისტორიას, არქიტექტურას, სამედიცინო ჩანაწერებს. მრავალი სიტყვის მნიშვნელობა არ მესმოდა, ამ დროს ვხელმძღვანელობდი ლექსიკონებით, ვინიშნავდი ყველაზე მნიშვნელოვანს, ხოლო საზაფხულო არდადეგებიდან მიბრუნებულს, მასწავლებლის კითხვაზე, რა ლიტერტურას გაეცანით, შემეძლო დაუსრულებლად მესაუბარა.

ხეს რომ უძახო მუდმივად გახმიო, ისიც კი გახმება, ამდენად, თუ გსურს გამარჯვება, - დაარწმუნე თავი შენი, რომ ხარ რჩეული.

როცა მოახერხებ და თავს განსაკუთრებულად იგრძნობ, გამოგიმუშავდება მეორე ავი თვისება, რომელსაც მომაკვდინებელ ცოდვად მივიჩნევ. ამ ცოდვას დავარქვი - თვითდაჯერება, მაგრამ ნუ შეშინდებით.

თავდაპირველად ის გაუტოლდება სიამაყეს, ფრთებს მოირგებს და ზემოდან ალმაცერად ყურებაც დასჩემდება. თვითდაჯერება განავითარებს თვითრწმენას, რომელიც ფრანგების აზრით გამარჯვების ნახევარს უდრის.

ასე მოვახერხე მე, პროგნოციელმა, შორეული აფხაზეთიდან სამოქალაქო ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა მოზარდმა, [უსახლკარობის შემდევ უქალაქოს, უმისამართოდ,

უ-ყველაფროდ დარჩენილმა] საკუთარი სახის შექმნა. ბედად, ღვთისგან მდევდა ალბათ მადლი, ყოველთვის იმ ლიტერატურას ვაწყდებოდი, რაც გამრუდებული გზიდან სწორ გზაზე გადამამისამართებდა. გაცისა და გაიმის კერპთამსხვრევა წავიკითხე, რაზეც წლების შემდეგ დავწერე: - მე არმაზის სალოცავი ვარ უფალო, ქარტეხილებისგან დაფშვნილი და გაცამტვერებული.

კერპებს მსხვრევა მოელის, იქ სადაც ჭეშმარიტებაა, ამიტომ თვიდჯარების პარალელურად ვცდილობდი თვალშისაცემი არ ყოფილიყო ეს ყოველივე. რადგან უდიდესი პიროვნული მარცხის გამომწვევი იქნებოდა, თუ თვითრწმენა ამპარტავნებაში გადაიზრდებოდა. განსვენებული ბებიაჩემი ინდაურებს ვერ ჰყვარობდა. გაბლენძილები არიან, გეგონება ფარშევანგებს არ ჩამოუვარდებიანო და ამრეზით გაპყურებდა მუდამ.

საჭირო იყო საკუთარი მცნებები მქონოდა, რომლითაც შევძლებდი წარმატების მიღწევას. (გაბატონებული შეხედულების თანახმად, მას ხშირად წარმატების ფორმულადაც მოიხსენიებენ).

ორუელის „ცხოველთა ფერმის“ მსგავსად, მე მჭირდებოდა გონივრული მცნებანი, რომელიც არ დასცილდებოდა პიროვნების სამოსელს.

ფორმულა №1

როდესაც ცუდად ხარ, ადამიანები შენგან გარბიან.

როდესაც მომჯობინდები, შორისახლო დადგებიან და დაგინებენ თვალთვალს. (ვიდრე დარწმუნდებოდნენ, გამოჯანმრთელდი თუ არა)

ხოლო როდესაც კარგად იგრძნობ თავს, მოგიჩოჩდებიან და გეტყვიან ათას მიზეზს, - თუ რატომ არ ჩანდნენ ძნელბედობის ჟამს.

იყავით მშვიდად, არაფერზე ინალვლოთ, რადგან ცხოვრების კანონზომიერებამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და ადგილიც მიუჩინა...

ისინი ცუდი ნილბოსნები იყვნენ.

ფორმულა №2

ყველზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც საზოგადოებაში საკუთარ თავს იპოვნი!.. ანუ, "გახსოვდეს ვისი გორისა ხარ", "რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით" რომ "ვინძლო ქვეყანა არ გავაცინოთ".

ადამიანს, რომელსაც მიზანი გააჩნია (რაოდენ გაუკულ-მართებული არ უნდა იყოს), ის პატივისცემის ღირსია.

მცდელობა რისამე კეთებისა, [თუნდაც დამარცხებით დასრულდეს], მაინც მისასალმებელია.

ნუ დაღონდებით. ეძიეთ საკუთარი მომავალი.

ფორმულა №3

სამყარო, სადაც ყველაფერი ფარსი და შენილბულია, შენ გაუთავებლად იბრძვი. ის ვინც გეუბნება ან გაგრძნობინებს, რომ ელიტისთვის სრულიად ზედმეტი ხარ, ნუ დაგზაფრავს, მცდელვარებასაც როდი მიეცემი, გულისწყრომაც დაივიწყე და გაპასუხე: – პირიქით, გვერდზე გაიჩირჩეთ, მეგობარო! თუ არ გსურთ თქვენს ნინააღმდეგ „ტრამალის მგელი“ გამძვინვარდეს.

ფორმულა №4

ადრე თუ გვიან ყველა ადამიანის „რომაული არდადეგები“ სრულდება. შეეგუე, ზღაპარი ამაოდ არ იწყება იყო და არა იყო რათი... ცხოვრებას რომ ყოველთვის ზღაპარივით ფინალი არ აქვს, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება.

ამიტომ, წერე არა სხვათა ცხოვრების შესახებ, არამედ საკუთარზე. და იფიქრე, რა იმოქმედე უკეთესი მერმისისთვის...

თუკი ამ ყველაფერზე ფიქრი არ გეპრიანა, ჩემი რჩევა იქნება, მარტენ პაჟის „როგორ გავხდი იდიოტი“ წაგვეკითხა, რაზეც ყოველთვის იუმორისტულად მახსენდება მეგობრის ნათექვამი, სრული სერიოზულობით თქმული: – რა წაკითხვა უნდა მაგას, ძმაო. ნიგნის რეკომენდაციების გარეშეც შეიძლება იოლად გახდე იდიოტიო.

ერთხელ ვკითხე საკუთარ თავს, რა უნდა ჰქნა ირაკლი იმისთვის, რომ გახდე წარმატებული ადამიანი. შინაგანმა ექომ მიპასუხა: იყავი მეტად მონდომებული; დავუჯერე - მეც გავხდი მონდომებული. საკმარისი არ აღმოჩნდა და საყვედურით ვი-

კითხე ხელმეორედ, რა არის საჭირო საიმისოდ, რომ მოხვდე ყურადღების ცენტრში; - ნიჭი - მიპასუხა ისევ ქვეცნობიერმა. კიდევ რა არის საჭირო? - რელიზაცია ამ ნიჭის და შრომისმოყვარეობა. დაძლიერ სიზარმაცე და ისე სწრაფად დაინახავ შედეგს, გაგიკვირდება ღმერთმანი.

და როცა, ამ შრომის მერეც ვერ ვპოვე ასე ნანატრი წარმატება, განვმარტოვდი საკუთარ თავთან და ილბალს მივენდე. აი, სხორცედ ეს უკანასკნელი ყოფილა მთავარი, თორემ სხვა დანარჩენი ამაოებაა. როცა საჭირო დროს, სასურველ პოზიციაზე აღმოჩენდები, დაიმახსოვრე, ეს ბედისწერის დამსახურებაა და ნუ გათამამდები მონაპოვარით, რადგან იმ შეგონებისა არ იყოს, წარმატება ძალიან ჰგავს ქარის მოტანილ ქვიშას, რომელსაც სავარაუდოდ, ისევ ქარივე გაფანტავს...

...

მოკლედ, დანამდვილებით რისამე თქმა შეუძლებელია, თუმცა ფაქტია, ჩემი ცხოვრება ხან ხათრით და ხან ჯიბრით წარიმართა... არა მგონია, სხვებთანაც განსხვავებულად ხდებოდეს.

„სპირალი“ – ქართული ფილმოგრაფიის სწრაფვა კოსმოკოლიტიზმისაკენ!

კინოხელოვნება გაჩნდა მე-20 საუკუნეში, რომლის კონცეფცია არის შავ-თეთრი ან ფერადი „მოძრავი ნახატების“ პროეციება ეკრაზე. კინოხელოვნებაში ხდება ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის სინთეზი მისთვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალებებით, რომელთაგან უმთავრესია კინოგამოსახულების ფოტოგრაფიული ბუნება და მონტაჟი. ხელოვნების ეს დარგი თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ტექნიკურ განვითარებაზე, მათ შორის ფოტოგრაფიების მოძრაობის, გახმოვანების, კინოფირების დამუშავებისა და გამუღავნების ტექნოლოგიებზე. კინოხელოვნება (ბერძნულად კინეო – „ვმოძრაობ“") არის ვიზუალური ხელოვნების დარგი, რომლის ნაწარმოებები იქმნება რეალური მოვლენების შესახებ ინსცენირებული ან მულტიპლიკაციური საშუალებებით. (ვიკიპედიის განმარტება)

კინო, ისევე როგორც წიგნი, ამბის მთხრობელი მატიანეა. კინო არის რეალისტი, რადგან ევალება დროებას ფეხი აუწყოს და მის მხარდამხარ იაროს. კინო მხატვარივითაა, რომლის დახატულს ყველა ხედავს, ხოლო შემქნელს თვითმხილველები შედევრში დაეძებენ. დროის დაუბრკოლებელ მანქანას (კინოს) ხელთ უჭირავს საათის ციფრებლატები და კაცობრიობის გულისცემას წამზომებით სინჯავს.

კინონდუსტრია კი იმ ქვეყნის სულისკვეთების კადრზე გადატანას ცდილობს, რომლის ტერიტორიაზეც მოძრაობენ მსახიობები. და აინტერესებს მაყურებელს, რა არის მიზეზი იმის, რომ ერთ ფილმში თავს იყრიან: ოთარ მელვინეთუბუცესი, ლევან უჩანეიშვილი, ლია ელიავა, გიული ჭოხონელიძე, თენგიზ არჩვაძე, რეზო ჩხიკვიშვილი, თამარ ჭოხონელიძე, ლიკა ქავეურაძე, ია ფარულავა, გურამ ფირცხალავა და სხვანი. მიზეზი არის იდეა, რომლის გარშემო უნდა შეიკრიბოს მთელი კაცობრიობა. დიახ, კოსმოპოლიტური იდეით გასაბჭოებულმა საქართველომ ხმა უნდა მიაწვდინოს მსოფლიოს და კულტურული თვითმყოფადობით აღტაცებაში მოიყვანოს კაცობრიობა.

ვაჟა ფშაველა წერდა: „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა

ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპივეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება კი აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.“ (კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, 1905 წელი) რომ ყოველ ერს უნდა აწუხებდეს ფიქრი, რას ჰმატებს მისი არსებობით სამყაროს, რა სარგებელი მოაქვს დაბერებული და დაუძლურებული დედამინისთვის, რომელიც შიგადაშიგ ბოროტი ძალებით ნაინფაქტარ დავით გიორგაძესავით გამოიღვიძეს და ცნობიერებადაუკებლად წარლვნით, ცუნამით, ქარიშხლითა და მინისძვრით აპირებს საკუთარი ძალმოსილების წარმოჩენას.

ამიტომაც, დედამინის ხსნის იდეას გურამ ფანჯიკიძის ნოველის მიხედვით გადაღებულ ფილმში „სპირალში“ ვაწყდებით. გენიოსის პროდუქტიულ აზროვნებას სურს „თეორიის დროზე გადატანა პრაქტიკაში, მოქმედებაში, რათა მოიხსნას საჭიროება უზარმაზარი რკინის კონსტრუქციებისა და მილიონობით ტონა გადამცემი კაბელებისა, რომელთაც უკავიათ დედამინის ათასობით კილომეტრი ზოლები და გადახაზული აქვთ ცის ტატნობი. შედეგად, მოიხსნება საჭიროება ტანკერების მოძრაობისა, ენერგეტიკული საწვავების გიგანტური მოცულობების გადაადგილებისა. გასუფთავებული და გათავისუფლებული ოკეანეები დაისვენებს. მოწამლული ატმოსფერო თავის საშინელ ჭრილობებს მოიშუშებს. საბოლოოდ კი, მოწესრიგდება აშლილი და არეული კლიმატი. განვითარდება დარღვეული ბალანსი ძალების ურთიერთობებით და ალდგება ბუნებრივი ციკლები წყლის ბრუნვისა მიწაზე და ატმოსფეროში. დამთავრდება და კალაპოტში ჩადგება არაბუნებრივი დისბალანსით პროვოცირებული წყალდიდობები, გაუდაბნოების პროცესები, და სხვა კატაკლიზმები. ალდგება და გაჯანსაღდება დარღვეული და დაავადებული მთელი ბიოსფერო“.

„ამ აღმოჩენას დიდი ძალების გამონთავისუფლება და დედამინის სახის შეცვლა შეუძლია. მოკლედ რომ ვთქვა, წარმოიდგინეთ უკაბელო დედამინა, უტანკერო სუფთა ზღვა და სხვა სიკეთე, მაგრამ ყოველივე ეს ბოროტ ტვინს დიდი ნგრევისათვის შეუძლია გამოიყენოს. ყველა უბედურება დედამინაზე ხომ ბოროტ ტვინს მოაქვს.“

უდავოა, რომ მეცნიერება ცდილობს ღვთის დოგმატის კორექტირებას „პიროვნების მაღომინირებელი ტვინის“ მეშვეობით. ამისთვის ექიმი მზადაა ხანდაზმული და მომაკვდავი პროფესორის დავით გიორგაძის „გონი“ საღ ფუტლიარში, რამაზ კორინთელში გადატანოს; ქირურგმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეიძლება „ორი უიმედო ადამიანისაგან ერთი საიმედო ადამიანის შექმნა“, ცდა აქამდე წარმატებულად განუხორციელებია ცხოველებზე და არ ამინებს საექსპერიმენტო დაბრკოლება, მხოლოდ პიროვნების მეტამორფოზის წინასწარ განჭვრეტას შეუძლებლად მიიჩნევს. მოძღვართან საუბარიც ახსენდება და ჩაესმის იჭვნეულს: „ადამიანის ტვინის გადანერგვა და მისი გაორება სატანისულია, ბუნების ძალთა ამოცნობა ყოველთვის როდი მსახურობს სიკეთეს. ცოდნა დიდი ძალაა, დიდი ძალა კი რყვნის მის მფლობელს. თუ მას ზნეობრივი და სულიერი სისპეტაკე არ უპირისისირდება სატანის იარაღად გადაიქცევა.“

ამ მინიშნების მიუხედავად, პიროვნების მმართველ მიზან-სწრაფვას სწამს, რომ „გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდება“. და რა დაშავდება თუ ადამიანის სხეულზე გადაიტანს თავის პროფესიულ გამოცდილებას. ბოლოსდაბოლოს, მას ხომ პრემიაც აქვს მოპოვებული ძალებზე ტვინის გადანერგვის ტექნილიგის დანერგვისათვის. ყველა სულდგმულის ბიოლოგიური აგებულება შეისწავლა, იცის თითოეულ სისხლძარღვთა დანიშნულება, მაგრამ უჭირს პროგნოზი იმის, რა ზეგავლენას იქონიებს ჭარბად მოზღვავებული ახალგაზრდის სისხლი მის დანაოჭებულ ტვინზე, დაბრძენებულ ცნობიერებაზე. ის სინოპტიკოსი არაა, ადამიანი რომ ამინდივით შეიცნოს. რამეთუ ხშირ შემთხვევაში „პიროვნების მადომინირებელი ტვინი ინსტინქტისა და სხვა შეუცნობელის მორჩილი ხდება“.

ექიმს ჰკლავს უინი მზვაობრობისა, პირველკაცობისა. დიახ, აუცილებელია ჭკვიანი კაცი მსოფლიომ გაიცნოს, რომ მისი სახით დანაკლისი არ განიცადოს პლანეტამ. (დანაკლისი არ იქნებოდა განა მსოფლიოსათვის ნიუტონი? მენდელეევი, აინშტაინი?..) მზვაობრობისა და დიდების წყურვილის მომაკვდინებელი ცოდვა აიძულებს ქირურგს წინ აღუდგეს განგების ნებას და

კითხულობს: მეცნიერების წინსვლას განა ბედნიერებისკენ არ მიყავს კაცობრიობა?

მაგრამ, ვუდი ალენის სიტყვებით რომ ვთქვათ „მეცნიერებამ ვერ გაამართლა მოლოდინი. რა თქმა უნდა, მან ბევრი სნეულების დამარცხება შეძლო, გენეტიკური კოდი გაშიფრა, ადამიანები მთვარეზეც კი აიყვანა, მაგრამ დატოვეთ ოთხმოცი წლის მოხუცი ითახში ორ ახალგაზრდა მედდასთან ერთად და არაფერიც არ მოხდება. ნამდვილი პრობლემები ხომ უცვლელია. განა დაეხმარება მეცნიერება მას, ვინც მარადიულ გამოცანებს შეეჭიდა? როგორ გაჩნდა სამყარო? რამდენი ხნის წინ? ყველაფერი აფეთქებით დაიწყო თუ ღვთის სიტყვით?“ (ვუდი ალენის „მივმართავ სკოლადამთავრებულებს“)

„გადმოვხედოთ დანგრეულ დედამინას და სამეცნიერო მიღწევებზე მერე ვიმსჯელოთ. გარღვეულია ცის ტატნობი, მონამლულია ზღვა და ოკეანე, შხამით გაჯერებულია მინა, რომელიც შხამსავე გვთავაზობს“. და რას აკეთებს რეალურად მეცნიერი? იმ ბრძენენაცის ნათქვამისა არ იყოს, უსუსურია მეცნიერება, თუკი რაიმე მატერიკას არ დააკავებ ხელში. ხორბალს და მინას თუ მომცემ, ჩავყრი მარცალს ნიადაგში და მოსავლის მოწევნის შემდეგ პურის ცხობასაც გასწავლი, მაგრამ როგორ უნდა შექმნას მეცნიერმა ხორბალი, როგორ უნდა მიიღოს არაფერზე ზემოქმედებით წყალი?! მინა?! ცეცხლი?! მცენარე?!

აზრის მოძრაობას ხომ ვერაფერი შეაჩერებს, ადამიანი განუწყვეტლივ მიისწრაფვის უკეთესობისაკენ, ბედნიერებისაკენ - და იწყება „იმედიანი კაცის“ შექმნა, რამაზ კორინთელის სახით, (სახელი არაბულია და “რამაზანის თვეში დაბადებულს” ნიშნავს, გვარი ქართული სამეფო აზნაურთა რიგებიდანაა; ანუ, ქართული გვარი ცდილობს არაბული სახელის შეთვისებას. ავტ) რომელსაც სამყაროს ხსნის გასაღები მოეპოვება. მაგრამ, ბიბლიური სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღების“ მფლობელი უფრო ხდება, ვიდრე სხვა საიდუმლოს ამომხსნელი. ამის მიზეზი კი ინსტინქტზე ცნობიერების დამოკიდებულებაა.

ღრმადგანათლების მიუხედავად, რამაზ კორინთელს საკაცობრიო ზრუნვა მხოლოდ წარმატების ფორმულის შესაქმნელად სჭირდება. დანამდვილებით იცის, თავისი გამონაგონის

წყალობით მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის მართვა შეუძლია. იგია მეუფე თეორიისა, რომლის პრაქტიკაში გადასაყვანად ამოქმედდებიან მსოფლიოს უდიდესი ძალები... ღვთაებრივი პარადიგმები, არსი ბოროტი და კეთილი ასპიტივით სისინებს ახალგაზრდა პერსონაჟის სულში და შთააგონებს, „დაარღვიოს 10-წლიანი დუმილი მოხუცი პროფესორისა“ და დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ის გამორჩეულია, ზემდგომია თავისი ნიჭითა და შესაძლებლობით. ერთი სიტყვით, ვითომ კეთილისმყოფელი იდეის გარშემო ტრიალებენ გმირები, მაგრამ როგორ შეიძლება სიკეთე შეამთხვიო სხვას ისე, რომ შენში არ იყოს არანაირი კეთილშობილური. სხვას რომ ბედნიერება მოუტანო, თავად უნდა განიცადო ბედნიერება, რომელიც საკუთარი თავის შეცნობით იწყება. და რამაზ კორინთელში იბრძვის ორი „მე“, რომელთაგან ერთი უფრო ინტელექტუალური, დახვენილი, ენებისა და მუსიკის მცოდნეა, ხოლო მეორე - თამაშზე დამოკიდებული, ბანკის მძარცველი, ნასამართლევი და გონიერაჩამორჩენილი სტუდენტი. და კითხულობს გმირი: „მაინც რომელი ვარ, ვიორგაძე თუ კორინთელი?!“ და ვიდრე გაიგებდეს, რომელი ცოცხლობს მის არსებაში (ან რა უფრო მეტად უყვარს, სიგარეტი ვინსტონი, თუ კოსმოსი, არაყი თუ შამპანური...) პიროვნული გაორების ნიადაგზე ჰკლავს თავის გადამრჩენელ ექიმს, რომლის-თვისაც მას არ უთხოვია გადარჩენა.

სამეცნიერო ლაბორატორიები და ობსერვატორიები დღე-საც წამლავენ ატმოსფეროს და ანგრევენ ბიოსფეროს. პიროვნული „მეს“ ძებაში ტრაგიკულად დალუპულ მეცნიერს კი თან მიაქვს კაცთა შორის მშვიდობის დანერგვის საიდუმლო. არადა შეეძლო შეექმნა ახალი განზომილებანი, დაეხაზა რუკა ახლებურად, განესაზღვრა გრძედისა და განედის ურთიერთკვეთა, ეკვადორისა და მერიდიანის პარალელური სარტყელები ხელის გულებში მოექცია და ენინასწარმეტყველა კატაკლიზმების რიგითობა;

მაგრამ, თუ ეს ყველაფერი ერთ კაცს შეეძლება, მაშინ სხვა დანარჩენებმა რა უნდა აკეთონ ან თეოლოგიასა და რელიგიურ მოძღვრებას რა ნუგეში მივცეთ?! უფალდაკარგული ადამიანი განა „ეშმაკის ბერკეტად“ არ იქცევა?! სადაა მეცნიერუ-

ლი კეთილშობილება, რომელიც ნიღაბაფარებული ვითომდა ცდილობს ქაოტური სააქაოს დალაგებას...

ხომ უნდა არსებობდეს ზღვარი ღვთიურსა და ადამიანურს შორის?! თუ ეს ცხოვრება მხოლოდ ძალლზე და ცხოველებზე ექსპერიმენტია და მეტი არაფერი?!..

დღევანდელი გადმოსახედიდან გიული ჭოხონელიძის მიერ 1990 წელს გადაღებული „სპირალი“ საბჭოთა მარწუხევეშ მოქცეული ახერხებს ნაციონალური სტანდარტებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამასთან, ის კვერცხის ნაჭუჭიდან დახსნილ ნინილასავით ცდილობს მოძმეთა დახსნას, რათა თავისუფლება მიანიჭოს და უკეთესობისაკენ შეცვალოს ნაჭუჭში გამომწყვდეულთა ცხოვრება.

ფილმი თავისი სიძველით, შინაარსით და ჟანრობრივი სირთულით ხასიათდება. ერთი შეხედვით, იგი მოყვარულის მიერ გადაღებულ ამბავს ჰგავს, სადაც ჭარბადაა იღუმალება-მისტიკა დამარხული. ფერთა უბრალოების მიუხედავად, იგი ეპოქალური შედევრია, ისტორიული წარსულის მაცოცხლებელი მოძრავი ფერწერული ტილო.

აჩვენეთ ეს ფილმი ნებისმიერ ხელოვნებათმცოდნეს, კინემატოგრაფს (მათ შორის უცხოელს) და უდავოდ გეტყვით: „არა, ნამდვილად ქართულია, ოღონდ ეროვნული საზღვრები მორღვეული აქვს და უკვდავებისკენ მიიღწვის!“

**„გულს ნუ გაიტე! – მუხა კვლავაც შეიმოსება!..“
(გუსრან მაჟავარიანის შესახებ)**

„ამაოდ ებრძოდა თვალი მისი სევდის საბურველს“; ის ძველი, ღატაკი ქოხის უხეშ კიდე-ყურესთან იდგა და ეზოში ბიას კბეჩდა. ვახშამს „ქალი-დილა, მიწა-ქალი, საღამო-ქალი, წვიმა-ქალი“ უმზადებდა. „მთვარე ჩინელის ძუნნი თვალებით“ ზვე-რავდა ცისქვეშეთს და იძახდა:

„ამგვარში,
დღეს რომ საქართველოა,—
არც სიცოცხლე ღირს
და არც სიკვდილი!“

ღრუბლები ტოროლასავით ფარფატებდნენ. შაშვნი ხმატ-კბილად გალობდნენ. ამ დროს „ზღვრები მორღვეული ჰქონდა ფანატიზმს“ და თვალნათქორალი სევდა ქირქილებდა. ბიჭი სა-ქანელაზე ქანაობდა. წვიმისგან დანამულს დედის რუდუნებით ნათქვამი სიტყვები შთაესმოდა:

– მუხრან, შემოდი სახლში, არ გაცივდე ღვთის გულისათვის.

ბაბუა გაცხარებით ჩიჩინებდა: სოფელში გაზრდილ ბალლს არაფერი გააცივებს, აი შენ კი მაგაზე დარდი გადაგიყო-ლებსო.

დედა ავად შეიქნა. ოცნებად გადაექცა ჭაბუკს ექიმობა.

„დიახ!—

გავიზრდები თუ არა,—
მე უსათუოდ ექიმი ვიქნები.“

განკურნავს სნეულთ, მოუვლის ხალხს და „აღარ დასჭირ-დებათ სხვაგან სირბილი!“ და უეცრად დაირღვა პოეტის ილუ-ზია. ლექსშივე გამოფხიზლებული, რეალობა შეფეთებული აც-ხადებს:

„შენ არ ხარ ექიმი.

ლექსებს წერ შენ

და მე გეკიოთხები შენ:

– რატომ გაანბილე პატარა მუხრანი?!

სნეულთა შორის სამკურნალო, სულის მაღამოდ გამოსა-დეგარი ლექსებით პოეტი იჭრება პიროვნების სამოსელში. მისი

სამწერლო ენა ქარის ზუზუნს ჰგავს, – ხმატკბილად ამუსიკებულს. ხანდახან რომ მძიმე რევანშული აკორდებით ლალდებიან. პოეტის ხელში „წრიალებს აწმყო, როგორც მწერი ობობას ქსელში“. არწივივით გამეხებულს, ცნობიერებადამჯდარს ესმის, რომ მის გულში გადის „სამყაროს უდრეკი ღერძი“. თავის-თვის ნაცნობი რიტორიკით „ალაზანს სამხრესავით იჭერს, კავკასიონს კი აქლემივით მიერეკება“. ეზმანება, რომ პიროვნება „საკუთარი სიკარგის მსხვერპლია!“ წარსულზე დაფიქრებულს მომავლის ბინდ-ბუნდში არ სურს ხელთა ფათური, რადგან მერმისში ხედავს “ქართული ძლივს ორლობის იქნება ენა“, რისთვისაც

„უბედურთ, - მე და სამშობლოს ჩემსას, –
ორთავეს ერთად ამოგვდის სული“.

ცხოვრებაში და შემოქმედებაშიც ვერ ჰგუობს პირმოთნე, ცრუ, მეზღაპრე მატერიალისტებს, ვითომ ქართველობანას რომ თამაშობენ:

„როდესაც ადამიანი, –
ვითომ ქართველი რომაა, –
არის ქართველი კი არა, –
თამაშობს ქართველობანას!“

სამი სანუკვარი საუნჯის, „მამულის, ენისა და სარწმუნოების“ ქომაგი ერთგან სინანულით ეწინააღმდეგება მთელს თავის შემოქმედებით ლაიტმოტივს:

„რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილნინს თუ გიჭირს!
უეცრად, ასპიტივით ასისინებული სინანული სისხლის მოლეკულებს უნამლავს და მკითხველთან აღსარებით ინანიებს:
„ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!“

პოეტს თემიდას პინა უჭირავს, რომლის საპირისპირო მხარეს მამული და იესო ქრისტეა.

„პინას, –
რომელზეც იდგა იესო, –
მამულიანი
ჯაბნიდა პინა“

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში იდენტური მნიშვნელობის სიტყვებიც კი განსხვავებულ ელფერს იძენენ და სულისშემ-

ძვრელ სანახაობას ქმნიან. ბგერები ზღვის ტორტმანს გვაგონებს, თანხმოვნების ყრუ გუგუნი ქარაფს მიმწყდარ ტალღას. და განცდა გვეუფლება, თითქოს რასაც ვხედავთ და ვკითხულობთ არის ერთი ამოსუნთქვით დაწერილი გენიალობა, რომელსაც მედალსავით ორი მხარე აქვს და ორივე მხრიდან ერთმნიშვნელოვანია. ამიტომ, ერთ-ერთი ცნობილი ლექსი „ამოვატრიიალე“ და ჩემდა გასაოცრად ეს წავიკითხე:

უკუსაკითხავი ლიტერატურა:

1.მაშინ

ის იდგა

ტრიბუნალზე

ღიმილით ძალლის,

ქიჩარი რეგვენთ როცა ქუჩას ხდიდა ამაზრზენს,

პარადი, როცა მენამული ქალაქს იკლებდა,

ფანატიზმს ჰქონდა მორღვეული როდესაც ზღვრები“

2.მათაც უშველე

ყოვლად ძლიერო.

სადაც გაძლება ძალზე ძნელია!

ტანჯვას იტანენ უსაზღვროს სადაც,

დარჩა ბედკრული ურიცხვი სადაც,

ჭიდან,

უძირო,

უწყლო,

ამომზიდა მე რომელმაც

ღმერთო,

მინდა ვადიდო,

მინდა და მინდა!

მინდა და მინდა!

მინდა და მინდა!

3.მუდამ ერქვას

მსურს, –

საქართველო, –

საქართველოს და
ილაპარაკოს ქართულად მსურს
ქართველმა კაცმა.

4.ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.
წარსულში ვეძებ,
აწმყოში ვეძებ,
მერმისში ვეძებ,
აკვანში ვეძებ,
ჰაერში ვეძებ...
ვეძებ და ვეძებ
რაღაცას ვეძებ.

ერთნაირი სიტყვების თამაშით პოეტი ცდილობს ტავტო-ლოგის დამარცხებას. ის იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს, ოღონდ უფრო გამძაფრებული ტონალობითა და ღრმა სულიერი ემოციურობით. და განცდა გაქვს იმისა, რომ ტაბიძის „ქარი ქრის“ „ისევ ღელავს, ისევ ღელავს, ისევ ტოკავს, ისევ ტოკავს“ მუხრანის პოეზიაში:

გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა—
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.

მაგრამ გალაკტიონის და მუხრანის ვნებათაღელვას განსხვავებული ელფერი აქვს. იმდენად განსხვავებული, რომ მასში „სხვისი არაა ერთი მისხალი“.

„სარ საესავი ჩემთვის ტაძარი,
სარ გარჭობილი გულში ისარი...
სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავნანი,
ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი,
სამაგიეროდ, — ჩემში რაც არი, —
სხვისი არაა ერთი მისხალი“.

და პოეტმაც, როგორც მტკვარმა, ისტორიული ექსკურ-
სით გამოიარა:

„რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული“

გზად დაღლილი და ასაკისგან მოტეხილი ფილაქანზე ჩა-
მოჯდა, წამით დაფიქრდა, რა უფრო სჯობდა, ლექსების წერა
თუ... ვენახის გასხვლა, თოხნა, შემოდგომაზე მთიდან შეშის ჩა-
მოტანა, პარასკევობით საჩხერეში სიმინდის გაყიდვა. იქნებ შე-
მოქმედებით წვას აჯობებდა ჰყოლოდა შვილები, რომელთაც
ალბათ ვანოს და ივლიტას დაარქმევდა და სოფლის სკოლაში
ივლიდნენ. მეუღლე ყოველდღე გააცხელებდა თიხის კეცებს,
ცივ სოხანაზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით! მაგრამ... ეს ყვე-
ლაფერი ხომ ქალაქშიც შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს კაკ-
ლის ჩეროდან რომ ფეხი არ გაედგა, თოხიც რომ სჭეროდა, ის
მაინც დიდი მგოსანი იქნებოდა და „მზით გაუღენთილი სივრცე
ითიმთიმებდა“ მასში.

და წერდა ხანაც გასართობად და თავის შესაქცევად, ხა-
ნაც სალალობოდ.

„ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გამოიმეტებს,
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!“

საკუთარი ფეხის ხმა ესმოდა და ცდილობდა მსუბუქად ევ-
ლო, რათა არ დაემძიმებინა დედამიწა. (ესეც მისი უბრალოება
იყო) ისევ ბავშვურად ლილინებდა და საკათედრო ტაძრის „დიდი
ფანჯრებიდან ლურჯი სინათლე იყურებოდა“ ძალმოსილების
წუთები დათვლილი ჰქონდა, ამიტომ სიკვდილთან პაექრობას
მარადისობის უღელქვეშ რონინი ანაცვალა, რამეთუ კარგად
ესმოდა მუდამ რა იყო ჭეშმარიტად ღირებული და რისთვის უნ-
და ებრძოლა თავგანწირვით.

ნაწირნასწარმეტყველევი სიტყვებით, იმისდა მიუხედავად
რომ „რა ბედენა დიდუბის და მთაწმინდის მიწა, თუ სიკვდილია
აი, წოლა მესმის შამქორშიო!“ პოეტი სასაფლაოზე იმავე ქუჩით
გაასვენეს, რომელზეც ბევრად ადრე განაცხადა.

„სამაგიეროდ, –
ოდეს ხორცი მიეცა მიწას,
ოდეს ლექსშილა ხმაურობდა პოეტის სისხლი,
ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა,
თხემით ტერფამდე
იგრძნო ხალხმა
დაკარგვა მისი“.

ვიდრე კაცობრიობა იარსებებს და ლაზარეს ენად გამოც-
ხადებული ქართული არ გახდება „ორლობის ენა“, ქართველს
მთაწმინდაზე ასვლისას ქრისტე მოაგონდება, რომელიც მუხრა-
ნის პინაზე შემდგარა და კაცობრიობას სამშობლოს სიყვარულს
შთააგონებს.

„ხალზე უფრო კატა რომ ეცოდება“ ისეთი ხალხიც მია-
კითხავს მუხრანს. სპარს-თურქ-მუსლიმად ქცეულ ჭაბუკებს,
ვითომ ქართველებსაც მამაშვილურად მოეფერება და შესძა-
ხებს:

„არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი გესმის?!”

ბრძანების კილოთი ექო აგუგუნდება: „გულს ნუ გაიტეხ! –
მუხა კვლავაც შეიმოსებაო!..

სარჩევი

თაობის რჩეული	4
შტრიხები ირაკლი შამათავას პორტრეტისათვის... ..	10
ამონარიდი ლიტერატურული საიტიდან	14

ნოველი

ცხოვრება, როგორც სინამდვილეშია.....	21
მეორედ, – გოლგოთაზე	27
ნათლიდედა	32
სხვისი ცოლი, ანუ ჰანა კონიგსბერგის საბედისწერო მარტოობა	43
ჩემი სახელია ჰიროსიმა.....	86
ბავშვობადაკარგული თაობა ანუ ბოლოსიტყვაობა, რომელიც ავტობიოგრაფიას ჰგავს	106
დაკარგული სამოთხის ძიებაში	110
კაენი და სახარება	128
სახლიდან გაქცეულის დღიურები	136
როცა შორიახლო კატაფალკა მიცდის... ..	153
აწვიმდა დრეზდენს	162

ცირილი

პოეტის ქორწინება.....	167
წერილი სპეციალურ ადრესატს	171
ზოგიერთი რამ ჩემს შესახებ, ანუ დედიშობილა ფიქრები	174
„სპირალი“ – ქართული ფილმოგრაფიის სწრაფვა	
კოსმოპოლიტიზმისაკენ!.....	180
„გულს ნუ გაიტქე! – მუხა კვლავაც შეიმოსება!..“ ..	186



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge